

ნიკოლოზ
კანელიანი



ფიქციები



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1988

წიგნში შესულია ცნობილი ქართველი მეცნიერ-
სა და მკვლევარ-მეცნიერის ნიკოლოზ კანდელაკის წერი-
ლები, რომლებშიც განხილულია ქართული ლიტერა-
ტურის კორიფეების: შოთა რუსთაველის, ალექსანდ-
რე ჰავეჰაჰის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავ-
ჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და იაკობ
გოგებაშვილის ცხოვრება და შემოქმედება. აქვეა წარ-
მოდგენილი ქართული მკვლევარ-მეცნიერების ზოგადი
მიმოხილვა.

წიგნი განკუთვნილია ფართო მკითხველი საზო-
გალოებისათვის.

იხილეთ გამომცემა

4603020000 — 117

K _____ ბრძ. № 1/35 -- 88

M 601 (08) 88

ISBN 5—529—00433—4

წი ნ ა ს ნ ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ამ წიგნის ავტორი — ნიკოლოზ ილიას ძე კანდელაკი 58 წლისა იყო, როდესაც, 1965 წლის მაისში, სამუდამოდ წავიდა ჩვენგან. მისმა ტრაგიკულმა სიკვდილმა ყველას დაგწყვიტა გული. დადუმდა უბადლო მჭევრმეტყველი, შაძიებელი მეცნიერი, გულისხმიერი პედაგოგი, ერთგული მეგობარი და მზრუნველი მეოჯახე. გარდაიცვალა ნამდვილი ოქროპირი, კაცი გამომეტყველი და ლამაზენა, რომლის საჯარო ლექციები და საუბრები მსმენელებს აღაფრთოვანებდა და ცოდნით ამდიდრებდა. იგი ხომ მარად მაღალი მოვალეობის შეგნებით იღვწოდა ქართული ორატორული კულტურის ამაღლებისათვის, ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის ნათელყოფისათვის, თაობათა აღზრდისა და დავაჟიაციებისათვის!

ნიკოლოზ კანდელაკი სახელმძღვანელო ორატორი იყო, როცა უცბად აღზევდა ქართულ მეცნიერებაში: მან უმოკლეს დროში ზედიზედ გამოაქვეყნა დიდტანიანის წიგნები და ნარკვევები: „სოლომონ ლიონიძე — მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ლერკულეს ნეტარისა ღირსისა“ (ტექსტი და გამოკვლევა, 1957 წ.), „ქართული მჭევრმეტყველება. ძეგლები და მასალები“ (კომენტარებითა და შენიშვნებით, 1958 წ.), „ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება“ (სადოქტორო დისერტაცია, 1961 წ.), ნარკვევები ეფრემ მცირის, სულხან-საბა ორბელიანის, სოლომონ ლიონიძის და სხვათა სამწერლო მოღვაწეობისა და ორატორული ხელოვნების შესახებ. ამას გარდა, მანვე დაგვიტოვა ხელნაწერად, მაგრამ დასაბეჭდად მომზადებული, ორი შესანიშნავი წიგნი — „ქართული საელჩო მჭევრმეტყველება“ (გამოქვეყნდა 1966 წელს) და „ქართული მჭევრმეტყველება. ქართვე-

ლი ორატორები“ (გამოქვეყნდა 1975 წელს), აგრეთვე საჯარო ლექციები, რომელთა მცირედი ნაწილი წინამდებარე წიგნშია მოთავსებული.

ეს წიგნები ადასტურებენ იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ მათი ავტორი იყო ძველი ქართული კულტურის შესანიშნავი მცოდნე; ჩინებულად ერკვეოდა შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური მწერლობის საკითხებში და კვლევა-ძიების საგნად იღებდა ამა თუ იმ მწერლის ან სახელმწიფო მოღვაწის ისეთ მხარეს, რომელიც ქართული მეცნიერებისათვის უცნობი ან ნაკლებად შესწავლილი იყო. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ნ. კანდელაკი რჩება დღესაც ერთადერთ თანმიმდევარ მკვლევარად, რომელმაც მაღალი მეცნიერული დონით დაამუშავა ძველქართული ორატორული ძეგლები და მოგვცა ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის კურსი, შედგენილი პირველი წყაროებისა და მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით. ამასთანავე, იგი იყო ქართული მწერლობისა და საქართველოს გარდასულ ამბავთა მიხრობელი და პოპულარიზატორი, რომელიც, ჰფლობდა რა შეუდარებლად ქართულ ზეპირ სამეტყველო ხელოვნებას, ქართველ ხალხს ლამაზი ფორმითა და საინტერესო შინაარსით აცნობდა დიდი ქართველი მწერლებისა და სახელმწიფო მოღვაწეების ცხოვრებასა და საქმიანობას, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ეპიზოდებს.

ნიკოლოზ კანდელაკი სამი ათეული წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს დედაქალაქ თბილისში და საქართველოს რაიონებში. მისი თემატიკა მოიცავდა მრავალ აქტუალურ და საინტერესო საკითხს საქართველოს წარსულიდან, ქართული ლიტერატურისა და ქართული პედაგოგიის ისტორიიდან. „დავით აღმაშენებელი“, „თამარ მეფე“, „ერეკლე მეორე“, „სამასი არაგველი“, „ასპინძის ომი“, „კრწანისის ბრძოლა“, „რუსთაველი და მისი პოემა — ვეფხისტყაოსანი“, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, „გრიგოლ ორბელიანი“, „ილია ჭავჭავაძე“, „აკაკის ცხოვრება და შემოქმედება“, „ვაჟა-ფშაველა“, „იაკობ გოგებაშვილი“ — აი, არასრული სია იმ თემებისა, რომელთაც აცნობდა ქართველ ხალხს ნ. კანდელაკი. იგი ჰხიბლავდა და აჯადოებდა ყველა ჯურის მსმენელს ნათელი მეხსიერებით, მხატვრული სიტყვითა და მასალის ღრმა ცოდნით. ამას აღწევდა დიდი შრომითა და დროის დახარჯვით: აუდიტორიის წინაშე ის სახელდახე-

ლოდ არასდროს წარსდგებოდა მოუშზადებელი. სანამ თემას არ დაწერდა, ნაწერს არ შეისწავლიდა და არ გაიაზრებდა გონებაში, მანამდე მსმენელთან კონტაქტს არ ამყარებდა.

5. კანდელაკმა დაგვიტოვა ერთი საინტერესო ნარკვევი — „საჯარო ლექციის მომზადება, შეთვისება და წაკითხვა“, რომელშიც ასახულია ავტორის დიდი სალექციო მუშაობის გამოცდილება. მასში ჩამოყალიბებულია ლექციის მომზადების, შეთვისებისა და წაკითხვის ძირითადი პრინციპები, რომლებითაც თვით ლექტორი სარგებლობდა სამი ათეული წლის განმავლობაში. ნ. კანდელაკი თემის შერჩევას, ლიტერატურის შესწავლას, გეგმის შედგენასა და დაწერას გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევდა.

აი, რა მოვალეობას აკისრებდა იგი ლექტორს:

„საერთოდ, უნდა გვახსოვდეს: ყველაფერი — თავის დროზე ზეპირად სათქმელი მსმენელთა წინაშე — წინასწარ წერილობით უნდა აღიბეჭდოს. საჯაროდ მოსმენის ღირსი არის მხოლოდ ისეთი მასალა, რომელიც ჭერ წერილობით გამოხატულია და შემდეგ ლექტორის მიერ სათქმელად შეთვისებული. იმპროვიზაციული — წინასწარმომზადების გარეშე ნათქვამი და ექსპრომტული აზროვნების უეცარი ნაყოფი შეიძლება იყოს რაიმე მახვილი გამონათქვამი, მოსწრებული სიტყვა, ცალკეული ფრაზა, მაგრამ არა გავრცობილი, დალაგებული, თანმიმდევრული და ღრმა ცოდნის გადმომცემი ლექცია. ჭერ ქვეყანაზე არაეის უთქვამს ზეპირად ვრცელი, შინაარსიანი და მქვერმეტყველური სიტყვა წინასწარი მომზადებისა და წერილობითი აღბეჭდვის გარეშე“.

6. კანდელაკი ამ მოვალეობის წინაშე დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა და ამიტომაც ყოველ საჯარო ლექციას ამზადებდა და წერდა კიდევ, შემდეგ ზეპირად სათქმელად ითვისებდა. იგი შეთვისების სამ სახეს გამოჰყოფდა: ზუსტად დასაზეპირებელს (შესავალს, დასასრულს, დასკვნას, დებულებას, რეზიუმეს, მხატვრულ ციტატას), ზერიფრაზულად დასაზეპირებელს (მხატვრული მასალის შინაარსს, მოძღვრების დედააზრს, დამოწმებულ ადგილს, თეორიას, ჰიპოთეზას) და დაუზეპირებლად დასაუფლებელს (განმარტებას, დასაბუთებას, შენიშვნას, დამხმარე მასალას, კვლევა-ძიების საკითხსა და მის ისტორიას, დასახულ მიზანსა და მიღწეულ შედეგს). ამის მიხედვით ირკვევა, რომ ნ. კანდელაკი ლექციის წაკითხვამდე ბევრს შრომობდა თემის შესწავლა-დაწერისათვის, მაგრამ ის დიდ ენერგიას ხარჯავდა და-

წერილი ტექსტის შესათვისებლადაც. ამ შემთხვევაში მისი მუშაობა ემსგავსებოდა იმ მსახიობის საქმეს, რომელიც სახლში ემზადებოდა სცენაზე გამოსვლამდე. ამიტომაც იყო, რომ ნ. კანდელაკი ყველა მსმენელს იპყრობდა და ატყვევებდა. რანაირი დიდი აუდიტორიის წინაშე არ უნდა წარმდგარიყო ის, პირველივე ფრაზის წარმოთქმისთანავე იმორჩილებდა მსმენელს და სულგანაბულ დარბაზში ბუზის ფრენის ხმასაც კი გაიგონებდით, ხოლო ლექციის დამთავრების შემდეგ აღფრთოვანებული მსმენელი თავის ლექტორს მქუხარე ოვაციებით აჯილდოებდა. მაგრამ წაკითხული ლექციის შთაბეჭდილება მართო ამით არ მთავრდებოდა. ნ. კანდელაკს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსდიოდა სახობო წერილები, რომლებშიც ავტორები თავიანთ აღფრთოვანებას გამოხატავდნენ მოსმენილი ლექციის შესახებ. აი, რას ვკითხულობთ ერთი მსმენელის წერილში:

„გვჩნბლავს და გვაოცებს სიწმინდე და სითბო, სიბრძნე და სიმახვილე თქვენი ნარნარი, გულისა და ნერვების დამატკობელი მეტყველებისა. ფართო და ღრმა აზრები, გადმოცემის იშვიათი სიცხადე და ოსტატობა, საუცხოო შედარებები და ებითეტები, საუკეთესოდ შერჩეული სინონიმები და სხვა მრავალი ჩუქურთმა და სამკაული თქვენი ლექციისა ჰქმნიან აუდიტორიაში განუწყვეტელი, შეუწელებელი ყურადღების, დიდი კმაყოფილებისა და მარად უკვდავი სიამოვნების ვითარებას“.

აი, კიდევ ერთი ამონაწერი სიმონ გაჩეჩილაძის მოგონებიდან, რომელიც ეხება ნ. კანდელაკის მიერ „ქართულ მჭევრმეტყველებაზე“ წაკითხული ლექციის მოსმენით განცდილ შთაბეჭდილებას:

„იგი დინჯად ავიდა კათედრაზე. როგორც ჩვეული იყო, ფაქიზად მოისინჯა სათვალე და სრულიად აუღელვებლად იწყო ქებათაქება ქართული თვითმყობადი მჭევრი სიტყვის ისტორიული განვითარების გზისა. ფრიად გასაოცარია სათქმელი აზრის ფორმისა და შინაარსის ის ერთობლიობა, რასაც ჩვენი საყვარელი მასწავლებელი აღწევდა თავის ლექციაში; ქართული სიტყვის სემანტიკურ შინაარსსა და მის გამომსახველობითს საშუალებებზე ეს ნამდვილად მინდიასავით შეყვარებული კაცი როგორ იღვწოდა ოქროს ზოდებად ჩამოკვეთილი ორატორული ძეგლებისათვის, რათა სრულიად ახალ კულტურულ-ისტორიულ ვითარებაში ოდნავადაც არ დაეკარგათ მათ პირვანდელი მიმზიდველობა და ჟღერადობა. როგორ იკადრებდა თავისივე ოქროპირობისათვის ჰარმონიულად არ შეესადაგებინა საზოგადოდ ორატორი-

სათვის დამახასიათებელი ჟესტ-მიმიკის ხელოვნება! ახლა ხმის ტემბრი? ტემბრს ხომ ნულარ იტყვი! ფოლადივით მტკიცე და ხავერდოვანი, ანდამატივით მიმზიდველი... ერთი სიტყვივით, ჩვენს წინაშე იდგა ეროვნული მკვერი სიტყვის მფლობელი ღმერთკაცი, რომელსაც ჩვენ და საბედნიეროდ ხელეწიფებოდა, ქართული სამკვერმეტყველო ძეგლებისათვის შეენარჩუნებინა ისტორიული კოლორიტიც, აეყვანა თანამედროვეობის დიად სიმალლემდე მისი იდეური სწრაფვა და ამასთანავე უსაზღვროდ დაეკმაყოფილებინა მსმენელთა მხატვრულ-ესთეტიკური მოთხოვნილებანი“.

და ბოლოს, აქვე დავიმოწმებ ერთ ვრცელ ციტატას იპოლიტე ვართაგავას დაუბეჭდავი სტატიიდან „ნიკო (ნიკოლოზ) კანდელაკი“, რომელიც დაიწერა 1950 წელს. ნ. კანდელაკის ლექციების „განმაქიქებელთა“ საპასუხოდ. აქ იგი წერს:

„კანდელაკის სახით ჩვენ გვყავს... ნიჭიერი, უმკველად დაკვირვებული სიტყვის ოსტატი, რომელიც მსმენელს იტაცებს და აღაფრთოვანებს თავისი მელოდიური, საშუალო სიძლიერის, მაგრამ მკაფიო ხმის თავისებური ჟღერადობით, მოქნილობით, ლივლივით... კანდელაკის ხმა... არ სჭექს, არ გრგვინავს. ავტორი შეგნებულად გაუზრბის ასეთ ეფექტებს. ის თავისი შედარებით სუსტი ხმით საკმაოდ ძლიერ გავლენას ახდენს მსმენელებზე. მისი ხმა სასიამოვნო ტემბრისაა, მოქნილი, ელასტიკური, ემოციურობის კარგი ამსახველი და გადმომცემი. კანდელაკის მეტყველების პროცესი წყალივით შეუჩერებლად მიმდინარეობს: არც ერთი შეფერხება, არც ერთი აზრის მოუკრებლობით გამოწვეული იძულებითი პაუზა... კანდელაკი დიდი მეხსიერების პატრონია. ამ თავისი იშვიათი ნიჭით ის ვირტუოზულად სარგებლობს და ნამდვილ ფურორს ახდენს. მე იშვიათად შემხვედრია ორატორი, მომხსენებელი, ლექტორი, რომლებსაც შესძლებოდათ მრავალი ციტატის (ლექსით და პროზით, ახალი და უძველესი სტილით) ისე თავისუფლად, შეუბრალოებლად და შნოიანად მოყვანა, როგორც ამას კანდელაკი ახერხებს. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელი და სანიმუშოა მისი მოხსენება „ქართული მკვერმეტყველება“. ძველი და ახალი ქართული მკვერმეტყველების (ხშირად ვრცელს) ნიმუშებს კანდელაკი, ვიმეორებ, პირდაპირ ვირტუოზულად კითხულობს. თვითონაც, ალბათ, კარგად გრძნობს თავისი მეხსიერების სიძლიერეს, კარგად ესმის ისიც, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე ლამაზად, ემოციურად წაკითხვა ლექციებისა და მხატვრული პროზის ნაწყვეტებისა და ამისათ-

ვის არ ერიდება ჰარბადაც ნიმუშების მოყვანას. როგორც ამბობენ, არ ყოფილა შემთხვევა, რომ კანდელაკი ნიმუშებისა და ვრცელი ციტატების ზეპირად მოყვანის დროს შეფერხებულიყოს, ან შეჩერებულიყოს... დაიმედებული თავისი მეხსიერების სიძლიერით, ორატორი მთელ თავის ყურადღებას აქცევს სიტყვებისა და ფრაზების რიტმულობას, ემოციურობას, ხატოვან გამომეტყველებას. ეს ხერხი მისი გამარჯვების ერთ-ერთი უდავო საწინდარია“...

ნიკოლოზ კანდელაკის პირად არქივში ამგვარი წერილი და მოგონება სხვაც ბევრია დაცული, მაგრამ აქ მხოლოდ აღნიშნულით დაეკმაყოფილდები. რა თქმა უნდა, ეს მოკლე ამონაწერები თანამედროვე მკითხველს ვერ შეუქმნიან იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მსმენელებს რჩებოდათ. ნ. კანდელაკის საჯარო ლექციების მსვლელობისა და დამთავრების უამს, მაგრამ ერთი რამ უდავოდ ცხადია: მათი ავტორები წერენ გულწრფელად და ასახავენ სიმართლით იმ განცდებს, რომელნიც გააჩნდათ მათ წერის პროცესში. ისინი არიან მოწაფეები, მასწავლებლები, სტუდენტები, მეცნიერები და მუშა-მოსამსახურეები. მათ გაუზიარეს თავის ლექტორს მოსმენილი ლექციის შედეგად განცდილი სიხარული და მოსაზრება. ასეთი წარმატება და დაფასება მსმენელთაგან იშვიათად ჰხვდება წილად საჯარო ლექციის ავტორს.

არიან ე. წ. ორატორები, რომელთაც აუდიტორიაში თავი მოაქვთ მაღალფარდოვანი სიტყვებით (ანუ ფულურსიტყვაობით, როგორც იტყოდა ხოლმე ჩვენი უკვდავი გიორგი ლეონიძე). ნ. კანდელაკი შორს იდგა მათგან. იგი ორატორულ ხელოვნებას შთაბეჭქდაობის ძალას ანიჭებდა ლექციის შინაარსობრივი და მაღალიდეური მასალით. მას, როგორც ქართული ლიტერატურის სპეციალისტს, შესწევდა უნარი, რომ ლექციისათვის შეერჩია აქტუალური თემა, შეეგროვებინა შინაარსობრივად ტევადი მხატვრული მასალები, შეედგინა გონივრული გეგმა და დაეწერა თემა საინტერესოდ, ორატორულად და ამავე დროს ყველასთვის გასაგები ენით. ამიტომაც მისი მსმენელები განიცდიდნენ არა მარტო მხატვრულ-ესთეტიკურ სიამოვნებას, არამედ ეცნობოდნენ ასევე ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს, ქართველი მწერლების ცხოვრება-მოღვაწეობას და ქართველი პედაგოგების დიდაქტიკურ ნააზრევს. ეს ირკვევა უპირველესად იმ საჯარო ლექციებიდან, რომელთა ტექსტები შემოგვინახა ნ. კანდელაკის არქივმა. ამ ნაწერებში ჩვენი ორატორი მოჩანს ქართული მწერლობის დიდ დამფასებლად და დაუღალავ პოპულარიზატორად. სამწუხაროდ, ისტო-

რიულ თემებზე დაწერილი ლექციები, რომელთაც დიდი წარმატებით კითხულობდა ნ. კანდელაკი სამამულო ომის პერიოდში და შემდეგაც, დაკარგულია, ხოლო ლიტერატურული თუ სხვა ხასიათის საჯარო ლექციებიდან გადარჩენილია მხოლოდ რამდენიმე ტექსტი.

არქივში დაცულია აგრეთვე სიტყვები, რომელნიც ნ. კანდელაკს წარმოუთქვამს სხვადასხვა საიუბილეო სხდომაზე.

ეს ლექციები და სიტყვები დაწერილია მათი ზეპირად წაკითხვა-წარმოთქმამდე. ნ. კანდელაკს ჰქონდა შესანიშნავი უნარი იმპროვიზაციისა, რომელსაც იგი მოხდენილად და მარჯვედ იყენებდა ლექციის კითხვის პროცესში. რაკი ზემოხსენებულ თემებზე ის ხშირად კითხულობდა ლექციებს წარმოება-დაწესებულებებში, სამეცნიერო ორგანიზაციებსა და სასოფლო კლუბებში თუ ღია ცის ქვეშ, რა თქმა უნდა, მათ ყველგან ერთნაირად არ აცნობდა მსმენელებს. იგი ყოველთვის ითვალისწინებდა აუდიტორიის შემადგენლობას, მსმენელთა განათლების დონეს და იმის შესაფერისად იწყებდა კითხვას.

ასე რომ, ნ. კანდელაკი თავის ნაწერს იყენებდა ლექციის მაკეტად, რომლის მიხედვით ის სხვადასხვანაირად მოჩუქურთმებულ შენობას აგებდა. მიუხედავად ამისა, მის ნაწერებშიც კარგად იგრძნობა ლექტორის ორატორული ძალა და ლალი, ნაძალადეობას მოკლებული განსჯის უნარი, ფრაზის ორნამენტულობა და აზრის ლოგიკური თანმიმდევრობა. ეს გარემოება კი თითოეულ თემას თავიდან ბოლომდე სულმოუთქმელად აკითხებს მკითხველს, იზიდავს და ჰბოძავს მას პირველი ფრაზიდან უკანასკნელ სიტყვამდე. ამ მხრივ საკმარისია დავასახელოთ „იაკობ გოგებაშვილი“. იგი იწყება აღზევებული შესავლით და მთავრდება ასევე მაღალფარდოვანი ეპილოგით, რომელიც მსმენელთა შორის, უეჭველია, დიდ აღფრთოვანებასა და ოვაციას გამოიწვევდა:

„საქართველოში ორი წიგნი იყო თვით არამწიგნობართათვის ნაცნობი და მახლობელი; ამ წიგნებით იზრდებოდნენ და ვაყვაცდებოდნენ ჩვენს ქვეყანაში. ეს წიგნებია რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და გოგებაშვილის „დედა-ენა“. დიდხანს „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენდა როგორც საანბანო, ისე საკითხავ წიგნს. შემდეგ „დედა-ენამ“ იკისრა საანბანო მოვალეობა. ამიერიდან „დედა-ენას“ იმიტომ სწავლობდნენ, რომ დედა ენა ედიდებინათ. ცოდნით აღებდნენ კარებს დიდი საგანძურებისას, ეუფლებოდნენ აზრის დოვლათს და სილამაზეს; სისხ-

ლიანი კალმით წერდნენ „დედა-ენას“ და უცრემლო თვალებით კითხულობდნენ „ვეფხისტყაოსანს“.

რაც შეეხება თვით იაკობ გოგებაშვილის პორტრეტს, იგი ერთ აბზაცში ისე ცოცხლად და რეალურად არის აღწერილი, რომ რომელიმე მხატვარსა თუ მწერალსაც კი გაუჭირდებოდა ასე წარმოსახვა: „მუდამ მშვიდი და მოკრძალებული, დინჯად მოლაპარაკე, ნელა მოსიარულე და ქცევადაწყენარებული. უფრო ხშირად სდუმდა, ვიდრე ლაპარაკობდა. სხვას ყოველთვის უსმენდა და თვითონ ყველასაგან სმენას არ მოითხოვდა. ზეპირი სიტყვა არ უჭრიდა, მახვილი ენით არ ბრწყინავდა და საერთოდ ყურადღებას ნაკლებად იქცევდა. არც ჩაცმულობით, არც გარეგნობით ადამიანს განსაკუთრებით მისკენ არ იზიდავდა, მაგრამ სახეზე უკრთოდა შთაგონების და შემოქმედების ისეთი იერი, რომ მასთან ერთხელ ახლო მისული ადამიანი ძნელად შორდებოდა და მარად მისგან მოხიბლული რჩებოდა“.

ნ. კანდელაკი ცდილობდა მწერლის შინაგანი სამყარო, მისი შემოქმედებითი თავისებურება თუ მსოფლმხედველობრივი კრედო მსმენელთათვის გაეცნო თვით მწერლისავე სიტყვებით. საამისოდ ის ისეთ მხატვრულ ტექსტებს არჩევდა, ციტატებს ისე გონივრულად ანაწილებდა და მიმოიხილავდა, რომ მსმენელი აღფრთოვანებაში მოდიოდა არა მარტო შემოქმედების ანალიზით, არამედ ვრცელი ციტატების წარმოთქმითაც. აი, მაგალითად, როგორ აქვს წარმოდგენილი ნ. კანდელაკს ნიკოლოზ ბარათაშვილის სამიჯნურო განცდა მისივე ლექსებით:

„პოეტს უყვარს: «თვალები მიბნედილები, ეშხისა ცეცხლით დაქანცულები», «ღაწვნი ნაცრემლნი», «თმანი ნაშალნი» და «ბაგენი მდუმარნი». იგი ჰხედავს: «დალალნი ყრილობენ გველად სპეტაკ მკერდზედა, ტრფობისა ველად»... იგი ნატრულობს: «ნეტავი იმას, ვინც თავის სუნთქვას შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს»... იგი იგონებს: «მასსოვს, სიამით, ოდეს ტკბილი ხმით ვარდსა და ბულბულს მოელხინარე»... და უკანასკნელად სევდის მსხვერპლით უახლოვდება უანგაროსი ყვარულის წმიდა საკურთხეველს: «შევიშრობ ცრემლსა, ჳირთ მანელებელს, გულსა დავიწვავ დასანაცრებელს და მისსა ფერფლსა ვითა საკმეველს, შევსწირავ სატრფოს, ჩემსა სამლოცველს».

ასეთია ბარათაშვილის პოეტური ტრფიალება!

ასევე გონებამახვილურად და ორიგინალურად აქვს გააზრებული ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი კრედო და მისი მოღვაწეობის არსი:

„ვაჟას მთელი პოეტური სამყარო მზესავით ნათელი და ცნობიერი ია. აქ ყველაფერი გარკვეული, ხილული და მისაწვდომია, ჯადოსნური ხელით გადაშლილია მგოსნის ქვეყანა და პოეტური სარბიელის ვრცელი ასპარეზი; წინ წამომდგარა წუთისოფლის ავ-კარგის მამხილებელი, მხატვარი მიწის, გარემოცვის დიდი მომღერალი, ღრმა აზრისათვის ლამაზი ფორმის დაუცხრომელი მაძიებელი. მან იცის ყველაფერი: რას აკეთებს, რად აკეთებს და როგორ აკეთებს. ამიტომ უპასუხებს ვაჟა-ფშაველა ასე ამომწურავად მის მიერვე დასმულ კითხვებს: ვინ ვარ, რას ჩავდივარ, რა მემართება, რას ვშვრებოდი და რას ვიზამ? აი, ვაჟა-ფშაველას კითხვები, ყოველი ღროის დიდი მგოსნისათვის საჭირო და საპასუხოდ აუცილებელი. აი, მისივე პასუხები — ღრმა, სრული და ამომწურავი:

ვინ ვარ? რას ვაკეთებ? —

ხარს ვგეჟარ ნაიალარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ,
«ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე», —
მძინარეც ამას ვლულუნებ...

რა მომდის? რა მემართება? —

მხრები მესხმება, ვიზრდები,
ცას ვიწევ ასაფრენადა...

რას ვშვრებოდი? რა გავაკეთე? —

არ მიბობღნია დაბლა ქვემრომად,
მალა დაფრინავ, როგორც ვავაზი;
ჩემს ტურფა მხარეს მკერდს დავაკერე
სიტყვა საგმირო, სიტყვა ლამაზი...

რას ვიზამ? რას გავაკეთე? —

ხან მინდორ-ჰალებს დავთელავ,
ხან შევაბიჯებ სერ-სერა;
დავუკრავ მჭვარტლიანს ჩონგურს
ათასჯერ, განა ერთხელა...

აი, ასეთი შერჩეული ციტატებითა და მახვილი ინტერპრეტაციებით აცნობდა ნ. კანდელაკი მსმენელებს ამა თუ იმ პოეტის შემოქმედების მოტივებს, შეხედულებებსა და მიზან-დასახულებებს და უნდა ითქვას, რომ ამგვარ ორატორულ ხელოვნებაში მას ძნელად თუ მოეპოვებოდა ტოლი.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა ნ. კანდელაკის საჯარო ლექციების მეცნიერულ ღირებულებაზე. ამ კითხვაზე თანამედროვეთაგან ავიც მომისმენია და კარგიც. კარგს ისინი ლაპარაკობდნენ, ვინც ამ შესანიშნავ ლექტორს უსმენდნენ, ავს კი— უფრო მეტად მისი მეტოქეები, რომელთაც მხოლოდ შური ამოძრავებდათ. ხოლო შური, როგორც იოანე დამასკელი წერს, არის „მწუხარება უცხოებასა კეთილსა ზედა“.

ნ. კანდელაკი ყოველთვის იდგა თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების დონეზე, რაც მის მიერ დაწერილ ლექციებში მოჩანს კიდევ. ეს დაადასტურა მისმა დაძაბულმა მეცნიერულმა მოღვაწეობამ, რომელიც საკმაოდ შინაარსიანად აისახა ზემოხსენებულ წიგნებში და განსაკუთრებით სადოქტორო დისერტაციაში („ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება“). ერთი რამ მუდამ ფაქტი იყო: საჯარო ლექციის წასაკითხად კათედრაზე ასულ ნ. კანდელაკს არასდროს არ ჰქონდა პრეტენზია, რომ მსმენელთათვის მოეხსენებინა საერთოდ ახალი ან უცნობი ფაქტებისა და მეცნიერთა შრომებიდან ამოწერილი ციტატების შემცველი მოხსენება. იგი აუდიტორიას ყოველთვის აცნობდა მწერლის ცხოვრება-შემოქმედებას უდავო და დადგენილი ფაქტებით, მეცნიერებაში განმტკიცებული შეხედულებებითა და კონცეფციებით, რომელთაც ის შემოქმედებითად ამუშავებდა და ორიგინალური ინტერპრეტაციებით აშუქებდა. მისი ლექციები შეიცავდა მეცნიერულად გააზრებულ შინაარსს, დაწერილს, შემდეგ მხსიერებაში ათვისებულს და მსმენელთა წინაშე ორატორული ხელოვნებით მოთხრობილს. ამაში დარწმუნდება ყველა ის პირი, ვინც კი ამ წიგნში მოთავსებულ საჯარო ლექციებს გაეცნობა.

ივანე ლოლაჰვილი



ქართული მკვირვებულება

ცდა ისტორიული სურათის აღდგენისა

მეტყველება იყო, არის და იქნება ადამიანის შინაგანი და გარეგანი სამყაროს გამოხატვის უმძლავრესი საშუალება. ობიექტური გარემო უსრულეს გამოვლენას სიტყვაში პოულობს. სიტყვის გარეშე ჩვენგან დამოუკიდებელი სინამდვილე არსებობს როგორც განუსაზღვრელად დიდი, მიუწვდომელი მასალა. სიტყვის მეშვეობით ისაზღვრება განუსაზღვრელი, გვიახლოვდება შორეული, მისაწვდომად იქცევა მიუწვდომელი. სიტყვა უდიდესი მოსაშუალეა ადამიანსა და სამყაროს შორის.

მეტყველება ადამიანთა ურთიერთობის უმახვილესი იარაღია. უფრო ძალუმი იარაღი არ შეუქმნია ადამიანს მისი წინსვლისა და განვითარების გზადიდ მანძილზე.

მეტყველებას ორი ფორმა აქვს: ზეპირი და წერილობითი. ორივე ფორმა შრომის საფუძველზე შექმნილი მონაპოვარია. მათ შორის ზეპირი ფორმა უძველესია, ხოლო წერილობითი — მოგვიანო. მაგრამ ისინი უკანასკნელად მხარდამხარ შეზრდილად გვევლინებიან, თუმცა ერთმანეთისაგან განსხვავებული ფუნქციები გააჩნიათ და დამოუკიდებელი ნიშნებით იფარგლებიან.

ჩვენი ყურადღება ამჟამად მიქცეულია მეტყველების უძველესი ფორმის — ზეპირი მეტყველების მიმართ. ეს არის ჩვენი დღევანდელი თემის ერთი მსაზღვრელი.

ზეპირი მეტყველება შრომის ნიადაგზე წარმოიშვა და განვითარდა. შრომამ შექმნა თვითონ ადამიანი. შრომამ შექმნა ადამიანის ფიზიკუ-

რი და სულიერი არსების ყველა მხარე, მათ შორის მეტყველება; მაგრამ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიურ და ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში სხვადასხვაგვარი, ერთმანეთისაგან განსხვავებული მეტყველება წარმოიშვა და განვითარდა.

ჩვენი ყურადღება ამჟამად მიქცეულია კერძოდ ქართული მეტყველების მიმართ. ეს არის ჩვენი დღევანდელი თემის მეორე მსაზღვრელი.

მეტყველება, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი, წარმოადგენს ობიექტური სამყაროს გამოხატვის საშუალებას, მაგრამ თვითველ მათგანს გააჩნია თავისი საკუთარი უმაღლესი დარგი, რომლის მეშვეობით ყოველგვარი შინაარსი უფრო ზედმიწევნით და მეტი სისრულით გამოიხატება. წერილობითი მეტყველების სფეროში ასეთი უმაღლესი დარგი მხატვრული ლიტერატურაა, ხოლო ზეპირი მეტყველების სფეროში — მჭევრმეტყველება. ამრიგად, მეტყველების უმაღლესი დარგებია: მხატვრული ლიტერატურა და მჭევრმეტყველება.

ჩვენი ყურადღება ამჟამად მიქცეულია ზეპირი მეტყველების უმაღლესი დარგის — მჭევრმეტყველების მიმართ. ეს არის ჩვენი დღევანდელი თემის მესამე მსაზღვრელი.

ამნაირად, ჩვენი დღევანდელი თემის მსაზღვრელებია: მეტყველების ზეპირი ფორმა, მისი ქართული სახეობა და უმაღლესი დარგი — მჭევრმეტყველება.

ამრიგად, ჩვენი დღევანდელი თემაა ქართული მჭევრმეტყველება.

ჩვენ ვილაპარაკებთ ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის საკითხებზე, გზადაგზა წარმოვადგენთ გადარჩენილ ძეგლებს, საბუთებს, აქა-იქ შევჩერდებით თვით ძეგლების განხილვაზე და ანალიზით ცხადვყოფთ მათ ძალას და მნიშვნელობას ჩვენი კულტურის ისტორიაში. ამით შეძლებისამებრ ნათელს მოვფენთ ქართული მჭევრმეტყველების ადგილს მსოფლიოში და ვიტყვით ქართული ზეპირი სიტყვის დიდი ტრადიციებისა და ფართო პერსპექტივების შესახებ. ჩვენ მოვისმენთ ბევრს ძველთაგან თქმულს, რომელთაც საუკუნეთა მანძილზე ძალა არ დაუკარგავთ და დღესაც ერთგვარი ნიმუშის სახით და გზნების წყაროდ გვევლინებიან. ბევრს ვიგულისხმებთ, რადგანაც მოსმენა არ შეგვეძლება, ვნახავთ კათედრებს, დღეს ცარიელთ; დიდი ხანია აღარ არიან მათი მესიტყვენი და გამქრალან თვითონ სიტყვებიც. აქ მოგვიხდება წარმოვიდგინოთ ბევრი ნათქვამი, მაგრამ ისტორიული სივრცის

წყალობით ჩვენს სმენამდე მოუღწეველი და დროთა წიაღში დავიწყების მძიმე ლოდის ქვეშ დამარხული ცოცხალი სიტყვა.

•

როგორც ცნობილია, ისტორიის პირველწყაროები, მსგავსად ყოველგვარი მატერიალური საუწჯისა, უამთავლის კანონებს ემორჩილებიან და დროთა მსვლელობაში არა მარტო იცვლებიან, არამედ ხშირად იღუპებიან კიდევ. დროის გავლენას თან ერთვის სტიქიური უბედურებანი და პოლიტიკური კატასტროფები — ცეცხლი, მიწისძვრა, ომი, ძარცვა და სხვა მისთანანი საუკუნეთა მანძილზე ანადგურებდა და შთამომავლობას უპარგავდა ისტორიის მდუმარე ძეგლებს, რომელთა ამეტყველებით წარსულის ბევრი იღუმალი მოვლენა ნათელს მოიფენდა. თუ მიწაზე ეცემოდა ბაგრატის ტაძრის თაღები, ინგროდა ვარძიის კამარები, იშლებოდა და ქრებოდა ქვებზე ამოკვეთილი წარწერები, მაშინ მით უფრო საფიქრებელია ნაკლებად გამძლე პაპირუსების, ქაღალდების განადგურების შესაძლებლობა. ისტორიულად ცნობილია, რომ მრავალგზის მძვინვარე მტერი ჩვენში ანგრევდა, რისი გატანაც არ შეიძლებოდა, და ჩვენგან გაჰქონდა, რისი დანგრევაც მოუხერხებელი იყო. ასე, მაგალითად: ანგრევდნენ ტაძრებს და გაჰქონდათ ხელნაწერები.

ასეთი იყო ბედი მატერიალური ძეგლებისა, მათ შორის წერილობითი სიტყვიერი მასალისაც. ზოგიერთი ნიშნით ეს უკანასკნელიც მატერიალურ ძეგლებს უახლოვდება. მაგრამ სხვაგვარი, უფრო სავალალო იყო ბედი ზეპირმეტყველებითი ქმნილებებისა. მათი უმრავლესობა ზეპირად იქმნებოდა, წარმოითქმოდა და ქრებოდა, რადგანაც მომაკვდინებელთა შორის ყველაზე უსასტიკესს — დავიწყებას ემორჩილებოდა; ხოლო თუ ნაწილი ჩაიწერებოდა, ნივთიერ ძეგლად იქცეოდა და მისივე ბედს იზიარებდა.

ასეთი იყო ბედი მქვერმეტყველების ისტორიული ძეგლებისა. ამის გამო ყველაზე მეტი დანაკლისი სწორედ მქვერმეტყველების ისტორიის სფეროში გავგაჩნია. აქ ბევრი ძეგლის კვალიც გამქრალია, ფრაგმენტებიც ძნელი მისაგნებია. თუ სხვა ძეგლების ნანგრევებს მაინც ვნახულობთ, ან წარწერათა ცალკეულ სიტყვებს ვკითხულობთ, — აქ წარსულის მეხსიერებას ხშირად მთელი ძეგლები დაუპარგავს და ჩვენამდე ერთი ფრაზაც არ მოუტანია. ამით აიხსნება უწყვეტი თანა-

პიმდევრობის უქონლობა და ვრცელი ცარიელი პერიოდები მჭევრ-მეტყველების ისტორიაში.

ასეთია საერთო ვითარება. მაგრამ ქართული კულტურის ხანგრძლივი ისტორიის გასწვრივ აქა-იქ, ამა თუ იმ ეპოქაში, ნებით თუ უნებლიეთ, განზრახ თუ განუზრახველად, ბედნიერი შემთხვევისა თუ კანონზომიერი მოვლენის შედეგად შენახულა და ჩვენამდე მოღწეულა ჩვენი კლასიკური მჭევრმეტყველების ზოგიერთი ძეგლი.

ისინი ნებას გვაძლევენ ვილაპარაკოთ მათი ურთიერთკავშირისა, დამოკიდებულებისა, ისტორიული განვითარებისა და სხვა ამგვარი საკითხების გარშემო.

*

თუ სადმე ერის განვითარებას იმ ზომამდე მიუღწევია, რომ შესაძლებელი გამხდარა სიტყვაკაზმული ხელოვნების წარმოშობა, იქვე შექმნილა მჭევრმეტყველებაც, როგორც სიტყვიერი კულტურის დაუშორებელი ნაწილი. ამ მხრივ გამონაკლისს არ შეიძლება წარმოადგენდეს ქართული კულტურა. ამრიგად, ქართული მჭევრმეტყველების სათავეები ისევე ძველია და შორეული, როგორც ქართული სიტყვიერების საწყისები. ამის თქმა შესაძლებელი იქნებოდა მაშინაც, კონკრეტულ საბუთებს რომ ვიყოთ მოკლებულნი და მარტოდენ საერთო მაჩვენებლებს ვემყარებოდეთ. დოკუმენტური წყაროებისა და ძეგლების არსებობა კი, ცხადია, არა მარტო უდავოდ ხდის ჩვენში უძველესი მჭევრმეტყველების ხელოვნებას, არამედ მისი სიმაღლის და სრულყოფილების მაჩვენებლებიცაა.

სანამ ამ უკანასკნელთ შევხებოდეთ, უყურადღებოდ არ გვინდა დავტოვოთ ის საერთო მაჩვენებლებიც, რომელთა გათვალისწინება ქართული კულტურის ბუნებრივ შედეგად და მისივე განუშორებელ პირმშოდ წარმოგვიდგენს ჩვენი მჭევრმეტყველების ისტორიულ ძეგლებს.

ქართული ენის თავისთავადი სიმდიდრე და კეთილხმოვანება უცილობლად ხელს უწყობდა ჩვენში მჭევრმეტყველების შექმნას და განვითარებას. ქართული მეტყველების ეს ღირსებანი შეუცნობელი არ ყოფილა ჩვენი წინაპრებისათვის. მარტო გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ კმარა იმის დასამტკიცებლად, თუ რაოდენ სრულად იყენებდნენ წარსულში ქართული ენის გამოხატვითს ძალმო-

სიღებას. დიდი რუსთაველის ქმნილებაში ხაზგასმულია საერთოდ ენის და კერძოდ ქართული ენის ძალა და სილამაზე. პოეტის თქმით, „გველსა ხერელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“. იქვე მგოსანი მიუთითებს ქართული ენის კეთილზმოვანებაზე: „ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიკეთისა ხელის მხდელი, მზესა ასრე ეუბნების, ვით გაზრდილსა გამომზრდელი“. ეს ტკბილ-ქართული, რუსთაველის აზროვნების პოეტური საგანძური, „ვეფხისტყაოსანში“ უბადლო სიმაღლეზეა აყვანილი.

ქართული ენის ქება შეიძინა ჯერ კიდევ X საუკუნეში ქართველი საეკლესიო მოღვაწის იოანე-ზოსიმეს მიერ. მის, შთავონებით გატაცებული, ასე ლაპარაკობს: „დამარხული არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა (ე. ი. ქრისტეს, ნ. კ.) საწამებლად; რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა, და ესე ენა მძინარი არს დღესამომდე... ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს... და ესე ენა შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა... მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა“...

ეს „შემკული და კურთხეული“ ენა დაედო საფუძვლად, როგორც მაღალი აზროვნების გამომხატველი მძლავრი ფორმა, ჩვენს ლიტერატურასა და მჭევრმეტყველებას.

თუ ქართული კულტურის კლასიკურ ხანაზე ჩვენი წინაპრები ასე განიცდიდნენ ქართული მეტყველების ღირსებებს, საკვირველი არ არის, რომ უწინარეს რუსთაველის მოვლინებისა დიდმა ქართველმა მოაზროვნემ იოანე პეტრიწმა შექმნა მჭევრმეტყველების მთელი თეორია.

რუსთაველის დიდი წინაპრის იოანე პეტრიწის მიერ თავისი ნაშრომის — „განმარტება პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისა“-ს ბოლოსიტყვაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობით იხსენიება „მორთვა ენისა“, რაც ყოველ აზრს აქცევს გონების ხედვის საგნად. ავტორის აზრით უსაზღვროა ძალა რიტორობისა, რაიც ხშირად „ცეცხლებრითა ძალითა მბერველობს“. მისივე აზრით, „თვინიერ სიტყვათა“ არა-რაის აქვს ძალა ეგოდენი. მარტოოდენ „სიტყვათა შინა“ არის უხილავი ზემოქმედების უძლევი საშუალება.

მჭევრმეტყველება „სამად განიყოფების: თანამზრახველობისა, მეპაექრობისა და დღესასწაულობისა“. პირველში ნაგულისხმევია დარწმუნება-გადმობირების, მეორეში — ორთა შორის უპირატესობის მოპოვების და მესამეში საზეიმო-სახოტბო მჭევრმეტყველების ნიშანდობლივი მხარეები.

ქართული მკვევრმეტყველების სათავე შორეულ ეპოქას განეკუთვნება. მისი ისტორიული დასაბამი, უნდა ვიგულისხმოთ, უფრო ადრინდელია, ვიდრე ის პირვანდელი დოკუმენტური წყაროები, რომლებიც ამჟამად ჩვენს განკარგულებაშია. ყოველ შემთხვევაში არსებული წყაროების მიხედვითაც ქართული მკვევრმეტყველების ისტორიის დასაწყისი VI საუკუნეზე გვიანდელი არ არის. საგულისხმოა, რომ ქართული ლიტერატურის ოფიციალური ისტორიის დასაწყისი მხოლოდ ერთი საუკუნით უსწრებს წინ მკვევრმეტყველების ისტორიას. ლიტერატურისა და მკვევრმეტყველების პირვანდელი ძეგლების ასეთი ქრონოლოგიური სიახლოვე ბევრს ლაპარაკობს ქართული მკვევრმეტყველების მნიშვნელობისა და ღირსების შესახებ. ლიტერატურული ძეგლების გვერდით მკვევრმეტყველების ძეგლებიც თავის დროზე მოვლინა და პატრონობის საგანი გამხდარა.

უცხო წყაროებს შემოუნახავს ძვირფასი ცნობები ძველ საქართველოში არსებული რიტორიკული კულტურის შესახებ. ეს ცნობები შესანიშნავად ეთანხმება და ადასტურებს ქართული მკვევრმეტყველების ისტორიულ სათავეებს. ცნობილი ბიზანტიელი რიტორის და ფილოსოფოსის თემისტოსის გადმოცემით ჯერ კიდევ IV საუკუნეში კოლხეთში არსებულა რიტორიკული განათლების ცენტრი. აღნიშნული ფაქტის თანამედროვე ავტორი — თემისტორი ამის შესახებ მოგვითხრობს თავის XXVII სიტყვაში. მისივე სიტყვებიდან ჩანს, რომ იმდროინდელ კოლხებს ელინთა დღესასწაულებზედაც კი უსახელებიათ თავი რიტორიკითა და მკვევრმეტყველებით.

თემისტოსის დასახელებული სიტყვა წარმოადგენს პასუხს ერთი ახალგაზრდის თხოვნაზე იმის შესახებ, რომ გამოცდილი რიტორი დახმარებოდა ცოდნის მწყურვალე პროვინციელს, რათა მას განათლება მიეღო რომელიმე სატახტო ქალაქში. თემისტოსი უხსნის ახალგაზრდას, რომ მეცნიერებას ქმნის არა ადგილი, არამედ დახელოვნებული ოსტატი და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ის ფაქტი, რომ „ოდისევსმა ითაკაზე მიიღო განათლება, ნესტორმა — პოლისში“, ხოლო დასასრულ იშველიებს საკუთარ მაგალითს: მან, თვითონ რიტორიკული განათლება მიიღო კოლხეთში, სადაც, სხვათა შორის, უსწავლია აგრეთვე თემისტოსის მამას ევგენიოსს.

ის სიტყვასიტყვით ასე ლაპარაკობს: „მეც, ჩემო კარგო, რიტორიკის ნაყოფნი მოგწყვიტე გაცილებით უფრო უჩინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია, არა წყნარსა და ელინურ ადგილას, არამედ

პონტის ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ, თესალიიდან წამოსულმა, დაისადგურა, — რასაც პოეტები გაკვირვებით მოგვითხრობენ... და აი, ასეთი ბარბაროსული და პირქუში ადგილი ერთი კაცის სიბრძნემ და სათნოებამ გახადეს ელინური და აქციეს მუზების ტაძრად, იმ ერთი კაცის, რომელიც დამკვიდრდა კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში და ასწავლიდა არა ისარტ ტყორცნას და ოროლთ სროლას ან ჯირითს მეზობელ ბარბაროსთა წესებისდა მიხედვით, არამედ იმას, თუ როგორ უნდა გაიწვრთნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრწყინავდე ელინთა დღეობებზე“.

ამ სიტყვის მიხედვით უდავოდ დასტურდება, რომ ძველ კოლხეთში, ფოთის მიდამოებში, IV საუკუნის შუა წლებში არსებული უმაღლესი რიტორიკული სკოლა. თუ ამ სკოლაში განათლებასღებულობდნენ ბიზანტიიდან საგანგებოდ მოვლინებული ახალგაზრდები (ევგენიოსი, თემისტიოსი), უნდა ვიგულისხმოთ, რომ უწინარეს სხვათა აქ განათლებას მიიღებდნენ თვით კოლხეთის მკვიდრნი, ადგილობრივი ახალგაზრდები.

ფრიალ საგულისხმოა, რომ მქვერმეტყველების ადრინდელი ძეგლების წარმოშობას საქართველოში წინ უსწრებს, ისტორიული წყაროებით დადასტურებული, რიტორიკული სკოლის არსებობა. ეს მოვლენები ერთმანეთთან ბუნებრივ დამოკიდებულებაშია და თავიანთ მტკიცე ერთიმეორის სინამდვილეს ადასტურებენ.

დასასრულ, ეს ფაქტები დადასტურებულია VI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსთა — პროკოფი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის ნაწერებით, საიდანაც ბევრს ვტყობილობთ მაშინდელი კოლხების მაღალი მქვერმეტყველების შესახებ.

ქართული მქვერმეტყველების ისტორიის ამ წანამძღვრების მიმოხილვის შემდეგ გადავდივართ თვით ძეგლების განხილვაზე.

ქართული მქვერმეტყველების ისტორიის პირვანდელი ძეგლები პოლიტიკური ხასიათისაა. მათი კრიტიკულ-მეცნიერული შესწავლა საქიროებს იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ვითარების გაცნობას. საქმე ეხება ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეს. ამ პერიოდის საქართველო ორ სამეფოდ იყოფა: ლაზიკად და იბერიად. მათ შორის ლაზიკა მეტი პოლიტიკური მნიშვნელობით სარგებლობდა და ხანგრძლივად წარმოადგენდა ქიშპობის საგანს ბიზანტიასა და სპარსეთს შორის. ბიზანტიის კეისარი იუსტინიანე და სპარსეთის მეფე ხოსრო დიდხანს ეცილებოდნენ ერთმანეთს ლაზიკაში პოლიტიკური გავლენის

მოპოვებისათვის. ლაზიკის მეფე გუბაზი იძულებული იყო რთული დიპლომატიური მიმოხრა ეწარმოებინა, რომ საკუთარი ქვეყნისათვის უფრო ხელსაყრელი მფარველი ეპოვნა.

VI საუკ. შუა წლებში სპარსელებმა სასტიკად დაამარცხეს ბიზანტიელები ჩვენს მიწა-წყალზე და ამით უაღრესად გაამწვავეს ლაზიკის პოლიტიკური ვითარება. გუბაზ მეფემ ბიზანტიელთა დამარცხება მათივე სარდლებს დააბრალა, მათი უმეცარი და თავაშვებული საქციელი კეისარს აცნობა და ამით სარდლების მტრობა დაიმსახურა. სარდლებმა თავის მხრივ გუბაზს ლალატი დასწამეს და ის კეისართან დაასმინეს. კეისარმა გუბაზთან პირისპირ შეყრა მოისურვა. გუბაზის მიყვანა იუსტინიანემ იმავე სარდლებს დააკისრა და ამით უნებურად მოამზადა ნიადაგი მეფის ვერაგული მკვლელობისათვის.

544 წელს კეისარის სარდლებმა, ლალატისა და ურჩობის საბაბით, ხანჯლით მოჰკლეს ლაზიკის მეფე გუბაზი.

გუბაზის ვერაგულმა მკვლელობამ მთელი ლაზიკა აამოძრავა. განრისხებული ხალხი სარდლების სამაგალითო დასჯას მოითხოვდა. დიდებულები შეიყარნენ და სახალხო კრებაზე, ქვეყნის პოლიტიკური ვითარების გარშემო, უჩვეულო სჯა-ბაასი და დაეა შეიქნა. კრებაზე ორი დასი გამოიყო: ერთი, აიეტის მეთაურობით, ბრალს სდებდა ბიზანტიას და მოითხოვდა სპარსეთთან დაახლოებას, მეორე, ფარტაზის მეთაურობით, მოითხოვდა მკვლელების დასჯას, მაგრამ საჭიროდ სთვლიდა ბიზანტიისადმი ერთგულებას.

ასეთია ისტორიული ქარგა, რომლის ფონზე საქართველოში ითქვა ორი შესანიშნავი პოლიტიკური სიტყვა. ამ სიტყვებს და მათი წარმოთქმის პირობებს ჩვენ ვიცნობთ VI საუკ. ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის წყალობით. თავის ისტორიაში მან სიტყვა-სიტყვით აღბეჭდა ქართველი ორატორების საჯარო გამოსვლები და დაწვრილებით აღწერა იმდროინდელი ლაზიკის ვითარება. ამის გამო ითვლება ეს უცხო წყარო ჩვენი ისტორიის სანდო პირველ წყაროდ VI საუკ. შუა წლების ისტორიისათვის.

ეს სიტყვები შენახულია ბერძნულ ენაზე. ფაქტიურად ჩვენ ხაქმე გვაქვს სიტყვების ბერძნულ თარგმანთან. ამნაირად, მათი ქართული ტექსტი წარმოადგენს თარგმანის თარგმანს. სიტყვებზე და დედანი ჩვენამდე მოღწეული არ არის. ქართულ წყაროებს მათი წერილობითი სახე არ შეუენახავთ. ამრიგად, ამჟამად ჩვენ ხელთ არის VI საუკუნეში საქართველოში ქართულად ნათქვამი, იმდროინდელი ისტორიკო-

სის მიერ ბერძნულად ჩანაწერი და დღეს ქართულად გადმოღებული ძეგლები.

ეს სიტყვები ითქვა 544 წელს, ლაზიკის სამეფოში, „კავკასიის ერთ ხეობაში“, როგორც პირველწყარო აღნიშნავს, სადაც შეიკრიბა დიდძალი ხალხი, რათა გადაეწყვიტა ქვეყნის ბედ-იღბალი, ჯერ აიეტმა ილაპარაკა, შემდეგ ფარტაზმა, აიეტი „მშვენიერად ლაპარაკობდა“, როგორც ნათქვამია პირველწყაროში, „მის აზრებს შველოდა მისი ბუნებრივი მოქნილობაც“; ორატორის მიერ წარმოთქმული სიტყვით „მთელი ხალხი აღფრთოვანდა და მაშინვე სიხარულის ყვირილი მორთო“, — ნათქვამია იქვე.

შემდეგ წამოიღა ფარტაზი, სცადა შეეკავებინა ახმაურებულ ხალხს, „სთხოვა მათ არ შესდგომოდნენ განზრახვის შესრულებას, სანამ მას არ მოუსმენდნენ“, და „როდესაც ძლივს დაარწმუნა ისინი ამაში — გაუგონეს“. ფარტაზის სიტყვის შემდეგ „კოლხებმა, როგორც იტყვიან, სხვანაირად დაიწყეს მღერა და აზრი გამოიცივალეს“, — აღნიშნავს პირველწყარო. სახალხო კრებაზე „ფარტაზის აზრმა გაიმარჯვა“.

ქვემოთ წარმოვადგენთ ამ სიტყვების კრიტიკულ ანალიზს.

აიეტის სიტყვა ზეგავლენის ობიექტად უმთავრესად გრძნობას გულისხმობს და ნავარაუდევია მასზე მოქმედებით. მთელი სიტყვა მასის გრძნობის მისამართით გაისმის და მისი განწყობილების შექმნას ემსახურება. ორატორს მიზნად დაუსახავს ჯერ საბოლოოდ გაურკვეველი და ანგარიშმიუცემელი მასის გამოყვანა ამ მდგომარეობიდან, მსმენელთა გრძნობების აშლით და თავის მხარეზე გადმობირებით ორატორი მიზანს აღწევს სათანადო აზრით გაუღენთილი და მწყობრად აგებული სიტყვის მეოხებით.

სიტყვა იწყება ერთბაშად, მოულოდნელად, შესავლის გარეშე. ორატორი იწყებს სიტყვისა და საქმის დაპირისპირებით. მისი თქმით, საქმით წინააღმდეგობა უმძიმესია, ვიდრე სიტყვით. ის ლაპარაკობს: „რომაელები რომ სიტყვებითა და გეგმებით გვეპყრობოდნენ უსამართლოდ, ჩვენც კარგს ვიზამდით, რომ მუდამ ამგვარივე საშუალებებით დაგვეცვა თავი; მაგრამ ეხლა ნუთუ მისაღებია, რომ იმ დროს, როდესაც ისინი ყველაფერში საშინლად გვექცევიან, სამაგიეროს გადახდის შემთხვევას ვკარგავთ იმაზე, რომ ვყოყმანობთ და ვთათბირობთ?“ ამის შემდეგ საქმით წინააღმდეგობა უცილობელ ფაქტად არის აღიარებული: „საკმარისია გაიხსენოთ სახელოვანი გუბაზი, რომელიც ასე

საცოდავად იქმნა მოსპობილი, თითქოს ის ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყოს“. აქ ორატორი მიზანში იღებს მასის გრძნობას: „გაქრა კოლხთა ძველი ღირსება და ამიერიდან ველარ ველირსებით იმას, რომ სხვებს ვმბრძანებლობდეთ“. და უმაღვე გვესმის სამღურავი: „ნუთუ უკიდურეს უგუნურებას არ წარმოადგენს ის, რომ იმათ შესახებ, ვინც ეს ჩაიდინა, ჩვენ ვზივართ და ვმსჯელობთ, მტრებად ჩავთვალთ ისინი თუ მეგობრებად?“

ორატორმა ჯერ ნიადაგი მოამზადა, სათანადო გრძნობა გამოიწვია და მასას: საქმისაკენ მიუთითა. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შეტევაა მასის სულისკვეთების მიმართ. შემდგომი წარმატების მიზნით ორატორი ასაბუთებს თავის აზრებს: „მეფეც გაიძვერა ჰყავთ, რომელსაც ყოველთვის უხარია ცხოვრების პირობების არეულობა: და ეს ბოროტმოქმედება რომ ასე ერთბაშად იქმნა სისრულეში მოყვანილი, ცხადია, იმის წყალობით, რომ მეფე მხურვალედ მოუწოდებდა ამას, ხოლო სხვებმა ეს გულმოდგინედ შეასრულეს“. თავისი საბუთის გასამტკიცებლად ორატორი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ რომაელების მოქმედება არ იყო მიზეზით მოტივირებული. ისინი ასე მოიქცნენ იმისათვის, რომ მათთვის ჩვეულებრივ ძველ ვერაგულ წესებს მისდევნენ: რომაელების ამგვარ ხასიათს ორატორი უპირისპირებს სპარსელების დადებით მხარეებს: „სპარსელები კი ასეთი ხასიათისანი არ არიან; ისინი შორს არიან ამისგან. თუ ვინმე გაიხადეს თავის მეგობრად, ისინი ცდილობენ უთუოდ დაიცვან სიყვარული, ხოლო მტრის მიმართ რისხვას განაგრძობენ მანამ, სანამ ის მტრად რჩება“. ამ დაპირისპირებას მოსდევს აიეტის პოლიტიკური მრწამსის ფორმულა: „მე ვინატრებდი, კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირებოდეს უცხო და გარეშე დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს. მაგრამ, როდესაც ჩვენ ჟამთა ტრიალის, ან ბედის უკუღმართობის, ან ორივეს წყალობით ისეთს უძღურებაში ჩავვარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ, უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილისმსურველია, ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანებისა და მოკავშირეთა მიმართ“.

აქ არის სიტყვის იდეური ცენტრი.

ამის შემდეგ სიტყვის თემა კვლავ ღრმავდება და ფართოვდება. ორატორი ასაბუთებს რომაელებიდან გათიშვის საჭიროებას, ითვა-

ლისწინებს ამის შედეგებსაც, ჩერდება უმძიმეს შესაძლებელ შედეგზე, ომზე, და ამასთან დაკავშირებით ლაპარაკობს: „თუ ისინი სცდიან ჩვენთან შემომებას, მათ მოუხდებათ ბრძოლა ერთსა და იმავე დროს ლაზებთან და სპარსელებთან, ისიც მტრის მიწა-წყალზე, ესე იგი აქ, და, ცხადია, მათ შემოტევას ვერ გაუძლებენ. აი, ეხლაზან არ იყო, რომ მიდიელთა მცირეოდენ ჯარს შეებნენ მთელი თავისი ჯარით და მაშინვე სასირცხვოდ გაიქცენ ისე, რომ დღემდისაც კი არ მოუთქვამთ სული იმ რბენისაგან? ისინი, ასე ვთქვათ, ყველაფერში დამარცხდნენ; მხოლოდ სისწრაფით აჯობეს დამდევნელებს“.

უცილობელი დარწმუნების მოსაზრებით ორატორი კვლავ უბრუნდება რომაელების უარყოფით მხარეებს, ხაზს უსვამს მათ სილაჩრეს, შეუფერებელ გეგმებს და ბოროტებისადმი მიდრეკილებას. ამიტომაც „უზენაეს მფარველობას მოკლებულებს უორკეცდებათ უბედურება. გამარჯვებას იარაღი კი არ განამტკიცებს ხოლმე, არამედ სათნოიანობა; მაგრამ არა მგონია ბოროტმოქმედი და სისხლში გასვრილი ადამიანები ოდესმე ეზიარონ ამ კეთილ საწყისს“. აქ ორატორი აერთებს მითითებულ მიზეზებს და ასკენის სიტყვის იდეურ ნაწილს: „ამრიგად, თუ ჩვენ გონიერად ვიმსჯელებთ, არ უნდა მივებმართო იმათ, რომელთაც კარგად აზროვნების უნარი არ გააჩნიათ და რომელთაც ურისხდებათ ის, ვინც ყველაფრის განმგებელია. მაშასადამე, რომ სპარსელების მხარეზე გადასვლა ჩვენთვის ადვილი და სასარგებლოა და რომ ეს უზენაესსაც ესიამოვნება, ეს მტკიცდება საქმით და არა სიტყვით“.

წარმატების შემდგომი განმტკიცების მიზნით აიეტი ეხება მსმენელთა შეგნებასა და თავმოყვარეობას, სიტყვას გადახრის მასის პირადობის მიმართულებით და იწვევს გრძნობის ხელახალ აღზნებას: „ჩემის აზრით, არ შეეფერება გონიერ ადამიანებს, რომ ჩვენ სრულის მოდრეკით ავიტანოთ უდიდესი ვნებანი და აუნაზღაურებელი ზარალი, რომელთაც ჩვენ გვაყენებენ, და არაფრით არ შევებრძოლოთ ამ უწმიდღურ და შეუფერებელ საქმეებს: ეს უფრო შეეფერება მხდალ და ლაჩარ ადამიანებს, რომლებიც თავისი უქნარობით სახელმწიფო საქმეებისადმი დაუდევრობას ამტკიცებენ. რაც შეეხება ამ უკანასკნელ მკვლელობას, არა მგონია სხვაგან სადმე მომხდარიყოს მაგაზე უფრო დიდი უბედურება, ან რომ მომხდარიყო, ასე იოლად ჩაველო. ამიტომ არც ჩვენ უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ ეს საქმე: სასირცხო იქნება თუ ჩვენ მეფეს დავივიწყებთ და მის მკვლელებს პირფერობას დაუწყებთ“. აქ სიტყვა აღწევს ზეგავლენის უმაღლეს მწვე-

რვალს: ლაპარაკია ისევ მასობრივი გრძნობის მიმართ და ნაუარაუდე-
ვია მსმენელთა სრული დამორჩილება: „ის რომ ეხლა აქ იყოს, საყ-
ვედურით აგვავესებდა და დაგვძრახავდა ჩვენი დაუდევრობის გამო, რომ
ეს ბოროტმოქმედნი იმის მაგიერ, რომ დიდი ხნის წინათ ყოფილიყ-
ვნენ გაძევებულნი, ჯერ კიდევ დაიარებიან ამ მიწა-წყალზე. მაგრამ,
ვინაიდან ამიერიდან ის ველარ გამოჩნდება ჩვენ შორის და ვერც სი-
ტყვიით მოგვმართავს, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ ეს კაცი: დე, ის
წარმოუდგეს თქვენს გონებას, თითქოს ის ამ კრებაზე იყოს და მი-
გითითებდეთ თქვენ თავის ჭრილობაზე, მკერდზე და კისერზე და
თვისტომთ თხოვდეს, ეხლა მაინც გადაუხადონ მტერს სამაგიერო“.

უკანასკნელად ორატორი კვლავ ჩამოაგდებს საუბარს სიტყვის უმ-
თავრეს თემაზე, მსმენელთ მოაგონებს მისაღებ გადაწყვეტილებას, იძ-
ლევა დარიგებას: „არსებული მდგომარეობის მოთმენა ყოველთვის კი
არ არის საქები, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც მას გონიერი მოსაზ-
რებები ახლავს თან“, და გავლენის წრეში მოქცეულ მასას უკანასკ-
ნელად მოუწოდებს დაუყოვნებელი მოქმედებისაკენ: „მაშ, სხვა ფიქ-
რი რაღა საჭიროა, სასწრაფოდ შეუდექით საქმეს და გამოამყდვანეთ
თქვენი გულის ნადები: რომ გვაკეთებთ იმას, რაც სწორი და სამარ-
თლიანია და რაც სარგებლობას მოგვიტანს“.

სიტყვა მთავრდება ისევე ერთბაშად, მოწყვეტით და მოულოდნე-
ლად, როგორც იწყება. მაგრამ შესავლისა და დასკვნის გარეშე წარმო-
დგენილი ძეგლი თავის არსებით ნაწილში ითავსებს როგორც ძირი-
თადი იდეის შესავალს, ისე მის დასკვნით ნაწილსაც. აქ სიტყვის ეს
ნაწილები ისეთ განუყოფელ მთლიანობაშია წარმოდგენილი, რომ
ცალკეული ნაწილები არ შეიცნობა, მაგრამ არც რომელიმე მათგანის
დანაკლისი იგრძნობა.

გადავდივართ ფარტაზის სიტყვის გარჩევაზე.

ფარტაზის სიტყვა ზეგავლენის ძირითად ობიექტად გონებას გუ-
ლისხმობს და მასზე მოქმედებით არის ნაუარაუდევი. თუ პირველ
ორატორს უხდებოდა შედარებით დამშვიდებული და რაიმე რწმენის
გარეშე არსებული მასის აღელვება და გარკვეულ გზაზე დაყენება, მე-
ორეს — უკვე აღელვებული ხალხის დამშვიდება და თავის მხარეზე
გადმობირება უხდება. ამ მოსაზრებით ფარტაზის ამოცანა გაცილებით
უფრო ძნელია: მან უნდა დაარღვიოს აიეტის მიერ წარმატებით შექმ-
ნილი მასის გრძნობის აღელვების მასალა და მის საპირისპიროდ შექ-

მნას სხვა ობიექტი უფრო ძლიერი და მეტად დამაჯერებელი, როგორც ზემოქმედების ახალი და გადამწყვეტი ფაქტორი. რადგან მეორე ორატორი გრძნობის მისამართით იმაზე მეტს და უკეთესად ვერ იტყოდა, რაც პირველმა წარმოსთქვა, ამიტომ ფარტაზმა გონება აირჩია თავისი მიმართვის საგნად და ამ გზით გრძნობაზე მოქმედების წარმატებაც უზრუნველყო. ყოვლისშემძველი გონება უფრო ხელსაყრელი მსმენელი აღმოჩნდა ფარტაზისათვის, ვიდრე ცალმხრივი გრძნობა აიეტისათვის. ამან განსაზღვრა ფარტაზის გამარჯვება.

ფარტაზმა თავისი სიტყვა იმ მიზეზის ჩვენებით დაიწყო, რამაც, მისი მოსაზრებით, ხალხის უაზრო აღელვება და უმართებულო დასკვნის მიღება გამოიწვია: „ჩვეულებრივი ამბავი დაგემართათ, კოლხებო, რომ მეტად მოხერხებულად და წარმატებულად თქმულმა სიტყვებმა გონება შეგირყიეს. უძლეველი რაღაც არის მქვევრმეტყველება და ის თითქმის ყველას ამარცხებს. განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც წინათ მისი ძალა არ გამოუტღვია“. ორატორი მიუთითებს, რომ ეს აღელვება მხოლოდ მოხერხებულად თქმული სიტყვის შედეგია და არა სალი აზროვნებისა. ის განაგრძობს: „მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მას ვერ დავუბირისპირებთ გონიერ მოსაზრებას, რომელიც საქმის ნამდვილ ვითარებას ემყარება. ნათქვამი იმიტომ კი არ უნდა მოიწონოთ თქვენ, რომ ის თავისი მოულოდნელობითა და უჩვეულობით მიგაჩნიათ დამარწმუნებლად, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ ის მიზანშეწონილია და სასარგებლო“. ქვემოთ, ამ მოსაზრებას ფარტაზი კიდევ უფრო აღრმავებს და ასაბუთებს; „ვინც ყალბ რჩევა-დარიგებას იძლევა, მას ესაჭიროება სიტყვების მეტი მოკაზმულობა და სიჭრელე. რაც უფრო მეტ წარმატაც სიტყვებს იხმარს ის, მით უფრო სწრაფად მიიზიდავს გულუბრყვილო მსმენელს“. ეს ასეა საერთოდ, ორატორის აზრით, და ამ შემთხვევაშიაც სწორედ ასე აღმოჩნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში „ის კი მაინც ნათლად უნდა შეგემჩნიათ, რომ მან იმთავითვე წამოაყენა სულ სხვა საკითხი, სრულიად განსხვავებული იმ საკითხთაგან, რომელთა გამო ჩვენ აქ მოვსულვართ“, — ამბობს ორატორი და განაგრძობს: „მისი სიტყვებით ისე გამოდის, თითქოს თქვენ ყველანი ამტკიცებდეთ, რომ მომხდარი ამბავი არ იყო საშინელება, რომ ამ საზიზღარ მკვლელობას არ ჰკიცხავდეთ და მხოლოდ იმის შესახებ მსჯელობდეთ, დამნაშავენი არიან თუ არა გუბაზის მკვლელები; თვითონ კი მკვლელების დანაშაულს არ ეხება და უამრავ სიტყვას ხარჯავს იმაზე, რაც ცნობილია. მე კი ვამბობ, რომ წყვეული და შეჩ-

ვენებული არიან ისინი და რომ მე უდიდესი სიამოვნებით ვუყურებ-
დი მათ საშინელ სასჯელს, ვუყურებდი არა მარტო იმათ დაღუპვას,
რომელთაც განგმირეს გუბაზი და საკუთარი ხელებით ჩაიდინეს ეს
მკვლელობა, არამედ ყველა იმათსაც, რომელთაც შეეძლოთ შეე-
ფერხებინათ ეს მკვლელობა და არ შეაფერხეს, და აგრეთვე იმათსა-
საც, რომელთაც ეს მკვლელობა გაეხარდათ და არცთუ ისე აღშფოთ-
დნენ“. მიუხედავად ამისა, სპარსელების მხარეზე გადასვლა ორატორს
მიაჩნია უსარგებლოდ და მიუღებლად. ამისათვის შენიშნავს ორატო-
რი: „არავინ არ მიიჩნევს საჭიროდ მივიღოთ და გავიზიაროთ ის აზ-
რი, თითქოს თუ იმათ (რომაელებმა) ჩაიდინეს უკანონობა, აუცილე-
ბელი იყოს ჩვენც გამოვეთხოვოთ. მშობლიურ წესებს და იმ ვერა-
გებს კი არ გამოვუცხადოთ ჩვენი გულისწყრომა, არამედ თვითონ მო-
ვიპოვოთ ამგვარივე სახელი“. და იძლევა გაფრთხილებას: „ნუ აყყ-
ვებით მსჯელობის დროს მოწოლილ ბოდმას და გულისტკივილს, რომ
არ დაგკარგოთ მოსაზრების უნარი და არ გავაბუნდოვანოთ ჩვენი
მსჯავრი: შევინარჩუნოთ უნარი უკეთესის არჩევისა“. აქ წარმოთქმუ-
ლია აფორისტული მოსაზრება: „უგუნური ადამიანები სულ მუდამ
დასტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლ-
მე ბედის უკუღმართ ტრიალს და მათ არ აშფოთებთ ცვლილებები
და, როდესაც წინანდელ მდგომარეობას ჰკარგავენ, არ ისპობენ მო-
მავლის იმედებს“.

შემდეგ ორატორი საკითხს სრულიად კონკრეტულად აყენებს: აი-
ეტს აბრალებს სპარსელებისადმი მიეკრძოებას, გაუმართლებელ სი-
ტყვას და ქცევას, უსაყვედურებს მტრების ქება-დიდებას და მისი აზ-
რის დასამტკიცებლად შეუფერებელი საშუალებების გამოყენებას. ფა-
რტაზი ეუბნება ხალხს, რომ აიეტი „მოუფიქრებლად გვიდგენს გეგ-
მებს, არღვევს და ანგრევს კრების წესრიგს და ამ კრებას მიზანს უკ-
არგავს. კრება ხომ ჩვეულებრივ წინასწარ იხილავს მუდამ და მსჯე-
ლობს, რომ კარგად გასინჯოს ის, რაც არ არის ნათელი? ხოლო რო-
გორც კი მიაგნებს იმას, რისი გაკეთებაც არის საჭირო, მაშინ გემარ-
თებს გამოვიჩინოთ სურვილი და შევასრულოთ დადგენილება. აჰაჰ
კი ბოლო თავში გადაიტანა და, ვიდრე ჩვენ საბოლოოდ რასმე გადავ-
წყვეტდეთ, ის უკვე შეუდგა შესრულებას“. აქ ორატორი სიტყვას მო-
სავს დარიგების ელფერით, ძრახავს მსჯელობის დროს „გარეშე მოსა-
ზრებებით“ ხელმძღვანელობას, გუბაზის მკვლელობას ხსნის სარდ-
ლების პირადი შურის მიზეზით და ამბობს: „უმართებულო იქნებო-

და, ჩემის აზრით, და ამასთანავე ერთად მიზანშეუწონელიც ერთი ან ორი კაცის დანაშაულის გამო შევსწყრომოდით საზოგადოებრივ კანონებს, რომელთა დაცვა აგვილია ჩვენს თავზე და ასე იოლად შეგვეცვალა მთელი სახელმწიფო წყობილება და ცხოვრება“. შემდეგ ორატორი ნახულობს და გადმოსცემს უფრო დიდს და გავლენიან ფაქტორს: „ყველაზე უფრო უწმინდური საქმე ის იქნება, რომ, ასეთი საქციელით ჩვენ შევბღალავთ მართლმორწმუნეობას და წმინდა საიდუმლოთა უმწიკვლოებას. აბა, სხვა რას დაემსგავსება ჩვენი საქციელი, თუ მივემხრობით უზენაესი არსების სასტიკ მტრებს? თუ ისინი აგვიკრძალავენ ჩვენი საღმრთო წესების შესრულებას და თავიანთ წესებზე გადაგვიყვანენ. ამაზე უფრო სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ, რომლებიც ცოცხლები ვიქნებით და ამავე დროს მკვდრებიც?“ ქვემოთ გათვალისწინებულია სხვა შესაძლებლობაც, უიმედოდ დასახულია სპარსეთთან ურთიერთობის ყოველგვარი სახე და სხვათაშორის ნათქვამია: „ადამიანები ვერ იწყნარებენ აზრთა სხვადასხვაობას და მაშინაც კი, როდესაც გაჭირვება ან რაიმე, მოპირდაპირის მიერ ჩადენილი, კეთილი საქმე აიძულებს მათ კავშირში ყოფნას, მათ შორის ნდობა არასდროს არ არის მტკიცე; ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ შორის აზრთა ერთიანობაა. თუ ვინიცობაა ეს ერთიანობა არ არსებობს, მათი დაახლოება და მეგობრობა ცარიელი სიტყვაა: საქმით ისინი ერთმანეთისათვის უცხონი რჩებიან“.

ამის შემდეგ ფარტაზი ყოვლად გაუმართლებლად მიიჩნევს სპარსელების მხარეზე გადასვლას და თავის მოსაზრებას ახლა სხვაგვარივ ადასტურებს: სხვა დაბრკოლებაც რომ არ იყოს, „მაინც ჩვენი ძალები საკმარისი არ იქნება იმისათვის, რომ ჩვენი განზრახვა სისრულეში მოვიყვანოთ და სპარსელების მხარეზე გადავიდეთ. როგორ შეუძლებთ ჩვენ სხვის მხარეზე გადასვლას, როდესაც თავზე გვადგანან რომაელები, რომელთაც ამდენი ვაჟკაცი ჰყავთ დარაზმული საუკეთესო სტრატეგოსების ხელმძღვანელობით?“ აქ ორატორი თავის საბუთებს უპირისპირებს აიეტის აზრებს: „მართალია, ეს სახელოვანი კაცი გვიმტკიცებს, რომაელები ჩვენს იერიშს ვერ გაუძლებენო, და საბუთად მოჰყავს ამას წინათ მომხდარი შემთხვევა, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ბრძოლის შედეგები უთუოდ განსაზღვრულ პირობებს არ ექვემდებარება და რომ, ვინც ეხლა შემთხვევით დამარცხება განიცადა, მუდამ იმნაირივე უბედურების ლუკმა არ იქნება? პირიქით, ხშირად გამარჯვება ბედის უკუღმართობას გამოასწორებს ხოლმე“... ორატორის და-

მაჯერებლობა აღწევს უმაღლეს მწვერვალს: „ხომ საფიქრებელია, რომ რახან წინათ შეცდომები დაუშვეს, გამოცდილებით ისწავლიდნენ, თუ რას უნდა ერიდონ და ამიერიდან იზრუნებენ, რომ შეცდომა გამოსწორონ, ხოლო თუ მათ ღვთაება უწყურება ამ საზოგადოარი მკვლევლობის ჩადენისათვის და ამით აიხსნება მათი უბედურება, რაღა საჭიროა ჩვენც არ მივეშველოთ ღვთაებას, თითქოს მსჯავრის დასადებად მას თავისი ძალა არ ჰყოფნიდეს და ჩვენს დახმარებას საჭიროებდეს?“

ამრიგად, ორატორი შექმნის საკუთარი რწმენის განწყობილებას, უზრუნველყოფს თავისი აზრის გამარჯვებას და საბოლოო წარმატებისათვის სიტყვას გადახრის მსმენელთა გრძნობის მიმართულებით: „ნურავინ ნუ ცდილობს წარმოგვიდგინოს აქ მიცვალეული გუბაზი, სრულიად არავაჟაკურად მოტირალი, რომელიც თითქოს თავის ჭრილობას უჩვენებს თვისტომთ და ევედრება მათ შეიბრალონ იგი. იქნებ ეს შეეფერებოდეს საცოდავ და სუსტ არსებათ, მაგრამ ეს არ შეეფერება მეფეს, ისიც ლაზთა მეფეს, მით უმეტეს გუბაზს. ის რომ აქ იყოს, უეჭველია, როგორც ღვთისნიერი და გონიერი ადამიანი, გაგვიციტხავდა ჩვენ ამგვარი ზრახვებისათვის, მოგვიწოდებდა არ მივცემოდით სასოწარკვეთილებასა და გულაჩუყებას და მონების მსგავსად კი არ გავეცეულიყავით, არამედ აღვჭურვილიყავით კოლხის თავისუფალი შეგნებით, ვაჟაკურად აგვეტანა უბედურება და არაფერი სასიცხო და მამაპაპური წესების შემბილწველი არ ჩაგვედინა“.

აქ სიტყვა აღწევს გამომხატველობის უმაღლეს მწვერვალს, შემდეგ ეშვება ძირს, მიემართება მშვიდად და დასასრულ მთავრდება იმედით საესე განწყობილების შემოქმედი სიტყვამწვევრობით.

ორივე სიტყვა, საერთოდ, წარმოადგენს ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების ბრწყინვალე ნიმუშს. აქ არის ყველაფერი, რაც მეტყველებას აქცევს მჭევრმეტყველებად: გამოხატვის სისწორე, ექსპრესიულობა და ბუნებრიობა, აზრის თანამიმდევრობა, ლოგიკურობა და გაბმულობა; აქვეა მსმენელთა ბუნების ცოდნა, მათი მასობრივი შეგრძნების გათვალისწინება და ზემოქმედების მიზანცნობიერი ხერხები. სიტყვებიდან იგრძნობა, რომ ორატორები დაუფლებულნი არიან წარმოთქმის მაღალ ტექნიკას, რიტორიკის გარეგნულ მხარეებს და გადმოცემის ფორმებს.

აიეტისა და ფარტაზის სიტყვები ქართული ენის სიმდიდრისა და ხმოვანების უდავო მაჩვენებელი და აზრის უსრულესად გამოხატვის შესანიშნავი ნიმუშებია. ეს სიტყვები ჩვენი მჭევრმეტყველების მა-

რად უკვდავი ძეგლებია და საერთოდ რიტორიკული ხელოვნების დამამშვენებელი ქმნილებანი.



მომდევნო საუკუნეებში, არაბთა ბატონობის დროს და ჩვენი კულტურის კლასიკური ეპოქის წინა პერიოდში, სიჩუმე სუფევს ქართული სიტყვის კათედრებთან. ეჭვი არ არის, ამ მძიმე პოლიტიკურ ეპოქაში წარმოთქმულ სიტყვებს ჩვენამდე არ მოუღწევია. მათი არსებობა კი თავის დროზე ბევრი წერილობითი ძეგლით ნაგულისხმევია და უცილობელ ფაქტს წარმოადგენს.

ქართული მჭევრმეტყველების შემდეგი ისტორიული ძეგლები დავით აღმაშენებლის ეპოქას ეკუთვნის. ამ ეპოქიდან ჩვენამდე მოღწეულია ორი შესანიშნავი სიტყვის ფრაგმენტი. მათ შორის ერთი ეკუთვნის დავით აღმაშენებელს და დაცულია ავტორის თანამედროვე ფრანგი მწერლის გოტიე-კანცლერის ნაშრომში — „ანტიოქიის ომები“, ხოლო მეორე ეკუთვნის არსენ ბერს და შენახულია დედნის სახით.

დავით აღმაშენებლის სიტყვა წარმოადგენს ჯარისადმი მიმართვას დიდგორის ომის წინ. სიტყვა შენახულია ფრაგმენტის სახით, უკეთ, ის არის მეფის მიერ წარმოთქმული სიტყვის ნაწილი, შესაძლოა დასასრული. ეს სიტყვა, თანამედროვე ქართულით გადმოღებული, ასე იმის:

„ეჰა, მეომარო ქრისტიანო! თუ ლეთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისათვის და სარგებლობისათვის კარგი იქნება, ესაა, რომ: ჩვენ ყველამ ხელთა ცისადმი აღპყრობით ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე უფრო მოგვკვდებით; ვიდრე გავიქცევით; და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვიწოდოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლით შევსულვართ, ხეთა ხშირ ხორგებით შევკრათ, და მტკიცე გულით მტრებს, როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, სასტიკად შევუტიოთ“.

სიტყვა წარმოთქმულია რიტორიკული გზნებით, ამაღლებული ტონით და საზეიმო განწყობილებით. ის მიზნად ისახავს მსმენელთა სა-

ბრძოლო აღფრთოვანებას, მაღალი გრძნობების გამოწვევის გზით და მიზანს აღწევს მკვეთრი, დასაბუთებული და ლოგიკური მეტყველებით. სიტყვა მოკლებულია გარეგნულ სახეებს, მხატვრულად შეუფერავია და ზეგავლენის მთელი სიმძიმე გადატანილია მისი შინაგანი აზრის სფეროში.

არსენ ბერის სიტყვა წარმოადგენს დედანს. ის პირველი დედანია აქამდის შეხვედრილ სიტყვებს შორის. ეს სიტყვა ჩვენამდე მოღწეულია ფრაგმენტის სახით, მას უნდა აკლდეს თავი და ბოლო; დარჩენილია მისი შუა ნაწილი სავსებით მთლიანი და უწყვეტი სახით.

არსენ ბერის სიტყვა წარმოადგენს დავით აღმაშენებლის ხოტბას... ის თითქმის მთლიანად აგებულია შედარებების საფუძველზე. შედარების ობიექტებად გამოყენებულია მზე, ელვა, ოქრო, ვარდი, ლომი, სამსონი, აქილევსი, სოლომონი, დავითი, მაკედონელი, იესო და სხვ.

ორატორი მიმართავს მეფეს:

„უფროისად ბრწყინვალეო თვალო ყოვლისა სოფლისა მყოფთა ერთგვამოგნებისაო! რომელი-ეგე ჰაეროვან ზარ, ვითარცა სამყარო ხილულისა სოფლისა შორის; საჩინო, ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის; ბრწყინვალე, ვითარცა ეთერი ნივთთა შორის; ნათლის ფერ, ვითარცა ელვა ღრუბელთა შორის“ და ა. შ. ფრაგმენტი მთავრდება შემდეგნაირად: „სხვასა სიტყვა, დაღაცა თუ მდაბალი და უნდო, გინა არავე უერმო, არცა უმუსიკელო მიმზიდველ ყოფად სმენისა, ამისა თანა შემსგავსებულიცა ძალისა, ყოველთა ვედრება, ყოველთა ლიტანიობა, ყოველთა ერთხმობა, ვითარმედ დავით კეთილად მსახურისა და ღვთივ დაცულისა მეფისა ჩვენისა მრავალმცა არიან წელიწადნი!“

შედარებების სიმრავლე და, საერთოდ, ერთფეროვანი რიტორული ხერხების განმეორება სიტყვას აძლევს მონოტონურ ხასიათს. ის მოკლებულია შინაარსობრივ სიახლეს, სიცხოველეს და შეფერილია მაღალფარდოვანი პათეტიკური იერით. მიუხედავად ამისა, არსენ ბერის სიტყვა, თავისი რიტორიკული ტონალობით, ლოგიკური წყობით და საერთო ელფერით, ქართული სახოტბო მჭევრმეტყველების საყურადღებო ძეგლს წარმოადგენს.

თამარის ეპოქის მჭევრმეტყველება ნაგულისხმევი და დამოწმებულია ბევრი ქართული წერილობითი ძეგლით. ქართული კულტურის ოქროს პერაოდის მჭევრმეტყველება უცილობლად განვითარების საერთო დონეს შეეფერებოდა და მას გამოხატავდა. მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადო წყაროების უქონლობა აქ უმთავრესად ვარაუდის სა-

შუალებას გვაძლევს. XII საუკუნის მკვერმეტყველება ვერ არის წარმოდგენილი ჩვენ წინაშე იმ მდიდრული სახით, რაც მას თავის დროზე უთუოდ გააჩნდა, და მისი აღდგენა დღეს მხოლოდ ზოგად ხაზებსა და კონტურებში ხერხდება. ჩვენამდე მოღწეული მკვერმეტყველების ძეგლები დაახლოებითაც ვერ გამოხატავს იმდროინდელ მაღალ კულტურას, რომლის შინაარსი და ფორმა, თავის მხრივ, უდავოდ გულისხმობს განვითარებულ მკვერმეტყველებას.

თამარის ეპოქიდან ჩვენამდე მოღწეულია დარბაზის ერის წინაშე, წარმოთქმული რამდენიმე სიტყვის ნაწყვეტი. ეს მასალა შენახულია პირველწყაროებში, თამარის თანამედროვე ისტორიკოსების მიერ. ამის გამო ის სავსებით სანდო და ყოველმხრივ სარწმუნოა, მაგრამ სამწუხაროდ, სრული არ არის და უშუალოდ მკვერმეტყველების ჩვენებას მიზნად არ ისახავს. მიუხედავად ამისა, ეს მასალა ჩვენთვის უაღრესად სავულისხმო და საინტერესოა.

თამარ მეფის ისტორიკოსის — ბასილი ეზოსმოდვრის ნაშრომში — „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, დაცულია დედოფლის რამდენიმე საჯარო სიტყვა დარბაზის ერის წინაშე. ეს სიტყვებია: თამარის მიმართვა ერის რჩეულთადმი კურთხევის შემდეგ, სიტყვა გიორგი რუსთან განქორწინების თაობაზე და მისივე ანდერძი ავადმყოფობის დროს.

მათ შორის უფრო საყურადღებოა პირველი. სიტყვის შემცველ წყაროში ნათქვამია, რომ თამარ მეფემ „შეკრიბნა ყოველნი ერთსა სადგურსა და დასხნა საყდრებითა, ხოლო თვით დაჯდა შორის მათსა მარტოდ და არა მეფობით და ესრეთ ეუბნებოდა“. ამას მოსდევს თვით სიტყვა:

„ჰოა, წმინდანო მამანო! თქვენ ღმრთისა მიერ განჩინებულ ხართ მოძღვრად ჩვენდა და მმართველად, წმიდასა ეკლესიასა და თანა გაც სიტყვის მიცემა სულთათვის ჩვენთა. გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განხადეთ გულარძნილი. იწყეთ ჩემ ზედა, რამეთუ შარავანდი ესე მეფობისა არს და არა ღმრთისა მბრძოლობისა. ნუ თვალ-ახვამთ მთავართა სიმდიდრისათვის, ნუცა გლახაკთა უღებ-ჰყოფთ სიმცირისათვის. თქვენ სიტყვითა, ხოლო მე საქმით; თქვენ სწავლით, ხოლო მე განსწავლით, თქვენ წვრთით, ხოლო მე განწვრთით ზოგად ხელი მივსცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუვინებლად, რათა არა ზოგად ვიზღვივნეთ; თქვენ, ვითარცა მღვდელნი,

ხოლო მე, ვითარცა მეფე; თქვენ, ვითარცა მნენი, ხოლო მე, ვითარცა ებგური“.

თამარის სიტყვა თქმულია უბრალოდ, სადაც, მაგრამ რიტორიკული შთაგონებით. აქ გამოყენებულია დაპირისპირების მხატვრული ხერხი და მთელი მიმართვა აგებულია უწყვეტი თანმიმდევრობის სახით. სიტყვის ძალა ემყარება შინაარსს, მიმართულია მსმენელთა გონებისაკენ, მისი გავლენას სფეროდ მიჩნეულია აზროვნება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ იგივე ისტორიკოსი თამარ მეფის კარისკაცს ეპისკოპოსს ანტონ საღირისძეს იხსენიებს, როგორც მქვერმეტყველს. ერთ ადგილას ის ნახსენებია, როგორც „ძლიერი საქმით და სიტყვით“, ხოლო მეორე ადგილას, როგორც „პირმეტყველი“.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ის საგულისხმო მოვლენა, რომ „იქროს ხანის“ მეორე პირუთენელი ისტორიკოსი „აზმათა“ ავტორი თამარის დამსახურებად სთვლის „ენაუტყუთა“ ამეტყველებას. ის თამარ მეფეს ასე მიმართავს: „რომელმან წყლსა მოაბადნი რიტორთა მძლედ გამოაჩინე ყოველთა, ენა უტყვი მეტყველ ჰყავთ ანგელოზთა მთავრისა მიერ, აწცა განმარტე ენა-ბრგვნილი ისტორიათა და აზრთა მეტყველებასა შინა შარავანდედთასა“.

აქ „რიტორთა მძლეობა“ გამოხატულია, როგორც ქვეყნის მოამაგის უმაღლესი მიღწევა.

გვიან, მე-19 საუკ. დასაწყისში იოანე ბატონიშვილმა თავის „კალმასობაში“ ასე განმარტა რიტორიკის ბუნება: „რიტორიკა არს სწავლა, რომელიც ასწავებს გვარზედ უბნობასა და წერასა, ქებასა და დიდებასა, შეთანასწოებასა, ვითარცა წერილთა, ეგრეთვე სიტყვათაცა მიდრეკად და სხვათა თავისდამი კერძოისა“. აქ საინტერესოა ის, რომ ავტორმა რიტორიკის სფეროში მოაქცია მეტყველების წერილი ფორმაც. ამ შემთხვევაში მქვერმეტყველების ფარგლები მეტად ფართოდაა წარმოდგენილი. ზუსტი მნიშვნელობით გაგებული მქვერმეტყველება ცხადია, ვერ შეითავსებს წერილი მეტყველების ფორმას. სხვაფრივ წერით მეტყველებასაც გააჩნია, უდავოდ, ვიწრო მნიშვნელობით გაგებული მქვერმეტყველების ნიშნები.

ამ თვალსაზრისით ქართული წერითი ენამქვერობის უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანი“. რუსთაველმა შექმნა ქართული მეტყველების უმაღლესი ხმოვანებით წყობილი სიმფონია. მისი ნაწარმოებები წარმოადგენს სიტყვის ნამდვილ ზეიმს, ორფე-

უმს, სადაც ძველი ბერძნების წარმოდგენით გაისმის უტკბილესი ზეციური ხმები.

„ვეფხისტყაოსანში“ ცალკერძ წარმოდგენილია ქართული წერითი მჭევრმეტყველების უბადლო სახე, ხოლო ცალკერძ — მჭევრმეტყველების ზოგადი თეორია. პირველი ყველასათვის ცნობილია; მეორე თანწყობილი სახით ასე წარმოიდგინება: მეტყველების ოქროს სტილს წარმოადგენს მოკლედ თქმული დიდი აზრი: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“. უსაზღვროა სიტყვის ძალა, რადგანაც იგი ადამიანის შინაგანი არსის გამომხატველია. ავსა კაცსა ავი სიტყვა, ხოლო კეთილს — ენატკბილი ამქლავნებს და გამოავლენს. სიტყვა მახვილი იარაღია, ამიტომ ისმის მისი დროისა და ადგილის საკითხი: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“, „საუბარმან უმეცარმან უმაგი უფრო გააშმაგოს“. მხოლოდ დროის შესაფერისი და ადგილის შესატყვისი სიტყვა შეიძლება ჩაითვალოს მჭევრმეტყველებად. ასეთი სიტყვა გულისხმობს შემოქმედებით კავშირს მეტყველსა და მსმენელს შორის. სხვაგვარად თქმული არ არის მოსასმენი, ხოლო „არ-სასმენლისა მოსმენა არს უმჟავესი წმახისა“, სასმენელი კი დაჰრილ მხეცსაც მოინადირებს: „გველსა ხერელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“.

ასე ესმის მჭევრი სიტყვის ძალა რუსთაველს, რომელიც საუკუნეთა შორეული წიაღიდან ოქროპირულად გვესიტყვება და დღემდე ინარჩუნებს ენაშუბობის მიუბაძველი ოსტატის ადგილს მსოფლიო ლიტერატურაში.

•

ქართული კულტურის დაცემისა და განადგურების ხანგრძლივ პერიოდში, რაც საქართველოს ხვედრი აღმოჩნდა თამარის ეპოქის შემდეგ, საერთო უბედურებიდან გამონაკლისს არ შეადგენდა იმავე კულტურის პირმშო და ორგანული ნაწილი — ქართული მჭევრმეტყველება. მონგოლთა ბატონობის დროს და მის მომდევნო ხანაში, უნდა ვიფიქროთ, სავსებით შეწყდა და დადუმდა ქართული ცოცხალი სიტყვა. ყოველ შემთხვევაში, ამ ეპოქიდან არაფერს მოუღწევია ჩვენამდე საგულისხმოს და საყურადღებოს არც ქართულ და არც უცხო წყაროებში. ქართული ლიტერატურის გამოცოცხლება, რაც თვალსაჩინოდ XVI საუკუნიდან შეინიშნება, არ იძლევა უცილობელ საბუთს

ჩვენი მკვერმეტყველების მაშინვე აღდგენის საფიქრებლად. უპეველია მისი ხელახალი აღდგენა-განვითარება, რაც იმდროინდელ მძიმე პირობებში ჩასახვა-წარმოშობის სიძნელეს ეთანაბრება, უფრო მოგვიანო ხანას განეკუთვნება. ამ მოსაზრებას ადასტურებს ფაქტიური მონაცემებიც.

ქართული სიტყვის შემდეგი აღმავლობის პერიოდი XVIII საუკუნეა. იმდროინდელი მკვერმეტყველება ჩვენი ზეპირი სიტყვის სრული ძალის გამოვლენისა და უმაღლესი განვითარების მწვერვალია. XVIII საუკუნე ქართული მკვერმეტყველების ისტორიის ოქროს პერიოდია. ამ პერიოდში აღწევს ქართული ზეპირი სიტყვის კულტურა უჩვეულო აღორძინებას და თავისი ფორმალურ-შინაარსობრივი ექსპრესიის სრულმხრივ გამომჟღავნებას. აქ გამოვლინდა ჩვენი მკვერმეტყველების მძლავრი ტრადიციები და მისი შემდგომი განვითარების ფართო პერსპექტივები.

ქართული კულტურის ისტორიაში XVIII საუკუნეს ამშვენებს ქართველ მკვერმეტყველთა და რიტორიკის მცოდნეთა მთელი პლეადა. ამ პლეადაში შედიან: გაიოზ ნაცვლიშვილი, დავით მესხიშვილი, ანტონ კათალიკოსი, ანტონ ჭყონდიდელი, ამბროსი ნეკრესელი, მზექაბუკ ორბელიანი და სოლომონ ლიონიძე. ქვემოთ შევხებით ყოველი მათგანის დამსახურებას ქართული ზეპირი სიტყვის კულტურის წინაშე.

გაიოზ ნაცვლიშვილი და დავით მესხიშვილი თელავის სემინარიის რექტორები იყვნენ სხვადასხვა დროს — ჭერ პირველი და შემდეგ მეორე. გაიოზ რექტორმა დაგვიტოვა სიტყვა ერეკლე მეორისადმი — „განდიდებისათვის იმისის მეფობის დიდებულობის მზრუნველობისა და მომჭირნეობისა ყმათა თვისთა და მადლობისათვის იმისის უწმინდესობისა, ვითარცა მიზეზისა, დამაფუძნებელისა და სრულ-მყოფელისა მეცნიერებითისა სიმრგვლისა“. სიტყვის ამ ვრცელი სათაურიდან და შინაარსიდან ირკვევა, რომ ის წარმოთქმულია თელავის ფილოსოფიური სემინარიის გახსნასთან დაკავშირებით, 1782 წელს. სიტყვა უშუალოდ მიმართულია სემინარიის მსმენელებისადმი. ის სასწავლებლის გახსნის ზეიმზე უნდა იყოს წარმოთქმული და ამიტომ მსმენელთა შორის საზეიმო შეკრების მონაწილენიც უნდა ვიგულისხმოთ.

გაიოზ რექტორის სიტყვის თემაა მეცნიერება და მისი მნიშვნე-

ლობა. ორატორს მიზნად დაუსახავს მეცნიერების ფართო და დასაბუთებული პოპულარიზაცია. ამ მოსაზრებით ის წარმატებით ადარებს ერთმანეთს მეცნიერებასა და უმეცრებას და გამოაქვს დასკვნა მეცნიერების დიდი ღირებულებისა და მნიშვნელობის შესახებ. სიტყვის იდეა მეცნიერული განათლების უდიდეს საზოგადოებრივ სარგებლობას გამოხატავს.

სიტყვა იწყება შეკრების მიზეზის ნათელყოფით, შემდეგ ლაპარაკია სიბრძნის შესახებ, რომელსაც „ვერც სიშორე ადგილთა, ვერცა სხვაობა ქვეყანისა და ჰაერთა შემძლებელ არს შეცვალებად მის მიერის გარდამოსხმულისა ბედნიერობისა მიმღებელთა ზედა მისთა“. აქ სიტყვას ახლავს რიტორიკული ორნამენტი — პათეტიკური გამოსახვა: „აჰა, წინამდებარე არს ბედნიერობა ქვეყანისა! აჰა, ცხადების მზრუნველობა ღვთისა ქმნილთა თვის-თვისთა, ვინაიდგან აღგვიდგინა მეფე და მამა ყმათა თვისთა, რომელსაცა შინა აღაორძინა ჰაზრი თვისისა წადილისა, ე. ი. რათა სამეფოი თვისი ჰყოს მოკრძალულად ყოვლად მტკიცისა სიბრძნითისა ბედნიერობისა ზღუდითა, რათა ყოველი საქართველოი ესდენ ბედნიერ იყოს, რაოდენცა შესაძლებელ იყოს ბედნიერობა კაცისა შეწვევითა და მომჭირნეობითა ესოდენ ძლიერი-სა და კეთილ-მსახურისა ხელმწიფისაჲთა“.

შემდეგ ერთმანეთთან შედარებულია მეცნიერება და უმეცრება: „მეცნიერება მოიყვანს კაცსა პირველად ცნობისადმი თავისა თვისისა, თუ რა არს და ვითარი რა არს, და ესრეთ ცნობა ესე თავისა თვისისა ხელით ყვანებულ ჰყოფს ამის ცნობისადმი, ვითარმედ ეგვევითარივე არს კაცი, ვითარცა დასაბამი მისი და წარმომადგენელი ნივთი... და მერმე მიიყვანს მას ამის გამოძიებისადმი, თუ რაისათვის დაბადებულ არს იგი შემოქმედისაგან თვისისა და დადგინებულ სოფელსა ამას შინა, რათა სარგებელ ეყოს მოყვასთა ვიდრე-ღა თავსა თვისსა და ხორცთა, რათა უსნეულო აქვნდეს გონება, ვიდრე-ღა ხორცი, რათა უმეტეს მსურველ იყოს კეთილობისა მის, რომელნიცა თვის-ეყვიან ბუნებასა... და ამისათვის ბედნიერებასა შინა არა ზვაობს და უბედურობასა შინა არა სულმოკლეობს, არამედ საშუალოსა ზედა გზასა დაადგინებს თავსა თვისსა, ვიდრემდის მისწვდებოდეს სასურველსა კეთილსა“.

ასეთია მეცნიერების მნიშვნელობა, ხოლო უმეცრება, ორატორის სიტყვით, „არა უტევებს კაცსა გამოძიებისადმი ამის ყოვლისა. უმეტარი... ჰგონებს თავსა თვისსა ეგრეთ, ვითარცა პირუტყვთა და ესრეთ

მისა ოდენ მოსწრათე არს ქმნად, რაიცა მოეწონების საგრძნობელთა მისთა; შერაცხს მას სასარგებლოდ, რაიცა დაატკობს უაღვიროსა გულის-თქმასა მისსა. მწყურვალი სევამს სისხლსა ძმისასა უტკბილეს ზეციერისა ნექტარისა; სიცრუე შეურაცხიეს უფრომს ჭეშმარიტებისა, მოტყუება — უფრომს პატიოსნებისა და უპატიება — უფრომს სასუფეველის დიდებისა, ოლონდ მიიღოს სიმდიდრე არა-მგამელი“. ასეთია უმეცრების შედეგი.

ორატორი ასკენის: „ესე არს სხვაობა მეცნიერებისა და უმეცრებისა და ამისათვის მეცნიერება ასვამს გულსა შინა ჩვენსა ბედნიერობითსა სიცოცხლესა, ხოლო უმეცრება შორს გვყოფს ნეტარისა მშვიდობითისა ცხოვრებისაგან“.

უკანასკნელად ორატორი ხოტბას ასხამს მეფე ერეკლეს, რომელიც „გარდმოჰფენს... ხელმწიფობითსა მფარველობასა, სიბრძნითა და მეცნიერობითა შექსოვილსა“ და — ანტონ კათალიკოსს, რომელმაც „სრულჰყოცა სახლი სიბრძნისა აქათველომასა ყოვლითა საჭირომთა სწავლულებითა“.

გაიოზ რექტორის სიტყვა ქართული სახოტბო მჭევრმეტყველების საუკეთესო ნიმუშია. აქ მეტყველების თემა შინაარსის მხრივ გადმოცემულია ლოგიკური წყობით, თანამიმდევრობითა და შინაგანი კავშირებით, ხოლო ფორმის მხრივ — ზომიერი რიტორიკული სტილით, რომელშიაც შეზავებულია დინჯი თხრობა და პათეტიკური მღელვარება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ თელავის ფილოსოფიურ სემინარიაში სხვა სასწავლო დისციპლინებს შორის ისწავლებოდა რიტორიკაც. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ჩვენ გვაქვს პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ თავის დროზე კარგად ცნობილმა, ფართოდ სწავლულმა იოანე ხელაშვილმა განათლება მიიღო თელავის სემინარიაში, დავით მესხიშვილის რექტორობის დროს. იმავე „კალმასობაში“ ავტორი იოანე ხელაშვილის ენით გადმოგვცემს სახოტბო შინაარსის ერთ სიტყვას. ეს სიტყვა მიმართულია ერეკლე მეფისადმი. სიტყვა საინტერესოა, როგორც ერთგვარი ნიმუში იმდროინდელი რიტორიკული ხელოვნებისა. ის წარმოადგენს სამჭევრმეტყველო ქმნილების ნორმატიკულ სახეს და ამდენად მოკლებულია შემოქმედებით თავისუფლებას და ორიგინალურ რიტორიკულ ხერხებს.

სიტყვა იწყება მაღალფარდოვანი მიმართვით, გადადის თხრობაზე და მთავრდება მხურვალე დალოცვით. თემის თხრობა წარმოდგენილია

ამაღლებული ტონით, დახვეწილი და სუფთა სტილით და მხატვრული ხერხების, განსაკუთრებით შედარებების, გამოყენებით. სიტყვა აგებულია ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების, კერძოდ არსენ ბერის სიტყვის მიბაძვით.

რიტორიკის პირველი ორიგინალური სახელმძღვანელო თელავის სემინარიისათვის შეუდგენია ანტონ კათალიკოსს. შემდეგ, იმავე სემინარიისათვის რიტორიკის მეორე სახელმძღვანელო შეადგინა დავით მესხიშვილმა. ანტონ კათალიკოსი და დავით მესხიშვილი რიტორიკის თეორიის, მჭევრმეტყველების ისტორიისა და ქართული მჭევრმეტყველების მცოდნეებად უნდა ჩაითვალოს.

ანტონ ჭყონდიდელი და ამბროსი ნეკრესელი მე-18 საუკუნის ქართული სასულიერო მჭევრმეტყველების წარმომადგენლები და დიდი ქართველი საეკლესიო მქადაგებლები არიან. მათ შექმნეს მთელი წყება შესანიშნავი სიტყვებისა, რომელთა შინაარსი და ფორმა უმეტეს შემთხვევაში ღრმა აზრებისა და მდიდარი კაზმულობის შემცველია. მათი მჭევრმეტყველების ნიშანდობლივი მხარეა საერო მოტივების შეთავსება სასულიერო მოტივებთან. ისინი მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის პოლიტიკური ცხოვრების მონაწილენიც არიან და იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ნაკლსა და ღირსებას ფართოდ გამოხატავენ: ნაკლს ჰკიცხავენ და უარყოფენ, ხოლო ღირსებას იცავენ და აღიღებენ, მაგრამ ეს ყველაფერი ხდება ეკლესიის ამბიონიდან და ამდენად მათი სიტყვები სქოლასტიკის დაღის მატარებელია.

ანტონ ჭყონდიდელი თავის სიტყვებში მკაცრად ილაშქრებდა ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ და იბრძოდა ადამიანის ღირსების ასამაღლებლად. ამბროსი ნეკრესელი სდევნიდა ცრუმორწმუნეობას და მგზნებარე სიტყვებით უარყოფდა ჯაღოს, თილისმისა და სიზმრის რწმენას.

მე-18 საუკუნის ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, თავისი დროის დიდად განათლებული ადამიანი — მზეჭაბუკ ორბელიანი ცნობილი იყო აგრეთვე, როგორც ორატორი. მის შესახებ იოანე ბატონიშვილს თავის ნაშრომში — „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“, შემდეგი აქვს ნათქვამი: „ღვთის მეტყველებასა შინა გამოცდილ და პაექრობასა შინა მარჯვე... მესტიხეობასა შინაცა ქებული და მსაჯულისა საქმეთაცა შინა გამოცდილი“. საერთოდ ცნობილია

მზექაბუჯ ორბელიანის მახვილი სიტყვა, „მწარე ენა“ და პაექრული სტიქია.

როგორც წყაროებიდან ირკვევა, მზექაბუჯ ორბელიანს სიტყვა წარმოუთქვამს ერეკლე მეფის წინაშე იმ დიდ კრებაზე, სადაც წყდებოდა საკითხი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებისა. ეს სიტყვა დედნის სახით ჩვენამდე მოღწეული არ არის. მაგრამ ცნობილია მისი შინაარსი. ორატორს საქართველოს გაერთიანების პროზიცია დაუჭერია და მიუმხრია დიდი ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები, მათ შორის ანტონ კათალიკოსი, დავით ორბელიანი და სოლომონ ლიონიძე. ეს წარმატება ადასტურებს მზექაბუჯ ორბელიანის სიტყვის მაღალ ღირსებას და მნიშვნელობას.

ამ სიტყვაში მზექაბუჯ ორბელიანს სხვათაშორის შემდეგი აზრი გაუტარებია: მეფე ერისათვის არის და არა ერი მეფისათვის. იმერეთის ერი ერთობას და კავშირს ითხოვს. რა უფლება აქვს ერეკლე მეფეს ამაზე უარი უთხრას. ვიცი, ის ფიქრობს, როგორ წავართვა ტახტი ჩემსავე შვილიშვილსაო. ეს აზრი უკუღმართი და დამღუპავია. განა ქართლის მეფეს კი არ წაართვა ტახტი და განა ქართლ-კახეთი არ გაერთიანდა? განა მემამოხვე არაგვის და ქსნის ერისთავებს კი არ ჩამოერთვათ სამფლობელოები? და რა დაკარგა ამით საქართველომ? ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობას, ძლიერება მეფისა არის ერთა დაკავშირება.

მე-18 საუკუნის ქართული მჭევრმეტყველების უდიდესი წარმომადგენელია ცნობილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწე სოლომონ ლიონიძე. ამ დიდი ქართველის მჭევრმეტყველება ქართული ზეპირი სიტყვის უმაღლესი მჭევრვალია. სოლომონ ლიონიძე ჩვენი კულტურის ისტორიაში შედის მისი ერთადერთი გადარჩენილი სიტყვით და ღირსეულ ადგილს იჭერს ქართული მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატების გვერდით.

სიტყვა მეფე ერეკლეს გარდაცვალებაზე — „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის, ღერკულეს ღირსისა“ უნდა ჩაითვალოს ქართული მჭევრმეტყველების უმნიშვნელოვანეს ძეგლად. ვერც ერთი ქართული მჭევრმეტყველური ქმნილება, რომელსაც ჩაწერილი სახით ჩვენამდე მოუღწევია, თავისი შინაგანი და გარეგანი გავლენის ძალით და საერთო მნიშვნელობით ვერ შეედრება ს. ლიონიძის სიტყვას. იგი არ შეიძლება ჩაითვალოს განცალკევებულ და უნიკალურ მოვლენად ქართული მჭევრმეტყველების ისტორიაში, რადგან არ არის მოკლებული

წინაპართა საყრდენს და გააჩნია გარკვეული მემკვიდრეობაც. მაგრამ უდავოდ წარმოადგენს განსაკუთრებულ ფაქტს, რომლის ანალოგია უფრო მსოფლიო კლასიკური მქვერმეტყველების ისტორიაშია საძებარი, ვიდრე ქართულ ზეპირმეტყველებით კულტურაში.

ბედნიერი შემთხვევის გამო ამ ძეგლს ჩვენამდე ჩაწერილი და დაუმახინჩებელი სახით მოუღწევია. ჭერჭერობით უცნობია ამ სიტყვის წარმოთქმის პირობები, მისი ჩაწერის დრო, გავრცელების გზები და სხვა საკითხები, რომელთა გარეშე ძნელია სიტყვის სრული და უცილობელი ანალიზი, მაგრამ თვით ფაქტის არსებობა ბევრი საინტერესო საკითხის კვლევა-ძიების და დადგენის საშუალებას იძლევა.

სიტყვა იწყება ვრცელი შესავლით. შესავლის საკითხს წარმოადგენს ერეკლეს სიკვდილის შეცხადება: „ცამან მისტაცა ქვეყანას. მოკვდა დერკულეს, უძლეველი მეფეთა და მზესა ქვეშე... მოკვდა ესე უკვდავი მეფე...“ — ამბობს ორატორი. შესავალი იწყება მშვიდად, აუღელვებლად, ნელი ტემპით. იგი გვატყობინებს: „გულისწყრომისა ტახტსა ზედა ასული“ ქვეყანა დღეს მრავალ ღირსეულ სისხლთან ერთად იცხებს ივერიელთა გვარისა სახსრის სისხლსაც“. პირველი ფრაზის შემდეგ უეცრად მაღლდება სიტყვის ტონი: „დღეს ციურთა საკვირველება მოშურნე ექმნა ქვეყანისა საკვირველსა. ცამან მისტაცა ქვეყანასა სიმდიდრე, ძლიერთა — ძალი, ბრძენთა — გონიერება, ერთა — გვირგვინი, მხედართმთავართ — სარდლობა და თვითმპყრობელთა — სახელმწიფო ზრდილობა“. ტონის ამაღლებას მოსდევს მღელვარე მიმართვა: „დიდნო მფლობელნო, დიდნო იმპერატორნო! სტიროდეთ...“ და სხვ. ამის შემდეგ ხდება ფაქტის შეცხადება: მოკვდა მეფე, რომელიც „ლაშქვრიდა სამთა იმპერიათა — ოსმანთა, სპარსთა და კავკასიის ერთა“. შემდეგ ეშვება ამაღლებული ტონი და შესავალი გადადის სიტყვის ძირითად ნაწილში — თემის თხრობაში.

თემის თხრობა იწყება ბაგრატიონთა სახლის დიდებით. ამ სახლს ორატორი, ლეგენდარული გადმოცემის მიხედვით, უწოდებს სადავითო სახლს, ის არის „საყოფელი მართალთა“, ამაღლებული სისხლით ცხებული, რომლის მეჭლისში „მეფის ერეკლეს ტახტზე ჯდომა იხილებოდა“, „იმისი ხელმწიფური, დარბაისლური ხუმრობა მიმოითქმოდა“. აქ გაისმის რეფრენი: „რად სტირი, სადავითოვ სახლო?“ ორატორი ემზადება ტონის შემალღებისათვის. ის კითხულობს: „ოსმალოთ ხომ არ დაიპყრეს საყდარი შენი?“ პირდაპირი პასუხის მაგივრად ისმის გამხნეება: „მეფე ირაკლი სიმრთელით ბრძანდებოდეს“, რომელ-

მაც ხერთვისის დამპყრობისა და ასპინძის მტრის სისხლში გამოწრ-
თობილის ხმლით ხვანთქარს ქარიმ-ხანთან საჩივარი მიაწერინა: „მეფე
ერეკლე სარათის ქვეყნებს მართმევს და შენ დაუშალეო“. ქარიმ ხან
იტყოდა: „მეფე ერეკლე ასეთი რამ ბრძანდება, რომ ხვანთქარი ჩემთან
საჩივლელად დაამუხლაო“. ორატორი ისევ კითხულობს: „თუ სპარსთ
დაიპყრეს შენი უმაღლესი ტახტი?“ და ისევ გამხნევება: „მეფე ერეკ-
ლე ცოცხლობდეს საუკუნოდ“, რომელმაც საქართველო ნადირთ ავ-
შარისაგან გამოიხსნა და რომლის დიდება პრუსიის მეფემ ფრდირიკომ
თეთრზე დააწერა: „ევროპაში მე ვარო ღერკულებს უძლეველი, საქარ-
თველოს — გიორგიანთ მეფეო“.

ისევ გაისმის რეფრენი: „რად სტირი, სადავითოვ სახლო?“ შემ-
დეგ ორატორი იძლევა ზოგად პასუხს ნახსენები სახლის მიმართ: სა-
ნამ ერეკლე ცოცხალია და წინ უძღვის ქართულ მხედრობას, რუსე-
თიდან გამოჰყავს ლაშქარი და აღმართულია მისი ბედნიერი დროშა —
ვის შეუძლია შენი დამდაბლება? რადგან ყველასათვის ცხადია: „რო-
დესაც მეფის ერეკლეს ბედნიერ ტახტზე ჯდომა გედიჩსა, ყოელს წი-
ნა საუკუნეზე უფრო იდიდე, უფრო ამადლდი, უფრო გაბედნიერდი,
ცანი ქუხილით გრგვინვიდენ ძალსა შენსა, სფერა ქვეყნის გეძრწო-
და ფერხთა ქვეშე“.

მაგრამ ვაი, რომ ერეკლე აღარ არის. ეს ფაქტი ახალ მასალას აძ-
ლევს ორატორს. ის უახლოვდება სიტყვის უმაღლეს მწვერვალს; ეს
მიახლოება გამოხატულია სევდიანი განწყობილებით და აწეული ტო-
ნით. ორატორი განაგრძობს: „ვაი, თუ საქართველოს საფარველად გა-
დახურვილი მეფის ერეკლეს ბედნიერი დროშის კალთები აგვეხადა! —
...ვაი თუ ის მაღალი და ზეცას ანგელოზთაგან სამწიგნობრო სახე-
ლი — მეფე ერეკლე, რომელიც ცის კალთებზე იწერებოდა და ქვეყ-
ნის მპყრობელთა ხელმწიფეთა ფხიზლად აძინებდა და მძინარეთ სა-
შიშრად ესიზმრებოდა, — ამ სადღესასწაულოს სახელის მოხსენებას
საქართველოს ეკლესიები მოჰკლებოდეს! ვაი თუ უძლეველი ხელები,
რომლისააც ხმლის ვადაზე დადება სიკვდილს მახარობლობდა, ტრფი-
ალთ სატივირად გულზე დაკრფვილ იყოს! მაგრამ ცა და ქვეყანა მე-
ფის ერეკლეს მსოფიარნი არიან, მზე და მთოვარე იმისს ბედნიერს
ლაშქრობაში ხანდაზმულნი არიან. დღისით მზე იყო მეწინავე სარ-
დალი და ღამით მთოვარე მეფის ერეკლეს გამარჯვებულს დროშას
წინა უძღოდა... ვის შეუძლიან დავიწყება?“

ამის შემდეგ, სიტყვის კულმინაციური წერტილის წინ, ორატორი

კიდევ უფრო ეშვება ძირს. ეს ძირს დაშვება უნდა მივიჩნიოთ უმძლავრესი ამაღლებისათვის სამზადისად. აქ ნათქვამია: „რად გინდოდა სახელმწიფო პორტირია“, თუ სუდარას მოიხვევდი? რად გინდოდა ტახტი, თუ საფლავს იშენებდი? სტიროდე, ცაო, რომ შენი სითალხის მხედველი ერეკლეს თვალები საუკუნოდ დაბნელდა. „დაბნელდი, მზევე, რომელსაც გაქვს მოსწავებული დაბნელებით ჭირისუფლობა, რომ მზე მიწიერი ღამიანის ქართლისა — მეფე ერეკლე, შენს ბრწყინვალეებას ვეღარა ჰხედავს“.

ამით მთავრდება სიტყვის უკანასკნელი შემადლებისა და მწვერვალისათვის სამზადისი და იწყება მისი კულმინაციური ნაწილი: „ზეციერნო ძალნო!.. მაღალო და ძლიერო ღმერთო! დავაკლდით ერნი ქრისტიანენი მემკვიდრესა პატრონსა და საზოგადოსა მამასა; ძლიერსა და მხნესა მამაკაცსა ჩვენ ვსტირიოთ. და მეფე ერეკლე — თავი — განმგებელი ერისა, ხელი — მზრდელი ობოლთა, მკლავი — მომგერებელი მტერთა და გვამი — შრომისა მოყვარე მისი, საფლავში ირღვევა... სად არის, ხელმწიფევე, შენი ხელმწიფური განგება? რად შემოიხსენ ხრმალი, რომლისაცა სადღესასწაულო გამარჯვება რიცხვით ხსოვნას ასცილდა? რად შემოსწყერ სახელოვანს დროშას, რომლისაც ჰაერში მომცურავი კალთები ქვეყანას აჩრდილებდა და სამესისხლოდ განჭიმულის ზორტებით, ცის კალთებს ეჩხუბებოდა?.. სად გიწყვია უქმად ეგ ძლიერი ხელები, რომლითაც თავეთს შემადლებულს კამარაში მფრინველთ სიცოცხლეს მისტაცებდი? რად ასწავლე საყვარელ ქალებს საქალო კრძალულება, თუ კი თავმოხდილი ატირებდი? რად გაათამამე გული ლომებრთა მემკვიდრეთა, თუ კი სიმყარე უძლეველი მოეშლებოდი? რად გვასწავლე ზრდილობა მხედრობისა ვაჟკაცობითურთ, თუ კი შენს წინ სისხლს არ დაგვაქცევინებდი!“

ეს არის სიტყვის უმაღლესი მწვერვალი. ამის შემდეგ ის უკანასკნელად ეშვება ძირს და უახლოვდება დასკვნას. დასკვნის საკითხს წარმოადგენს ორატორის პირადი მწუხარება, რაც გამოხატულია ერეკლეს სარღობისადმი მიმართვით. დასკვნა მთავრდება შესიტყვებით: „ხელმწიფევე დედოფალო და მეფის ძენო!.. ორში ერთი მოწყალეობა მოიღეთ — ან მომაკვლევინეთ [თავი] და მეფის ერეკლეს უმაღლესი ცხედრის ფიცრად დამდევით, რომ იმისი სანატრელი კუბო ჩემს გულზე იდგეს, მეფის ერეკლეს ძლიერი ტანი ჩემს გულზე ირღვეოდეს, ...ან ამ ქვეყნიდან დამკარგეთ... რომ სადაც იმისის გამარჯვებულის დროშისათვის მიმსახურნია, თუ სადმე იმის წინ სისხლი დამიქცევია,

სადაც მეფის ერეკლეს ბედნიერი სალამი შემეყვარებია და იმის სახსოვარს მეჭლიშში, ჩემთვის უღირსის ხელმწიფურის ალერსით, ჩემგან ხუმრობა ჰყვარებია და თუ სადმე სახელმწიფოს მასლაათით მიმსახურნია, ის ადგილები აღარა ვნახო, ამ ცეცხლებით აღარ დავიწვა.

ხელმწიფვე მფლობელო, საზოგადოვ მამავ, მეფე ერეკლე!

ვის მივსცე შენის უმაღლესის თავისა და უძლეველისა ტანისა უზომო ტრფიალება? ვის დროშას ვემსახურო? ვინ შევიყვარო? ვისთვის მოვჰკედე? ვისთვის ვიცოცხლო, შენს უკან სიცოცხლე საზრახავად გამწარებულან?!“

ასე მთავრდება სიტყვა.

ს. ლიონიძის სიტყვა წარმოადგენს ქართული მჭევრმეტყველების უმნიშვნელოვანეს ქმნილებას. ის არის ქართული ზეპირი სიტყვის უკვდავი შედეგრი. არსად, ჩაწერილ და დღემდე შემონახულ ზეპირმეტყველებით ნაწარმოებში არ ჟღერს ქართული სიტყვა ისე მძლავრად და სრულხმიერად, როგორც ამ სიტყვაში. თვით გენიალურ ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს შეიძლება შევადაროთ ეს ქმნილება ჩვენი სიტყვის სრულმხრივი ძალის გამოვლენის თვალსაზრისით... ჩვენ არ ვიცნობთ არც ერთ პროზაულ ნაწარმოებს, რომელშიაც უფრო მძლავრად ჟღერდეს ქართული ენა, ვიდრე ლიონიძის სიტყვაში.

ს. ლიონიძის სიტყვას საზღვრავს შემდეგი ნიშანდობლივი მხარეები: 1. გეგმიანობა, 2. შინაარსისა და ფორმის მთლიანობა და 3. სიტყვის შინაარსობრივი და ფორმალური ექსპრესიის სრული გამოვლენა.

დავიწყოთ პირველიდან, სიტყვა აგებულია კლასიკური მჭევრმეტყველების გეგმის თანახმად. მას გააჩნია 3 ნაწილი: 1. შესავალი, 2. თემის თხრობა და 3. დასკვნა.

შესავალში მოცემულია: ერეკლეს გარდაცვალება, საყოველთაო ტირილის მიზეზი და ივერიელთა ნათესავეების გლოვა. თემის თხრობაში მოცემულია: ბაგრატიონთა სახლი, ერეკლეს დაბადება, სიჭაბუკე, ძალმოსილება, სარდლობა, ძლევამოსილი ლაშქრობანი, — ამ დიდების დაღუპვა და მიცვალებულის ხობტა-დიდება. დასკვნაში მოცემულია: დაჩაგრული სოლომონი, მისი თხოვნა მეფის სახლობის მიმართ. ერეკლესთან პირადი მეგობრობა და საკუთარი გოდება.

სიტყვის მეორე მხარეს წარმოადგენს შინაარსისა და ფორმის მთლიანობა. სიტყვიერი მასალა, როგორც ორატორის აზროვნების ფორმა, აქ სავსებით გამოხატავს შინაარსეულ მხარეს. სიტყვის აზრი-

თი და ბგერითი მხარეები ერთმანეთის შესაბამისია და ერთიმეორეს გამოხატავს. ფორმალური არსი შინაარსეული არსის შესატყვისია და პირიქით. ასეთი ერთიანობით მიღწეულია მძლავრი გამომხატველობა, რაც მაღალი ოსტატობის უცილო მაჩვენებელია. აქ არც ერთი სიტყვა არ არის მარტოდენ ბგერითი მნიშვნელობით გამოყენებული, როგორც თავისთავადი ღირებულების მქონე. ყოველი სიტყვა მიჩნეულია გაგებინების კატეგორიად, მაგრამ ნახშიარია მისი ემოციური ზეგავლენის მაქსიმალური ძალით. ამ გზით შერჩეული სიტყვა და შესიტყვებით მიღებული ფრაზა უმძლავრესი ემოციური ზეგავლენის შემძლეა და დიდი შინაარსის გამომხატველ ფორმას წარმოადგენს. ამაში გამოიხატება ს. ლიონიძის მჭევრმეტყველების ესთეტიკა.

ს. ლიონიძის სიტყვის მესამე მხარე უშუალოდ გამომდინარეობს მეორე მხარისაგან. იგი მდგომარეობს სიტყვის შინაარსობრივი და ფორმალური ექსპრესიის სრულ გამოვლენაში. სიტყვის ძირითადი დანიშნულების — გაგებინების ფუნქციის გვერდით ორატორის მიერ მიგნებულია სიტყვის მეორადი ფუნქცია — ემოციური ზეგავლენის ძალა. ეს ფუნქციები, ქართული მეტყველების ბუნების სრულმხრივი ცოდნით და გათვალისწინებით მიგნებული, ლიონიძის მიერ გამოყენებულია მაქსიმალური შესაძლებლობით, ამომწურავი ძალით. ამრიგად, აქ გვაქვს არა მარტო მეტყველების ფორმალურ-შინაარსობრივი შესაბამისობა, არამედ ღრმა აზრისა და ძლიერი ფორმის შემცველი სტილიც. აქ ყოველი აზრი გადმოცემულია უმძლავრესად გამომხატველი სიტყვის და შესიტყვების ფორმით, ხოლო ყოველი ფორმა გამოყენებულია უმძლავრესი შინაარსის გამომხატველად. ეს არის ს. ლიონიძის მჭევრმეტყველების დამახასიათებელი მსახლვრელი.

აღნიშნული მხარეების ერთობლივად წარმოდგენა გვარწმუნებს, რომ ს. ლიონიძის სიტყვა ერეკლეს გარდაცვალებაზე სახოტბო მჭევრმეტყველების უდიდესი ძეგლია მსოფლიო მჭევრმეტყველების ისტორიაში.

*

მჭევრმეტყველება ძველად პრესის მოვალეობას ასრულებდა. სოციალურ-პოლიტიკური ყოველდღიურობა, პრესის უქონლობის ან მისი შეზღუდვის პირობებში, თავის ახსნა-გამოვლენას ზეპირ საჯარო მეტყველებაში პოულობდა. მჭევრმეტყველების ეს ფუნქცია საგრძ-

ნობლად ფართოვდებოდა ერის პოლიტიკური კატასტროფის პერიოდებში, მაგრამ ასეთ ვითარებაში საპირობის მიხედვით არ იზრდებოდა ცოცხალი სიტყვის განვითარების პირობები, რადგანაც უაღრესად შებოჭილი იყო მისი წინსვლის გზები საწინააღმდეგო ძალთა ზეგავლენით.

ამ მხრივ დამახასიათებელია მე-19 საუკუნის ქართული მჭევრმეტყველება. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში არსებობდა პრესა, მისი მოვალეობის შეთავსება მოუხდა ცოცხალ სიტყვას, რადგანაც ეს იყო პრესა ექსპლოატატორული პერიოდისა, როცა ადამიანის თავისუფალი აზრი შებოჭილი იყო მკაცრი და უკუღმართი სოციალურ-პოლიტიკური ძალმომრეობით. თვითმპყრობელური რუსეთის ბატონობის ხანა საქართველოში, რაც ეროვნული გადაგვარების პოლიტიკით ხასიათდება, უსაზღვროდ ზრდიდა თავისი საწინააღმდეგო იარაღის — ცოცხალი სიტყვის მნიშვნელობას, მაგრამ ამდენადვე ხელს უშლიდა მის განვითარებას. მიუხედავად ამისა, მე-19 საუკუნის ქართული კულტურის ორგანული ნაწილი — ჩვენი მჭევრმეტყველება თავისი იდეური შინაარსითა და მხატვრული ფორმით არ ჩამორჩება იმდროინდელ სიტყვაკაზმულ ხელოვნებას, ეს ითქმის განსაკუთრებით იმ პერიოდზე, როცა ქართულ კულტურას სათავეში ჩაუდგნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები. მათ მიერ ენა გამოცხადებული იქნა ეროვნების ბურჯად და მისთვის ბრძოლა — უმნიშვნელოვანეს ეროვნულ ამოცანად...

მე-19 საუკუნის ქართული მჭევრმეტყველება თავისი იდეური შინაარსითა და ფორმალური მხარეებით იმდროინდელი ქართული ლიტერატურის ასლს წარმოადგენს. აღნიშნულ მსგავსებას იწვევდა მათი შექმნისა და განვითარების პრინციპული საფუძვლების ერთიანობა. სახელმძღვანელოდ მიჩნეული პრინციპების მიხედვით სიტყვაკაზმული ხელოვნების იდეური სამყარო ცხოვრების უმაღლესი მსახურის ადგილს იჭერს, შრომისა და ბრძოლის მონაწილე ხდება და პოზიტიური სარგებლობის წყაროდ ისახება. ამ პრინციპების დანერგვა და საქმედ ქცევა ქართული კულტურის ისტორიაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვან მონაწილეთა ამაგია. მათი მამამთავარი ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა სათავეში ჩვენი ახალი აზროვნების შექმნას და ხსენებული პრინციპების საფუძველზე წარმატებით ააშენა დიდი ქართული ეროვნული კულტურა.

იმავე დროს იგივე მოღვაწე — ილია ჭავჭავაძე დიდი ქართველი მჭევრმეტყველია.

მე-19 საუკუნის ქართული საერო მჭევრმეტყველების გვერდით ყურადღებას იპყრობს სასულიერო მჭევრმეტყველებაც, რომლის წარმომადგენლები არიან ეპისკოპოსები — გაბრიელი და ლეონიდი. მათი მჭევრმეტყველება ქართული ისტორიული სასულიერო ქადაგების მდიდარი ტრადიციების პირდაპირი გაგრძელებაა იმ განსხვავებით, რომ აქ დიდი ადგილი ეთმობა ისტორიას, კერძოდ საქართველოს ისტორიის საკითხებს. ამ საკითხების გაშუქება გაბრიელისა და ლეონიდის ქადაგებაში პატრიოტული იერის მატარებელია, მაგრამ სქოლასტიკური მსოფლმხედველობის იდეური შინაარსით ხასიათდება და ამიტომ მტკიცე საფუძველს მოკლებულია.

მე-19 საუკუნის ქართული მჭევრმეტყველების წარმომადგენლები არიან: ილია ჭავჭავაძე, ივანე მაჩაბელი, ნიკო დადიანი, მამია გურიელი და სხვ. მათ შორის ახალი ქართული მჭევრმეტყველების უაღრესად დამახასიათებელი და დიდი წარმომადგენელია — ილია ჭავჭავაძე. ქვემოთ, მისი მჭევრმეტყველების ანალიზით განვიხილავთ.

ილია ჭავჭავაძე, როგორც მჭევრმეტყველი, საკმაოდ ვრცელი მასალითაა წარმოდგენილი ჩვენს წინაშე, ჩაწერილი და შენახულია მისი სიტყვები: წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნის გამო (1883 წ.), გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე (1883 წ.), ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე (1893 წ.), გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავებაზე (1896 წ.). გარდა ამისა, მემუარების გზით ცნობილია ილია ჭავჭავაძის საჯარო გამოსვლები სხვადასხვა ორგანიზაციების კრებებსა და სხდომებზე. რეპროდუქციის სახით შენახულია მისი სიტყვების შინაარსი თუ ნაწყვეტები.

ჩვენ გავარჩევთ ილია ჭავჭავაძის ერთ ცნობილ სიტყვას, წარმოთქმულს 1883 წ. წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნასთან დაკავშირებით.

დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით ეს სიტყვა წარმოთქმული უნდა იყოს წინასწარი მომზადების გარეშე, ექსპრომტის სახით, სრულიად ჩაუწერლად. ის წარმოთქმის შემდეგ არის მეხსიერებით აღდგენილი და წერილობით ფიქსირებული. სიტყვა წარმოდგენილია საუბრის მაგვარად, უწყვეტი თანამიმდევრობით, ლოგიკური შეფერხების გარეშე. სიტყვაში ადგილი არა აქვს შინაარსის დინების შეწყვეტას, ჩართულ თქმებს, გამეორებებს, აზრობრივ შესვენებას. მთელი სიტყ-

ვა ზეპირი წარმოთქმის პროცესში უაბზაცო თხრობად წარმოიდგინება.

ასეთ მთლიანობას ხელს უწყობს სიტყვის შინაარსი, რომლის დედაზრი ცოდნის ღირსების ჩვენებაში გამოიხატება. ცოდნის ღირსება ნაჩვენებია მისი სხვა მოვლენებთან შედარების გზით, მაგრამ მსჯელობა აგებულია არა მტკიცების საფუძველზე, არამედ თვალსაჩინო გამოხატვის მეშვეობით. ამიტომ სიტყვაში ჭარბადაა მაგალითები, მითითებანი, შედარებანი და სხვ.

სიტყვა იწყება პირდაპირ, შესავლის გარეშე, მიმართვით და უმაღვე გადადის თემის თხრობაში. თემის თხრობა იწყება შემოვლილი გზით, საკითხის პირდაპირი დასმის გარეშე: „ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, უღვეელი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იზრომე, გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდან ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო“.

შემდეგ ორატორი უახლოვდება ძირითად სათქმელს, მაგრამ წინასწარ იმათვე აზრს იშველიებს, ვისაც ელაპარაკება: „თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში, დიბლერტაო. ამას ამიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა, არც ჩვენ თითონა ვართ უხეირონი: ღმერთი, რჯული, მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია, ეს ყველაფერი გვაქვს ეს მდიდარი, პატარ-ძალსავეთ მორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამ-რჯელი და ოფლისმღვრელი, — მაშ რალადა ვართ ღარიბნიო? მკითხავთ თქვენ“.

ამრიგად ორატორი საქმეს ისე მოგვაჩვენებს, თითქოს თვითონ კი არ სვამდეს ძირითად საკითხს, არამედ მსმენელი, ხალხი, მაგრამ პასუხის გამცემად გვევლინება თვითონ. დასმული საკითხის პასუხი წარმოადგენს სიტყვის უმთავრეს ნაწილს. არსებითად სიტყვაში სხვა ნაწილი არ არის.

პასუხი იწყება შემდეგნაირად: „იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია; არ ვიცით, საიდან რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნა-ჯაფევიც ბლომად. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ — ისა, რაც თქვენისავე სიტყვით, თითონ ღო-

ნესაცა სჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხეირიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი, აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან შენთვის მობარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით — უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო“.

ორატორი ამახვილებს მსმენელთა ყურადღებას, იწვევს ინტერესს, აღვივებს ცნობისმოყვარობას და იქვე აკმაყოფილებს მის მიერვე შექმნილ ინტერესს: „მაგისთანა ღვთისნიერს წინამძღოლს ცოდნა ჰქვია“. სიტყვა უახლოვდება უმაღლეს მწვერვალს: „ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თითონ, ც.ავის-თავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ გადაუდგება... ღონიერი და ჭირთამძლევი ის არის, ვისაც ჰქუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია“.

აქ სიტყვა აღწევს კულმინაციურ წერტილს: „ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრეა-მეთქი, მერე იმისთანა მაღლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოვლე. პირიქით, იმატებს კიდევ, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა.“

სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბეუტავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს, იქ სინათლეა, — სჩანს ჰღვიძავთო, და დაგვიანებულს მოყვარეს კი ახარებს კიდევ იმით, რომ იქ ღვიძილია, მღვიძარები დამხვდებიანო.

სანთელს მარტო იმაში არ ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება, ჩაიწვის და გაჰქრება ხოლმე, ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავის დღეში არა: მამიდან შვილზედ გადადის, შვილიდამ — შვილისშვილზედ, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული“.

ამის შემდეგ სიტყვა ეშვება ძირს და გადადის მშვიდ თხრობაში. ნაჩვენებია ცოდნის შეძენის გზა და კონკრეტული მიზეზი, რამაც გამოიწვია ეს სიტყვა.

დასასრულ, ადგილი აქვს სიტყვის ტონის უკანასკნელ შემადღებას: „მაშ გაუმარჯოს, ხალხო, ამ სკოლას, ამ ცოდნის აკვანსა! გაუმარჯოს

ილია წინამძღვრიშვილს, ამ აკენის დამდგემელსა! გაუმარჯოს ამ სკოლის ოსტატებსაც, რომელნიც ამ აკვანს გაარწევენ დასაძინებლად კი არა, გასაზრდელად, გასაღვიძებლად!“

სიტყვა მთავრდება პირდაპირი მიმართვით, საუბრის ტონით, (ოდნავ ამალღებული განწყობილებით: „თქვენ იცით ხოლმე, როცა სიმღერას გაათავებთ, იტყვი: თქვენი გამარჯვებისა იყოსო. მეც გავათავევ, რაც სათქმელი მქონდა და თქვენებურად, ჩვენებურად, გეუბნები: თქვენი გამარჯვებისა იყოს!“

ი. ჭავჭავაძის სიტყვა წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლის გახსნის გამო წარმოადგენს „თანამზრახველობითი“ მკვერმეტყველების შესანიშნავ ნიმუშს. სიტყვაში ორატორი ადის დამაჭერებლობის იშვიათ სიმაღლემდე. აზრის დარწმუნებით ვაღმოცემის ხერხები — შედარებანი, მაგალითები და მითითებანი ისე ოსტატურად არის გამოყენებული მთელი სიტყვის გასწვრივ, რომ მსმენელს არ რჩება არც ერთი სათუო და საცილობელი საკითხი. იშვიათი დამაჭერებლობა წარმოადგენს ამ სიტყვის ნიშანდობლივ მხარეს.

ორატორის მიერ სიტყვაში უკუგდებულა კლასიკური მკვერმეტყველების დამახასიათებელი ხერხები: სიტყვა მოკლებულია რიტორიკულ ორნამენტებს, ფორმალურ სამკაულებს, მაღალფარდოვნებას, გარეგნულ მხატვრულობას. უბრალოება წარმოადგენს სიტყვის გარეგნული ფორმის დამახასიათებელ მსაზღვრელს. მთელი სიმძიმე გადატანილია სიტყვის შინაგან აზრობრივ მხარეზე. სიტყვისაგან მიღებული საერთო განცდა არსებითად მისი შინაარსობრივი სფეროდან მომდინარეობს. წარმოთქმის პროცესში სიტყვა უშუალოდ იჭრება ადამიანის აზროვნებაში და უმაღვე იქცევა მძლავრი შთაბეჭდილების წყაროდ.

ამ სიტყვის ძირითად მსაზღვრელ მხარეს წარმოადგენს სიბრძნე. სიტყვის შინაგანი შინაარსობრივი არსი ამალღებულია იშვიათ სიბრძნემდე. სიბრძნე არის ამ სიტყვის ერთიანი განცდის სამკაული. ის არის გამოყენებული, როგორც გონებრივი ზეგავლენის, ისე გრძნობითი შთაბეჭდილების მასალად. ამაში გამოიხატება ამ სიტყვის თავისებურება. ამ თვალსაზრისით მთელი სიტყვა წარმოადგენს ერთგვარ აფორიზმს, რომელშიაც გამოხატულია გარკვეული შინაარსი — ცოდნის დიდი ძალა და განუსაზღვრელი მნიშვნელობა.

ასეთია ისტორიულ ასპექტში წარმოდგენილი ქართული მქვერმეტყველება.

დასასრულ, უნდა მოგაგონოთ აკაკი წერეთლის მქვერმეტყველური ამოძახილი ილია ჭავჭავაძის ცხედრის წინაშე: „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და, თუ სასიკვდილოა..., მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალთ ველარა ნახავ“. საქართველოს სიკვდილი „არ ეწერა“; ქართულ ენას, რუსთაველის ენას დავიწყება არ ელოდა. მათი ხვედრი მომავალში თურმე უნდა გაზრდილიყო იმ ზომამდე, რომ წარსული მარტოოდენ აწმყოს მკრთალი პირველწყარო გამხდარიყო და საამო მოგონების მასალა.

დღეს აღსრულდა: საქმედ იქცა უკეთესთა ოცნება და ამ საქმით უკვდავნი და უკვდავების სხივით გარემოცულნი ახლა დგანან ჩვენ წინაშე როგორც ლალი სიტყვის დიდი მოამბეგენი. აქ არიან ქართულის დაუშრომელი მოტრფიალენი, მისთვის ტანჯული ოსტატები, ამამოსილი მესიტყვენი ჩვენი დედაენისა. აქ არის დასი უკვდავი სიტყვის მარად მქლერი ენაშეობით დაუვიწყარ ადამიანთა. აქ არის, იყო და იქნება მართალი საქმის ლამაზი სიტყვით უდიდესი გამომხატველი; საყოველთაო მესიტყვეთა მესაიდუმლე, ქართული ენით კაცობრიობის აზრის მთქმელი და ჯერ უბადლო, მიუწვდომელი — შოთა რუსთაველი!

ასეთია ქართული მქვერმეტყველების საგანძური. ასეთია ის ერთი შეხედვით, ერთი თვალის გადავლებით. უფრო ღრმა დაკვირვებას მეტი სიღრმის ჩვენება შეუძლია. გაკვრით ჩვენებითაც კი ნათელი ხდება ჩვენი კლასიკური მქვერმეტყველების იდეური სიმაღლე და ფორმალური სიდიადე.

ასე მეტყველებდნენ ჩვენი წინაპრები. ამით მათ დიდად დაგვაავალეს და სამაგიეროს ხვედრი გვარგუნეს. ეს წმინდა ვალი ჩვენი მეტყველების შინაგანი და გარეგანი ღირსებით უნდა ანაზღაურდეს. განახლებული ცხოვრების აზრს ახალი გამომხატვის ფორმა შეეფერება: მდიდარი ტრადიციების საყრდენზე აგებული, ფართო პერსპექტივების გათვალისწინებით სრულყოფილი. დიადი აწმყოს გამომხატველი — მოქნილი, ტევადი, მარტივი და ლამაზი ფორმა.



შოთა რუსთაველი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი“

უკვდავი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი ეროვნული კულტურის მარად უქცნობი სიამაყეა. ქართველ ხალხს თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე არაფერი შეუქმნია ხელოვნებაში „ვეფხისტყაოსანზე“ უფრო დიადი, ღირსეული და ფერუცვლელი, რაც გაგვაჩნია და გვამშვენებს ჩვენ, სანუკვარი და სასიქადულო: სიყვარული, მეგობრობა, გმირობა, პატრიოტიზმი, პატიოსნება, სათნოება და უნაგარობა — აქ განუყოფელი ერთიანობით გამოხატულა და უძლეველი ადამიანური ძალით აღბეჭდილა. „ვეფხისტყაოსანი“ არის ჩვენი კულტურული თვითმყოფობის, გონებრივი სიღრმის, იდეური სიმაღლის და ზნეობრივი სიწმინდის უტყუარი მაუწყებელი; იგია ჩვენი სულიერი გადარჩენის და არსებობის ერთი მიზეზი, წყარო და საწინდარი. შოთა რუსთაველი არის ჩვენი უბადლო სახალხო მომღერალი, ერთი რჩეული მსოფლიო გენიოსი და ყველა დროის მოწინავე კაცობრიობის ერთ-ერთი ჩაუქრობელი მნათობი. იგი გასცდა მშობლიური ქვეყნის საზღვრებს. საკუთარი დროის ფარგლებს და XII საუკუნის საქართველოს პირმშო მოგვევლინა ყველა ქვეყნის და ეპოქის ღირსეულ მოქალაქედ.

ქართველ ხალხს თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე უნახავს და გამოუცდია ყველაფერი — უნახავს დიდი მწუხარება, შეფერხება და უკან დახევა, მაგრამ მასვე უნახავს წინსვლა, ზეიმი, გამარჯვება და ამასთანავე ხმამაღლა უთქვამს მართალი სიტყვა მსოფლიოს გასაგონად თავისი აზრიანი და წარმტაცი არსებობის შესახებ. ერთი ასეთი მართალი და მაღალი სიტყვა, უჩვეულო ძალით ნათქვამი,

ჩვენში გაისმა XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დასაწყისში, როცა საქართველოს მართავდა დედოფალი თამარი. ამიტომ იტყოდნენ ჩვენი წინაპრები სრულიად სამართლიანად, რომ არასდროს უთქვამს ქართველ კაცს თავისი სიტყვა ისე ხმამაღლა, არასდროს მოუქნევია თავისი ხმალი ისე მჭრელად, არც არასდროს უწყევია ქვები ერთმანეთზე ისე გამძლედ და ისე მოხდენილად, როგორც ამ ეპოქაში, როცა ქართველ ხალხს წინ უძღოდა სახით უტურფესი, აღზრდილთ საკვირველი, ზნეობით უფაქიზესი, ამომავალი მზის დარი დედა ქართველისა თამარი.

„ვეფხისტყაოსანი“ თამარის საქართველოს უკვდავმოფელი ნაწარმოებია. ის არის ჩვენი კულტურის სწორუბოვარი ძეგლი, რომელიც რუსთაველმა დაუდგა თავის ეპოქას, რომლის მიღწევებით შთაგონებული ქმნიდა ის დიდი და რთული გარემოს ამსახველ ნაწარმოებს. ქმნიდა და შექმნა ძლევამოსილი საქართველოს ამსარკველი პოემა, რომლის ფურცლებზე ვხედავთ და ვცნობილობთ მხატვრულად უკუფენილ ისტორიულ წარსულს.

პოემაში ასახულია კონკრეტული ისტორიული ვითარება, რომლის პოლიტიკური სახეობა მონარქიზმია, ხოლო სოციალური ფორმაცია — ფეოდალიზმი. აქ მკითხველის წინაშეა: პოლიტიკის სფეროში — შეზღუდული მონარქიზმი, ხოლო სოციალურ სფეროში — პატრონყმური ფეოდალიზმი. ამ წყობილების იდეალურ სახეს და უმაღლეს მწვერვალს წარმოგვიდგენს „ვეფხისტყაოსანი“. და იმდენად დიდია მისი საისტორიო მნიშვნელობა, რომ — შეიძლება ითქვას — ყველაფერი დაკარგულიყო, ძირს დაცემულიყვნენ ჩვენი წინაპრების ხელით ნაშენი ნაგებობანი, მიწით ამოვსებულიყო ვარძიის გვირაბები, ხავსმოდებულ ყორედ ქცეულიყო ჩვენი ტაძრების, დარბაზების და ციხე-კოშკების ჩუქურთმები, ცეცხლის, მიწისძვრის და სამხედრო კატასტროფების მსხვერპლი რომ გამხდარიყო ჩვენი ოქროქედული საუნჯეები, ხელნაწერების და ფრესკების საგანძურები და ჩვენამდე რაღაც სასწაულით, მხოლოდ და მარტო „ვეფხისტყაოსანი“ მოედწია — ჩვენ მაინც შევიძლებდით XII საუკუნის საქართველოს სურათის აღდგენას. ამ ზომამდე დიდია „ვეფხისტყაოსნის“ საისტორიო მნიშვნელობა.

შოთა რუსთაველი თვით ამბობს, რომ ის არის თამარის ეპოქის ამსახველი:

„თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული“, — წერს

პოეტი. იგი განაგრძობს: „ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“ — იგულისხმება თამარი.

რუსთაველი ამბობს მეტსაც:

„მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი;
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის
მკვლარი“.

რუსთაველი ახსენებს არა მარტო თამარს, არამედ მის მეუღლესაც — დავით სოსლანს: „ვის ჰშვენის, — ლომსა, — ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა“, — ეს ლომი არის დავით სოსლანი. პოემის ბოლოში ის ნახსენებია პირდაპირ:

„ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებს' სარებლად,
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად“.

ეს კაცი, ვისაც თვით მზე მსახურებს ამ ქვეყნად, ვინც არის აღმოსავლეთიდან დასავლეთის ზარის დამცემი — დავით სოსლანია. პოემაში ნახსენებია არა მარტო თამარი და დავითი, არამედ მათი დიდი თანამედროვეებიც: მოსე ხონელი, იოანე შავთელი, სარგის თმოგველი:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ-მესია — შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ — სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა...“

პოემაში ნაგულისხმევია სხვა იმდროინდელი დიდი ქართველებიც. შოთა რუსთაველი ოთხჯერ ასახელებს ნაწარმოებში თავისთავს ამ დიდ ქართველთა შორის, როგორც მათი თანამედროვე და მახლობელი. ჯერ ნათქვამია:

„დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილ“.

იქვე:

„მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“,

შემდეგ:

„გწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“

დასასრულ:

„ტარიელ (უქია) მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა“.

ეს ყველაფერი მოწმობს იმას, რომ რუსთაველი თანამედროვეა თამარისა, რომელიც მეფობდა 1184—1213 წლებს შორის. ამ პერიოდში ცხოვრობდა, მოღვაწეობდა და თავის გენიალურ პოემას წერდა შოთა რუსთაველი, რომელმაც შექმნა საუკუნეთა მანძილზე დაცული და ჩვენამდე მოღწეული „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ფურცლებზე ვპოულობთ სანდო ცნობებს პოემის დამწერის შესახებ. ამ ცნობების მიხედვით „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არის რუსთაველი, კაცი დიდად განათლებული, დაახლოებული თამარის სახელმწიფო კართან, მაღალი ფეოდალური არისტოკრატიის შთამომავალი, რომელიც ტრიალებს იმდროინდელ დიდ ქართველთა შორის, გამოხატავს მათს კლასობრივ სულისკვეთებას და თავს გვაცნობს არა ნამდვილი საკუთარი სახელით, არამედ ზედწოდებით, რაც გვიჩვენებს პოეტის სადაურობას.

ეს ყველაფერი უდავო და უტყუარია. მაგრამ სადავო, საცილობელი და ბნელით მოცულიც ბევრი რამ გვხვდება რუსთაველის პიროვნების ირგვლივ. ასე მაგალითად: ჩვენ არ ვიცით რუსთაველის ნამდვილი გვარი, მისი დაბადების და გარდაცვალების წლები; უცნობია პოეტის ოჯახური ცხოვრების ამბები, საექვოა გავრცელებული პორტრეტის სინამდვილე, მიგნებული არ არის მგოსნის საფლავი. ჩვენამდე არ მოუღწევია „ვეფხისტყაოსნის“ დედანს, მისი ავტორის სხვა ნაწარმოებს და, დასასრულ, დანამდვილებით გარკვეული არ არის საქართველოს რომელი კუთხის შვილია რუსთაველი.

ამ უკანასკნელი საკითხის გარკვევას აძნელებს ის გარემოება, რომ ჩვენში გვხვდება ორი რუსთავი: ერთი ჰერეთის — თბილისის მახლობლად და მეორე მესხეთის — ახალციხის მახლობლად. საიდან იყო რუსთაველი? საისტორიო და სალიტერატურო ფაქტების უმრავლესობის მიხედვით რუსთაველი იყო მესხეთის რუსთავიდან. ამას გვიჩვენებს განსაკუთრებით ორი საბუთი: ჯერ — პოემის დასტური: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“ და შემდეგ — ქართველი ხალხის ტრადიციული შეხედულება, რომლის მიხედვით „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არის მესხი პოეტი.

მიუხედავად ამისა, როგორც ითქვა, ეს საკითხი არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი: ზოგიერთ რუსთაველოლოგს ყალბად მიაჩნია პოემიდან დამოწმებული ადგილი — „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, რაც თითქოს არა რუსთაველის, არამედ ვიღაც „მესხი მელექსის“ ნახელავია; გარდა ამისა, ყველასათვის სარწმუნო არ არის ხალხის ტრადი-

ციული შეხედულების სამეცნიერო მნიშვნელობა ამ საკითხის გასარკვევად.

საინტერესოა ვიკითხოთ: რით უნდა აიხსნას უდიდესი ქართველი პოეტის ბიოგრაფიული ცნობების ასეთი უქონლობა? რად არ შემოუნახავს ქართულ საისტორიო წყაროებს ცნობები და ფაქტები რუსთაველის შესახებ? ამ გარემოებას აქვს ორი მიზეზი: ერთი — ქართული კულტურის დაცემის პერიოდი, რაც მონღოლთა შემოსევის შედეგად მოჰყვა კლასიკურ პერიოდს და მეორე — ქრისტიანული ეკლესიის მსახურთა რეაქციული ნაწილის ბრძოლა რუსთაველის წინააღმდეგ. მონღოლთა ბატონობამ ძირს დასცა ჩვენი კულტურა, მოსპო უამრავი ისტორიული ძეგლი და გაანადგურა სიძველეთა საცავები და საგანძურები. ქრისტიანული ეკლესიის მსახურთა ჩამორჩენილი ნაწილი საუკუნეთა მანძილზე ებრძოდა „ვეფხისტყაოსანს“, შლიდა მისი გავლენის კვალს, სპობდა ავტორის შესახებ არსებულ ცნობებს და ხსენების აღკვეთით ლამობდა რუსთაველის გადავიწყებას.

საბედნიეროდ, ეს ცდა ამო აღმოჩნდა: ვერაფერმა ვერ შეძლო რუსთაველის ამოშლა ხალხის მეხსიერებიდან. მაგრამ ამ ცდის საზიანო შედეგი უწინაც იგრძნობოდა და დღესაც შეინიშნება. ამის ერთი მაჩვენებელი არის პოეტის ნაკლოვანი ბიოგრაფია. საგულისხმოა შემდეგი ფაქტიც: მოსალოდნელი ბრძოლისა და წინააღმდეგობის გამო რუსთაველი იძულებული გამხდარა თავიდანვე უარი ეთქვა პოემის სიუჟეტის ავტორობაზე. ამით უნდა აიხსნებოდეს პროლოგის ცნობილი ადგილები:

„აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“

და მომდევნო:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები.“

აქ რუსთაველი განზრახ, განგებ, მტრებისათვის თვალის ასახვევად უარყოფს შინაარსის საკუთრებას და მხოლოდ ფორმის კუთვნილებით კმაყოფილდება. სინამდვილეში, ცხადია, რუსთაველს ეკუთვნის როგორც შინაარსი, ისე ფორმა პოემისა, ეს არის სრულიად უდავო, თუნდაც იმიტომ, რომ არსად, არასდროს, არავის მიერ მიგნებული არ ყოფილა არათუ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი, არამედ მისი მსგავსი რაიმე ამბავი. გარდა ამისა, რუსთაველს რომ თქმა დასჭირდა „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის სპარსულობის შესახებ, სწორედ ეს ამ-

ტკიცებს, უწინარეს ყოვლისა, პოემის ქართულობას, ორიგინალობას და თვითმყოფლობას.

„ვეფხისტყაოსნის“ თემა არის გაიდებულულ გმირთა სიყვარული და მეგობრობა. პოემის ფაბულაა: სატრფოს დაქარგვა, ძებნა, პოვნა და დახსნა. ამ ფაბულაზე შენდება სიუჟეტი, რომელშიაც მოთხრობილია შმაგი სიყვარულით შეპყრობილი, ველადგაჭრილი მოყმის — ტარიელის თავგადასავალი. ამ სიუჟეტზე აგებულია პოემის შინაარსი, რაც გადმოცემულია პარალელური თხრობის კომპოზიციით, რომლის ერთ მხარეს წარმოადგენს ტარიელისა და ნესტანის თავგადასავალი, ხოლო მეორე მხარეს — ავთანდილისა და თინათინის ურთიერთობა.

„ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი გაშლილია მსოფლიოს ფონზე — მარყუპული უდაბნოებიდან მალრიბულ ტრამალებამდის — წყნარი ოკეანიდან ატლანტიკის ოკეანემდე. პოემის მოქმედება ხდება არაბეთში, ინდოეთში, მულღანხანზარში, გულანშაროში, ხატაეთსა და ქაჯეთში — როგორც რეალურ, ისე მოგონილ გეოგრაფიულ გარემოში. მაგრამ რეალური გარემოც აქ წარმოდგენილია საქართველოდან შორს და ზღაპრული ემოციური ელფერიტ.

რად დასჭირდა პოეტს, რომ საქართველოს ამსახველი პოემის შინაარსი გადაეტანა შორეულ ქვეყნებში? პასუხი ასეთია: დიდ ხელოვანს არ შეეძლო პოეტურად გავზიადებული მოქმედება გაეშალა იქ, სადაც თვითონ მოქმედებდა, და იმ დროში, როცა თვითონ არსებობდა. იდეალიზებული ხელოვნების ქმნილება ამით დაჰკარგავდა მხატვრულ დამაჯერებლობას. ამიტომ ნაწარმოების შინაარსი მან გადაიტანა სხვა დროსა და სხვა სივრცეში — მისგან შორეულ დროში და შორეულ ადგილას. და ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედება ხდება თითქმის ყველგან, მაგრამ არა საქართველოში, ამტკიცებს იმას, რომ რუსთაველი გულისხმობდა სწორედ საქართველოს. ამ ხერხით პოეტმა საქართველოს ამსახველი იდეალიზებული პოემა აქცია ზოგადსაკაცობრიო იდეების გამომხატველ, დიდად დამაჯერებელ რეალისტურ ქმნილებად.

რუსთაველის სიტყვით პოემაში გადმოცემულია „ამბავნი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი“, მაგრამ მისივე სიტყვით რომ ითქვას, აქ „შეფარვით“ წარმოდგენილია იმდროინდელი საქართველო — მისი სახელმწიფოებრივი სახე, ეკონომიური ვითარება, სოციალურ-პოლიტიკური წყობა და კულტურული მდგომარეობა — ქართველი ხალხის სიბრძნე, ნაფიქრ-ნაზარევი და იდეალები — ქართველი კაცის ხასია-

თი, განწყობილება და სულისკვეთება. ამას ამტკიცებს ბევრი რამ. ჩვენ შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე.

ქართულ საისტორიო პირველწყაროებში აღწერილია საქართველოს მეფის — გიორგი მესამის ქალის, თამარის, გამეფება. „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისში აღწერილია არაბეთის მეფის— როსტევანის ქალის, თინათინის, გამეფება. ეს ორი აღწერილობა საგრძნობლად ჩამოჰგავს ერთმეორეს. ასეთივე მსგავსებაა საქართველოს ისტორიულ მოვლენებსა და „ვეფხისტყაოსნის“ თემატურ მოტივებს შორის. ასე, მაგალითად: „ამომავალი მზის დარი“ თამარი მამამ, გიორგი მესამემ, თავის სიცოცხლეში აიყვანა საქართველოს ტახტზე, სწორედ ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსანში“ „სოფლისა მნათი მნათობი“ თინათინი მამამ, როსტევანმა, თავისივე სიცოცხლეში გაამეფა არაბეთის ტახტზე. ეს მსგავსება შემთხვევითი არ არის. ამ საგულისხმო მოვლენას ვხვდებით პოემის პირველ სურათშივე. აი, ეს სურათი:

ოდეს მოხუცდა როსტევანი, „იხმნა ვაზირნი, თვით ზის ლალი და წყნარია, გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბნარია. უბრძანა: კეთხავთ საქმესა ერთგან სსაუბნაროსა: რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამკნაროსა, იგი წაგა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.

მეფემ განაგრძო:

„მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჳირთა უფრო ძნელია, დღეს არა, ზვალე მოვეკვდები, სოფელი ასრე მქმნელია: რაღა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?! ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფელ, ვისგან მზე საწუნელია“.

მაშინ ვაზირებმა უთხრეს მეფეს:

„...რად ბრძანე თქვენი ბერობა!
ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმართებს მისივე ჳერობა:
მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჳკადრა მტერობა?!
მაგას ნუ ბრძანებთ, მეფეო, ჳერ ვარდი არ დაგჳკნობია,
თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია“.

მაგრამ, რადგან მოგსურებიათ, „სჯობს და მას მიეც მეფობა. ვისგან მზე შენაფლობია“, და დაასკვნეს ვეზირებმა:

„თუცა ქალია ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა ღია;
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
ლუკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.“

ამ სიტყვებში გამოხატულია მამაკაცისა და ქალის თანასწორობის იდეა. ეს იდეა, ცხადია, რუსთაველს არ ესმოდა ისე ფართოდ, ღრმად და რეალურად, როგორც გვესმის იგი დღეს ჩვენ, სოციალისტური სამშობლოს მოქალაქეებს, მაგრამ მისი თუნდაც მარტო ხსენება — და ისიც რვაასი წლის წინათ — ნიშნავს რუსთაველის აზროვნების უჩვეულო პროგრესულობას და ამტკიცებს იმას, რომ პოეტი შთაგონებულია თამარის ადამიანური სიმაღლით და სიდიადით. სწორედ თამარის — ქართველი ქალის სიდიადემ ათქმევინა რუსთაველს ეს დიდი აზრის შემცველი სიტყვები, მანვე მისცა მას საფუძველი „ვეფხისტყაოსანში“ დაეხატა ისეთი ქალები, რომლებიც, არათუ დგანან მამაკაცების გვერდით, არამედ ხშირად წინაც კი უსწრებენ მათ: ისინი ამყლავნებენ დიდ გონიერებას, უწმინდეს გრძნობებს, ფაქიზ გემოვნებას, ხასიათის სიმტკიცეს და ზნეობრივ სიმაღლეს; ხშირად ისინი უხსნიან სიყვარულს ჰირველნი მამაკაცებს, უგზავნიან სატრფიალო ბარათებს, აძლევენ საგმირო დავალებებს და მიუთითებენ ამ დავალებათა შესრულების გზებზე. როცა პოემის ამ სიუჟეტურ კვანძებს და მხატვრულ სახეებს ქმნიდა რუსთაველი, უდავო არის, მას მხედველობაში ჰყავდა თამარი, მხედველობაში ჰქონდა საქართველო.

ეს ყველაფერი გვაძლევს საფუძველს ჩამოვაყალიბოთ პირველი დასკვნები: შოთა რუსთაველი და თამარ მეფე ერთმანეთის თანამედროვენია. მათი ეპოქა XII საუკუნის მეორე ნახევარი და XIII საუკუნის დასაწყისია. რუსთაველი ამ ეპოქის ამსახველია. მისი ქმნილება საქართველოს ისტორიის კლასიკური პერიოდის უკვდავმოფელი ნაწარმოებია, რომელშიაც დიდი ხელოვნებით გამოიხატა ქართველი ხალხის ეროვნული სახე. ამით მოიპოვა „ვეფხისტყაოსანმა“ შეუცვლელი ადგილი ჩვენი ეროვნული კულტურის მწვერვალზე; ამიტომ არის შოთა რუსთაველი ჩვენი უკვდავი ნაციონალური პოეტი.

კერძო-ეროვნული დამსახურების გვერდით რუსთაველს გააჩნია ასევე ზოგად-საკაცობრიო დამსახურება. ეს არის მისი შემოქმედების მეორე მხარე, პირველ მხარესთან განუყოფელ კავშირში წარმოდგენილი. პოეტმა თავისი ეროვნული და საკაცობრიო დამსახურებით მე-

ტად საპატიო ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიო მნიშვნელობის გენიოსთა შორის. ეს ადგილი მან მოიპოვა ღრმა და ნათელი მსოფლმხედველობით.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს ამ მსოფლმხედველობის ძირითადი არსის გარკვევა. ამისათვის საჭიროა ნათელვყოთ პოეტის დამოკიდებულება რელიგიასთან, მისი შეხედულება სამყაროზე და მოსაზრებანი ადამიანის შესახებ. აქ სამი უმთავრესი საკითხია: რუსთაველი და რელიგია; რუსთაველი და სამყარო, რუსთაველი და ადამიანი.

რუსთაველი უარყოფს ყველა არსებულ ორთოდოქსალურ რელიგიას, იგი არ არის მიმდევარი არც ერთი ოფიციალური სარწმუნოებისა: პოეტი არ არის ქრისტიანი, არც მაჰმადიანი, არც წარმართი, არც სხვა რომელიმე რელიგიის მალიარებელი, თუმცა ის არ არის არც უღმრთო, ათეისტი — მას სწამს ღმერთი, მაგრამ მისი ღმერთი არის არა რომელიმე დოგმატიკური რელიგიის ღვთაება, არამედ ჩვენს მიღმა არსებული უძლეველი ძალა, ყოველგვარი რელიგიისაგან დამოუკიდებელი უზენაესი კოსმიური მოვლენა, „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“. ამ ღვთაების სრულ განსაზღვრას და მისდამი რწმენის ნიშანს ასე გვაძლევს რუსთაველი:

...ენ დაბბაღა, შეძლებაცა მანვე მომცა ძღვევად მტერთა,
ვინ არს ძალი უხილავი შემწოდ ყოვლთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებეს, ზის უკვდავი ღმერთი და მტერთად, —
იგი ვაჰხდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად.

ასეთია რუსთაველის ღმერთი — ეს ბუნების უმაღლესი, უშუალო ძალა, რომელმაც, პოეტის თქმით, „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავით ფერთა“. ამ ღმერთმა შექმნა სამყარო, ადამიანთა საკეთილდღეოდ დასახა ყველაფერი და ჩვენვე მოგვცა შეუზღუდველი ხელმწიფობა უსასრულო ბუნებაში. ასეთი ღმერთი სწამს რუსთაველს. ამას ამტკიცებს მისი აზროვნების მთელი სისტემა, გამოხატული პერსონაჟთა იდეური რწმენით, ქცევა-მოქმედებით და სიტყვა-პასუხით. ამასვე ამტკიცებს შემდეგი საგულისხმო ფაქტები: „ვეფხისტყაოსანში“ არც ერთხელ არ არის ნახსენები ქრისტე, არც ღვთისმშობელი, არც ქრისტიანული წმინდანები, არც ღმერთის სამპიროვნება და არც სამების ერთიანობა; ხოლო „მაჰმადის სჯულის მპირავნი“, მათი მოძღვრები და სამოძღვრო წიგნები პოემაში მოხსენებულია დაცივნით და დამამკირებლად. აქ ნახსენები ღმერთი ხშირად სიტყვის მასალაა და არა რწმენის მაჩვენებელი. ასეთივეა ავ-

თანდილის ლოცვა — ნათქვამი არა რელიგიურ სამლოცველოში, არამედ ბუნების წიაღში — რაც უფრო ურელიგიო ადამიანის გალადე-ბული დაღადა, ვიდრე ცრურწმენის მატარებლის მონური სათხოვარი:

„ილოცავს, იტყვის: „მაღლო ღმერთო ხმელთა და ცათაო, ზოგჯერ მომცემო პატიეთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო, უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო, მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის-თქმათაო! ღმერთო, ღმერთო, გეაჩები, რომელი ჰფლობ ქვენათ ზესა, შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა; მე სოფელმან მამაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა; ნუ აღმოჰგზავნი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა! ღმერთო, ღმერთო მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე, შენგან ვითხოვ შეწვენასა, რაზომსაცა გზასა ველოდე: ჰტერათ ძღვეა, ზღვათა ლეღვა, ღამით მავნე განმარდე! თულა დაერჩე, გამსახურებდე, შენდა მსხვერპლსა შევსწირვიდე“.

ერთიანი, მთლიანი და განუყოფელია რუსთაველის სამყარო. იგი შედგება მიწისა, წყლისა, ცეცხლისა და ჰაერისაგან. პოეტი ახსენებს საიქიოს, მაგრამ არ სწამს მისი არსებობა — იგი მისთვის უკაცრიელი არარაობის და უსიცოცხლო სიცარიელის გამომხატველია. რუსთაველისათვის არსებობს მხოლოდ ხილული სააქაო — ეს მზით მოოქროვილი და მთვარით დავერცხლილი „ტურფა საბაღნარო“. ერთადერთი სამყოფელი ყველა სულდგმულის და მათი უმაღლესი წარმომადგენლის — ადამიანის. სიცოცხლე არსებობს მხოლოდ იმ დიდ სამყოფელში, სხვაგან მარტო სიკვდილია და არყოფნის უკუნეთი. აქ ყოფნა და სხვაგან არყოფნა. აქ ყოფნის ღირსება განუზომელია, რადგან ამქვეყნიური არსებობის შემცილებელი არ ჩანს არსად არაფერი, რუსთაველის სამყაროში არსებობს ერთი შეუცილებელი და შეუდარებელი ამქვეყნიური სიცოცხლე და ამიტომ იგივეა შემცველი ყველა შენიშნული ნათელი და ბნელი მხარისა: აქ არის სიკეთეც და ბოროტებაც, ბედნიერებაც და უბედურებაც, სიამეც და ტკივილიც, სიტკბობაც და სიმწარეც. პოეტი ამბობს:

„საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხვდების;
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების“.

რუსთაველი ამ საწუთროს მომღერალია. მის შეუდარებელ სიდიადეს გვიჩვენებს იგი მისივე ნაკლოვან მხარეებთან ერთად. ამ სიდიადის საწყისად რუსთაველმა წარმოადგინა სიკეთე, ხოლო ნაკლოვანე-

ბის საწყისად — ბოროტება. ასე გვიჩვენა სიკეთისა და ბოროტების თანაარსებობა, მათ შორის ბრძოლის გარდუვალობა და, დასასრულ, სიკეთის გამარჯვების აუცილებლობა.

ვინ არის მებრძოლი რუსთაველის მსოფლმხედველობით?

— მებრძოლი არის ადამიანი.

რუსთაველის ადამიანი არის მთლიანი, ერთიანი, უსრულესი და ულამაზესი არსება. ის უმადლესი ქმნილებაა სამყაროსი და მეფეა ბუნებისა. ადამიანი ორგანული ნაწილია გარემყარისა და განუყოფელია ისევე, როგორც სამყარო. პოეტი ახსენებს სულსა და ხორცს, მაგრამ სწამს მათი განუყოფელი ერთიანობა — რაც ადამიანის სახით არის წარმოდგენილი, სწორედ ისევე, როგორც ახსენებს სააქაოს და საიჭიოს, მაგრამ სწამს მათი განუყოფელი ერთიანობა — რაც ხილული სამყაროს სახით არის წარმოდგენილი.

რუსთაველის ადამიანი დგას სიკეთის მხარეზე და ებრძვის ბოროტებას. ის შემკულია მაღალი ადამიანური ღირსებებით: სიყვარულით, მეგობრობით, გმირობით, პატიოსნებით, სათნოებით, უშურველობით, კეთილშობილებით და იბრძვის საყოველთაო სიკეთისა და ბედნიერებისათვის. იგი აქცევს სისხლს ბრძოლის ველზე, ოფლს — შრომის ასპარეზზე და ცრემლს — როგორც დიდი სიხარულის, ისე დიდი მწუხარების ჟამს. სისხლის, ოფლისა და ცრემლის ღვრა კი არ ამცირებს, არამედ, პირიქით, ამაღლებს, აცისკროვნებს და აკეთილშობილებს ადამიანს, უკეთუ მათი ღვრა ხდება სიკეთისა და სიმართლისათვის.

პოეტი ამბობს: „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“ — ხშირად დიდი მანძილია კაციდან კაცამდე, მაგრამ ვინც არის ნამდვილი კაცი — ის არის ბრძენი, უხვი, მოწყალე, შეუპოვარი, თავმდაბალი, სამართლიანი — სიტყვის მთქმელი და შემსრულებელი, ფიციის მიმღები და არ-გამტეხი, მომთხოვნი და მოჭირნახულე. მან იცის კირგადახდილი სიკეთის ფასი და ბრძოლით მოპოვებული ბედნიერების ღირებულება. მგოსანი ამბობს:

„მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდიხდის კაცი ჭირსა.
კაცსა მიჰხედეს საწადელი; რას ეძებდეს, უნდა პოვნა,
მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასრულთა ჭირთა ხსოვნა“.

რუსთაველი განაგრძობს:

„მაშა, ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უმუშაო?
მარგალიტი არვის მიჰხედეს უსასყიდლოდ, უვაქრელად“.

და ეს იმიტომ, რომ ცხოვრებაში „ვარდნი უეკლოდ არვის მოუქრებინან“. პოეტი ასე გამოხატავს სიკეთისათვის ბრძოლის საჭიროებას:

„ვარდსა კითხვის: „ეგზომ ტურფა რამან შექმნა ტანად, პირად? მიკვირს, რად ხარ ეკლიანი? პოვნა შენი რად არს ქირად? მან თქვა: „ტკბილსა მწარით ჰპოვებ, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად; ოღეს ტურფა გაიფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად!“

„ტკბილსა მწარით ჰპოვებ“, — ამბობს რუსთაველი. აქ გამოხატული სიბრძნის მიხედვით სიტკბოება სიმწარის გზის გავლით მოიპოვება, სიკეთე და ბედნიერება მხოლოდ ბრძოლით მიიღწევა. პოეტი განაგრძობს:

„აქვებ ჰკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებინან“.

იგი აქვებს ჰკუას ისეთ ბრძენისას, რომელიც მტერს ეურჩება, დაბრკოლებას სპობს და სიძნელეს ებრძვის. პოეტმა შექმნა მოძრავი, მოქმედი და მღელვარე ცხოვრების ფილოსოფიის გენიალური ფორმულა: „ბედი, ცდა და გამარჯვება“, რომელშიაც თუმცა დაუთმო ადგილი ბედისწერას, მაგრამ ცხოვრების გადამწყვეტი აზრი დაინახა ცდასა და გამარჯვებაში. „ცდა და გამარჯვება“ — ეს არის რუსთაველის მსოფლგაგების გამოხატველი უმოკლესი გამონათქვამი.

ის არის დიდად საყურადღებო, რომ ეს მოძრაობის, მოქმედების, ბრძოლისა და გამარჯვების მოძღვრება რუსთაველმა იქადაგა კაცობრიობის ისტორიის უმძიმეს პერიოდში — შუა საუკუნეებში, როცა მსოფლიოში მძვინვარებდა ქრისტიანული სქოლასტიკის ბნელი რეაქცია, რომელიც ძირშივე სპობდა წინააღმდეგობის, მოქმედებისა და ურჩობის ყოველგვარ ცდას და ქადაგებდა მხოლოდ მონობას, მოღუწებას, მორჩილებას და გულგრილ ჰერეტას. ამ დროს ანთო რუსთაველმა თავისი ნათელი აზროვნების ჩაუქრობელი ჩირადანი და საუკუნეთა სივრცეზე გაუნათა გზა მიძინებულ კაცობრიობას. ასე დაგვირგვინდა ქართული რენესანსი — დიდი კულტურის უმაღლესი მწვერვალი აღმოსავლეთში და საქართველოდან დაიძრა სხივი მსოფლიო აღორძინების მზის ამოსაყვანად, მაგრამ ამ სხივს წინ გადაეღობა მონღოლთა ველური ძალა, რამაც დაჩრდილა ჩვენში ანთებული რენესანსის კერა, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე განუზომელი ეროვნული მნიშვნელობა შეინარჩუნა და ჩვენი მარადიული სიცოცხლე უზრუნველჰყო.

რუსთაველის მსოფლმხედველობის შუქის მომფენი და სრული სახით მაჩვენებელი არის პოეტის ნათელი აზროვნება, გამოხატული ბრძნულ გამონათქვამებში — აფორიზმებში. რუსთაველი არის პოეტი-ბრძენი, ბრძენი — პოეტი. „ვეფხისტყაოსანი“ ფილოსოფიური პოეზიის ძეგლია. თქვენ ვერ აღმოაჩინებთ აქ საზღვარს — სად მთავრდება სიბრძნე და სად იწყება ხატვა, ერთმანეთზე გადახლართულია სიტყვით შემოქმედების ეს დიდი მხარეები.

პოეტი ამბობს ნაწარმოების დასაწყისშივე: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“. აქ შაირობა ანუ პოეზია, საერთოდ, სიტყვაკაზმული ხელოვნება, მიჩნეულია სიბრძნის დარგად, აზროვნების სფეროდ. რუსთაველმა პოეზია მიიჩნია სიბრძნის სფეროდ და კიდევ გამოხატა დიდი სიბრძნე პოეზიის ენით. ამის მაჩვენებელია პოემაში გაფანტული ბრძნული გამონათქვამები — ეს „ხელისხელ საგომანები“ მარგალიტები, რომლებიც გაფანტულან „ვეფხისტყაოსანში“ და თითქმის ყოველი სტროფიდან უხვად აფრქვევენ მოელვარე აზრების სხივებს. მოკლეა და სხარტი, ლამაზი და მკვეთრი რუსთაველის ყოველი აფორიზმი. ორ სიტყვას იტყვის პოეტი და ღრმა აზრია გამოკვეთილი, მაგალითად: „სიყვარული აღგვაძალღებს“, ან კიდევ: „სიძუნწე უმეცრულია“; სამ სიტყვას ამბობს მგოსანი, მაგალითად: „უხვი ახსნილსა დააბამს“, ან „წყენააო ჳირთა ბადე“, ან კიდევ: „ტკბილსა მწარით ჳპოვებ“ — და დაუვიწყარი აზრებია აქ გამოთქმული: ოთხ სიტყვას ამბობს პოეტი, მაგალითად: „სხვა სხვისა ომსა ბრძენია“, ან „დიდი ღზინია ჳირთა თქმა“, ან კიდევ: „უგულო კაცი ვერ კაცობს“ — და აქაც ღრმა და უხვი აზრებია ძუნწი ფრაზით წარმოდგენილი.

რუსთაველი გვახსენებს: „ჳირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვიტიკირსა“, გვაიმედებს: „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“, გვასწავლის: „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჳგმირდეს“, გვიჩვენებს: „სჯობს სახელისა მოხვეჳა ყოველსა მოსახვეჳელსა“, გვარიგებს: „რასაცა გასცემ შენია, რას არა, დაკარგულია“.

რუსთაველი სამართლის დამდგენს მიუთითებდა: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელღად“, — გადიდაცებულს მოაგონებდა: „დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწევას ნაბერწყალი“, გალაღებულს მოუწოდებდა: „მიეც გლახაკთა საჳურჳლე, ათავისუფლე მონები“.

იგი გვიჩვენებს, გვასწავლის და გვარიგებს: „უხვსა ჳმორჩილობს

ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია“, „ფათერაკი სწორედ მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი“, „სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“, „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია“.

რუსთაველმა იცის:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მაცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“

რუსთაველის აზროვნების ეს უსაზღვრო სიმდიდრე მეტწილად ქართველი ხალხის სიბრძნის საგანძურიდან ნასესხები საუნჯეა, რომელსაც პოეტმა მოუძებნა ისეთი გამძლე სამოსელი, რომ საუკუნეთა მანძილზე გახდა უცვლელი და გაუხუნარი. აქ იგრძნობა უწინარეს ყოვლისა ხალხისა და პოეტის სიახლოვე. იმდენად დიდია ეს სიახლოვე, რომ ბევრი რამ რუსთაველის ნათქვამი ხალხმა თავის თავს მიაწერა და საკუთარ ნათქვამად მიიჩნია, სამაგიეროდ ბევრი რამ ხალხის ნათქვამი იმავე ხალხმა რუსთაველს მიაწერა და მის ნათქვამად გამოაცხადა. ასე წაიშალა საზღვარი ხალხსა და რუსთაველს შორის, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ამაღლდა ხალხის იდეური მოთხოვნების დონემდე და შეიძლო მისი სიბრძნის გამოხატვა. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ქვეყანაზე უდიდესი ბრძენი არის თვითონ ხალხი. შოთა რუსთაველი ქართველი ხალხის სიბრძნისა და გამოცდილების სწორუბოვარი გამოხატველია.

გუშინ იღვა იგი ჩვენი წინაპრების გვერდით — მათს მწუხარებას ანახევრებდა და სიხარულს აორკეცებდა, დღეს დგას ჩვენი თაობის მოწინავე რიგებში — შრომასა და ბრძოლაში გვეხმარება, ხვალ იქნება ამ თაობის შთამომავალთ შორის, როგორც მათი სიკეთის ერთი წინამორბედი. ამით მართლდება რუსთაველზე მისი მშობელი ხალხის ნათქვამი: გლოვაში იყო ზარის მთქმელი, ქორწილში ახლდა ლამაზ პატარძლებს, ყანებში შრომას ამსუბუქებდა და ბრძოლის ველზე იგებდა ომებს.

ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს ჩამოვაყალიბოთ მომდევნო დასკვნები: შოთა რუსთაველი თავისი ეპოქის ერთი მეტად მოწინავე, მსოფლიო მნიშვნელობის მოაზროვნეა. ის გამოხატავს საკუთარი დროისათვის უალრესად პროგრესულ დამოკიდებულებას რელიგიის მიმართ, ავითარებს სწორ იდეებს სამყაროს შემეცნებისა და ადამიანის

დანიშნულების განსაზღვრისას და ქმნის ღრმადგონივრულ მსოფლ-მხედველობას საკაცობრიო კულტურის უსრულესი განზომილებით.

(ახლა ჩვენ) ვილაპარაკებთ „ვეფხისტყაოსნის“ იდეური მოტივების და იდეის შესახებ; აქ ვიტყვით უმთავრესს, უფრო საყურადღებოს და შევჩერდებით მხოლოდ იმაზე, რაც ნიშანდობლივია კერძოდ რუსთაველისათვის.

„ვეფხისტყაოსნის“ იდეური მოტივებია: სიყვარული, მეგობრობა და გმირობა.

ვიწყებთ მთავარი იდეური მოტივის — სიყვარულის განხილვას. რუსთაველის სიყვარული არის დიდი გრძნობა — ფაქიზი და წმინდა, მაღალი და ღრმა, ძლიერი და მტკიცე, იგია გრძნობა ამქვეყნიური, მიწიერი, ის არის წყარო შთაგონებისა, ბიძგი წინსვლის და შემოქმედების, ამამაღლებელი, სრულმყოფელი და გამაჰკეთილშობილებელი ადამიანისა. „სიყვარული აღგვამაღლებს“, — ამბობს რუსთაველი. დიდი სიბრძნეა გამოთქმული ამ ორი სიტყვით.

რუსთაველმა დაგვიხატა სიყვარულის სხვადასხვა სახეობა: ჰუმანურობა, მიჯნურობა, პატრიოტიზმი, მშობლიური გრძნობა.

რუსთაველი დიდი ჰუმანისტია — ადამიანთა სიყვარულის მქადაგებელი. „კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა“, — ამბობს პოეტი. იგი განაგრძობს: „არ-დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიჯამს ზიანსა; ვჰვამობ კაცსა აუგვიანსა, ცრუსა და ღალატისა“. პოემაში ბევრი რამ არის ნათქვამი და ნაკეთები იმისათვის: „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“. ამავე საფუძველზე გაისმა აქ იმ დროისათვის სრულიად უჩვეულო მოწოდება: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“. რუსთაველის სოციალურ გარემოში უფრო დიდი სამართლის განჩინება შეუძლებელი იყო.

რუსთაველი მიჯნურობის მგალობელია — ჭაბუკისა და ქალწულის ტრფიალების. მის მიერ დახატული „მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი“. ის გვასწავლის: „მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი: იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი“, და მოითხოვს: „ნურენ გარევთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნაუბარი!“ მიჯნურობა წმინდა ტრფიალებაა, სიძვა კი — ლტოლვა უგულო. მარტოოდენ ხორციელი სწრაფვა. რუსთაველს სძულს „უგულო სიყვარული“, ქვენა გრძნობათ უზღუდველი თარეში და ვნებათა აშლილობა.

პოემაში ორი წყვილი გამოხატავს წმინდა ტრფიალებას: ტარიელი და ნესტანი, ავთანდილი და თინათინი. სიძვეურ ლტოლვას წარმოგვიდგენს მსუბუქი ქცევით და ზერელე გრძნობით ცნობილი ფატმანი.

რუსთაველი პატრიოტიზმის მეხოტბეა — სანშობლოს სიყვარულის მაღიდებელი. ამ უქანგველ გრძნობას გამოხატავს აქ ყოველი დადებითი გმირი, განსაკუთრებით ნესტან-დარეჯანი, რომელსაც ეკუთვნის სიტყვები: „ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“, იგივე ამბობს: „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა“. ქაჯთა ციხეში გამომწყვდეული ნესტანი თავის უკანასკნელ წერილში იმას კი არ თხოვს ტარიელს, რომ — მოდი, მე დამიხსენიო, არამედ პირიქით — „წადი, ინდოეთს მიმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა, მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელ-აღუპყრობელსა“.

რუსთაველი ასახავს მშობლიურ სიყვარულს — მშობლის გრძნობას შობილისადმი და შობილის გრძნობას მშობლისადმი — გრძნობას, რომელსაც წმინდად ინახავს თვით უდაბლეს საფეხურზე მდგომი ადამიანიც. პოემაში ამ სათუთ სიყვარულს გამოხატავენ როსტევენი და თინათინი.

ასე მრავალსახოვნად და ამომწურავი სისრულით არის წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსანში“ სიყვარულის გრძნობა.

გადავიღვართ მეორე იდეური მოტივის — მეგობრობის განხილვაზე.

მეგობრობას პოეტი უწოდებს მოყვრობას. სიტყვა — მოყვრობა მომდინარეობს სიყვარულისაგან. სადაც არის სიყვარული, იქვე არის მეგობრობა — სადაც არის მეგობრობა, იქვე არის სიყვარული. სიყვარული და მეგობრობა ერთმანეთისაგან განსხვავებული, მაგრამ თანაბარი და ურთიერთდამოკიდებული მხარეებია ადამიანისა, ისინი ამშვენებენ მას, წარმოადგენენ მის სულიერ სამკაულებს.

სამი რამ არის რუსთაველის აზრით მეგობრობის მაჩვენებელი: „პირველ ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ მოთმენა“, — ეს ერთი „მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ მოწყენა“, — ეს მეორე. „გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა“, — ეს მესამე. ესე იგი: სიახლოვე, უშურველობა და თავდადება. აი, ნიშნები მეგობრობისა. ამ ნიშნებით არის შემკული აქ ყოველი მეგობარი — უწინარეს ყოვლისა ავთანდილი. მისი სიტყვით გვამცნო რუსთაველმა მეგობრობის დიდი მნიშვნელობა და მისი საქმით გვიჩვენა მეგობრული თავდადების საზეიმო შედეგი. იგი ამბობს:

„ხამს მოყვარე მოყვარისათვის თავი ჰკირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული — გზად და ხიდად“.

პოემაში ნათქვამია:

„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

მსგავსად სიყვარულისა, მეგობრობაც „ვეფხისტყაოსანში“ წარ-
მოდგენილია ყველა სახეობით. აქ არის მეგობრობა ჭაბუკების — ტა-
რიელის, ავთანდილის და ფრიდონის — „მათ სამთა გმირთა მნათობთა
სჭირთ ერთმანერთის მონება“. ეს არის „მონება“ სიყვარულისა და მე-
გობრობისა. აქ არის მეგობრობა ქალების — ნესტანისა და ასმათის,
ფატმანისა და ნესტანის. აქვეა მეგობრობა ვაჟსა და ქალს შორის. ხში-
რად კითხვის ქვეშ დასმული და საეჭვოდ ქცეული ეს სახე მეგობრო-
ბისა რუსთაველმა გახადა უეჭველი, როცა დაგვიხატა თვით მსოფლიო
ლიტერატურაში არნახული წარმტაცი მეგობრობა ვაჟისა და ქალისა —
ტარიელისა და ასმათის მეგობრობის სახით. დასასრულ, პოემაში და-
ხატულია ხალხთა მეგობრობა.

ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის კერძო მეგობრობის გან-
ზოგადებით მგოსანი იძლევა ხალხთა მეგობრობის უჩვეულო სუ-
რათს:

„მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს,
ერთმანერთსა ნახვილიან, საწაღელნი გაუსრულდეს“.

დამეგობრებულ ხალხთა სამეფოებში ძმადნაფიცი მეფეები, რუს-
თაველის თქმით, „ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოა-
თოვდის, ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდის.
ავის მქმნელნი დააშინნეს, კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს“. ამ სურათის
დახატვით რუსთაველმა ჯერ — შეფარვით გვიჩვენა მაშინდელი სა-
ქართველოს მრავალხარისხოვანი სახელმწიფო და შემდეგ ნათლად
გამოამჟღავნა საკუთარი პროგრესული შეხედულება ხალხთა ურთიერ-
ობის პოლიტიკის სფეროში. იგივე შეხედულება ხაზგასმულია იქ,
სადაც ავთანდილის სიმღერის მოსასმენად და შესამკობად რუსთავე-
ლმა დასძრა მთელი მსოფლიო:

„ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მადრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი“.

ასეა წარმოდგენილი მეგობრობა „ვეფხისტყაოსანში“.

გადავიდეთ მესამე იდეური მოტივის — გმირობის განხილვაზე:

გმირობა ერთი ღირსეული ნიშანია რუსთაველის ადამიანისა. გმირობის ვარეშე არ არსებობს კაცი დიდბუნებოვანი. გმირობა არის უმაღლესი ადამიანური უნარი, მიზნის საშუალება, საწადელის ღონისძიება. ის საშუალებაა და არა მიზანი, ღონისძიებაა და არა თავისთავადი მნიშვნელობის მოვლენა. პოემაში გმირობა ყოველთვის პირობაა რაიმე მაღალი იდეალისა, რომლის მსახურს წარმოადგენს გმირი. იდეალი გმირის საწადელია, გმირობა წვდომის საშუალებაა. იგი გზა არის — სიყვარულის და მეგობრობის შუქით განათებული — რომელსაც მიეყვართ დიდი მიზნის შესრულებამდე. ეს მიზანი აქ სხვადასხვა სახით გვევლინება. მათ შორის უნდა აღინიშნოს:

სამშობლოს დაცვა — ნაჩვენები ტარიელის ბრძოლით ხატაეთის წინააღმდეგ.

სიმართლის გამარჯვება — ნაჩვენები ტარიელის ქცევით ხვარაზმ-შას შვილის მიმართ.

ძმადნაფიცის შევლა — ნაჩვენები ავთანდილის და ფრიდონის მოქმედებით,

ადამიანის დახსნა — ნაჩვენები ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის ბრძოლით ქაჭეთის წინააღმდეგ.

და მთავარი მიზანი — გამომხატველი პოემის იდეური შინაარსისა, სიკეთის წვდომა — ნაჩვენები მთელი ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ერთიანობით.

დიდი მიზნისათვის ბრძოლის ასპარეზზე წარმატების საფუძველს წარმოადგენს გმირობა — გმირობა წმინდა სიყვარულით და უანგარო მეგობრობით შთაგონებული. ამგვარი გმირობა ახდენს სასწაულს და იმოსება გამარჯვების შარავანდედით. ამ გამარჯვების ლალი ზემი ხშირად გამოკრთის „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური სურათებიდან. ერთი ასეთი სურათია ლომ-ვეფხის დახოცვის ამბავი — ეს მხატვრული შემადგენელია და ერთ-ერთი მწვერვალი პოემის სიტყვაკაზმულ უღელტეხილზე. სურათს წინ უძღვის ტარიელისა და ავთანდილის გენიალური პოეტური დახასიათება. მთლიანი სახით ეს დაუეფიყარი მხატვრობა ასე გამოიყურება: ავთანდილი ხელმეორედ ეახლა ტარიელის გამოქვაბულს, სადაც პირობის თანახმად ძმადნაფიცი უნდა დახვედროდა, იქ კი დახვდა მარტო ქალი — ასმათი. ძმადნაფიცმა მოიკითხა ძმადნაფიცი. ქალმა უთხრა: შენ რომ წახველი, გაიპრა, „აწ მისი არა არ ვიცი“. ავთანდილმა გამოთქვა საყვედური: „ვერ იქმოდა, რად მიქადა, თუ მიქადა, რად მიტყუა?“ ღობილმა დაიცვა ძმობილი: „ჯერათ მისი მსგავ-

სი სასჯელი არცა ვის ამბად ჰსმენია“, — ავთანდილიც გაამართლა, მაგრამ დასძინა: „სხვა სხვისა ომსა ბრძენია“.

ავთანდილი ტოვებს გამოქვაბულს, ეძებს ტარიელს, სამ დღეში „მოვლო მრავალი ხევი, შამბნარი, ტყე, ველი“ და, დასასრულ, ქედის მიღმა მზიან-ჩრდილიან მინდორზე დაინახა ტარიელის ცხენი — „დგა სადავე-უჭუ ყრილი“. „ვით გრივალმან ჩაირბინა“ და წინ გადაეშალა შემზარავი სურათი: გულწასული, პირადმა იწვა ტარიელი. „საყელონი გარდებიენეს, თავი სრულად გაეგლიჯა, მას აღარა შეესმოდა, სოფლით გაღმა გაებიჯა“. ცნობა დაჰკარგოდა, სიკვდილს მიახლოებოდა. „ერთკერძ უც ლომი მოკლული და ხრმალი სისხლ-მოცხებული, კვლა სხვაგან ვეფხი უსულო, მკვდარი, ქვე-დანარცხებული“, ყრმა „გარდი-ჭრა, ძმა გამოაჩენს ძმობასა“. ტარიელმა „იცნა, აკოცა, მოეჭდო, მოემობილა“.

ავთანდილმა დაარიგა: „თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა: ხამს მამაცი მამაცური, სჯობს რაზომცა ნელად ტირსა. ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა“. ჰკადრა საყვედური: „ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებრ, მინდორს სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულებ?“ და ურჩია: „რაცა არ გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“. ტარიელმა უპასუხა: „ძმაო, რა ვითხრა, ძრვაცა არ ძალ-მიც ენისა, ძალი არა მაქვს ხელქმნილსა შენთა სიტყვათა სმენისა“. ავთანდილის ნებისა და გონების ფილოსოფიას ტარიელმა შეახვედრა გულისა და გრძნობის ფილოსოფია: „ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდ რა ვინ გივაზიროს!“ — და დასძინა: „ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა, ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცადა ვიყო ცნობასა“.

ასე მრავალფეროვნად გვიხატავს რუსთაველი ადამიანებს.

აქ ორი ადამიანია წარმოდგენილი, ორი ხასიათი: ერთი — ინტელექტის, ნება-გონიერების; ეს ავთანდილია; მეორე — გულის, გრძნობა-ემოციების; ეს ტარიელია. ასე არის აქ მოცემულ კონკრეტულ პირობებში, აქ აღწერილ გარემოსა და ვითარებაში. სხვა ადგილას, სხვა კონკრეტულ პირობებში ავთანდილიც ამჟღავნებს დიდ გრძნობიერებას და ტარიელიც გვიჩვენებს ღრმა გონიერებას. იგი ამბობს: „რაცა ჰმართებს გონიერთა, ერთხელ ვიყავ მეცა მქმნელად“.

გარემო საზღვრავს ადამიანს, ძირითადი განმსაზღვრელი გარემო აყალიბებს მას. ხოლო ასეთი გარემო „ვეფხისტყაოსანში“ ერთია ტა-

რიელისათვის და მეორეა ავთანდილისათვის. ამით აიხსნება მათი ხასიათის სხვადასხვაობა.

ამ განსხვავებას აქვს სხვა მიზეზიც. ობიექტური გარემო განსაზღვრავს ადამიანის ხასიათს, მაგრამ ადამიანი თავისი სუბიექტური ბუნებით პასიური და გულგრილი არ არის გარემოს მიმართ. აქ თავს იჩენს თანდაყოლილი ბუნება. სოციალური გარემოს გავლენით და თანდაყოლილი ბუნების ძალით ყალიბდება ყოველი ცალკეული ადამიანის ფსიქოლოგიური ხასიათი. ეს ხასიათი თავის წარმომშობ ფაქტორებთან განუწყვეტელ და უშუალო ურთიერთობაშია. ეს ურთიერთობა იგივე ცხოვრებაა. ამ ცხოვრების პირშია როგორც ტარიელი, ისე ავთანდილი.

ცხოვრების რეალურ მრავალფეროვნებას რეალისტურად გვიხატავს რუსთაველი. ამას გვიჩვენებს მთელი პოემა, კერძოდ — ტარიელისა და ავთანდილის საუბარი, რომელიც წინ უძღვის ლომ-ვეფხის დახოცვის ამბავს.

როცა სიტყვით ავთანდილმა ვერაფერი გააწყო, მაშინ საქმით მონდომა ტარიელის გამობრუნება. მან იცის: თუ ტარიელი შეიცვლის თავის ფიზიკურ მდგომარეობას — შეიცვლება მისი სულიერი მდგომარეობაც. ამიტომ „ეხვეწებოდა — შეჯეო“ ცხენზე, „აჯას ხეწნითა არვებდა; იცოდა, რომე შეჯდომა კაეშანს მოაქარვებდა, ლერწმისა სარსა დასდრეკდა, გიშერსა დააკარვებდა“. დაიმორჩილა, მიჰგვარა ცხენი, „წყნარად შესვა... ტანი მკვერი აძვრევიანა“, ხოლო რაინდს „სიარულმან მოჯობება დააჩინა“. აქ არის ნათქვამი:

„გველა ხერელით ამოიყვანს ენა ტუბილად მოუბარი“.

გზაში ტარიელმა უამბო ავთანდილს ლომ-ვეფხის დახოცვის ამბავი:

„შენ მოგელოდი, მიმკირდა მოლოდინითა შენითა,
ქვაბს ველარ გავძელ, მინდორთა მოვლა მომინდა ცხენითა“.

ქედზე გადავდექ, დავინახე „ერთი ლომი, ერთი ვეფხი შეკრბეს, ერთად შეიყარნეს“, მე ვამსგავსე შეყვარებულთ, „მათი ნახვა გამეხარნეს“. სხვა დროს უთქვამს ტარიელს ავთანდილისათვის, რომ ნესტანი ვეფხის სახით ჰყავს წარმოდგენილი:

„რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს,
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაზად ჩემად მომიწახავს“.

ახლა ნახა მოლაღობე, მოალერსე მიჯნურების მსგავსი წყვილი და ტკბებოდა მისი ნახვით. მაგრამ ნახა ისიც, რომ „მერმე მედგრად წაიკიდნეს: თვითო ტოტი ერთმანერთსა ჰკრეს, სიკვდილსა არ დაპრიდნეს... ლომი სდევს, ვეფხი მიუბრის“, ვერ აღმოჩნდნენ ქების ღირსნი და ამთავრებს ტარიელი რუსთაველის ტკბილ-ქართულით:

„ლომსა დაეუგმე ნაქმარი, ვარქვე: „არა ხარ ცნობასა,
შენ საყვარელსა რად აწყუნ? ფუ, მაგა შამაცობასა!“
ხრმალ-გამოწვდილი მიუხუხე, მივეც ლახვართა სობასა,
თავსა გარდავქარ, მოცაგკალ, დაეხსენ სოფლისა თმობასა.

ხრმალი გავტყორცნე, გარდვიქერ, ვეფხი შევიყარ ხელითა,
მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა;
მიღრინვიდა და მაწყენდა ბრჭალითა სისხლთა მღვრელითა;
ველარ გავუძელ, იგიცა მოვკალ გულითა ხელითა.

რაზომსაცა ვამშვიდებდი, ვეფხი ვერა დაეამშვიდე,
გავგულისდი, მოვიქნიე, ვქარ მიწასა, დაეაწყვიდე;
მომგონა, ოდეს ჩემსა საყვარელსა წავეკიდე,
სული სრულად არ ამომხდეს, რას გიკვირს, რომ ცრემლსა

ვკვრიდე!■

აი, რა თქვა ტარიელმა და ამ ნათქვამით როგორ გვიჩვენა, თუ რა შეუძლია სიყვარულით შთაგონებულ გმირობას. სხვა ადგილას პოემაში ნათქვამია სხვა სიკეთით შთაგონებულ გმირობაზე. ასე, მაგალითად: ავთანდილის გმირული საქციელი, უმაგალითო საქმედ გაშლილი მთელი პოემის სიგრძეზე, შედეგია მეგობრული გრძნობისა, ტარიელის ბრწყინვალე გამარჯვებანი მოპოვებულია მიჯნურობისა და პატრიოტიზმის შედეგად, სიკეთითა და სათნოებით შთაგონებულია აგრეთვე ფრიდონის რაინდული უშურველობა, ასმათის უანგარო თავდადება, ფატმანის დედური მზრუნველობა და სხვა ამაგი, აქ გმირული თავგანწირვით და შეუღრეკელი ნებისყოფით შესრულებული. ხოლო უდიდესი — პოეტის მიერ დახატულ საქმეთა შორის — ქაჯთა სამეფოს ბნელეთის ძალთა განადგურება, ბოროტების დამარცხება და კეთილის გამარჯვება — შთაგონებულია საყოველთაო სიკეთის იდეალით.

პოემაში ეს ნაჩვენებია იქ, სადაც რუსთაველის სიტყვა და საქმე განუყოფელი ერთიანობით აღწევს უმაღლეს მწვერვალს. ამ მწვერვალიდან ისმის ქუხილი:

„ჩემი აწ ესე ნათქვამი მათი სახე და ღარია:
რა ზედა წვიმდეს ღრუბელნი და მათა ატყდეს ღვარია,
მოვა და ხევთა მოგრაგნის, ისმის ზათქი და ზარია...“

მგოსანი აქანდაკებს გადამწყვეტ შერკინებას:

„ანაზღად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი.
რა ნახეს, კარნი გაახვნეს, ქალაქით გახდა ზრიალი.
სამთავე სამგნით მიჰმართეს, თავსა მით უყვეს რიალი,
იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტყრციალი“.

რუსთაველი განაგრძობს:

„მაშინ ქაჩეთს მოიწია უსაზომო რისხეა ღმრთისა:
კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოიშორვა სიტკბო მზისა;
მათვე რისხვით გარღუბრუნდა ბორბალი და სიმგრელე ცისა,
ველნი მკვლართა ვერ იტევდა, გაღიადდა ჯარი მკვლრისა“.

ძირს დაეცა ქაჩთა საბრძანებელი. ბოროტების ნანგრევებზე გად-
მოშუქდა სიკეთე. ომგადახდილთა ზეიმის ფონზე ერთმანეთს შეხვდ-
ნენ ავთანდილი და ფრიდონი: ნახეს ნაბრძოლი ტარიელისა, „ნალე-
წი ხრმალთა წვერისა, ათი ათასი ნობათი, უსულო, მსგავსი მტვერი-
სა“, მაგრამ არ ჩანდა თვითონ ტარიელი. მაშინ „გაძკრეს ხვრელსა, ნა-
ხეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა, მუზარადი მოეხა-
და. ჰშვენის აკვრა თმასა ლელსა, მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეჭ-
დო ყელი ყელსა“.

ღროებით განშორების შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ სამარადისოდ
ტარიელი და ნესტანი — ეს პოეტური სახეები სინათლის, შვების, სი-
კეთისა და ბედნიერების — და შეიკრა რუსთაველის აზროვნების რკა-
ლი დიდი სიმართლის მთქმელი სიტყვებით:

„...ეგე ამბავი მრთელია;
ლხინი მოგვეცა, მოგვეშორდა ყოველი ჰირი ძნელი,
მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის არლარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება მისი გრძელია!“

აქ არის „ვეფხისტყაოსნის“ იდეური შინაარსისა და რუსთაველის
აზროვნების გამომხატველი მთავარი დებულება; აქვეა ყველაზე ნა-
თელი ადგილი პოემაში, იდეური მოტივების გადაკვეთის წერტილი
და დედააზრის უმჭიდროესი ფორმულა: „ბოროტსა სძლია კეთილ-
მან, — არსება მისი გრძელია!“

ის არის დიდად საყურადღებო, რომ ყველა იმდროინდელ ნაწარ-
მოებში, სადაც ბრძოლაა წარმოდგენილი სიკეთესა და ბოროტებას
შორის, — ან იმარჯვებს ბოროტება, ან გრძელდება ბრძოლა: „ვეფხის-
ტყაოსანში“ მთავრდება ბრძოლა და გამარჯვებული გამოდის სიკეთე.
ამაში გამოიხატება რუსთაველის უდიდესი დამსახურება მსოფლიო
კულტურის წინაშე.

ნათქვამის გათვალისწინება გვაძლევს საფუძველს ჩამოვყალიბოთ
საბოლოო დასკვნები: შოთა რუსთაველი ადამიანის, ცხოვრების და
გარემყარის მხატვარია; ის სიყვარულის, მეგობრობის და გმირობის
მომღერალია — ჭეშმარიტების, მშვენიერების და სამართლიანის მე-
ხოტბეა, იგი მარადუკვდავი ზოგადსაკაცობრიო იდეალების — ფართო
ჰუმანურობის, საყოველთაო სიკეთის, დაურღვეველი მშვიდობისა და
ხალხთა მეგობრობის უდიდესი მესიტყვე და მქადაგებელია.

ჩვენი დასკვნებიდან გამომდინარეობს „ვეფხისტყაოსნის“ იდეა:
უზენაესი შემოქმედის უძლეველი ძალით შექმნილ წუთისოფელში —
უმაღლესი და უსრულესი ქმნილება — ადამიანი, ეს წმინდა სიყვარუ-
ლით და უანგარო მეგობრობით შთაგონებული გმირი, უნდა მიისწ-
რაფოდეს საყოველთაო და განუყოფელი სიკეთისაკენ, რასაც მოიპო-
ვებს ბოროტების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით და მიაღწევს ამ
ქვეყნად მარადიულ კეთილს, „ნათელსა მას უღამოსა“, ანუ შვებით,
სიმართლით და სილამაზით დამშვენებულ ცხოვრებას.

ასეთია „ვეფხისტყაოსნის“ იდეური შინაარსი.



„ვეფხისტყაოსანი“ პირველად დაიბეჭდა 1712 წელს. მისი პირვე-
ლი რედაქტორი და გამომცემელი იყო საქართველოს მეფე, მწერალი
და მეცნიერი ვახტანგ მეექვსე. მან პოემას დაურთო მეტად საყურად-
ღებო შენიშვნები და საფუძველი ჩაუყარა რუსთაველის შემსწავლელ
მეცნიერებას — რუსთაველოლოგიას.

უფრო ადრე მე-16—17 საუკუნეების მოღვაწეებმა: სერაპიონ სა-
ბაშვილმა, თეიმურაზ პირველმა, არჩილ მეორემ, სეხნია ჩხეიძემ და
სხვებმა მოიხსენიეს რუსთაველი, როგორც „ლამაზენა“, „არსთა მკო-
ბელი“, „ძირი ლექსის თქმისა“ და ასე შემდეგ.

ეს დიდი მნიშვნელობის ფაქტები ხალხში აღინიშნა კეთილი ზეგავ-
ლენით, ხოლო ბნელეთის მოციქულებში — ბოროტი შეშფოთებით.

ამ შემთხვევების შემდეგ მე-18 საუკუნის შუა წლებში ჩვენში ითქვა შემდეგი სიტყვები: შოთა „იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება და განპრყვინა ქრისტიანობა“. ამ სიტყვების მთქმელია ცნობილი სასულიერო პირი ტიმოთე გაბაშვილი. იმავე საუკუნის გამოჩენილმა მეცნიერმა ანტონ კათოლიკოსმა თუმცა აღიარა რუსთაველის გენიალობა, მაგრამ უწოდა მას ამაოდ მაშვრალი და სინანულით აღნიშნა:

„შოთა ბრძენი იყო, სიბრძნის მოყვარე ფრიად,
ფილოსოფოსი...
მაგრამ ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე“.

უფლებამოსილ პირთა ეს ყოვლად უსაფუძვლო აზრები ხელს უწყობდა „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ უმეცრებისა და ფანატიზმის ნიადაგზე გამართულ ბრძოლას. ამ ბრძოლის შედეგი — უკვდავი წიგნის განადგურების ცდა — აღწერა პლატონ იოსელიანმა, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ იქნა მტკვარში ჩაყრილი და განადგურებული პოემის ბეჭდური გამოცემის ერთი ნაწილი, „ვითარცა წიგნი მავნებელი მკითხველთათვის და მომწამვლელი ქრისტიანეთა გონებისა და გრძნობისა“.

მაგრამ სიმართლე აღმოჩნდა უძლეველი და სინათლე — ჩაუქრობელი. წინ წამოდგნენ დამცველები. მათ შორის იყო გამოჩენილი პოეტი დავით გურამიშვილი, რომელიც სიამაყით იგონებდა იმ დროს,

„ოდესაც ბრძენმან რიტორმან
შოთამ რგო იგავთ ხეო და
ფესვ-ღრმა ჰყო, რტონი უჩინა,
ზედ ხილი მოიწეოდა“.

მაგრამ დამცველთა შორის ყველაზე დიდი მოსაზრლე იყო უკვდავი ქართველი ხალხი. მან გადაარჩინა რუსთაველის წიგნი დაღუპვას, დავიწყებას, წვასა და დაგვას — საქართველოდან მიტაცებული ხელნაწერების ურმიდან გადმოიღო, ზეპირად ისწავლა, მზითვად განკუთვინა — საუკუნეთა აღმოდებულ კარიბჭეებს გამოატარა და ჩვენამდე მოიტანა „ვეფხისტყაოსანი“, ჩვენამდე მოიყვანა შოთა რუსთაველი — და ამიერიდან ქვეყნად არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს მისი ამოშლა ჩვენი მეხსიერებიდან.

დღეს რუსთაველი გამხდარა საბჭოთა სამშობლოს ღირსეულ მოქალაქედ, რომელსაც მოუტანია წარსულის მემკვიდრეობის ფასდაუდე-

ბელი საუნჯე, რაც ამშვენებს და კვლავ დაამშვენებს სოციალისტური კულტურის საგანძურს.

ბნელეთის ძალთა ბოროტება დაძლეულია. ისინი შეცდნენ: რა მოსპობს ისეთ წიგნს, რომელიც ხალხმა იცის ზეპირად?! რა დაჰკარგავს ისეთ წიგნს, რომელიც ხალხმა განკუთვნა მზითვად და შეამკო ლექსით:

„ქალი მყავდა შავ-თვალ-წარბა,
ლამაზი და კავოსანი,
გავატხოვე, მზითვად მივეც
შოთას „ვეფხისტყაოსანი“.

ასეთი წიგნი არ შეიძლებოდა დაკარგულიყო. მას ინახავდა ხალხის მეხსიერება, მისი გული და გუშაგობდა მისივე სიყვარული.

ჩვენამდე მოღწეულია ერთი სია მზითვეისა. ამ სიაში ჩამოთვლილია უძვირფასესი ნივთები. ყოველ ნივთს გვერდით მიწერილი აქვს თავისი მაღალი ფასი. უკანასკნელად დასახელებულია „ვეფხისტყაოსანი“. მის გვერდით არავითარი ფასი არ არის აღნიშნული, ოღონდ შენიშვნაა მოთავსებული. შენიშვნა ასეთია: „ჩვენი სიცოცხლის საიმედო ქალწულისათვის, ვარდ-ყვავილებით შემოსილი ქორწილის ნიშნად, სხვათა მრავალთა საუნჯეთა შორის, მზითვად მიგვიცია სულმნათი შოთას „ვეფხისტყაოსანი“, ფასი რომლისა უთქმელია და ვერა მოვიხსენიეთ“.

თქვენ ხედავთ: ქართველმა კაცმა ფასი მოუძებნა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთებს; — მან ფასი ვერ დასდო „ვეფხისტყაოსანს“ და მოკლედ, მაგრამ ბევრის მთქმელად თქვა: „ფასი რომლისა უთქმელია და ვერა მოვიხსენიეთ“. უნდა ითქვას, რომ ასეთი დიდება, ამგვარი დაფასება, სახელი და ზეიმი არ ღირსებია არსად, არასდროს, არც ერთ წიგნს.

ღრო ყველაფერს ფერს უკარგავს ამ ქვეყანაზე. გადის რვაასი წელი და „ვეფხისტყაოსანს“ თავისი ბრწყინვალეობა არ დაჰკლებია. იგი დღესაც გაუმკრთალად ელვარებს, რადგან რუსთაველის სიტყვა წვდება ადამიანის გონებას, გრძნობასა და ნებისყოფას: თავს აძლევს საზრდოს, გულს — განცდებს და მკლავებს — ძალას — უშრეტ საზრდოს, ლამაზ განცდებს და უძლეველ ძალას.

ასე იყო — გვემოწმება ჩვენი წინაპარი, ასე არის — ხედავს ჩვენი თაობა და ასევე იქნება — დაინახავს ჩვენი შთამომავალი.

[1963—1966 წწ.]



ალექსანდრე ჭავჭავაძე

ქართული კულტურის ისტორიაში ალექსანდრე ჭავჭავაძე სავსებით მომწიფებული პერიოდის მემკვიდრე და ახლადჩასახული ხანის ფუძემდებელია. მას წილად ხელა ყოფილიყო მოწმე ძველი ქართული პოეზიის წიგნის დახურვისა და საკუთარი ხელით გადაეშალა ახალი ფურცელი ჩვენი სიტყვაკაზმული ხელოვნებისა. ის წარმატებით დაეუფლა გარდასულ დროთა მდიდარ საუნჯეს და მცირე ყოყმანის შემდეგ მტკიცედ დაადგა ახალი დროების სამსახურის გზას. ეს გზა მან სასახელოდ და უანგაროდ გაიარა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის თაობას ბედმა არგუნა გადაედგა პირველი ნაბიჯი განახლებულ საქართველოში და ყოფილიყო მისი ძალის და აზრის პირველი შემფასებელი. ბევრი სიმრუდე და მერყეობა აღმოაჩინა პოეტმა ამ ნაბიჯში, მაგრამ უმაღვე იგრძნო მისი ძალაც, შემდგომში შვების და სიკეთის მომასწავებელი. იგი თვით გახდა თავისი პოეზიით ამ პირუთვნელი შეფასების მაუწყებელი და მანვე იკისრა გარდამავალი ეპოქის შეექვების, ყოყმანისა და ორჭოფობის გამოსატვა ქართულ ლიტერატურაში.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ჩვენი ისტორიის ორი ეპოქის უღელტეხილის ადამიანია, ახალ გზაზე შემდგარი საქართველოს პირველი დიდი მოქალაქე, მისივე პირმშო და ღვიძლი შთამომავალი. იგი ერეკლეს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის უახლოესი და მომდევნო პერიოდის უშუალო მონაწილეა, ის შედეგია იმ ხეთა ძირის, რომლებიც საქართველოს უკანასკნელმა დიდმა მეფემ დანერგა ძველი სამშობლოს უნაყოფოდ ქცეულ ნიადაგზე, რომ ახალი ძალის და შთავონების წყარო შეექმნა მისი ხალხის მომავლისათვის. ეს მომავალი აწმყოდ იქცა, ძველის შთამომავლობა — ახალ მემკვიდრედ, თესლი — მცენარედ,

მცენარე — მსხმოიარედ და, ბარათაშვილის სიტყვით რომ ითქვას, „აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი მისი და სკამენ ნაყოფს მისგან ტკბილსა აწ მისნი ძენი“. ამ ძეთა შორის ერთი პირველთაგანი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე.

მე-18 საუკუნის მიწურულში ჩვენი ისტორიის აზიური ხანა დასრულდა. საქართველოში ხმები მისწყდა, მინარეთიდან ისლამის რჯულის მადიდებელი; ზღვარი დაედო მაჰმადიანურ ბობოქრობას და ნახევარმთვარე ჩაესვენა, როგორც იტყვიან, სიზმარეთსა და მოუსავლეთში. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ერის წინსვლის და განვითარების მატთანის ახალი გვერდი გადაიშალა, ახალი ფურცელი ამეტყველდა საქართველოს ისტორიისა და უსაზღვროდ ფართო ასპარეზი გაიშალა ჩვენი კულტურის წინაშე.

უჩვეულო ამბავი მოხდა: მოსალოდნელი აღორძინების განთიადზე მზეს დაელოდა საქართველო არა აქამდის ჩვეული აღმოსავლეთიდან, არამედ დასავლეთიდან, საიდანაც დაძრული სხივის რუსული ანარეკლი ჩვენში ჩრდილოეთიდან უნდა შემოჰრილიყო. ახალი წყობის, ვითარების და ყოფის შექმნას საქართველოში მოელოდნენ იმედით აღსავსენი, განახლების და აღორძინების ურყევი რწმენით. პირველი კაცი, ვინც ისტუმრა, მიიღო და შეითვისა ეს შეუჩვეველი სიახლე, ვინც თვალი გაუსწორა ჩრდილოეთის სინათლეს და მისი ანარეკლი აირჩია წინამძღვრად, იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე.

ართული, ბუნდოვანი, გაურკვეველი და წინააღმდეგობათა შემცველი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის ეპოქა, ეპოქა დიდი იმედების, ხსნი-სა და შვების, მოლოდინის, რწმენის გაცრუებისა, სევდის, მწუხარების და ისევ დიდი, მაგრამ შორეული იმედებისა. ამ ეპოქამ შესაფერისი კვალი გაავლო მისი უკვდავყოფელის, ჭავჭავაძის პოეზიას. დიდი თანამოგვარის უკვდავი ილიას თქმით:

„მისი ლექსი სუბუქ ფრთითა
ხან მეჭლისში შეფრინდება,
გულს ჩაგვეკრის, გაილაღებს.
მხიარულად ამღერდება;

.....
ხან დაჰყურებს ღრუბლიანი
დაფიქრებით გოგჩის ტბასა
და ემღერის მწვავის მოთქმით
დაუნდობელ ღროთ ბრუნვასა“.

ალექსანდრე ჭავჭავაძე დაიბადა 1786 წელს, ქ. პეტერბურგში. პოეტის მამაა გარსევან ჭავჭავაძე — ცნობილი ქართველი დიპლომატი, ერეკლე მეორის ერთგული კარისკაცი და თავისი დროის დიდად განათლებული სახელმწიფო მოღვაწე. პოეტის დედაა მარიამ ავალი-შვილი — სათნო, კეთილი, მწიგნობარი, ოჯახის მოსიყვარულე და სილამაზით განთქმული მანდილოსანი.

მათი მხოლოდშობილი, დედისერთა ალექსანდრე, დაიბადა იმ დროს, როცა გარსევან ჭავჭავაძე საქართველოს ელჩის ფირმანით ეწვია სახლობასთან ერთად რუსეთის დედოფალს ეკატერინე მეორეს. რთული დიპლომატიური მიმოქცევის პერიოდში პოლიტიკამ იმძლავრა იმ ზომამდე, რომ ქართველი ელჩის შვილის ნათლია აღმოჩნდა თვითონ ეკატერინე მეორე.

9 წლის ალექსანდრე პეტერბურგის კერძო პანსიონშია. სწავლა გრძელდება სახლში და გარეთ: მამა, დედა და გარემო ზრდიდნენ მომავალ პოეტს და მეამბოხეს. ის ეწაფება აზიურ და ევროპულ კულტურას, ეუფლება სპარსულ და ფრანგულ ენებს.

აზრთა სხვაობა და ეპოქის წინააღმდეგობანი კვალს აჩენდა უზრუნველ სიჭაბუკეს. ამ კვალით აიხსნება ბევრი შემდგომი მოვლენა. ახალი საუკუნის დასაწყისში ჭავჭავაძე სამშობლოში იმყოფებოდა. 1804 წელს ის დაუსწრებლად ჩარიცხეს მეფის სასახლის კამერპაჟად. იმავე წელს თვითმპყრობელობის მსახურად განკუთვნილი ალექსანდრე ჭავჭავაძე გაიპარა სახლიდან, შეუერთდა ფარნაოზ ბატონიშვილს და გახდა მონაწილე მთიულეთის აჯანყებისა. 18 წლის მეამბოხე ქ. ტამბოვში გადასახლებით დასაჯეს ამ სახიფათო პოლიტიკური ცელქობისათვის. მაგრამ სასჯელი აღმოჩნდა ხანმოკლე: დედოფალ ეკატერინეს ნათლული იმპერატორმა ალექსანდრემ გაათავისუფლა და პაჟთა კორპუსში ჩარიცხა. 1809 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძემ დაამთავრა პაჟთა კორპუსი და პირველი სამხედრო ხარისხი მიიღო. ამიერიდან იწყება მისი უჩვეულო აღზევება რთული იერარქიის მაღალ კიბეზე.

1812 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძეს კახეთის აჯანყების ჩამქრობთა შორის ვხედავთ. 1813-14 წლებში ის მონაწილეობს რუსეთის სამამულო ომში, ბრძოლით გაივლის გზას პარიზამდე და გამარჯვებულ მხედრობასთან ერთად შედის საფრანგეთის დედაქალაქში.

საზღვარგარეთიდან პოეტი ისევ საქართველოში ბრუნდება. 1817 წელს ის ლებულობს პოლკოვნიკის ჩინს. 1826 წელს გახდა გენერალ-მაიორი. წინსვლის გზადაგზა იგი ამარცხებს ლეკებს ქარსა და ბელა-

ქანში, თურქებს — ბაიაზეთში, აქრობს აჯანყებებს, ამშვიდებს მეამბოხეებს და ხვედრად ირგებს წარმატების მაღალ ჯილდოებს.

სწორედ ამ დროს ხდება სრულიად მოულოდნელი. 1832 წლის ქართველ თავად-აზნაურთა რომანტიკული შეთქმულების გამჟღავნებასთან დაკავშირებით დააპატიმრეს ალექსანდრე ჭავჭავაძე. წარჩინებული პატიმარი თუმცა თავგამოდებით იცავდა თავს და მოჩვენებით იწვევდა სიმართლისა და უბრალოების შთაბეჭდილებას, მაგრამ მისი ავტორიტეტი მაშინდელ ქართველთა შორის მის წინააღმდეგ ლაპარაკობდა და საჭიროდ ხდიდა ის მსუბუქად მაინც დასჯალიყო.

მცირე სასჯელის შემდეგ კვლავ იწყება ალექსანდრე ჭავჭავაძის დიდი წარმატება. 1838 წელს ის ამიერკავკასიის მხარის მთავარმართებლობის საბჭოს წევრია. 1841 წელს მას ენიჭება გენერალ-ლეიტენანტის ხარისხი. 1843 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძე აწარმოებს თავის უკანასკნელ სამხედრო ოპერაციებს ბრძოლის ველზე შამილის მომხრე ტომების წინააღმდეგ.

მოულოდნელი იყო სიკვდილი ალექსანდრე ჭავჭავაძისა: 1846 წლის 6 ნოემბერს ის გადმოვარდა გაქანებული ეტლიდან, ქალაქ თბილისში, მისივე სახელობის ქუჩის ჩამოსავალს, მძიმედ დაშავდა და რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა.

პოეტი დასაფლავებულია საგვარეულო აკლდამაში, კახეთში, შუამთის მონასტრის შიგნით.

•

ალექსანდრე ჭავჭავაძე, თავისი მოუსვენარი, მშფოთვარე და შინაარსიანი პირადი ცხოვრებით, შეიძლება ბედნიერ ადამიანთა რიცხვს მივაკუთვნოთ. თავისი დროის უგანათლებლეს ადამიანს, დიდ დარდიმანდს, მონადიმეს, მომღერალს, უდიდეს კახელ ფეოდალს, მდიდარი და ლამაზი წინანდლის მეპატრონეს, საქართველოში საქმიანობით, სტუმარ-მასპინძლობით და პატიოსნებით განთქმული ოჯახი ჰქონდა. ეს ტრადიციული ქართული ოჯახი, რომელსაც ზაფხულობით წინანდალში ჰქონდა ადგილ-სამყოფელი და სხვა დროს თბილისში, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ცნობილი იყო არა მარტო ქართველთათვის, არამედ ჩვენში ჩამოსულ უცხოელ სტუმართათვისაც.

პოეტის მეუღლე — სალომე ორბელიანი სინაზით, სილამაზითა და სტუმართმოყვარეობით ხობაშესხმული ქართველი ქალია.

მათ ოთხი შვილი ჰყავდათ — სამი ქალი და ერთი ვაჟი. მათ შორის სახელგანთქმული ნინო, წინანდლის ვარდად წოდებული, ცოლი რუსეთის გამოჩენილი პოეტის ალექსანდრე გრიბოედოვისა, და ეკატერინე — ჯერ ნიკოლოზ ბარათაშვილის უიმედო ტრფობის საგანი და შემდეგ მეუღლე სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დიანისა.

ამ ქალების მაღალი ღირსებანი არა ერთგზის შეუქციათ ჩვენს პოეტებს — გიორგი ერისთავს, გრიგოლ ორბელიანს და ნიკოლოზ ბარათაშვილს.

ალექსანდრე ჰავჭავაძის ოჯახი ეს პირველი ევროპული სალონია საქართველოში. ამ სალონში იკრიბებოდნენ მაშინდელი წარჩინებული ქართველები, ჩვენში ჩამოსული რუსები და უცხოელები. აქ იყო უსასრულო ნადიმი, შექცევა და ბაასი. ამ სალონს ამშვენებდა სახელოვანი ქართველი ქალი მანანა ორბელიანი — ეს ჩვენი მგონების შთაგონების მუზა, სილამაზის, პატიოსნებისა და სათნოების განსახიერება.

ეროვნული მნიშვნელობის ამ კულტურულ შექცევას, შეზავებულს ევროპული სიმსუბუქით, აზიური სიტკბოთი და ქართული სითბოთი, ბოლო მოუღო ალექსანდრე ჰავჭავაძის მოულოდნელმა და უდროო, ტრაგიკულმა სიკვდილმა.

*

კულტურის ისტორია გვასწავლის, რომ მარად მძიმე და ძნელი ყოფილა ახალი ეპოქის სათავესთან დგომა. ახალი ჟამთაგვის თაობას განუცდია მუდამ ისტორიის დროთასვლის ტკივილები და მასვე უზიდავს სიახლის სინათლეში წარსულის სიძნელის ტრადიციული ტვირთი. არიან განახლების ძალთა მოწინავენი; ისინი კისრულობენ უჩვეულოს დაცვას, დგებიან გადამწყვეტ გზაჯვარედინთან, ზურგს შეაქცევენ მიუღებელ გუშინდელს, ხვალისდელი დღის დროშას აღმართავენ და უთანაგრძნო პირობებშიაც პირს იბრუნებენ სიახლისა და მომავლისაკენ. ისინი არიან ერის დიდი მოამბეგენი; მათ სიყვარული და თავდადება ამოძრავებთ, არად აგდებენ უკაცრიელ გზათა სიძნელეს და წინ მიდიან შორეული ნაყოფისა და საღლაც, ოდესმე დაფასების იმედისა და სხივის კვალდაკვალ.

ასეთი ღირსეული ქართველი მოღვაწე იყო ალექსანდრე ჰავჭავაძე. იგი შვილია ძველი საქართველოსი, მაგრამ მშობელი განახლებუ-

ლი საქართველოს იდეალების. მას ფეხი უდგას დამამძიმებელი ტრადიციების ეპოქაში, მაგრამ სხეულით გადმოხრილია ახალი ყოფის და ცხოვრების მიმართულებით. ძველმა აღზარდა და მადლობას მიუძღვნის ახალს. ძველთაგან არის დავალებული და ახალს მოსაყვს ამაგის ღვაწლით.

ასე ისურვა დრომ. ასეთი იყო ისტორიის მკაცრი განაჩენი. ამ განაჩენს არ გადაუდგა მის ბუნებრივ აუცილებლობაში დარწმუნებული, ახალი საქართველოს პირველი პოეტი. სხვა საქართველო იხილა უეცრად თითქოს ხანგრძლივი ბურანის მსხვერპლმა და უეცრადვე შესძლო მისი ძველი რწმენის გადაფასება. წარსული გრძნობით შემოინახა, მისადმი პატივისცემით განიმსჯვალა და გონების თვალი მიაპყრო აწმყოს, მისი არსება მიიღო და სწორად ჩათვალა. ასე გადადგა ჭავჭავაძემ გაბედული ნაბიჯი მომავლისაკენ, მაგრამ წარსულსა და მომავალს შორის მან შეამჩნია გუშინდელის ნანგრევებით და ჭერ აუგებელი ხვალისდელის უწესრიგო მასალით აღსავსე აწმყო. მან დაინახა, რომ ძველი დაინგრა და ახალი არ აშენებულა. სევდამ შეიპყრო მისი არსება. მაგრამ ეს მწარე მოთქმა და ტირილი პოეტისათვის აწინდელი საქართველოს ნგრეული ბჭეების მახლობლად გაისმის.

აქ არის ალექსანდრე ჭავჭავაძის პესიმიზმის სოციალური საფუძველი. ეროვნულია ეს საფუძველი, ობიექტური, მისგან დამოუკიდებელი და პირადობას დაშორებული. ადამიანი აღმოჩნდა სუსტი, მაგრამ სუსტი ადამიანურად. ის უძლურია, დღევანდელ ავდარში იღიმებოდეს ხვალისდელი მზის ანგარიშით და ამად სტირის დიდი ქართველი ჭირისუფალი. ძნელი აღმოჩნდა დგომა ახალი დროების სათავეებთან. ძველის და ახლის დაჯახების მძლავრმა ქარიშხალმა შეარყია პოეტის ადამიანური არსება და ნაპრალი გაავლო მის პოეტურ ბუნებას. მაგრამ ნაპრალი აღმოჩნდა არა სიტყვასა და საქმეს შორის, როგორც უწინ ფიქრობდნენ, არა სიტყვა და საქმე გაიბზარა, არამედ მგონის განუყოფელი ერთარსების ფსიქიკა, მისი ფსიქოლოგიური სამყარო. იგი გაიყო გრძნობად და გონებად; ნაპრალი აღმოჩნდა პოეტის გრძნობასა და გონებას შორის. ამიერიდან სხვადასხვაობენ ერთი არსების — ალექსანდრე ჭავჭავაძის ორი მხარის — გრძნობისა და გონების ნაყოფნი. ამიერიდან გრძნობა მიიწვევს ძველისაკენ და გონება კი — ახლისაკენ, გრძნობა წარსულში ეძებს სულიერ ნავსაყუდელს, ხოლო გონება მომავლისაკენ შორსმხედველობს.

ამ ვითარებით აიხსნება მოჩვენებითი წინააღმდეგობა საერთოდ

ქართველ რომანტიკოსთა და კერძოდ ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში. სინამდვილეში ეს არის წინააღმდეგობა დაუღდეგარ და ცვალებად გრძნობასა და ურყევ მტკიცე გონებას შორის. გაურკვეველი და ბუნდოვანი ეპოქის ზეგავლენით დაიშალა ალექსანდრე ჭავჭავაძის ადამიანური არსება და ამის შედეგად გაიბზარა მისი პოეტური ხმა. ერთმაგი ტონი ვერ მიაწოდა მგოსანმა ორმაგ დროებას, ერთპირი ვერ აღმოჩნდა ორპირის წინაშე და სხვაობა დაეტყო გრძნობით ნამღერალსა და გონებით ნამღერალს.

ამ მოსაზრების წინამძღვრებით უნდა გაირკვეს და შეფასდეს პირველი ქართველი რომანტიკოსის პოეტური შემოქმედება. აქ ერთ მხარეზე უნდა გაისინჯოს მგოსნის წამიერი აღტყინებისა და მხურვალე გრძნობის ნაყოფი და მეორე მხარეზე — ცივი შთაგონებისა და მყარი გონიერების ნამოქმედარი. ერთიცა და მეორეც ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტური არსების მარჯვენებელია; მაგრამ პირველი მის გარდამავალ აზრებს გამოხატავს, ხოლო მეორე — განმტკიცებულ მსოფლმხველობას. ამ გაორებას გრძნობს თვითონ მგოსანიც, რომელსაც

„გონება ესრეთ შთასახის ხმითა მრისხანით მყარითა;
ნუ ჰლუპავ თავსა, ნუ ჰლუპავ მაგა სენითა მწარითა!
ხოლო გული კი ესრეთ ჰხმობს ლმობითა, სიტყუა-წყნარითა;
შენ მას ნუ უსმენ, იხარე სიყვარულითა მტკბარითა!“

ასე განიცდის პოეტი გულისა და გონების შეუთანხმებელ ურთიერთობას საკუთარ სულიერ სამყაროში, სადაც გაისმის გრძნობის მწარე ჩივილი:

„ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად,
წარილტენენ, განჰქრნენ სიზმრებრივ ჩქარად.

გლახ ბედისაგან ესრეთ დასჯილი,
იმედოვნებას ვუწოდებ ფარად“.

ხოლო გონება იძლევა იმედს —

„უწყოდეს ესე ცნობა მყარითა,
რომ დრო მოგივალსთ კეთილ დარითა;
იხილავთ ვარდსა სახე მტკბარითა,
თუ არ შეჰკრთებთ მისის ნარითა“.

გრძნობა მოგვითხრობს:

„როს მწირთა თვალთა, დამაშვრალთა ეცეცინს ძილი,
წარმოუდგების კეთილ-დღეობის შვევა განვლილი“.

გონება ამბობს:

„მე ამას ვპსტირი განაწირი, ვაჰ, თუ ვესწრა ვერ!..
თვარალა ჟამი, გულთ მაამი, კვლავცა იქნების“.

გრძნობა სწუხს:

„...სად ჰყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი
და სად დღეს ვჰხედავთ ოდენ ბუთა და ნატამალთა“.

გონებას უხარია:

„განიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება,
რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება“.

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში განფენილია მაღალი და მარად უცვლადი იდეური მოტივები: სიყვარული, პატრიოტიზმი, თავისუფლება, სილამაზე და სიკეთე. ეს მოტივები პოეტის მიერ ხორცშესხმულია ეროვნული და ზოგადდაცობრიული მსოფლგაგების ფონზე და მოქცეულია ქართული ფორმის სიტყუაკაზმულ ჩარჩოში. ამგვარი შინაარსით და ფორმით შექმნილი შემოქმედება წარმოადგენს ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტურ მემკვიდრეობას, ამ ერთ საფეხურს, მკვრივს და საიმედოს, ჩვენი კულტურის გრძელი კიბისას.

პოეტი იბრძვის ჯანსაღი, ძლიერი და ამქვეყნიური სიყვარულისთვის, დროშას აღმართავს სამშობლოს წინსვლა-კეთილდღეობის და ხმას იმაღლებს ამგვარი სიყვარულით შეპყრობილ ამ სამშობლოს შვილთა შრომისა, ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის. ამას ღაღადებს დიდი ხმის მგოსანი, მაგრამ არსად ჩანს ვინმე, არამცთუ შემსრულებელი, არამედ თუნდაც მარტო მსმენელი ამ უსასრულო და უთავბოლო წუთისოფელში. მარტოა იგი, მისი დროის მხოლოდშობილი, თვი-ფონ მთქმელი და თვითვე მსმენელი; არ ჰყავს მრჩეველი, მეომარი, ახალი სიტყვის და პირველ ნაბიჯთა მომწონებელი ან დამწუნებელი და მთელი გულისყურით მიმართულია ის საკუთარი არსებისადმი. ამიტომ არის ალექსანდრე ჭავჭავაძე დიდი ქართველი ინდივიდუალისტი, მას, გამომწყვდეულს მძიმე ეპოქის ზღუდეებში, არ აღმოაჩნდა ძალა,

დაემსხვრია დროის ურდულები და შორეულ შთამომავლობას შესიტყვებოდა მსგავსად უკვდავი ბარათაშვილისა. იგი აღმოჩნდა ტყვე და მორჩილი, მაგრამ ტყვეობაში გულხელდაკრეფით არ ყოფილა იმავე ბარათაშვილის სახელოვანი წინაპარი და თავისი სიტყვით ამბობდა ჯერ უთქმელს და თავისი საქმით აკეთებდა ჯერ გაუქმებელს. ამ პირველწამოწყებათა სხივით შეიმოსა სახელი ალექსანდრე ჭავჭავაძისა, როგორც პოეტისა და მოქალაქის, როგორც მომღერლის და მებრძოლისა.

მან პირველმა აღწერა ჩვენი ქვეყნის ბუნება, „თხემის შეუპოვარის პონტოსის ზვირთთ მიმყრდნობი და ტერფითა სალითა კასპიისა განმპობი“, ჩვენი გოლიათები, „შორიელი“ ველები, ქუხვით გადმომქანენი მრისხანე მდინარენი; მან პირველმა მოგვითხრო: „ვიდრემდის ბუქს ჰაერი, მბერველ ქარიშხალებით, დღისა მცვალეები ღამედ, მომცველ ნისლით შავებით“, საღ „იგლიჯება გორა“, საღ „ველი აღარ ველობს“ და სადაც ერთ დროს „მჩენელნი ცეცხლთა სცემდნენ და ქუხდნენ და კავკასი მკვენსარედ ეხთთა მიერ წყლულთა თვისთა ცხად ჰყოფდა მწარედ“.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ის პირველი მგოსანია ქართულ მწერლობაში, რომელმაც მის მიერ პირველად ასახული დიადი ბუნების წიაღში შენიშნა უფლებდაყრილი, მონადქვეული და ძირსგართხმული მშრომელი ხალხი. სოციალური ძვრები დაიწყო პოეტის სიცოცხლეში და მისმა თვალმა დასაწყისშივე შენიშნა და მაშინვე აღბეჭდა შორეული განთიადის ეს დიადი სათავე:

„ძალიდ ავალს ღიმით ნაქცევთა ზედა,
სად სიმართლე მისგან შენარაზედა
მის ყვავილთა ფერხით ლახავს გზაზედა,
რომელნი სკენებიან
მდაბალთ ჩავერით, მტაცებლობით და ხვეპით“.

და საქართველოში „ჩაგრულ მდაბალთ“ ეს პირველი ქომაგი მკაცრად აფრთხილებდა ამ სოფლის „მდგმურთა... კეთილ მოყვარების დათრგუნვის მსურთა“ და საოცარი წინმხედველობით წინასწარმეტყველებდა:

„რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და ჰსთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოელოდეთ მათთან თანასწორობას;

არ მარადის იშვათ
მდაბალთ ჩავერით, მტაცებლობით და ხვეპით!“

ასე გაისმა პირველად განახლებულ საქართველოში „საზოგადო ყოფისაგან ამოკვნესილი სიტყვა და ნუგეშ-მცემელი „იმედი“, როგორც იტყოდა ამის შესახებ დიდი ილია ჭავჭავაძე და იგივე გვიჩვენებდა, რომ ასეთ გულისტივილს, „მერე სამოციან წლებში ეგრე გაძლიერებულს ჩვენს მწერლობაში, სათავე სადა ჰქონია და მცირე ნაკადულად გამოიწერა მერე როგორ გაზრდილა და უმატნია“.

ამ სათავეის დამდები და ნაკადულის პირველი მეკვლე იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე.

ეს ითქვა ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტურ პირველწამოწყებათა შესახებ. ახლა ქართული პოეზიის ჩვეულ მოტივებს შევხვით, თავისებური ანარეკლით გადამტყდარს და ასარკულს მის შემოქმედებაში.

უწინარეს ყოვლისა იგი უმღერის სიყვარულს, სილამაზეს და მათ კონკრეტულ სახეობას „მშვენიერთა ხელმწიფას“... ხორციელია ეს სიყვარული, ამქვეყნიური, მაგრამ ქვეყნა გრძნობათა ამბილებელი. თვით უძლურია ამ უმძლავრესი გრძნობის სამსხვერპლოდ განწირული ეს მოტრფიალე. იგი იღუმალი სიამოვნებით სჩივის თავის უბედურებას:

„სახე შენი მემახევა, მეზადა,
სრულ განმძარცვა რაცლა ცნობა მეზადა.
პატიმრობას მიმცა დაუსრულებელს,
მღერად ოხვრა, ლხინად გლოვა მეზადა“.

ყოვლისშემძლე სიყვარულს ლოცვას მიუვლენს მისი მეხოტბე, უღლად მიიჩნევს, მაგრამ ამ „უღლისგან გამოსვლა ნეტა უნდოდეს რადმე ვის“, რადგან კეთილი არის მისგან მონიჭებული განცხრომა, თუ იგი არის ვნების მიზეზი, ლხენაც ხომ მისგან გვეძლევის, ხელმწიფეა თვითმპყრობელი, გულები ჰყავს ქვეშევრდომად:

„სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს?
ვინ არს, რომე გულსა ტანტად, ოხრვას ხარკად არა გცემდეს!
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს,
და ბუღბულსა რად ეძრახვის, რომ შენგამო ვარდს შეჰყეფდეს!“

ასე სრულხმეირად ასახა ალექსანდრე ჭავჭავაძემ ეს სიცოცხლის ტოლა, მაგრამ მარად დაუბერებელი და უყვდავი გრძნობა.

მე-19 საუკუნის საქართველოს პირველი დიდი მოქალაქე ხშირად წამიერი აწმყოს განწყობილებას გამოხატავდა, ანაკრეონულ სიმღერებს ქმნიდა, აქებდა ქალის გარეგნობას, მის „ბროლის ველს განათ-

ლებულს“, „მკვირვალე ყელსა, რიდე ვლებულსა“, ღვინოს, შექცევას და უზრუნველ დროსტარებას. მაგრამ ეს იყო მისი წუთიერი განწყობილება, ელვისებური ნაგრძობის გამონაკრთომი, რაც უმაღვე გადაჰქონდა პოეტს ქაღალდზე და საკუთარი მსოფლმხედველობის მიღმა მღეროდა:

„დავეხნათ ცოდნის ძებნასა,
ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა!
ბრძენი სულ სიკვდილსა ფიქრობს,
და ლოთი — გამარჯვებასა“.

ჩვენ ვფიქრობთ, აქ არ არის ალექსანდრე ჰავჭავაძის მსოფლმხედველობის ნაკრთომი, არც ირონია, არც სატირა, როგორც უწინ ფიქრობდნენ. ეს არის მისი ელვისებური გრძობისა და წარმავალი სულისკვეთების წამიერი ანარეკლი, რასაც ხშირად აღბეჭდავს და მყარ ფორმას აძლევს ხელოვნება, განსხვავებით მეცნიერებისაგან.

შემდეგ მგოსანი ჩქარა თავს აღწევდა ამ გრძობიერი ბურანისაგან, თავისი ქეშმარიტი მსოფლმხედველობის არეში ექცეოდა და ცდუნებით გატაცებულთა გასაგონად შრომის სადიდებლად ასე მღეროდა:

„თქვენ, რომელნი ლხინთ შორევეში დაფლულნი და უძლურ ქმნილნი
უგონობას სიამეთ რაცხთ განუფხიზლად დათრობლნი.

ვაი მისდა, ვინ უქმობით დღე-ღამეთა წოლით მთველიი
იწვევს ლხინსა და ვერ იგემს...
მას აქვს ფასად გარჯა... მოლით, ვინც ხართ შრომის გამოჩენი!“

უძმლავრესი იდეური მოტივი ალექსანდრე ჰავჭავაძის პოეზიაში არის პატრიოტიზმი. აქ ყველაფერი ამ დიდი გრძობის გამოვლენას და გამოხატვას ემსახურება. სამშობლოს ტრფობის გამოსახვის იმ საგანძურში, რაც შეუქმნიათ ქართველ რომანტიკოსებს, დიდია და მარად უკვდავი წვლილი ალექსანდრე ჰავჭავაძისა. ეს დიდი მოტივი უბრწყინვალეს ნაკრთომთა სახით ჯადოსნური ხელით გაფანტულია პოეტის სტრიქონებში. აქ ყოველი სიტყვა საქართველოსკენ მიგვითითებს, მას გულისხმობს პირდაპირ თუ შემოვლით, მისი ცალკეული ან ერთობლივი ნიშნით წარმოგვიდგება და ყველგან თავს გვახსენებს, ყოველთვის თანმხლებია.

ასეა ყველგან ყოველ ლექსში, მაგრამ უღრმესი და უსრულესი ამ

ლექსთა შორის არის „გოგჩის ტბა“. ეს შესანიშნავი ნაწარმოები წარმოადგენს სიმბოლიურ სურათს დროის მომსვრელი ცელით მოკვეთილი ჩვენი ქვეყნისას. პოეტს სამშობლო ხავსმოდებულ ნანგრევთა სახით წარმოუდგება, ნაქცევთა შორის ჰვრეტს იგი ძველი ბრწყინვალეების დაჩრდილულ სხივებს და ისმენს გადასულ დროთა მიწყნარებულ ხმას და ღაღადისს. პოეტი ხატავს ძველისა და ახლის, ყოფილისა და აწარსებულის გრანდიოზულ სახეებს, ერთიმეორეს ადარებს მათ და მკითხველს უთმობს მათი უპირატესობის განსჯის უფლებას; უკანასკნელად ის აზოგადებს პოეტური სახვის თემას: საქართველოში საყაროს წარმოიდგენს და საერთო დაქცევის მიზეზად დროს აღიარებს. ამ გზით იქმნება ჰავეჰავადის ძლიერი პესიმიზმი, მაღალი, ზოგადი, ფილოსოფიური პესიმიზმი.

ჯერ მოცემულია საერთო ფონი:

„გოგჩა, ტბა ვრცელი ხმოვანებით ზღვისა მბაძავი,
ოდესმე ზვირთთა აღქაფებით ჰღელავს მრისხანად;
ზოგჯერ ვით ბროლი გულ-უბრყვილო, წმინდა, უძრავი,
თვის შორის ხატავს ცისა ლაქვარდს და მათა მწვანეთ.“

შემდეგ სურათი არსებულისა: აი, „ნაქცევნი მისთა კიდეთ ძაძით მმოსველნი, საგლოვო ნაშთნი შენობათა კვლავ ეროვნთა... უდაბურება, მღუმარება, არა-რაობა... ეს გროვა ქვათა სახე შლილის ოთხკუთხედისა ჰმუნვათა თვისთა მნახველთაჲა აზიარებენ“.

შემდეგ სურათი ყოფილისა: „ესე კამარა ძვილ საცნობო ყოფილ ტაძარად, სად კვლავ მეფენი მოწიწებით იდრეკდენ მუხლთა, სად ღვთის დიდება მორწმუნეთა ესმოდათ მტკბარად, და ცისა მიმართ გრგვინვიდიან ხმანი ფსალმუნთა“. ეს ქვანი ერთ დროს „ურთიერთანა კავშირობით ამალლებულან... აქაცა მჯდარა ძალი მაღალს ტახტსა ამაყად, წყალობათა და რისხვის ფრქვევით მმართველი ერთა, აქაც უღრღნიათ შურსა, მტრობას გულეები ხარბად, ტრფიალნი აქაც შემსჰვალვიან კვლავ ერთმანეთთა... მაგრამ რა!“ — გაოცებით კითხულობს სასოწარკვეთილი პოეტი. — დროს მოუხსპია „ციურთა მჯობი“ მშვენიერება, — პასუხობს თვითონვე და გულის სიღრმიდან მძიმე სევდით ამოიკენესებს საქართველოზე მოსაუბრე ქვეყნიერების გასაგონად:

„აჰა, პალატა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,
აჰა, ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,
აჰა, ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი“.

„გოგჩის ტბა“ ალექსანდრე ჭავჭავაძის სულიერი მღელვარების ნაყოფია. უსაზღვრო იყო ეს მღელვარება: მძლავრი, მშფოთვარე, დაუდეგარი; „გოგჩა“ ქართული პოეზიის მშვენიერებაა, ჩვენი ლირიკის მარგალიტი. გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“-ს, გაბაშვილის „ტანო-ტატანო“-ს, ორბელიანის „სადღეგრძელო“-ს, ბარათაშვილის „მერანი“-ს, ილიას „პოეტი“-ს, აკაკის „განთიადი“-ს და ვაჟას „არაგვი“-ს გვერდით ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგჩის ტბა“ ჩვენი ლირიკის საგანძურის დაუჩრდილავი სამკაულია. ამ სამკაულში ჩააქსოვა მისმა შემოქმედმა ქართული სულის კეთილშობილი მისწრაფება, პარამონიული განწყობილება და უმაღლესი სულისკვეთება. აქ გამოსჭვივის დაცემული საქართველოს დაუცემელი ეროვნული ენერგია და სამართადაცემო წარმავლობით გაკაჟებული მარად წარუვალი და გარდაუვალი ქართული ნებისყოფა; აქ არის ჟამთასვლის საუკუნეთა მტანჯველი ფილოსოფია, წვდომა უთქმელთა და უხილავთა; აქ არის „ზნე დროთა სიარულისა“, როგორც იტყოდა თვითონ ჭავჭავაძე.

ჩვენ ძირს ვეშვებით ჭავჭავაძის პოეზიის მაღალი მწვერვალიდან.

დიდი ღირსება ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტური აზროვნებისა იმაში მდგომარეობს, რომ ერთი შეხედვით მისი პოეზიის ეს მოჭადროებული წრე სინამდვილეში შეკრული არ არის და ჩაკეტილი, პირადი საუნჯის სახით არ გვევლინება. ამ წრეში მოქცეულ პოეტის სევდის ზამთარს უკანასკნელად ყველასათვის „ელების კარი გაზაფხულისა“, როგორც თვით ამბობს ამავე სათაურის ნაწარმოებში, სადაც მგოსანი ოპტიმისტურ განწყობილებას გამოხატავს და მხურვალე სიტყვებით მოგვიწოდებს თავისუფლებისა, სიყვარულისა და მათი გამოყენებისაკენ:

„პოი, ვინც არებთ თავისუფლებით,
ნუ ეტრფით ვარდსა გარშემოვლებით.
მიეახლენით გულისა ზლებით!
.....
ვისაც ხელთ გქონდესთ ნება გულისა,
იკეპეთ სიტკბო სიყვარულისა!“

ასეთია მისი პოეზია.

ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავის ქვაზე შემდეგი სიტყვებია ამო-

კვეთილი: „მწუხრსა განუსვენოს ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან“. ეს სიტყვები შესანიშნავად გამოხატავს პოეტის სოციალური გარემოს ორმაგ ხასიათს. ვით დავინახეთ, ეს იყო დრო ძველის დასასრულისა და ახლის დასაწყისისა, დამშვიდობებისა და შეხვედრისა, მწუხრისა და ცისკრისა, როგორც დაღადებს საფლავის ქვა. მწუხრს ეთხოვებოდნენ ტირილით და ცისკარს ხვდებოდნენ სიხარულით. მწუხრისთვის სევდით იმოსებოდნენ და ცისკარს შესცქეროდნენ შვების იმედით. ამიტომ აღმოჩნდა ფსალმუნის სიტყვები ზედგამოჭრილი იმ ეპოქის დიდი ამსახველის საფლავისათვის. გავიდა დრო. კვლავ ბევრი სისხლი, ცრემლი და კვნესა აღმოჩნდა ხვედრი და წილხვდომილი მრავალტანჯული საქართველოსთვის. კვლავ დიდ ბრძოლებში, ბევრსისხლიან შეუპოვარ ბრძოლებში გამოატარა ქართველმა ხალხმა წმინდა და მარადის დაბლა დაუხრელი ქართული დროშა, დიდხანს ატარა, გადაგვარების საუკუნეს გადმოაშორა და „ჩაგრულ მდაბალთ“ — აღელვებული და მრისხანე ძალების წინარე ააფრიალა.



ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია

ნ. ბარათაშვილის პოეზია ქართული რომანტიზმის მწვერვალია. დიდი ისტორიული გარდატეხის — საქართველოს რუსეთთან შეერთების — შემდეგ პირველი მძლავრი ხმა, რომელიც გაისმა ქართულ ლიტერატურაში, ეკუთვნოდა ნ. ბარათაშვილს. იგი შვილია პირით რუსეთისაკენ მიბრუნებული, ორიენტაციაშეცვლილი საქართველოსი. მან პირველმა იგრძნო გარდაუვალი აუცილებლობა და მისგან გამოწვეული შედეგები: ჯერ მწარე ტკივილი და შემდეგ ტკბილი ნაყოფი. ტკივილისათვის გამოთქვა მწუხარება, ნაყოფისათვის — სიხარული. მაგრამ პირველი აღმოჩნდა ყრმობის განცდა, მეორე კი — ქაბუკობისა. ამ დიდი ისტორიული აუცილებლობის უმთავრეს მოქმედ პირს, საკუთარ ლეიქლ დიდ პაპას — ერეკლე მეორეს პოეტმა ჯერ მკაცრი საყველურით მიმართა:

„მაგრამ შენ, მეფე, ვინ მოგცა ნება,
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
მისდევდე შენსა გულისკვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას? —“

მაგრამ შემდეგ დიდი მადლიერება გამოუცხადა:

„აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ ჰაზრი შენი,
და ვსკჳთ ნაყოფსა, მისგან ტკბილსა, აწ შენი ძენი“.

ამ ძეთა შორის უდიდესი იყო ნ. ბარათაშვილი.

უკვდავი რუსთაველის შემდეგ XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე, მთელი 6 საუკუნის მანძილზე, ჯერ სულხან ორბელიანის პროზაში აუღერდა სრულხმოვანად ძველი ქართული ენა, შემდეგ — დ. გურამიშვილისა და ბ. გაბაშვილის პოეზიაში და უკანასკნელად — ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში. ბარათაშვილის პოეზია მოსაზღვრე და გარდამავალი საფეხურია ძველი და ახალი ქართული პოეტური მეტყველების გრძელი კიბისა. ამ მოსაზღვრეში შეინიშნება როგორც ძველის დასასრული, ისე ახლის დასაწყისი. პირველი გზას უთმობდა მეორეს, მეორე ძლევით წინ მიიწევდა და ამ წინსვლის გარდამავალ გზაზე იდგა ბარათაშვილი, როგორც მეწინავე, იდგა ურყევად, თუმცა ხანმოკლე დროის მანძილზე, ხანმოკლედ, მაგრამ ისე მტკიცედ, რომ კვალი გაავლო ქართულ კულტურას, ღრმა და წარუშლელი, და მთელი მომდევნო ქართული ლიტერატურა გაჰყვა ამ გზას და დროთა გასწვრივ იმორჩილა მწვერვალები ხელთუქმნელნი და ძირსდაუხრელნი. ასე გახდა ბარათაშვილის პოეზია სათავე ახალი ქართული პოეტური სიტყვაკაზმულობისა.

*

მეტად თავისებურია ეს დიდი ქართველი პოეტი; იმდენად თავისებური, რომ ერთი შეხედვით უწინაპრო და უმემკვიდრო მგოსნად გვეჩვენება; მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში, ცხადია, ის არც უწინაპროა და არც უმემკვიდრო. დიდია ქართველ პოეტთა რიცხვი და ღირსებანი, რომელთა საამაყო მემკვიდრეა ბარათაშვილი; უფრო მცირეა თვით ბარათაშვილის მემკვიდრეთა რაოდენობა, მაგრამ ეს მხოლოდ გავლენის პერიოდის სიმცირით აიხსნება. ყველამ კარგად იცის, რომ ეს გავლენის პერიოდი გრძელდება დღემდე და გაგრძელდება მომავალშიაც.

რაში გამოიხატება ბარათაშვილის თავისებურებანი?

უწინარეს ყოვლისა ის არის ბრძენი — პოეტი. შ. რუსთაველის აზრი, რომ პოეზია არის სიბრძნის დარგი, ყველაზე უკეთესად ქართულ ლიტერატურაში თვით რუსთაველმა და ბარათაშვილმა დაადასტურეს. სიბრძნეა მისი პოეზიის ნიშანდობლივი მსაზღვრელი — სიბრძნე, შინაგანი აზრი და ცხადსახული გონიერება. ბარათაშვილი ინტელექტის მგოსანია. მისი პოეტური შთაგონება უფრო გონებიდან მომ-

დინარეობს, ვიდრე გრძნობიდან. ის ქმნის არა გრძნობით ალტაცების პირობებში, არამედ გონებით ტანჯვის ვითარებაში. მისი პოეტური საწყისი სათავეს ღებულობს არა სიხარულში, არამედ მწუხარებაში. მხიარული ბარათაშვილი ჩვეულებრივი კაცია, სევდით დამძიმებული — გენიოსი. სევდაშია ბარათაშვილის შემოქმედების სათავე. ეს გარემოება აიხსნება მხოლოდ არსებული სოციალ-პოლიტიკური პირობებით. ბოროტების ზეიმში ბარათაშვილი დგას სიკეთის მხარეზე, მაგრამ საკუთარი წარმოშობით, აღზრდით და გარემოთი არ ეკუთვნის ამ მხარეს. ასეთი ვითარება იწვევდა გრანდიოზულ სულიერ ტრაგედიას. ეს ტრაგედია უალრესად მძიმდებოდა იმით, რომ ბარათაშვილი იძულებული იყო მტრის ბანაკიდან ებრძოლა მტრის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის ასპარეზად იგი ყოველთვის აწმყოს ხატავდა, გამარჯვების პერიოდად — მომავალს. ბრძოლას მუქი ფერებით გადმოგვეცმდა, გამარჯვებას — ნათელით. ამიტომ იწყება ბარათაშვილის ბევრი ლექსი სევდით, უიმედობით, მინორული ტონით, ხოლო მთავრდება — რწმენით, იმედით, მაჟორული გამონათქვამით. ეს ყველაფერი თანმიმდევრულად მოაზროვნე პოეტის შემოქმედების შედეგია.

ნ. ბარათაშვილის მეორე თავისებურებას წარმოადგენს უდიდესი პოლიტიკური სიმახვილე. ეს მხარე არ აკლდათ ქართული რომანტიზმის სხვა წარმომადგენლებსაც, კერძოდ ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანს, მაგრამ ბარათაშვილის შემოქმედებაში ის გვევლინება განსაკუთრებული სისრულითა და სიმკვეთრით. დიდი ქართველი ლირიკოსი პოულობდა მეტყველ ფერებს თავისი მძაფრი და წინააღმდეგობით სავსე ეპოქის დასახატავად. იგი დაჯილდოებულია არსებულის ღრმა ანალიზის უნარით, წარსულის ობიექტური წარმოდგენით და მომავლის გათვალისწინებითი ალლოთი. ურთულესი გარემოდანაც გამოჰქონდა საღი დასკვნები და არ იყო მოკლებული მოქნილ აზროვნებას, რაც აძლევდა საშუალებას დაკვირვების შედეგად შეეცვალა თავისი ძველი შეხედულებანი, ან დაენახა ერთი და იმავე მოვლენის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. მან პირველმა იგრძნო, რომ სააქართველო იდგა არა მარტო პოლიტიკური, არამედ კულტურული ორიენტაციის შეცვლის გზაზეც. სხვებს მომხდარი გარდატეხა მარტო პოლიტიკური ცვლილება ეგონათ. ბარათაშვილისათვის იგი უფრო ღრმა მოვლენა აღმოჩნდა. ამის შეგნებამ აქცია მისი პოეზია უძახვილეს პოლიტიკურ ხელოვნებად.

5. ბარათაშვილის მესამე თავისებურება უჩვეულოდ ლაპიდარულ, ლაკონიურ და ბევრისმეტყველ ორატორულ სტილში გამოიხატება. მხოლოდ რუსთაველს შეეძლო ორი სიტყვით გამოეთქვა დიდი სიბრძნე, მაგალითად: „სიყვარული აღგვაძალღებს“, შემდეგ, როგორც ცნობილია, სულხან ორბელიანმა ისახელა ამ მხრივ თავი და უკანასკნელად ბარათაშვილმა მიაღწია სიტყვათა დიდ სივიწროვეში აზრების უდიდეს სიფართოვეს.

აქვე უნდა აღინიშნოს წმინდა ლიტერატურული ხასიათის მოვლენები, რომელთა პირველდამწყებად გვევლინება ბარათაშვილი ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში. უწინარეს ყოვლისა საგულისხმოა ქართული ხალხური პოეზიის კილო, თემა და სისადავე, რომელთაც იყენებს პოეტი თავისი აზროვნების ლექსად წარმოქმნისათვის. ამგვარი ლექსებია: „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“, „ჩემს ვარსკვლავს“ და „შევიშრობ ცრემლსა“.

შემდეგ აღსანიშნავია ბარათაშვილის უდიდესი თვითმყოფობა. დიდმა პოეტმა უარი თქვა უცხოეთიდან, განსაკუთრებით აღმოსავლეთიდან, მომდინარე იდეებისა და მათი გამოხატვის ფორმების გამოყენებაზე და საკუთარი შემოქმედება უშუალოდ გამოავლინა დიდი ქართული კულტურის დაუშრეტელი წიაღიდან. ამის მაჩვენებელია ბარათაშვილის მთელი შემოქმედება.

დასასრულ, საყურადღებოა ქართული რეალიზმი, რომლის მამამთავრად გვევლინება დიდი ქართველი რომანტიკოსი თავისი ერთადერთი გადარჩენილი პოემით „ბედი ქართლისათი“. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ მისი დაკარგული პოემა „ივერიელი“ რეალისტური მეთოდით გამართულ ნაწარმოებს წარმოადგენდა.



ბედით დევნილ და ცხოვრების სიდუხჭირით დაჩაგრულ ქართველ პოეტთა შორის ბარათაშვილი ყველაზე უბედურ მგოსნად გამოიყურება: სიყრმიდანვე ყოველმხრივ შეზღუდული, სულიერად ბევრისაგან გათიშული, უსულგულო მოხელეთა წრეში მოქცეული, სიღარიბით გვემული, მიზნებში უღწეველი და სიკოქლით დასჯილი — ასეთია მისი ყოფის ქრონიკა. სხვა ფაქტები ამ ქრონიკას კიდევ უფრო მძიმედ ჰხდიათ: პოეტი გარდაიცვალა 28 წლის შესრულებამდე, დაიმარხა საქართველოს გარეთ, დარჩა დაუტირებელი; სიცოცხლეში არ დაბეჭ-

დილა მისი არც ერთი ნაწარმოები, არ დარჩენილა მისი სურათი და დიდხანს არავის გახსენებია უკვდავი მგოსნის სახელი და ნამოქმედა-რი. კიდევ ერთი შტრიხი: გენიოსი, მაგრამ პოეტურ აღიარებას მოკ-ლებული მგოსანი, მასთან შედარებით დაბალ, მაგრამ პოეტად აღიარებულ პირებს უგზავნიდა თავის ლექსებს შესაფასებლად, ხოლო პასუხად დუმილს და ხელის ჩაქნევას ღებულობდა.

გავიდა თითქმის ორი ათეული წელი პოეტის გარდაცვალებიდან და ყველასა და ყველაფრისადმი გულისხმიერმა ი. ჭავჭავაძემ მიაქცია ჭეროვანი ყურადღება მივიწყებულ პოეტსა და ადამიანს. მან თავისი ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი გახსნა ბარათაშვილის ნაწარმოებით, უძღვნა მას ჯერ ლექსი და შემდეგ კრიტიკული წერილიც. ამ წერილით ჩაეყარა საფუძველი დიდი ქართველი ლირიკოსის მეცნიერულ შესწავლასა და დაუფლებას.

ილიამ აღიარა ბარათაშვილის დიდი ეროვნული და საკაცობრიო მნიშვნელობა: „მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ-მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა. ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულისთქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განძი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიული წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“.



პოეტის დაბადების წინარე ეპოქაში, როცა „კადნიერებით შემოკრბა ჩვენზედ უსჯულოება“, წყდებოდა საქართველოს „ბედი და უბედობა“ ასრულდა პატარა კახის ანდერძ-ნამაგი: „დღეს იქნება თუ ხვალ იქნება, ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!“ საქართველო შევიდა რუსეთის მფარველობაში.

უფლებამულაზული ფეოდალური არისტოკრატია უკმაყოფილო აღმოჩნდა. დამძიმდა გლეხთა უღელი: სოციალურ ჩაგვრას დაემატა პოლიტიკური ტვირთი. უკმაყოფილონი ერთმანეთს მოჩვენებით უკავშირდებიან და რამდენჯერმე უწესრიგოდ გაიბრძოლებენ საერთო მტრის წინააღმდეგ, მაგრამ ხელოვნური კავშირი ირღვევა და ძლიერი მოწინააღმდეგე იმარჯვებს. უკმაყოფილება განაგრძობს არსებობას ყრუ პროტესტისა და შეკავებული რისხვის სახით.

ამ დროს დაიბადა ნ. ბარათაშვილი.

„რბოდა ნათლად დრო ემაწვილობის
ჰსწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის“.

და ბავშვობიდანვე „რა სცნა პირველად წუთისოფელი“;

„მას აქეთ ხმა რომ თან ჰსდევს ყოველთა
(მისთა) ზრახვათა და საწადელთა“

ეს ხმა იღუმალის ქაბუკს მარად აგონდება:

„ეჰიე, ყრმაო, შენ მხვედრი შენი,
ვინძლო იპოვნო შენი საშენი“,

ყრმა კი ამბობდა:

„მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვჰპოვებ,
და მით კაეშანს ველარ ვიშორებ“

ასე ეუფლება კაეშანი მგოსნის არსებას; მაგრამ ეს არ იყო კაეშანი დამარცხებული ადამიანისა. იგი იბრძოდა. მისი ცხოვრება გადაიქცა მწარე უკმაყოფილებად არსებულს წინააღმდეგ. პოეტის წარმოსახვამ შექმნა მტრის მხატვრული სახეები: ბოროტი სული, შავი ყორანი, სასტიკი ქარი, ავი თვალი.

შეუწყვეტელი იყო ჟამთასვლა. პოეტი მომწიფდა უაღრესად ნაადრევ სიჭაბუკეში. უთანხმოება გაღრმავდა მგოსანსა და მის გარემოცველ სამყაროს შორის. პოეტი აზოგადებს კერძო მოვლენებს, საკუთარს აქცევს ყველასათვის საყურადღებოდ, ცხოვრების მღელვარე ზღვაში მოქცეული ბარათაშვილი უკანასკნელად ნახულობს სულბერ თავშესაფარს — მყუდრო ნავთსაყუდარს. ეს თავშესაფარი არის ხელოვნება, კერძოდ პოეზია; მისი მხატვრული სახე ბარათაშვილის პოეზიაში არის უდაბნოდ მდგარი ტაძარი. ეს ყველაფერი მოთხრობილია ლექსში „ვპოვე ტაძარი“.

„ვპოვე ტაძარი, შესაფერი, უდაბნოდ მდგარი;
მუნ ენთო მარად უქრობელი, წმიდა ლამპარი;
ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი,
და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი“

ამ შესანიშნავ ნაწარმოებში 6 სტროფია. პირველი ნახევარი მოგვითხრობს მიზნის მიღწევაზე, მეორე — იმედის გაცრუებაზე. ჩვენი

აზრით, მთელი ლექსი წარმოადგენს პოეტის მხატვრულ ავტობიოგრაფიას.

ლექსში ყურადღებას იქცევს უაღრესად მეტყველი მხატვრული სახეები. ყოველი მათგანი წარმოადგენს პოეტის არსების რომელიმე სასიცოცხლო მხარის აღგორიას. ეს მხატვრული სახეებია: უდაბნოდ მდგარი ტაძარი, წმიდა ლამპარი, ციური დასი და მწირი სოფლისა.

ეს უკანასკნელი — მწირი სოფლისა — თვითონ მგოსანია, უდაბნოდ მდგარი ტაძარი უინტერესო გარემოში არსებული ხელოვნებაა, წმიდა ლამპარი პოეზიის სიმბოლური სახეა, ხოლო ციური დასი — სიტყვის ოსტატთა კრებულისა.

ხელოვნების საუფლოში ჰპოვა ბარათაშვილმა მყუდრო თავშესაფარი, მაგრამ სულიერი და ფიზიკური გვემა აღმოჩნდა იმდენად მძლავრი, რომ პოეტს თავი მიაჩნია ისევ ობლად, მწირად და მიუსაფრად. სიყვარული, რაც ორ ადგილას ნახსენებია ამ ლექსში. უნდა გავიგოთ არა პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ როგორც, პოეტური შთაგონება.

ყველაზე მნიშვნელოვანი აქ არის ის, რომ ხელოვნების საფარველს ქვეშ მოქცეული პოეტი ვერ აღმოჩნდა ბოლომდის სიმშვიდით უზრუნველყოფილი. ამის მიზეზად მას მიაჩნია „ცრუ და მუხთალი სოფელი“. ბარათაშვილის კონფლიქტი არსებული ვითარების მიმართ აქ აღწევს სიმძაფრის უმაღლეს მწვერვალს.

„ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი,
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!

პოეზიის გარეშე ბარათაშვილისათვის არ არსებობს სიცოცხლე. და აი, ის ხატავს წარმოსახვით სიკვდილს, რაც მას მწარე სინამდვილედ გადაექცა:

„მოვკვდები — ვერ ვნახავ
ცრემლსა მე შშობლიურს, —
მის ნაცვლად ცა ლურჯი
დამაფრქვევს ცვარს ციურს!“

მაგრამ, ეს იყო მხოლოდ ფიზიკური სიკვდილი.

ბარათაშვილის მთელი ლირიკული პოეზია განიცდება, როგორც ერთი სულიერი დრამა. ამ დრამის მთავარი პერსონაჟი სამყაროს ველად გაპრილი მგოსანია. აქ მოქმედების ასპარეზი კოსმიურია, შეუზღუდველი, აზრი — საერთო, საყოველთაო, აზროვნების ფორმა კი — ქართული. ამ ერთიან ქმნილებას გააჩნია თავისი იდეური და სიუჟეტური შინაარსი.

იდეური შინაარსის მიხედვით: „სოფლისათვის მზრუნველი“ ადამიანი, მიუხედავად არსებული „ცხოვრების ამოებისა“ და „წუთისოფლის აღუვსებლობისა“, უნდა მიისწრაფოდეს უკეთესი ცხოვრებისაკენ, „ზენაართ სამყოფისაკენ“ და, თუმცა მას დიდხანს ვერ მიაღწევს, მაგრამ „მისგან თელილი“ რჩება ლტოლვილის გზა, რომელზედაც ის განიცდის მუდმივ ამალგებას, რის მეოხებით მომავალში, მომდევნო მგზავრთა საბედნიეროდ „გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“.

ასეთია ამ სიტყვაკაზმულობის იდეური შინაარსი, მისი დედააზრი. ახლა ვნახოთ მისი სიუჟეტური შინაარსი.

სიუჟეტური შინაარსის მიხედვით: სამყაროს მკერდს სტუმრებია ერთი „ყარიბი მგოსანი“, გადაშლილა უნდო საწუთროება. ისმის საკითხი: გახდეს მონა თუ შეებრძოლოს მოზღვავეებულ უკუღმართობას? ბარათაშვილი ირჩევს ბრძოლის გზას. ბრძოლაა მძიმე და უთანასწორო. ერთ მხარეზეა პოეტი, მეორე მხრით — არსებული უკუღმართობა. მგოსანი ჯერ წარმოსთქვამს ლოცვას, შემდეგ ეძებს მოკავშირეებს. იგი ლოცულობს:

„ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთავან შენთა,
დამინთქე მათში საღმობარი გულისა სენთა!
არა დაპქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას საღვური მყუდროებისა!“

ერთ-ერთ მოკავშირედ მან დასახა სატრფო. მიმართა ნათელს, „მაღბინებელს დაბინდულის გულისა“: „მოციმციმდი, მოდი გამომე-დარე“, მაგრამ „დაპქროლა ქარმან სასტიკმან, თან წარიტანა ყვავილი“; შემდეგ, მოკავშირედ მიიჩნევს მეგობარს, „მაგრამ ერთხელ დაობლებული სული, მარად ითმენს უნუგეშობას კრული“.

სატრფო და მეგობარი აღმოჩნდნენ ტყვედქმნილნი.

შედარებით თავისუფალი იყო ყოვლისშემძლე ბუნება. უკანასკნელად მგოსანმა მიმართა მას. ბუნების თანაგრძნობა აღმოჩნდა მგოსნის მხარეზე. საერთო ენა გამოინახა ვარდთან, სუმბულთან, სალამოსთან, მტკვრის ნაპირებთან და არაგვის ჭალებთან: „და წყნარს სალამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი, რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი“. ნახა ნაცნობი ადგილები: „აქ ლბილს მდელოხედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით; აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით“. აი, „ჩინარი, მალლად მჩინარი, დგას მედიდურად და სიამაყით“. ხაზგასმულია კავშირი თვით ბუნების მოვლენათა შორისაც: „რამდენჯერ ქარი შეარხევს საროს, იმდენჯერ მტკვარი უმეტეს ოხრავს“...

მაგრამ ვერც ბუნებასთან კავშირმა მოუტანა პოეტს ფიზიკური გამარჯვება და აი „მოჰსძაგდა მას სოფელი, ცრუ და მუხთალი“ და ბოროტი სულისაგან გაწბილებულმა გადაწყვიტა სწრაფვა მიუწვდომლობისაკენ:

„ფიქრი მე სანატრი
მიმიწევს ცისა ქედს,
რომ ეშხით დამდნარი
შევეერთო ლურჯსა ფერს“.

აქ უერთგულეს მოკავშირედ მას აღმოუჩნდა საკუთარი პოეტური შთაგონება, რომელიც მერანის სახედ მოვლენილი გახდა პოეტის სულიერი საგანძურის და შინაგანი სამყაროს მატარებელი და მისი მეშვეობით განშორდა მგოსანი... არა ცხოვრებას, არამედ არსებულ გარემომცველ უკულმართობას და გაიმარჯვა პოეტმა სულიერად.

მას სჯერა, რომ ძლევამოსილ მტერთან ბრძოლაში თავის გადარჩენაც ერთგვარი გამარჯვებაა. ბარათაშვილი არა მარტო გადარჩა უთანასწორო ბრძოლის ველზე არსებულ ბოროტებასთან მარტოდ შებმული, არამედ ტყვედქმნილებიც დაიხსნა, რადგან სიყვარულის დიდი ნიჭი და უნარი ბოლომდე შეინარჩუნა:

„მინდა შენ იყო, სატრფოო, მშვენიერისა ცის ცუარი,
რომ განაცოცხო შავარნო, მდლო, სიციხითა დამქნარი;
რომ მხოლოდ მზისა ციაგი მას დილის ნაშსა იზრობდეს,
და ერთად შესხივებულნი შევბას მოჰფენდნენ სიცოცხლეს“.

ასე გაიმარჯვა პოეტმა სულიერად.

მკიდროა კავშირი ბარათაშვილის პირად ცხოვრებასა და პოეტურ შემოქმედებას შორის. დიდი რომანტიკოსი ინდივიდუალური ჭკნუტით ასახავს ობიექტურ სინამდვილეს; ჭკუითა და გრძნობით მოქმედებს, გულსაც ყურს უგდებს, საკუთარი არსებიდან არ გამოდის თვით უმძიმესი საკითხის გადაწყვეტის დროსაც და მარად სხვასთან თათბირს, აწ სხვისაგან სწავლებას არ საჭიროებს.

თავისი აზრების გამოსახვის ფორმად ბარათაშვილი ირჩევს ლირიკას. ადამიანის შინაგანი განცდების ეს უმარჯვესი მამხილებელი პოეტმა მიიჩნია თავისი იღუმალების გასაცხადებლად. მაგრამ ლირიკა არ არის ერთადერთი ჟანრი ბარათაშვილისა. იგი იყენებს პროზასაც. მისი კერძო წერილები სიტყვკაზმულობის ხარისხამდე აყვანილი პროზაული შემოქმედებაა. პოეტის ლირიკასა და პროზას შორის არსებული შინაარსობრივი კავშირი მეტად საგულისხმო და საყურადღებოა. ეს კავშირი იმას ნიშნავს, რომ მგოსანი ერთი მძლავრი თემატური წყაროდან სარგებლობდა შემოქმედების ყოველ სფეროში. ეს წყარო დაუშრეტელი ცხოვრებაა. ცხოვრებასთან ჰქონდა უშუალო და მკიდრო კავშირი პოეტს მარად და ყველგან, ეს იყო მისი შთაგონების წყარო, გამოსახვის მასალა და გარდაქმნის ობიექტი.

ამით აიხსნება ბარათაშვილის შემოქმედებაში განსხვავებული ფორმით განუსხვავებელი შინაარსის გადმოცემა. ამას მიუთითებს პოეტის გალექსილ და გაულექსავ ნაწარმოებთა აზრობრივი შეხვედრები.

გაულექსავად ნათქვამია:

„ყრმაწვილობითვე შეჩვეული რაზედმე, ძნელადღა გარდაიცვლის ჩვეულებას და ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი“.

ლექსად გამოთქმულია:

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გარდაეცემის!“

გაულექსავად ნათქვამია:

„კიდევ მომნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაველ ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც... დიდი ხანია ობოლი ვარ... სიცოცხლე მომძუ-

ლებია ამდენი მარტოობით... წარმოიდგინე... სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაცა, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელ სოფელში!“

ლექსად გამოთქმულია:

„ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შეება უბედურისა!“

გაულექსავად ნათქვამია:

„ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო!“

ლექსად გამოთქმულია:

„ხმა რომ თან სდევს ყოველთა
ჩემთა ზრახვათა და საწადელთა!
ცხადად თუ სიზმრად, მე იგი მარად,
სულ ერთსა მიწვრთნის გულისა ჭირად:
„ეძიე, ყმაო, შენ მხედარი შენი,
ვინძლო იბოვნო შენი საშვენი!“

გაულექსავად ნათქვამია:

„ვინც მალალის გრძობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვინც სული განვითარებული მეგონა, მას სული არ ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განჰსჯა ჰქონია: ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?“

ამ აზრებს ეხმაურება ბარათაშვილის მთელი პოეზია, განსაკუთრებით:

„სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიციცხლის შენ აღმაშფოთრად?
მარტვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?“



6. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა ორმოცამდე ლირიკული ლექსით, ერთი პოემით და რამდენიმე კერძო წერილით ამოიწურება. ასეთი მცირე პროდუქციით სხვას არ უცდია ჩვენში წარმდგარიყო არამც თუ უკვდავების კარიბჭეების, არამედ თუნდაც ჩვეულებრივი დაფასების სამსჯავროს წინაშე. მაგრამ ყველამ უთქმელადაც კარგად იცის, რომ საერთოდ ხელოვნებაში და კერძოდ პოეზიაში, პროდუქციის რაოდენობა არ განსაზღვრავს ავტორის ბედსა და სახელს და რომ შემოქმედის უკვდავებისათვის მხოლოდ ქმნილებათა ხარისხია პირველადი და გადამწყვეტი.

კერძოდ ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის რაოდენობა და ხარისხი ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც მისი სიცოცხლისა და უკვდავების დღეები: რაოდენობა — მცირე, ხარისხი — უმაღლესი, სიცოცხლე — ხანმოკლე, უკვდავება — განუსაზღვრელი. ასეთია ამ მოვლენათა პირისპირული ურთიერთობა.

აღნიშნული მხარე საზღვრავს ბარათაშვილის პოეზიის რთულ იდეურ სამყაროს. ამ იდეური სამყაროდან 4 ძირითადი იდეური მოტივი გამოიყოფა. ეს იდეური მოტივებია: სიყვარული, პატრიოტიზმი, ბუნების კულტი და ლტოლვა უსაზღვრულობისაკენ.



6. ბარათაშვილი ავტორია უნაზესი სატრფიალო ლირიკისა. ასეთ უზადო სისპეტაკემდე არცერთ ქართველ რომანტიკოსს არ აუყვანია სიყვარულის გრძნობა. ჩვეულებრივად ხელოვნებაში სიყვარული ისახება ქალისადმი ან ხორციელი, ან სულიერი ლტოლვა-ტრფიალების საფუძველზე. ბარათაშვილის სიყვარულში ორივე საწყისია წარმოდგენილი. პოეტის სატრფო ხორცშესხმული ქმნილებაა, მისდამი სწრაფვა — ამქვეყნიური, ხოლო სწრაფვის ძალა — თვით სიყვარული აქ ბუნებრივი, მაგრამ იდეალურად სუფთა, სათუთი და უანგაროა.

სიყვარულის გრძნობის პოეტური წარმოსახვით შეიმუშავა მგოსანმა ის წანამძღვარი, რომლის საფუძველზე ბრწყინვალედ გადაწყვიტა ხორციელი და სულიერი სილამაზის ურთიერთობის პრობლემა. ეს საკითხი დასმული და გადაწყვეტილია ბარათაშვილის ლირიკულ შედეგში — „რად ჰყვედრი კაცსა“. ვიდრე ამ საკითხს შევხებოდეთ,

საჭიროა მოსაზღვრე შინაარსის შემცველი ლექსების გათვალისწინება.

ცნობილია ბარათაშვილის სატრფიალო ლირიკის რეალური შთამაგონებლები: ვინმე ნინო, დელფინა ლაბიელი და ეკატერინე ჭავჭავაძე. მათი ფიზიკური და სულიერი არსების მხატვრულ გარდაქმნასთან გვაქვს საქმე ბარათაშვილის პოეზიაში.

პოეტს უყვარს: თვალები მიბნედილები, ეშხისა ცეცხლით დაქანცულები; „ლაწვნი ნაცრემლნი“, „თმანი ნაშალნი“ და „ბაგენი მღუმარნი“.

იგი ხედავს:

„დალანი ყრილობენ გველად
სპეტაკ მკერდზედა, ტრფობისა ველად;
.
ვითა პეპელა
არხევს ნელ-ნელა
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,
ასე საყურე,
უცხო საყურე,
ეთამაშება თავისსა აჩრილს.“

იგი ნატრულობს:

„ნეტავი იმას,
ვინც თავის სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!
შენის შერხევით,
სიო მობერვით
გულისა სიცხეს განიგრილებდეს!“

იგი იგონებს:

„მახსოვს სიამით,
ოდეს ტყბილის ხმით,
ვარდსა და ბულბულს მოელხინარე;
პირმცინარითა,
სინარნარითა,
მგოსნის ყარიბს გულს ესხივმფინარე!“

და უკანასკნელად სევდის მსხვერპლით უახლოვდება უნგარო სიყვარულის წმინდა საკურთხეველს:

„შევიწრობ ცრემლსა, ჰირთ მანელებელს,
გულსა დაიწვავ დასანაცრებელს,
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს!“

ასეთია ბარათაშვილის პოეტური ტრფიალება.

ახლა ვნახოთ მისი აზრი ამ სათუთო ტრფიალების ყოვლის შემძლე ძალის — „გონებამტაცის მშვენიერების“ შესახებ. პოეტი უარყოფს თვითმიზნურ და თავისთავად სილამაზეს; მისთვის მიუღებელია სიკეთის გარეშე არსებული სიტუირფე. მაგრამ „ვით არ აღიღოს სიტუირფის. ღმერთა“, როცა „ყოველნი კეთილნი მან შეიერთა, სულსა მოჰბერა ცის ნიჰნი ჰვეყნად და თავის მკობად ჰქმნა იგი მგოსნად?“

ასეთია ძალა სილამაზისა. მაგრამ სილამაზე ორგვარია ამ ჰვეყანაზე: ხორციელი და სულიერი. მათ შორის „სულით მშვენიერება“ არის უმაღლესი და უღიაღესი.

„სილამაზეა ნიჰი მხოლოდ ხორციელების,
და ვით ყვაილი თავის ღროზე მსწრაფლად დაჰქენბის;
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამსჰველები,
ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები!“

ხოლო უმაღლესი და უღიაღესი

„მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული,
რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული.
.....
თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მღგომარებს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.“

სიყვარული შედეგია ამგვარი სილამაზით დაჰიღლოებულ სულთა ერთიანობის:

„მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა ჰშობს სიყვარულსა,
ზეგარდმო მაღლით დაუხსნელად დამტკიცებულსა!“

ასეთი სიყვარული მიიჩნევა „სასუფეველზე უტკბილესად“.

„მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება
და უკვდავებათ აგვირგვინებს ჰეშმარტება!“

ასეთია უმაღლესი მშვენიერება. იგი იერთებს სულიერ სილამაზეს, სიკეთეს და ჰეშმარტებას. ის გვირგვინდება უკვდავებით და მი-

სადმი ადამიანში აღძრული გრძნობა არ შეუძლია გამოხატოს ადამი-
ანმა:

„მაგრამა მშვენიერება გაქვს, ცისიერო, უზრწნელი
და ჩემთა გრძნობათ შენდამი ვერ დაჰსდევან კაცთა სახელი“

ასეა გადაჭრილი სილამაზისა და სიყვარულის საკითხი ბარათაშვი-
ლის პოეზიაში.



ერსად, არც ერთ ნაწარმოებში ბარათაშვილი უშუალოდ და პირ-
დაპირ არ ლაპარაკობს სამშობლოს სიყვარულზე, მაგრამ ყველგან,
ყოველ სტრიქონში გამოხატულია ეს დიადი გრძნობა; გამოხატულია
შეფარვით, როგორც იტყოდა რუსთაველი. ბარათაშვილი უდიდესი
პატრიოტია. ის გვევლინება საქართველოს უახლოეს ჭირისუფლად და
მისი სილამაზის გაკვირით ასახვის გვერდით ფართო ადგილს უთმობს
სამშობლოს „უბედურობისა და დარღვევის“ საკითხების დასმასა და
გადაწყვეტას.

ქვეყნის პოლიტიკური ძნელბედობის პრობლემათა შემცველია ბა-
რათაშვილის პოეზიაში უმთავრესად სამი ნაწარმოები: „ბედი ქართ-
ლისა“, „სუმბული და მწირი“ და „საფლავი მეფის ირაკლისა“.

პირველი ორი ნაწარმოები ერთ იდეურ-შინაარსობრივ სიბრტყეშია
გაშლილი, უკანასკნელი — არსებითად განირჩევა მთვან თავისი იდე-
ური გამიზნულებით.

„ბედი ქართლისა“ და „სუმბულსა და მწირ“-ში ბარათაშვილი
დასტირის თავისუფლების დაკარგვას:

„რა ხელს ჰყრის პატივს ნაზი ბუღბული,
გალიაშია დატყვევებული“ —

ნათქვამია „ბედი ქართლისა“-ში;

„ვით გააღიშებს ჩემს შვენებას ხშული ჰაერი“, —

ამბობს „სუმბულსა და მწირ“-ში „ბნელ სადგურში“ მოქცეული
საქართველოს სიმბოლური სახე — სუმბული.

პოემაში წყდება საქართველოს ბედი, ლექსში ის უკვე გადაწყვე-
ტილია. იქ დიდი მამულიშვილები — ერეკლე მეორე და სოლომონ

ლიონიძე თათბირობენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსალოდნელ დაკარგვაზე, აქ საქართველო უკვე დასტირის დაკარგულ თავისუფლებას. მაგრამ დავიწყებული არ არის, რომ

„...მუხთალისა ანგართა ხელთა
აპყარეს მამულს სიმტიციის ბჳენი“

არც ის, რომ არ ჩანს შვილი,

„რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს“.

მეფის არჩევანი გადაწყვეტილია. პოეტი ოდნავ შეყოყმანდა, მაგრამ მცირე ფიქრის შემდეგ მიემხრო მეფეს. ამ მიმხრობას მკვეთრად გამოხატავს ლექსი — „საფლავი მეფის ირაკლისა“.

„მოვიდრეყ მუხლთა შენს საფლავს წინ, გმირო მხცოვანო,
და ცრემლთ დევანთხევ შენს სახელზე, მეფევ ხმოვანო!“

„ახალი ქართლის“ სახელით მგოსანი თაყვანს სცემს მეფის ნაანდერძევს „წინასწარად თქმულს“. „უამთ-ვითარებით გარდახვეწილთ მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო“.

„მშვიდობა შენსა წმიდას აჩრდილს, გმირო განთქმულო,
უკანასკნელო ივერიის სიმტიციის სულო!
აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძ-ნამაგსა,
და თაყვანსა სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა!“

ასე ბრწყინვალედ გადაწყვიტა ეს ურთულესი საკითხი პოეტმა იმ დროს, როცა შესაფასებელ მოვლენათა სიახლოვე არ იძლეოდა საშუალებას თვალის გასწორებისა და მზერის გამართვისას. აქ მგოსანმა ისეთივე პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა გამოამჟღავნა, როგორც მეფემ, რომელმაც ივერიის ბნელი აწმყოდან ნათლად განჭვრიტა საქართველოს ბრწყინვალე მომავალი.

ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ნ. ბარათაშვილი „უასაკოთა და უსულთა“ პირველი დიდი მგოსანია. ასეთი სისრულით, სიღრმითა და უშუალობით მანამდის არავის უმღერია ჩვილი ყრმის ტიკტიკისა და მრავალშტოვანი ჩინარის გამო. მან იგრძნო „ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის“ და ირწმუნა, რომ „უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის“. ასე მიაგნო მგოსანმა სიტყვას, ამ ყოვლის შემძლე იარაღს ყოვე-

ლის შემცველ ბუნებასთან ურთიერთობის დასამყარებლად. მან გამოძებნა საერთო ენა და ბედით დევნილის ყარიბმა სულმა ბუნების წილში იპოვა „განსვენების“ ადგილი.

„წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად;
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად“.

მოწყენილ მგოსანს მოწყენილად ეჩვენება ირველივ ყოველი, რასაც შერთვია სულიერად და რომლის იქით „ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება“.

დაფიქრებულა მგოსანი; მისი ფიქრების შესახებ ჩვენ ცოტა ხნის შემდეგ ვილაპარაკებთ; ახლა კი ვიტყვი, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის პოეტის მიერ ფიქრით, აზრით და არსებით ბუნებასთან შეთავსებისა. მასთან არის ის დღისით და ღამით, ყოველ ამინდში, ქარსა და დარში, უსახელო უფსკრულებთან და არაგვის ნაპირებზე; ხშირად ატეხილ ქალებში უთენდება და მთის კალთებზე ულამდება.

ერთი ასეთი მრავალთაგანი საღამო გამოხატულია ლექსში — „შემოლამება მთაწმინდაზედ“.

ლექსი წარმოადგენს მოგონებას. პოეტი იგონებს წარსულს, წარსულის სურათებს სცვლის აწმყო, აწმყოს — მომავალი. სამივე დრო მოცემულია, როგორც ერთგვარი ფონი, რომელზედაც იშლება ლექსის შინაარსი. წარსულისათვის ლექსში ნათქვამია:

„მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
კლდე ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი
და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!“

დაფიქრებული იდგა პოეტი „ცათა მიმართ მზირალს ტრფობითა“ შემოხვეოდა მაისის მწუხარი, რომელიც მღუმარებით ავსებდა ნაპირალთ; დელეთა შორის ნელა ქროდნენ კენესით ნიაენი და „ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი“ პოეტის გულსა ეთანხმებოდნენ.

„სდუმდა ყოველი მუნ არეზარე; ბინდი გადეკრა ცისა კამარას.
მისდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მართო მისა ამარას!
გინახავთ სული, ჩერეთ უმანკო, მწურვალე ლოცვით მიქანცებული?
მას ჰკავდა მთვარე, ნაზად მოარე; დისყო გადახრით შექმბინდული!
ამგვარი იყო მთაწმინდაზე შემოლამება!“

აწმყოსათვის ლექსში ნათქვამია:

„პე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზე მაქვს დაჩნული“

უნაპირო სივრცის მხილველს ავიწყდება საწუთროება; მისი გულისტქმა ზეცის მიღმა დაეძებს სადგურს, „ზენაართ სამყოფს“, რომ დასტოვოს აქ ამოება:

„როს მკმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტი განსაქარებლად“.

მომავლისათვის ლექსში ნათქვამია:

„მწუხრი გულისა — სევდა გულისა — ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს, რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!“

ასეთი საღი ოპტიმიზმით და მაღალი შთაგონებით გაცქერის პოეტი მომავალს, მისთვის ხვალინდელს, მაგრამ მისი მორალური ზრუნვის ქვეშ მოქცეული მომდევნო თაობებისათვის ყოველდღიურ აწყყოს.

ლექსში მრავალგან გაბნეულია საოცარი სილამაზით გადმოცემული მიმართებები მთაწმინდისა და სალამოსადმი:

ჯერ ნათქვამია:

„პოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ, ადგილნი შენნი, დამაფიქვრელნი, ვერანანი და უდაბურნი, ვით არ ჰშეენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი, ოდეს სალამოს, დაჰშეთენ ამოს, ციაგნი ნელნი“

შემდეგ —

„მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო, გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო“.

და დასასრულ —

„პოი, სალამოვ, მყულროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად!“

ასე ახლოს ბუნებასთან ქართულ ლიტერატურაში მივიდა მხოლოდ ვაჟა-ფშაველა. არსებითად აქ სიახლოვე კი არ არის, არამედ სრული შეთავსებაა. ბუნება და პოეტი აქ ერთ მთელშია წარმოდგენილი; ეს მთელი ერთიანი და განუყოფელია. პოეტი თავისთავს ბუნების

ნაწილის სახით განიციდის, მაგრამ ეს ნაწილი დიადი, ზვიადი და თავისთავადია.

ბარათაშვილი არა მარტო ყაბახის ღამის და მთაწმინდის მწუხრის, — არამედ მზიური განთიადის და ბრწყინვალე შუადღის მხატვარიცაა. აქვე გამოხატულია ბუნებასთან გაერთიანების დიდი სურვილი და მძლავრი ტენდენცია:

„მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბელი!“

მაგრამ ამითაც არ კმაყოფილდება დიადი უსასრულობის ეს დაუცხრომელი მომღერალი:

„მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო, საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო“.

•

ნ. ბარათაშვილის პოეზიის უმთავრეს იდეურ მოტივს წარმოადგენს ლტოლვა უსაზღვრულობისაკენ. ამ მოტივის შემცველი ლექსებია: „ფიქრნი მტკვრის პირას“, „შემოლამება მთაწმინდაზედ“ და „მერანი“.

მას შემდეგ, რაც ბარათაშვილის კონფლიქტმა არსებულის მიმართ მიაღწია განვითარების უმაღლეს წერტილს და გვემა აღმოჩნდა იმდენად დიდი, რომ ვერც ხელოვნების სფეროში და ვერც ბუნების წიაღში ვერ მოისვენა ტანჯულმა სულმა, მგოსანი გადაწყვეტს წარმოსახვით მაინც გაექცეს არსებულ უკუღმართობას და უნაპირო უსასრულობას მისცეს მისი „ფიქრი, შავად მღელვარი“.

ბრძენი პოეტი წინასწარ აღიარებს ადამიანის სურვილებისა და წუთისოფლის უსაზღვრულობას:

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?“

მიუწვდომელია ადამიანური ლტოლვის საგანი:

აწცა რა თვალნი ლაქვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!
მოდისწრაფიან,

მაგრამ თვით ლტოლვა და მისწრაფება არ არის ზედმეტად მიჩნეული პოეტის მიერ; მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა აღიარებს მარადიული მისწრაფების აუცილებლობას. ამ ლტოლვა-მისწრაფების უსასრულო გზაზე ხდება ადამიანის მუდმივი ამაღლება. აქ იწმინდება, კეთილშობილდება და ზვიადდება ადამიანი. ბარათაშვილმა კარგად იცის, რომ არსებულ პირობებში მიუწვედომელია „თავგანწირული სულისკვეთების“ დიადი მიზანი, მაგრამ ის ხედავს ამ მიზნისაკენ მიმავალი გზის თანდათანობით გაადვილებას და ქადაგებს ბრძოლის საჭიროებას, ზრუნვის სარგებლობას და უკუღმართობის გადალახვას:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს;
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“

ამაში გამოიხატება ბარათაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რომლის დედაარსს წარმოადგენს მგზნებარე საბრძოლო რომანტიკა, რაც უსრულესი გამოვლენის უკვდავ სახეს პოულობს „მერანში“.

„მერანი“ ნ. ბარათაშვილის მარად უჭკნობი პოეტური შედეგია. უფრო ღრმადი უფრო, სრულხმოვან და ექსპრესიულ ნაწარმოებს არ იცნობს ქართული ლირიკული პოეზია. არავის უთქვამს ჩვენში ამდენი ასე მოკლედ, ასეთი რამ და ასე ლამაზად. ბარათაშვილმა შესძლო ჩაწვდომოდა ქართველი კაცის სულის, გულის და აზროვნების ყველა ხვეულში და მისი ფიქრი გამოხატა ისეთი ფორმით, რომლის მაგვარი რუსთაველის შემდეგ არავის უთქვამს ჩვენი აზრის და გემოვნების საზეიმოდ. „მერანში“ ქართულმა სიტყვამ მოიპოვა უმაღლესი ზეგავლენის ძალა და პოეტის ჯადოსნური გზნებით გადაიქცა უნათლესი აზროვნების გამოხატვის ფორმად. უკვდავ ლექსში ყველაფერი უიკნურესი განვითარების ზომამდეა აყვანილი: პოეტის სულისკვეთება, ბრძოლისა და შეტევის მოხარული, თავგანწირვის სურვილი, წვდომის მისწრაფება, მიგნების ალღო და სიკეთის წყურვილი. — ეს ყველაფერი თავის უზადო, სხივმოსილ და პარმონიულ სახეს ღებულობს ამ სრულყოფილ ფორმაში.

აქ მთავარი მხატვრული სახეა მხედარი — თვითონ მგოსანი, რომელიც ატარებს „გიჟური ლტოლვის“, თავგანწირვის და შეუპოვრობის მოტივებს, რომელთა შორის უმთავრესია ლტოლვა უსაზღვროლობისაკენ; მეორე მხატვრულ სახეს წარმოადგენს მერანი — ეს დაუ-

ცხრომელი შთაგონება პოეტისა, მესამე მხატვრული სახეა შავი ყო-
რანი — სიმბოლური სახე არსებული უკულმართობისა, რომელსაც გა-
ურბის ბარათაშვილი.

„მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალ-ბედითი შავი ყორანი
გასწი, მერანო, შენს ჰენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი“

მგოსანი სთხოვს მერანს: გაჰკვეთოს ქარი, გააპოს წყალი, გადაი-
როს კლდენი და ღრენი და შეუმოკლოს მოუთმენელსა სავალნი დღე-
ნი. მისთვის სულ ერთია: მოშორდეს მამულს, მოაკლდეს სწორთა და
მეგობართა, ნულარ იხილოს მშობელი, ნუცა სატრფო ტკბილმოუბა-
რი; სად დაულამდეს, იქ გაუთენდეს, იქ იყოს მისი მიწა სამშობლო,
მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ამცნოს გულისა მან საიდუმლო.

პოეტის განწირულება აღწევს უკიდურეს საზღვარს:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარისი
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელითა შორის ტილის მინდვრის
და ქარიზხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით, მიწას მომაყრის!
სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა, ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი;
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვავნი მყივარნი!“

დიდი მეტრძოლი რომანტიკოსი ყოველისმხედველი მზერით ჰკრეტს
არა მარტო წარსულსა და აწმყოს, არამედ მომავალსაც: ის იხედება
წინ და იმედოვნებს „მის შემდგომად“ მისი ღვაწლით გზის სიძნელის
გაადვილებას:

„უდალ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს, განწირულის სულსკვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“

აქ არის ლექსის იდეური ნასკვი, ავტორის მსოფლმხედველობრივი
დასკვნა, მისი ფილოსოფიური მრწამსი. აქ გამოიხატა ქართული კლასი-
კური ჰუმანიზმის ძირითადი ნიშანი: სიცოცხლის სიყვარული. ადამიანის
სიყვარულს აქ მხარს უმშვენებს ადამიანური სიცოცხლის სიყ-
ვარული, ხოლო ასეთი სიცოცხლე გამოიხატება მუდმივ შრომაში,
ზრუნვაში, ბრძოლასა და წინსვლაში.

ასეთია ბრძენი პოეტის შეხედულება.

ქართული კლასიკური ჰუმანიზმის უსრულეს შედეგს — „ვეფხისტყაოსანს“ „მერანი“ უკავშირება ლექსის სიუჟეტური ფაქტურიოაც. ეს პირველად შენიშნა პოეტმა ს. ჩიქოვანმა და შემდეგ კვლევით დაადასტურა პავლე ინგოროყვამ. მათი კვლევა-დაკვირვებით მეტად საინტერესო სურათი იწლება იმის დასამტკიცებლად, რომ ბარათაშვილის შემოქმედებით წყაროს წარმოადგენს ჩვენი ძველი კულტურა, რომლის წიაღში დვას ფესვებით ახალი ქართული კულტურის სათავეების ეს უკვდავი გენია.

შენიშნულია შემდეგი პარალელები:
რუსთაველთან —

„რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსვლა იამებოდის,
მას ამსგავსებდის, ილხენდის, უკერტდის, ეუბნებოდის“.

ბარათაშვილთან —

„სად დამიღამდეს იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა, სამშობლო:
მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო“.

რუსთაველთან —

„თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხოზელმან,
ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,
ვეღარ შემსულდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდომელმან...“

ბარათაშვილთან —

„ნუ დავიშარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის“.

რუსთაველთან —

„შენთვის მოვკვდები, გავხდები ყორანთა დასაყივარად“

ბარათაშვილთან —

„შავი ყორანი გამითხრის საფლავს...
მივალალებენ სეაენი მჟივარნი“.

ასეთია ეს შეხვედრები, გენიოს სულთა გასაუბრება ერთმანეთთან საუკუნეთა შორეული მწვერვალებიდან. კიდევ უფრო საოცარი პოეტის წინათგარძნობისა და სინამდვილის შეხვედრა: „მერანი“ — ეს დი-

დი აღსარება, აღმოჩნდა დიდი წინასწარმეტყველება; მაგრამ ს-ნ-მ-დვილუში მოხდა ისიც, რაც არ შეეძლო წარმოედგინა იმ დროს ბარათაშვილს.

გავიდა თითქმის ნახევარი საუკუნე მგოსნის გარდაცვალებიდან.

1893 წლის 25 აპრილს განჯიდან წამოსვენებული პოეტის ნუსტს თბილისის სადგურზე შეეგება ზღვა ხალხი; ამ ხალხმა, როგორც ერთმა კაცმა, მოწიწებით მოიღრია მუხლი კუბოთი ჩამოტანილი ძვირფასი საგანძურის წინაშე. წინ წარმოდგნენ სახელოვანი ქართველები — ილია, აკაკი და ვაჟა. ისინი იდგნენ უკვდავი წინაპრის ნუსტის წინაშე როგორც მისგან დიდად დავალებულნი.

და დიდმეტყველ სიჩუმეში ილია ჭავჭავაძემ წარმოსთქვა სიტყვა, ღირსი თავისი აზრითა და ფორმით ამ უჩვეულო ეროვნული გლოვაზეიმისა:

„თვითეული ცემა გულის ძარღვისა გვერის და გვაწყლულებს ჩვენ, და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო, — სთქვა ერთმა ბრძენმა.

ღმერთი რომ ერს, ქვეყანას, მოწყალების თვალთ გადმოხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხებულსა; როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოვლთ უწინარეს ამას იკითხავს, — რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი. რაკი ესეა, ეხლა ცხადი უნდა იყოს, რა ძვირფასი განძია ჩვენთვის იგი მტვერი, რომლის წინაშე ვდგევართ ჩვენ დღეს.

პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულთა; მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, — რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს.

ამ მადლს, ამ ტვირთს, დიდი ძალ-ღონე უნდა სულისა და ხორცისა. და ამიტომაც, როცა ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავმოსაწონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი, უკურთხა ენა მეტყველებისათვის, თვალნი ხედვისათვის, ყურნი სმენისათვის, გულს ჩაუდგა გაუქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობლად და უბრძანა: წადი და კაცთა ნათესავს ამცნე უზენაესი მცნება ჩემი და სიტყვით გული აუნთო... დღეს ჩვენ, ჩვენდა სასახელოდ, მოვასვენეთ აქ მისი მტვერი, მისი ნუსტი, რომ დღეის ამას იქით მისმა სამშობლო ცამ

თვისი ნამი ცრემლად ზედ ადინოს, მისმა სამშობლო დედამიწამ გული გადაიხსნას და მისი მტვერი მიიბაროს, მისდა განსასვენებლად და ჩვენდა სალოცავად.

მართალია, ეს მოგვიხდა ორმოც-და-შვიდს წელიწადს შემდეგ, და იქნება სთქვან, გვიან არისო, მაგრამ რა არის ორმოცდაშვიდი წელიწადი უკვდავებისათვის? მხოლოდ ერთი წამია. ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია და უკვდავისათვის არც რაიმე ქვეყნიერობაზე გვიანია, არც რაიმე ადრე. ეს დიდებული წამი, რომელმაც დღეს აქ შეჰკრიბა წარმომადგენლობა მთელის საქართველოსი, მაგალითია იმისა, რომ ჩვენი ერი ამალღებულა სულითა და გულითა, რადგანაც მარტო ჭკუაგახსნილმა და გულგაწმენდილმა კაცმა იცის ესე ღირსეულად დაფასება და ესეთის პატივის ხსენება დიდბუნებოვან კაცისა.

დიდბუნებოვანი იყო იგი, ვის სამარესაც გარს ვარტყვივართ დღეს, და აკი იწინასწარმეტყველა კიდევ:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება...“

და დარჩა კიდევ. ეგ გზა უვალი თვითეულ ქართველის გულია, საცა მისმა მერანმა ღრმად ჩააჭდია მისი ანდერძი, მისი ნათქვამი...

მე არ ვეტყვი საუკუნოდ ხსენებას, იმიტომ, რომ თვითეულის ქართველის გული მისი საუკუნოდ სახსენებელია.

სატრფოს ცრემლის წილ დამეცემა ციურნი ცვარნი და ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად სვავნი მყვივარნი მივალალებენო.

აღსრულდა ეს წინასწარ-თქმული მაშინ და დღეს კი მის მტვერს, მის ნეშტს, მის კუბოს, მის საფლავს დასტირიან მისნი ტრფიალნიცა, მისნი ნათესავნიცა და ამათს ცრემლს ზედ დასდის დიდებული ცრემლი მთელის საქართველოსი“.


ასეთი იყო ილიას სიტყვა.

ჩვენს ეპოქაში, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ქართველ ხალხს კვლავ მოუხდა ერთხელ კიდევ ბარათაშვილის ნეშტის გადასვენება დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდის პანთეონში, იქ, სადაც მარად უკვდავი ქართველები განისვენებენ, რათა მათ შორის განისვენოს მგზნებარე სულმაც, აქ მიიღრიკოს მაღალი თავი, ნახოს სავანე უშფოთველი, მოვლილი და დაფასებული.

ასეთია ამ მარად ჭაბუკის ჟამთასვლით დაუჩრდილავი შემოქმედება. „უკვდავთა გრძნობის გამომთქმელი“ ბარათაშვილი, როგორც დავინახეთ, მოგვიანებით გადაიქცა მშობელი ერის სანუკვარ კუთვნილებად. დღეს ის ეკუთვნის მრავალგვარიან დიდ სამშობლოს, სადაც სითბოთი, სიყვარულით და თანაგრძნობით შეიცვალა მგოსნის ობლობა, სიმარტოვე და მიუსაფრობა.

თითქოს გრძნობდაო ბარათაშვილი, შეიძლება კაცმა იფიქროს, საქართველოს და ქართველობის იმ განდიდებას, რაც ათეული წლების შემდეგ უნდა გამხდარიყო ჩვენი ხვედრი და რომლის შესახებ იმ დროს მარტო ოცნება თუ შეიძლებოდა. ის წინ უსწრებდა მოსალოდნელ მოვლენებს, როცა წინაპრების სასურველ ოცნებას შესრულებული სინამდვილის სახით გვამცნობდა:

„სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი“



ილია ჭავჭავაძის პოეტური შემოქმედება

ილიას გოლიათური ფიგურა უწინარეს ყოვლისა გვაოცებს თავისი მსოფლმხედველობის მთლიანობით და მოღვაწეობის მრავალმხრივობით. ამ მხრივ ის სრულიად უბადლო და სწორუპოვარი მოღვაწეა ქართული კულტურის ისტორიაში. შეუდარებლად ერთიანი, ბევრსახოვანი, განუკვეთელი და მრავალფეროვანი არის ილიას სიტყვა და საქმე, ცხოვრება და შემოქმედება.

უჩვეულო სირთულის მიუხედავად, მისი უმაგალითოდ მწყობრი შემოქმედებითი სისტემა მოიცავს სიტყვაკაზმული ხელოვნების, მეცნიერული აზროვნებისა და ფილოსოფიური სიბრძნის სამ ძირითად სფეროს. ილიას სახით ჩვენ წინაშე დგას ხელოვანი, მკვლევარი და ფილოსოფოსი. 50 წლის მანძილზე ის ქმნიდა ქართულ პოეტურ სიტყვას, გუშაგობდა ეროვნულ კულტურას და ესარჩლებოდა მშობლიურ ხალხს. ილია ჩვენი უკვდავი სახალხო მომღერალია შ. რუსთაველის, დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, ა. წერეთლის და ვაჟა-ფშაველას გვერდით.

ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი ახალი ქართული კულტურის ცენტრალური ფიგურებია.

ილია ქართველი ეროვნული გმირია.

ამ საბატიო წოდებას იგი იმკვიდრებს თავისი ნათელი, ჭეშმარიტი და მოწამებრივი ღვაწლით.

ი. ჭავჭავაძის ლირიკული შემოქმედების ერთგვარ შესავალს წარმოადგენს ლექსი „ყვარლის მთებს“. ის დაწერილია 1857 წელს, როცა

პოეტი პირველად ტოვებდა საქართველოს და დროებით რუსეთისაკენ მიემგზავრებოდა. ეს იყო ოთხწლიანი სანატრელი გამგზავრება, არც თუ ისე ხანგრძლივი, მაგრამ დაუვიწყარი ეპოქის სახით აღბეჭდილი ილიას შემოქმედებით ბიოგრაფიაში. ამ ეპოქის თავი და ბოლო პოეტური სიტყვით განსაზღვრა თვითონ ილიამ: ჯერ მოგვცა მისი დასაწყისი „ყვარლის მთების“ სახით და შემდეგ — მისი დასასრული „მგზავრის წერილების“ სახით. პირველში ნათქვამია:

„სამშობლო მთებო! თქვენი შვილი ვანებებთ თავსა,
მაგრამ თქვენს ხსოვნას ვერ მივცემ მე დაიწყებასა;
თქვენ ჩემთან ივლით გაუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო ბუნებითა შეუღლებული!“

მეორეში — „მგზავრის წერილებში“ ნათქვამია: „ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა... ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხილია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული... როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე... რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?.. შეეძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით დავრდომილს აღდგომის ნუგეში მოვფინო, უნუგეშოს ნუგეშინი ვცე, მტირალს ცრემლი მოვწმინდო?“

აქ წარმოდგენილი ორივე ნაწყვეტი პროგრამული ხასიათისაა. ორივეში გამოხატულია პოეტისა და სამშობლოს ურთიერთობა. ამ ურთიერთობის მსაზღვრელი სიყვარულია. სამშობლოს სიყვარული არის დულაბი, რომლითაც აგებულია ილიას შემოქმედების რკალივით მტკიცე საფუძველი. პატრიოტიზმი მწერლის ვრცელი სამოღვაწეო პროგრამის ერთი უმთავრესი შემადგენელია, რომელსაც არსად და არასდროს არ დაუკარგავს თავისი ცხოველმყოფელი მნიშვნელობა ილიას თვალში. მისი თვალი სადი მზერით ვასცქეროდა წარსულში საუკუნეებს, მომავალში ათეულ წლებს, ხოლო აწმყოში მთელ გარემოცვას და ყოველთვის ხედავდა, რომ მხურვალე პატრიოტიზმს შეეძლო გადაერჩინა ჩვენი სამშობლო. ამას ხედავდა ჭაბუკი ილია 1861 წელს, როცა რუსეთიდან საქართველოში ბრუნდებოდა და ამასვე ხედავდა მოხუცი ილია 1906 წელს, როცა სახელმწიფო საბჭოს კათედრიდან სიტყვას ამბობდა.

ი. ჰავკავაძის მთელი შემოქმედება — სიტყვა, ფიქრი და პრაქტი-

კული მოღვაწეობა პატრიოტიზმის ცეცხლით განათებულა და მისივე ძალით ამღვლებულა. ამას გვიჩვენებს ილიას მიმართვა სამშობლო-სადმი.

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა
მე ვარო შენი თანამდევნი, უკვდავი სული.
შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა,
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული“.

ეს სიყვარულით და გულწრფელობით სავსე მიმართვა აწერია ილიას საგანძურის შესავალ კარებს. ეს არის სიტყვა დიდი ქართველი ადამიანის, რომელმაც იგი აქცია საქმედ თავისი მრავალმეტყველი და ბევრისმთქმელი შემოქმედებით.

ჩვენ სიტყვა ჩამოვადგედთ ილიას საპროგრამო გამონათქვამებზე. აქ უნდა შევჩერდეთ მის საპროგრამო ლირიკაზე. ამ მხრივ უალრესად საყურადღებოა ლექსი „პოეტი“. ამ ლექსის გზრევას უნდა წავუძღვა-რო ილიას შემდეგი სიტყვები: „ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა, მსოფ-ლიო, — ერთი დიდებული წიგნია უცნაურს ენაზედ დაწერილი, მეც-ნიერება ამას სთარგმნის უხატებო, უსურათო სიტყვითა, პოეზია კი ხატებითა და სურათითა“.

ლექსი „პოეტი“ ხელოვნების არსისა და ხელოვანის დანიშნულე-ბის მსაზღვრელი ნაწარმოებია. მისი შინაარსი ეხმაურება პუშკინის, ლერმონტოვისა და გოეთეს ანალოგიური თემის ლექსებს. ამასთან, ლექსი გაშუქებულია რუსი დემოკრატი მოაზროვნეების ბელინსკისა და ჩერნიშევსკის ესთეტიკური პრინციპებით.

აღნიშნულ შთამავლებელთა მოსაზრებები აქ კრიტიკულად არის წამოდგენილი, ნაწრობია ილიას საკუთარ პოეტურ ქურაში და გამოხატულია ორიგინალური ემოციური ელფერით. ილიასათვის მიუ-ღებელია გოეთეს აზრი: „მე ვმღერი, ვით ფრინველი მღერის“, რა-საც ჩვენი მგოსანი პირდაპირ ეწინააღმდეგება:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მართო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცაშა“.

ილია იზიარებს დიდი რუსი პოეტების შეთანხმებულ შეხედულე-ბას ხელოვნების მეტრძოლი არსისა და ხელოვანის საზოგადოებრივი დანიშნულების შესახებ, რასაც ნათლად გამოხატავს ერთი სათაურის

მქონე ორი ლექსი — „წინასწარმეტყველი“ — პუშკინისა და ლერმონტოვისა.

ილიასათვის ქვეყნად არის ორი საწყისი: ზეციერი და მიწიერი. ლექსში ზეციერი წარმოდგენილია ცისა და ღმერთის სახით, ხოლო მიწიერი — ქვეყნისა და ერის სახით. ღმერთი ამ შემთხვევაში მხოლოდ სიმაღლის პოეტური მაჩვენებელია.

ილიას სანუკვარ მიზანს შეადგენს მიწიერის ამაღლება, ადამიანის აღზევება. ამ დიდ საქმეს ასრულებს ხელოვანი, რომლისთვისაც ხელოვნება არის საშუალება, ჩირაღდანი წინსვლის გზაზე, ხელოვნება ცხოვრების სინათლეა, ხელოვანი — ადამიანთა წინამძღოლი. გზა მძიმეა, მაგრამ აღმავალი. ამ გზით მიჰყავს პოეტს ადამიანი.

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ.
რომ წარუძღვე წინა ერსა“.

ერი არის ადამიანთა უმაღლესი ერთიანობა. პოეტი ერისათვის თავდადებული მებრძოლია, რომლის გულში ღვივის ცეცხლი, — ცეცხლი სიყვარულისა და ერთგულებისა. ეს ცეცხლი ღვთიურია, ზეციურია, იგი ათბობს და არ წვავს, ანათებს და არ ნელდება.

„დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმე ვიყო
კმუნვასა და სიხარულში“.

პოეტი იზიარებს ერის კმუნვას, მის ბედსა და უბედობას, მისი წყლულით იტანჯება და წუხილით იდაგება:

„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული“.

ასეთია დიადი საქმე ყოველი ნამდვილი პოეტისა. ეს საქმე სიტყვით უნდა გამოიხატოს, მღერით გამოითქვას. მაშინ ექნება აზრი ამ მღერას და თვით სიმღერა იქნება აზრიანი:

„მაშინ ცილამ ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა!“

ანგაია, ილიას აზრით, პოეტის დიდი და მაღალი დანიშნულება.

აქვით დანიშნულების პოეტია თვითონ ილია. იგი მიმართავს თავის კალამს:

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
რასაც ვმსახურობთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოფინოთ ხალხში...
წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი:
ავიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა,
და, დაე, გვირახონ, — ჩვენ მის ძეხნით დავლიოთ ღღენი“.

სამშობლოსადმი წმინდა სიყვარულით ძალმოსილი და სიმართლის მთქმელი კალმით შექპურვილი პოეტი მზად არის ბრძოლის ველზე გამოიწვიოს თვით უკუღმართი ბედი, — ბედი, რომელიც ილიას აქამდის თავის ნებასურვილზე ათამაშებდა:

„ეჲ, ჩემო ბედო ჩემ სიციცხლეში
სულ შენს ნებაზედ მითამაშნია;
მოგიკლავს ბუერი კარგი ნუგეში,
ტბილ ოცნებაზედ გინაუარდია.
...
გეყო.. მოვიდა დრო ანგარიშის,
მოდი, გაესწორდეთ, ნუ მემალები
წარვიდნენ ღღენი შენის უფლების,
დროა დავცვალოთ ჩვენ ადგილები“.

და შეცვლილი იქნა ადგილები: მწარე და უკუღმართი ბედი აღმოჩნდა უკუგდებული. დამარცხებული, წინ აღიმართა ახალი ბედის და უკეთესი ხვედრის გამჟღავნებელი გოლიათური ტიტანი ი. ჭავჭავაძე, რომელმაც ჯერ საკუთარი ბორკილი დაამსხვრია და შემდეგ საერთო ბორკილების მსხვრევას შეუდგა.

სწორედ ამ დროს მოესმა მას უცხოეთიდან „ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა“. ალტაცებული პოეტი ამბობს:

„სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნელად მონობისა.
აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტბილი
გამაგონე ჩემს მამულში“

ეს იყო ხმა იტალიის ეროვნული თავისუფლებისათვის გამართული ძლევამოსილი აჯანყებისა, რომელსაც სათავეში ედგა სახელოვანი გარიბალდი. ილიამ ასეთივე აჯანყების ხმაური ინატრა საქართველოსათვის.

ეს იყო მაშინ, როცა ილია სამშობლოში დასაბრუნებლად ემზადებოდა. 1861 წელს პოეტი უკვე საქართველოშია. ამიერიდან იწყება ახალი პერიოდი მისი პოეტური მოღვაწეობისა.

1859 წელს, ჯერ კიდევ საქართველოში დაბრუნებამდე, რუსეთში მყოფი მგოსანი უმძიმესი დრამატიზმით ხატავს მიძინებული სამშობლოს სურათს. ამ სურათს უნაზესი ლირიკული ჰანგით გვაწვდის ლექსი „ელეგია“. ლექსით ბუნების სევდა მეტყველებს, აქ ბუნების უხმო ტირილია. პოეტს ამ გლოვაში საქართველოს მწარე ხვედრი დაუნახავს და მსგავსება უპოვნია მწუხარე ბუნებასა და მდუმარე სამშობლოს შორის. ბუნების მწუხარება და ხალხის მდუმარება პოეტის ნებით ერთ გრანდიოზულ სახედ ქცეულა. ამ სახეს გვიხატავს ილიას „ელეგია“. სევდის მომგვრელია პოეტის ეს ოსტატური სიტყვით მხატვრობა. იგი გვიჩვენებს დიდ კაეშანს, ნაღველს ეროვნულს, მაგრამ ნასახიცი არ არის აქ სასოწარკვეთილებისა და განწირულების, პირიქით — ღვივის იმედი, ბატონობს ბრძოლის განწყობილება და ჩანს გაღვიძების შესაძლებლობა.

ლექსი იხსნება მთვარით დავერცხლილი მშობლიური ქვეყნის წარმტაცი სანახაობით:

„მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლაქვარდ სივრცეში დაინთქმებოდა“.

ამ პეიზაჟის ფონზე ჰყვეთს ავტორი კენესით ამეტყველებული ქვეყნის სურათს:

„არსაიღამ ხმა, არსით ძახილი..
მშობელი შობილს არას ეტყოდა,
ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი
ქართველის ძილშია კენესა ისმოდა“

არც ხმა ისმის, არც ძახილი, მხოლოდ კენესა გამეფებულა, ტანჯვით სავსე, და მოუსვენარ ძილს მისცემია მთელი ქვეყანა. სძინავს

ხალხს, მაგრამ ფხიზელია მისი ერთგული შვილი, რომლის ნაღვლიან ლაღაღსა და მღელვარებაში ისმის შეფარვით რწმენა და იმედი:

„ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეაღერსება...
ო, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსლა გვეღირსოს ჩვენ გავიძებნა?!“

ეს ლექსი ილიას პოეტური შემოქმედების ერთგვარი იდეური შესავალია.



საქართველოში დაბრუნებულმა ილიამ ორი ძირითადი მიზანი დაი-სახა: ერთი, პოლიტიკური ხასიათის — ბრძოლა ეროვნული თავისუფ-ლებისათვის და მეორე, სოციალური ხასიათის — ბრძოლა წოდებრივი უთანასწორობის წინააღმდეგ.

1937 წელს გაზეთმა „პრავდამ“ ილია მოიხსენია, როგორც „მეცხ-რამეტე საუკუნის“ მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-რე-ვოლუციური მოძრაობის ყველაზე უფრო პოპულარული საზოგადო მოღვაწე და მწერალი“.

ეს პოპულარობა ილიამ მოიპოვა ჭეშმარიტად დევგმირული ბრძო-ლით, რაც მგოსანმა აწარმოვა თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლო-ბაში; მისი შემოქმედება იყო განუწყვეტელი ბრძოლა, მისი ბრძოლა იყო დაუცხრომელი შემოქმედება. ასეთი შემოქმედებითი ბრძოლის გენიალური აპოლოგია მოგვცა პოეტმა „მგზავრის წერილებში“, სა-დაც ნათქვამია: დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მოდის და მოზღავეს და აბღაველებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალებული ბრძოლა, ღრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გავლიძებულის ცხოვრებისა, ამაღლვებელი და ღირს-საცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა... მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“.

1861 წლის 6 აგვისტოს სოფ. ყვარელში ილია წერს შესანიშნავ

ლერიკულ უსათაურო ლექსს. ეს ლექსი მიმართულია სამშობლოსადმი.

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ქოი, მამულო, გამიერთა მე ძილი და შეება
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და ღლე ღამდება.

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განუწიარო..“

ლექსში გამოხატულია უნაზესი სიყვარული სამშობლოსადმი. ფაქიზი და მძლავრი გრძნობა აქ ღალადებს სრული ნებით, თავისთავად, ამ ღალადის გამომწვევევი არ ჩანს ირგვლივ არაფერ და არაფერი, გარდა თვითონ სამშობლოსი, რომელთანაც უშუალოდ შეთავსების შედეგია ეს გულწრფელი აღსარება. ლექსი მთავრდება პოეტის მარტოობის შემამოფთოებელი აღიარებით. ამით ბრძოლის უდიდეს სიძნელეზე მიუთითებს ავტორი.

ამრიგად, ჩვენ წინაშე დგას თავდადებული მებრძოლი, ბრძოლის ველია გადაშლილი და მკაცრი ბრძოლაა მოსალოდნელი. ეს მოლოდინი მართლდება ილიას სიტყვით და საქმით, ცხოვრებით და შემოქმედებით.

*

ილიას მთელი გულისყური და გონების თვალი თავიდანვე მიპყრობილი იყო მომავლისაკენ. მისთვის წარსული მხოლოდ საფუძველი იყო აწმყოსი, სწორედ ისევე, როგორც აწმყო მომავლის ნიადაგი უნდა გამხდარიყო. ზრუნვის საგნად იქცა მომავალი, რომლის სინათლეს აწმყოს ნაპერწკალი უზრუნველყოფდა. ილია ამ ნაპერწკლის მომპოვებელი ქართველი პრომეთეა იმ განსხვავებით, რომ ბერძენი გმირი ციდან იტაცებს სინათლისა და სითბოს წყაროს, ხოლო ქართველმა იგი მიწაზე აღმოაჩინა. დროთა მსვლელობის და საგანთა ურთიერთობის ასეთი გაგება, ერთი მხრივ, გამორიცხავდა წარსულის გაიდევლებას და, მეორე მხრივ, ქმნიდა თვითმყოფადი პოეზიის წარმოქმნის პირობებს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ი. ჭავჭავაძის შემოქმე-

დება, განსაკუთრებით პირველ ხანებში, კიდევ ემიჯნებოდა და კიდევ უახლოვდებოდა ქართველ რომანტიკოსთა იდეებს. აქ ადგილი ჰქონდა როგორც გათიშვის, ისე მოსაზღვრეობის ტენდენციებს.

ჩვენ ჯერ გათიშვაზე ვიტყვი და შემდეგ მოსაზღვრეობაზე.

ჯერ სრულიად ახალგაზრდა პოეტმა მომავლისაკენ მიპყრობილი მწერით იხილა ქართველი დედა და საწინააღმდეგოდ ა. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანისა, რწმენით აღსავსე სიტყვა უთხრა მშობელსა და აღმზრდელს.

„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

ასე დაუპირისპირდა ილია ჩვენი წარსულის ჰირსიუფლებს, რომელთა პოეტურ შემოქმედებას ის უშუალოდ ესაზღვრებოდა და ხშირად შთაგონების წყაროდ იყენებდა. განსაკუთრებით მახლობელი ნათესაობა იგრძნობა ნ. ბარათაშვილის პოეზიასთან, რომლის მეტროპოლი სულისკვეთება მთლიანად შეთვისებული აღმოჩნდა ილიას ბობოქარი სულის მიერ. ეს სიახლოვე აღნიშნულია ქართული კრიტიკის ფურცლებზე.

ვილაპარაკოთ ფაქტების ენით.

1860 წელს, ივლისის 16 და 19, თითქმის ერთდროულად, ილია წერს ლექსებს ა. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილისადმი. პირველს ეპიგრაფად წარუმძღვარებს პუშკინის სიტყვებს ჟუკოვსკისადმი:

«Его стихов пленительная сладость,
Пройдет веков завистливую даль».

ხოლო მეორეს თვით ბარათაშვილის სიტყვებს „მერანიდან“:

„უღდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც
ღარაჩება“.

აღ. ჭავჭავაძის შესახებ ასე მღერის მისი დიდი მოგვარე და მახლობელი:

„მისი ლექსი შვებით, ლხენით
ხან მეჯლისში მოჰფრინდება,
გულს ჩაგეყრის, ჰლალობს, ხარობს,
გამღერებს და ამღერდება,

ხან ჰრბის ველად, მარტოდ ჰგალობს
ულაბნოში, ვითა მწირი,
შეჰკენესს შავ-ბედს ქვეყნისასა,
ქვეყნისათვის ანატირი;
ხან დაჰყურებს ნაღვლიანად,
დაფიქრებით გოგჩის ტბასა
და ემღერის მწვეავის მოთქმით
დაუღგრომელ დროთ ბრუნეასა“.

ნ. ბარათაშვილს ასე მიმართავს მისი დიდი მემკვიდრე და შთამომავალი:

„ვაი დაგაკარგეთ!.. უღმრთო იყო შენი სიკვდილი
ვინ უწყს, რამდენი საუნჯენი დაემარხეთ ჩვენა,
ეგე ზღვა გული, სიყვარულის სხივ-ქვეშ გაშლილი,
რაოდენ გრძნობით, ჯერ უთქმელით, ჩვენ ჩაგვესვენა?“

არა დედ-მამა, — მაგ სიკვდილით დაობლდა ერი!..
ვინღა მოგვიტხრას ჩვენი ურვა, ჰირი და ლხენა?
ვაი ჩვენ, თვარემ შენ მით მაინც ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი თვით მკვდრეთითაც აღგადგენს შენა“.

ჯერ კიდევ 1860 წელს, თავის პირველ კრიტიკულ წერილში, ილია პატივისცემით იხსენიებს გრ. ორბელიანს, რომელსაც უფრო გვიან, 1883 წელს უწოდა „ეროვნული იდეის პოეტურად გამომსახველი და „ღრთოთა სიზმარებრ გამჭრალთა“ კირისუფალი“.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ ზოგიერთი ადგილის გამონაშუქი აშკარად შეინიშნება ილიას „აჩრდილის“ პირველ რედაქციაში:

გთხოვთ შეადაროთ:

გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოდან“ —

„გმირნო, მამულის მადიდნო,
თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
თქვენთა სახელთა ამაყად
წარმოსთქვამს შთამომავლობა!“

ილიას „აჩრდილიდან“:

„ზედნიერ არის, ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის დადება!
ნეტა მას ქველსა, ნეტა მას გმირსა!
ის თავის ხალხში აღარ მოკვდება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნებს ეტყვის მის სახელს“.

გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოდან“:

„დავით სთქვა: „იყავნ ქალაქნი“
და აღმოცენდნენ ქალაქნი
.
.
.
დაჰკარ წერაქვი, და აღჩნდნენ
ტაძარი ტურჟალ ნაშენნი

ილიას „აჩრდილიდან“:

„...და იმ შფოთთ შორის თუ შეგხვდებოდა
წუთნი მშვიდობის და მოსვენების, —
ველურ აღაგზედ მაშინ ქალაქნი
თითქოს მიწიდან აღიზრდებოდნენ
.
.
და ქვათლილისა წმიდა ტაძარი
ტყეში ან კლდეზე გამოკრთებოდნენ“.

ასეთია ეს საგულისხმო შეხვედრები.

ჯერ კიდევ 1858 წლამდე ილია უდავოდ გაეცნობოდა ნ. ბარათა-
შვილის იმ ექვს ლექსს, რომლებიც ამ დროისათვის გამოქვეყნებული
იყო ჟურნალ „ცისკარში“. ბარათაშვილის პოეტურ მემკვიდრეობას
სრული სახით ილია გაეცნო პეტერბურგის მახლობლად, ცარსკოე სე-
ლოში სტუდენტობის დროს, 1858 წელს, როცა ეკატერინე ჭავჭავაძის
ოჯახში ინახულა პოეტის ავტოგრაფიული კრებული. ამ ღირსშესანიშ-
ნავი გაცნობის გამო ასე ვადმოგვეცემს ილიას მეგობარი კოხტა აფხა-
ზი: „ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა
ილიაზედ. თითქმის ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით“.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს შთაბეჭდილება მთელი სიცოცხლის
მანძილზე გაჰყვა ი. ჭავჭავაძეს. ამას ამტკიცებს მისი ლექსი ბარათა-
შვილისადმი..., აგრეთვე „ოჰ, სად არიან, სიჭაბუკევე, სიტყბონი შენ-
ნი“ და, რაც მთავარია, ილიას მთელი შემოქმედების მებრძოლი ხა-

სიათი, ესოდენ მახლობელი ბარათაშვილის პოეზიის მებრძოლ ხასიათთან.



ი. ჭავჭავაძის პირველი ეპიკური ნაწარმოები არის პოემა „აჩრდილი“, რომლის აღრინდელი რედაქცია ეკუთვნის 1859 წელს, საბოლოო — 1872 წელს. „აჩრდილი“ მრავალმხრივ საყურადღებო ქმნილებაა: უწინარეს ყოვლისა საგულისხმოა, რომ ის იქმნებოდა 13 წლის მანძილზე და ამიტომ ავტორის მყარად ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობის მაჩვენებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ილიასათვის საერთოდ დამახასიათებელია მსოფლმხედველობის სიმყარე: ის სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა სავსებით გაფორმებული სოციალური, პოლიტიკური და ეროვნული პროგრამით, რომელსაც ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე იცავდა, ემყარებოდა და სახელმძღვანელოდ მიიჩნევდა, ამასთან, გზადაგზა კიდევ უფრო აღრმავებდა და აფართოებდა; გარდა ამისა, „აჩრდილი“ ილიას შემოქმედებაში ერთადერთი ქმნილებაა, რომელშიაც ერთმანეთის გვერდითაა წარმოდგენილი ეროვნული და სოციალური პრობლემები. აქ ერთიმეორეზე გადახლართულია კერძო ნაციონალური და საერთო საკაცობრიო ტყვივლები. ეს პოემას ანიჭებს განსაკუთრებულ ადგილს ილიას შემოქმედებაში. ის გარემოება, რომ ეროვნული მოტივი პოემაში წარმოდგენილია საქართველოს ფარგლებით, ხოლო სოციალური — მსოფლიო მასშტაბით — ნაწარმოებს ანიჭებს ზოგადკაცობრიულ ხასიათს.

ეს ყველაფერი მხედველობაშია მისაღები.

ილიას „აჩრდილი“ საქართველოს ეროვნულ უფლებათა და საერთოდ ადამიანის უფლებათა მხატვრული დეკლარაციაა. ასე მკვეთრად, გარკვევით და პირდაპირ არავის დაუხვამს ეს საკითხები ჩვენი კულტურის ისტორიაში. აქ არა მარტო დასმულია ეს საკითხები, არამედ ნაჩვენებია მათი გადაწყვეტის პირდაპირი გზებიც. ამ გზებით წინსვლას ილიას უკარნახებს ქართველი ხალხის ისტორიული წარსული. მისთვის მხოლოდ ხალხის ისტორია არის სიმართლის მთქმელი და ამით მიმზიდველი.

დიდად საგულისხმოა, რომ სხვა ადგილას ილია საყვედურს ამბობს საქართველოს ისტორიის გადმოცემის შესახებ: „ჩვენი ისტორია მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს, მე კი

ესეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არ სჩანს“.

წინდახედული და შორსმჭვრეტელი ილია „აჩრდილში“ ადამიანი-სა და ქვეყნის თავისუფლების ქვაკუთხედად აცხადებს „შრომის სუფევას“, თავისუფალი შრომის ბატონობა მიაჩნია პოეტს ადამიანთა „განკაცების“ საფუძვლად. ილიას იდეალურ სამყაროში ბატონობს არა ადამიანი, არამედ შრომა. შრომის ბატონობა ნიშნავს ადამიანის თავისუფლებას, სადაც ბატონობს შრომა, იქ თავისუფალია ადამიანი. მომავალში იბატონებს შრომა და თავისუფალი იქნება ადამიანი.

ეს არის დედააზრი „აჩრდილისა“.

თავისუფლებას სხვაგან პოეტმა უძღვნა შთამაგონებელი სიტყვები:

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიშარბლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღეთაებამდე კაცთ ბუნებისა“.

ილიამ მიუძღვნა ეს ჰიმნი თავისუფლებას „დედა და შვილში“, სადაც კაცთა უმშვენიერესი „ნავთსაყუდარი“ — თავისუფლება წარმოდგენილია ზოგადი სახით. კერძოდ, შრომის თავისუფლებაზე ლაპარაკია „აჩრდილში“. აქ ნათქვამია სწორედ „შრომის ახსნაზე“, რაც ილიას მიაჩნია საერთო ბედნიერების ურყევ საფუძვლად. ამ ღრმა იდეურ აზრს გამოხატავს შემდეგი პოეტური სიბრძნე:

„შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პურობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევლად გამზადებულა.“

შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძღვევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღლევისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის შედგარა იბრძვის.

ველარ განუძღვებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ველარ განუძღვებს ქვეყნის მძარცველი
ქემშარტებით აღძრულსა ბრძოლას,

თუ დაიხსებრევა იგი ბორკალი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ხერგხედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღუვაჴლებს“.

ამ სიტყვებში გამოხატულია კაცთა სამყაროს სრული განახლების იდეა. პოეტის აზრი მოიცავს ადამიანის სანუკვარ იდეალებს. ამ იდეალების საქმედ ქცევა, ილიას აზრით, გარდუვალა. გარდუვალა ადამიანის ამაღლება, რაც ისტორიულ ჟამთა მსვლელობით დაეკისრა ახალ ეპოქას. ძველი ეპოქის ქვეყანამ იცის, რომ მისი წყობა ყოველდღიურად ირღვევა „და ამ ზვიადმა საუკუნემ უნდა შვას იგი შრომის სუფევა“ — ამბობს ილია. რომელიც ასე მიმართავს ამ განახლების მთავარ მოციქულს და მონაწილეს:

„მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულთ ნიჴთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწეე, თვით აღმაღლდები,
არც ვის ემონვი და არც იონებ“.

ასეთია ილიას მიერ წარმოდგენილი იდეალური სამყარო. ამ სამყაროს დრო და ადგილი პოეტის მიერ განსაზღვრულია: მისი დრო მომავალია — მახლობელი მომავალი, მისი ადგილი დედამიწაა — ჩვენი დედამიწა.

საგულისხმოა, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ დაწერილ შესანიშნავ წერილში „მეცხრამეტე საუკუნე“ — ილია შემდეგს ამბობს: „ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულ-შესატკივარი... მაგრამ ბედნიერება კი შორს არის“, — შენიშნავს ილია ქვემოთ და დასძენს, — „დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს“.

როგორც ვხედავთ, სოციალური თანასწორობის და ეროვნული თავისუფლების საკითხებს ი. ჭავჭავაძე მსოფლიო ასპექტში განიხილავ-

და. ამის მაჩვენებელია აგრეთვე ილიას ლექსი „1871 წელი, 23 მაისი“. რომლითაც გამოეხმაურა მგოსანი პარიზის კომუნის დაცემის დღეს.

ტიერთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელა
დიდი დროშა გაიშალა...
კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ
იგი დროშა დასცა დაბლა.
კვლავ ეწამა მოყვასთათვის
საოცარი იგი ერი,
კვლავ დაიდგა დიდ წამების
მან გვირგვინი მშვენიერი.
კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა
წმინდა სისხლი წამებულის,
კვლავ დამარცხდა დიდი საქმე
ყოვლად მხსნელის სიყვარულის.

კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგენ ძალნი,
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი“.

ასეა გადახლართული ერთმანეთზე ილიას პოეტურ შემოქმედებაში ეროვნული და ზოგადკაცობრიული, სოციალური და პოლიტიკური მოტივები.

ილიას შემოქმედების პრობლემათა სფეროში თავიდანვე მკვეთრად იდგა და ბოლომდე გადაჭრას ელოდა სოციალური საკითხი. უნდა ვაღიაროთ, რომ ილიამ ვერ შეძლო ამ პრობლემის მართებულად გადაჭრა. კლასობრივი ბრძოლის მიღებისა და გამოყენების მაგივრად პოეტი მივიდა კლასობრივი ზავის ქადაგებამდე. „კაკო ყაჩაღში“ გამოხატული მებრძოლი იდეური სულისკვეთება ავტორმა შეცვალა „ოთარანთ ქვრივის“ საზაფო იდეური განწყობილებით. ეს იყო ილიას შეცდომა. ეს შეცდომა შეპირობებული იყო პოეტის საკუთარი სოციალური გარემოთი, საერთო იდეურ-პოლიტიკური ვითარებით და პირადი აღზრდით. ი. ჭავჭავაძე ვერ ამადლდა მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლების — მარქსისა და ენგელსის მიერ აღმოჩენილი კლასობრივი ბრძოლის, როგორც სოციალური მოწესრიგების ძირითადი

ფაქტორის, შემეცნებამდე. ილიასათვის შეუცნობელი აღმოჩნდა კლასობრივი ბრძოლის ძალა და მნიშვნელობა „მაშვრალთა და ტვირთმცინეთა“ განთავისუფლების საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ ის თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში საგანგებოდ სწავლობდა მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას.

ამრიგად, ილიას დამსახურება ამ სფეროში არა პრობლემის გადაწყვეტაში გამოიხატება, არამედ სოციალური ვითარების მაღალმხატვრულად გადმოცემაში. ილიას სახით ჩვენ წინაშე დგას დიდი მხატვარი. მისი შემოქმედება ჩვენი სოციალური ცხოვრების უტყუარი სარკეა. ამ ცხოვრების ანარეკლია „კაცია-ადამიანი?“, „გლახის ნაამბობი“ და „ოთარაანთ ქვრივი“. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა პირველი და უკანასკნელი.

„კაცია-ადამიანი?!“ ქართული სატირული მწერლობის ყველაზე მახვილი და მაღალმხატვრული ნაწარმოებია. იგი ქართული სიტყვაკაზმული ჰუმორის კლასიკური ქმნილებაა, რომელშიაც შეუბრალებლად გამათრახებულია თავად-აზნაურთა წოდება და ბატონყმური წყობა. ამ მოთხრობით ილიამ განუკურნებელი კრილობა მიაყენა ხავსმოდებულ სოციალურ კლასს, რომელიც თავისი ბატონობის დასასრულს უახლოვდებოდა და ამიტომ მომეტებული სიმკაცრით მძვინვარებდა. ილია ბატონყმური უკუღმართობის ერთი უდიდესი მაგნიტული და მოწინააღმდეგეა.

„ოთარაანთ ქვრივი“ ჩვენი მხატვრული პროზის სრულყოფილი და მონუმენტური ძეგლია, რომლითაც დაგვირგვინდა ახალი ქართული ენისათვის ბრძოლა, რასაც ილია აკაკისთან, იაკობთან და სხვებთან ერთად 60-იანი წლებიდან აწარმოებდა. მოთხრობა გვიხატავს ბატონყმური ურთიერთობის მძიმე გადმონაშთებს, რომელთა გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ ყბადაღებული რეფორმით ძალაშერჩენილი თავადი და უფლებამოუპოვებელი გლეხი. მათ შორის ხიდის გადებას და წინააღმდეგობის მოსპობას ამაოდ ლამობდა დიდი მხატვარი. ცხოვრება სხვა გზით მიდიოდა. ის აღრმავებდა ამ წინააღმდეგობას და უმძაფრესი დაპირისპირებით ებრძოდა უკუღმართობას. ილია ასცდა ამ ისტორიულ გზას.

ოთარაანთ ქვრივის სახით ავტორმა გამოჰკვეთა სალკლოვანი ფიგურა ქართველი დედისა, რომელიც თუმცა შეარჩია უმცირესობიდან, მაგრამ შემოსა ტიპიური ელფერით და წარმოადგინა, როგორც დამახასიათებელ ნიშანთა შემცველი. ილიამ შეკრიბა უამრავი ქართველი

ქალის ნათელი მხარეები და შექმნა ერთი ჩაუქრობელი ბრწყინვალე-
ბა, რომლითაც გამოხატა ჩვენი დედის სახელოვანი და უკვდავი მა-
რადქალურობა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ილიას პოეტური შემოქმედების მნიშვნე-
ლობა სოციალური ბრძოლის სფეროში, არსებული ვითარების ოს-
ტატურად დახატვაში გამოიხატება. რა თქმა უნდა, ეს მცირე ღვაწლი
არ არის პოეტისათვის. უწინარეს ყოვლისა ილია იყო მხატვარი, მხა-
ტვრულად მოაზროვნე. ის სოციალურ ბრძოლას აწარმოებდა პოეტუ-
რი სიტყვის იარაღით. ეს იარაღი იმ მხრივ არის თავისებური, რომ
გამარჯვებას ამზადებს თანდათანობით და აუჩქარებლად. აქ მებრძო-
ლი უფრო ხშირად თვით კი არ წყვეტს გამარჯვების ნაყოფს, არამედ
მას უმზადებს თავის მომავალს, შთამომავლობას. ასეთი მებრძოლი
იყო ი. ჭავჭავაძე. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა მისი ლექსი „გუთ-
ნის-დედა“.

„გუთნის-დედა“ ერთი უწყვეტი, სევდიანი კვნესა-მოთქმაა ბატონ-
ყმობის დროინდელი გლეხისა. თავისი შინაგანი ექსპრესიით და მე-
ლოდიური შეფერილობით ლექსი შეიძლება შევადაროთ ქართველი
ხალხის გენიალურ ქმნილებას „ურმულს“; „ურმულის“ მსავსად გაბ-
მული კვნესით გამოთქმულია აქ გუთნის-დედის მძიმე ხვედრი და აუ-
ტანელი შრომის ამბავი.

ლექსში ადამიანი შედარებულია პირუტყვთან. ამ შედარების შემ-
ცველი ტექსტი პოეტმა სიტყვაწართმეულ მეტყველს ათქმევინა. ამით
ილიამ მისთვის ჩვეული მხატვრული სიმძაფრე მიანიჭა ნაწარმოებს
დასაწყისშივე და უკანასკნელ სტრიქონამდე შეუნარჩუნა მას სინამ-
დვილის შეუფერავად სახვის ძალა:

„ერთს ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ.
ერთგულად ვკიმოთ კაპანი ჩვენი,
უსიხარულოდ დავლიოთ დღენი.“

შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი, —
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...
რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მკრელი,
იუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?“

უუფლებო მშრომელი გლეხის განწირულების სულისკვეთება ნათ-
ლად მქლავნდება ამ უსინათლო მწუხარებაში.

„შე ჩემის კირის, ჩემის წუხილის,
ჩემის კაცობის გულის დუღილის
სიტყვანი გულში მებადებთან,
მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკედებთან“.

ლექსი მთავრდება ცხოველისადმი მიმართული გუთნის-დედის ურმედო სიტყვებით:

„აჰ, მენდე, ლაბავ, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი.
მაშ, რა გაღონებს! ვასწი ჰჰანსა
და გაიტანე გუთანი ბოლოს,
ხუ უღალატებ ძველს ამხანაგსა,
ის შენ აცხოვრე, მან შენ გაცხოვროს!..“

როგორც ვხედავთ, აქ არსებული ვითარების უბრწყინვალესი სურათია დახატული, მაგრამ ამ ვითარებიდან გამოსვლის არავითარი გზა არ არის ნაჩვენები.

•

1864 წლიდან 70-იანი წლების დასასრულამდე ილიას მრავალმხრივი მოღვაწეობის არენაზე მთავარი ადგილი უჭირავს ყოველდღიურ საზოგადოებრივ მუშაობას და სახელმწიფოებრივ სამსახურს. ამ წლების მანძილზე კლებულობს და ოდნავ ნელდება ილიას პოეტური შემოქმედების ცეცხლი. თუმცა ამ პერიოდში ილიამ შექმნა ისეთი უქნობი ქმნილებანი, როგორიცაა — „ჩემო კარგო ქვეყანავ“ (1872), „ღმიტრი თავდადებული“ (1878), „სარჩობელაზედ“ (1879) და სხვ. მაგრამ მიუხედავად ამისა, აღნიშნულ პერიოდში ილიას მღვლეწარე ცხოვრების ძირითად ნაკადს შეადგენდა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. ამ სფეროში ილია იჩენს ტიტანურ ძალას და გოლიათურ გამძლეობას.

ჩვენი დღევანდელი თემა არ მოიცავს ილიას მოღვაწეობის ამ სფეროს გაშუქებას და ამიტომ მარტო ფაქტების ჩამოთვლით დაგვკმაყოფილდებით. ეს ჩამოთვლაც ნათელს გახდის იმ უდიდეს დამსახურებას რაც სამშობლოს მსახურს გააჩნია პოეტური ნაამაგარის გვერდით.

1875 წელს ილიას თაოსნობით გაიხსნა საადგილმამულო ეროვნული ბანკი, რომელიც ჩქარა გადაიქცა კულტურულ-საზოგადოებრივ დაწესებულებათა ძირითად მატერიალურ კერად და ათეული წლების

განმავლობაში ჩაუქრობლად ინახავდა ჩვენი განათლების მრავალ ჩირალდანს. დაარსების დღიდან 30 წლის მანძილზე ილია თავმჯდომარეობდა ქართულ ბანკს.

1877 წელს ილიამ დაარსა მე-19 საუკუნის ქართული პრესის მწვენება და სიამაყე „ივერია“, რომელიც ხან ჟურნალისა და ხან გაზეთის სახით სხვადასხვა პერიოდულობით გამოდიოდა 30 წლის მანძილზე. 25 წელიწადს ილია იყო რედაქტორი „ივერიისა“. უნდა აღინიშნოს, რომ ილიას რედაქტორობის დროს „ივერიაში“ დაიბეჭდა ყრპა სტალინის — იოსებ ჯულაშვილის 5 ლექსი: „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“, „როდესაც ბადრად მნათობი“, „მთვარეს“, „რაფიელ ერისთავს“ და „ამ ქვეყნად იგი ვით ლანდი“.

ილიას ინიციატივით 1879 წელს დაარსებული იქნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ეროვნული წინსვლისა და განათლების საქმეში. 1885 წლამდე ილია იყო „საზოგადოების“ თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო შემდეგ — უცვლელი თავმჯდომარე გარდაცვალებამდე.

1880 წელს ილიას უახლოესი მონაწილეობით აღდგენილი იქნა მუდმივი ქართული თეატრი, ჩამოყალიბდა მსახიობთა დასი და დაარსდა დრამატული საზოგადოება, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ილია.

1883 წელს წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე ილიამ წარმოსთქვა თავისი შესანიშნავი, მჭევრმეტყველური სიტყვა სწავლა-განათლების მნიშვნელობის შესახებ.

ამჟვე წანებში ილია ღებულობდა მონაწილეობას „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში, რაც დაგვირგვინდა 1888 წელს გიორგი ქართველიშვილის ცნობილი გამოცემით.

1893 წელს ილიას თაოსნობით სამშობლოში გადმოსვენებული იქნა ნ. ბარათაშვილის ნეშტი. ამ დაუვიწყარ შემთხვევასთან დაკავშირებით ილიამ წარმოსთქვა დიდებული, მჭევრმეტყველური სიტყვა.

ი. ჭავჭავაძე ნახევარი საუკუნის მანძილზე გუშავობდა ქართულ კულტურას და ესარჩლებოდა ქართველ ხალხს. ასე, მაგალითად, 1882 წელს შავრაზმელმა კატკოვმა მოსკოვის რეაქციული პრესის ფურცლებიდან აუგად მოიხსენია ქართული დროშა და შეურაცხყოფა მიაყენა ქართველ ხალხს. ილიამ საკადრისი პასუხი გასცა უცოდინარ ბაქიას და მოსყიდულ მამუზლარს: „გაცვეთილის კაცისაგან ყველაფერი

მოსალოდნელია, მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკვლელად დაცვისათვის — არამც თუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან, დედამიწის ზურგზედ, სიცოცხლეს არა ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია, — იმის ეგრეთ უკადრისად ხსენებას, არ ვიცით, რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრეთ მომხსენებელი რა სულიერებში შევრაცხოთ“.

ილია მოაგონებს კატკოვს: „ქართული დროშა ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწიკვლელად და უჩირქოდ გარდაუცია; გაჭირვების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არა-ერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინამძღვარობით და სახელით ქართველობასა არა-ერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად“.

1889 წელს საქართველოს ისტორიის ცრუმცოდნემ ივანე ჯაბადარმა პეტერბურგის პრესის ფურცლებზე ცილი დასწამა ქართველ ხალხს და საეკვოდ განაღდა ქართული კულტურის სიძველე და თვითმყოფობა. იმავე წელს ილიამ შექმნა ქართული პოლემიკის მწვერვალი „აი, ისტორია“ და „ივერიის“ ფურცლებიდან გამანადგურებელი პასუხი გასცა სიყალბისა და ნილილიზმის მთესველ კალმოსანს.

სომეხ მეცნიერთა ერთი წინდაუხედავი ჯგუფი ათეული წლების მანძილზე ღალატობდა ისტორიულ სინამდვილეს და მეცნიერულ ქეშმარიტებას, პრესას ანგარებისათვის იყენებდა და აყალიბებდა ქართველ-სომეხთა კულტურული ურთიერთობის საკითხებს. 1899 წელს ილიამ შექმნა ბრწყინვალე პოლემიკური ნარკვევი „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღალადი“, რომლითაც დაიცვა უმეცართა თავდასხმისაგან როგორც ქართული, ისე სომხური კულტურა და მათი მატარებელი ხალხების მეგობრული ურთიერთობა.

სხვათა შორის იმავე ნარკვევში ილიამ პასუხი გასცა ნ. მარს, რომელმაც 1890 წელს უსაბუთოდ უარყო „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობა და თავისი მოსაზრების დამტკიცება მომავლისათვის გადადო.

ამასთან დაკავშირებით ილია წერდა: „რა საკადრისია, კაცს ჯერ საბუთი არ ენახოს, არ გაეჩხრიკოს და არც იცოდეს, მართლა ამისთანა საბუთი არის სადმე თუ არა, აიღოს და მთელს ერს შეუგინოს მისი

სამართლიანად სახელოვანი კაცი, შეუბღალავოს იგი თითქმის წმიდა-
თაწმიდა, რომელსაც შვიდასი-რვაასი წელიწადია განუწყვეტლად შეს-
ტრფის და შეჰხარის, შეურყიოს ძირი იმ დიდებულს სახსოვარს, რო-
მელსაც მთელმა ერმავე შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხა-
რული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თავისნი უკე-
თესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი!.. რა საკადრისია!”

ასეთია ილიას მიერ შესრულებულ ეროვნულ საქმეთა არასრული
ჩამოთვლა. ამ საქმეებს, ისე როგორც ილიას მოღვაწეობის მთელ გზას,
შთაგონებით აშუქებდა მტკიცე რწმენა პოეტის მიერ ასე გამოხატუ-
ლი: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვა-
ნელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია
ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალონეს შეადგენს... საკვირვე-
ლიც არ არის: რუსულმა სკოლა-მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათ-
ლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონე-
ბასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ“..

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ილია აღწევს შემოქმედებითი სიმ-
წიფის უმაღლეს მწვერვალს და სამარადეამოდ გაითქვამს სახელს, რო-
გორც პუბლიცისტი, ეკონომისტი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი და ის-
ტორიკოსი. ამავე წლებში ილიას პოეტური შემოქმედების უმაღლესი
მწვერვალი აღინიშნა 2 უკვდავი ნაწარმოებით — „განდეგილით“, რო-
მელიც დაიწერა 1883 წელს, და „ოთარაანთ ქვრივით“, რომელიც და-
იწერა 1887 წელს.

ამჟამად, აქ ჩვენი სიტყვა შეეხება ქართული ლიტერატურის უკე-
დავ ქმნილებას „განდეგილს“.

„განდეგილი“ მრავალსაუკუნოვანი ქართული სიტყვაკაზმული
მწერლობის მარად უქცნობი პოეტური ძეგლია. ახალი ქართული ლი-
ტერატურის საგანძურში ის სრულიად უბადლო და შეუდარებელი ნა-
წარმოებია. ახალ ქართულ ენაზე ჭერ-ხნობით არაფერი შექმნილა
„განდეგილის“ მხატვრობის ტოლი და სისრულის მეტოქე. ხელოვნ-
ების უმაღლესი ნიშნებით — თვითმყოფობით, ხალხურობით, ზოგად-
დიდურობით და სრულყოფილებით; ბრწყინავს ეს ქმნილება ჩვენი
კულტურის ისტორიაში უკვე სამოცდაათი წელიწადია. გვაქვს საფუძ-
ველი ვიფიქროთ, რომ მისი აზრიანი არსებობა არ შეწყდება ქართუ-
ლი ენის სიცოცხლის შეწყვეტამდე. მარად იქნება „განდეგილი“ „ვე-
ფხისტყაოსნის“ და „მერანის“ გვერდით ჩვენი ეროვნული საუნჯის
კუთვნილება.

✓ „განდეგილი“ ზოგადკაცობრიული შინაარსის ნაწარმოებია, ის ფილოსოფიური ქმნილებაა, მისი იდეა უღრმესი ქეშმარიტებისა და უფართოესი მნიშვნელობის შემცველია.

ეს იდეა ილიას გენიალური ჩვენების შედეგად მეტად მარტივად და ნათლად გამოიყურება. პოემის დედააზრი გამოიხატება შემდეგში: სიცოცხლის ძალა უძლეველია.

ეს იდეა პოეტმა გვიჩვენა ორი მოპირდაპირე იდეური მოტივის შეჯახების გზით. ეს იდეური მოტივებია: სიცოცხლის ძალა, რომლის გამომხატველია მწყემსი ქალი და სიცოცხლის უარყოფლობა, რომლის გამომხატველია განდეგილი. ამ მოტივების ბრძოლისა და მისი შედეგის საჩვენებლად პოეტმა ერთმანეთს შეახვედრა ქალი და განდეგილი. ეს შეხვედრა აღინიშნა მკაცრი შებრძოლებით: ერთმანეთს შეებრძოლნენ ქალი და განდეგილი ანუ სიცოცხლის ძალა და სიცოცხლის უარყოფლობა. ქალმა სძლია განდეგილს: სიცოცხლის ძალამ გაიმარჯვა. აქედან გამომდინარეობს პოემის დედააზრი: სიცოცხლის ძალა უძლეველია.

პოემის იდეური შინაარსის ბრწყინვალე გასაღებს წარმოადგენს სტალინის აზრი, გამოთქმული კერძო საუბარში მიხეილ ჭიაურელთან, რომელიც მას შემდეგნაირად გადმოგვცემს: შეჩერდა სტალინი განსაკუთრებით ილია ქავჭავაძის პოემა „განდეგილზე“ და აღნიშნა სიმკვეთრე და დახვეწილობა განდეგილისა და ახალგაზრდა მთიელი ქალის სახებისა: ეს უკანასკნელი სიცოცხლის ძალის განხორციელებაა, რომელიც ასკეტ ბერს იმორჩილებსო.

აი, რა არის გამოხატული ამ 560-სტრიქონიან სიმფონიაში, რომელშიც არ გვხვდება არც ერთი უხერხული ნაოჭი, გაუმართავი გამოთქმა, უადგილო სიტყვა ან დაუხვეწავი ფრაზა. ამაში ვრწმუნდებით როგორც მისი დაკვირვებული წაკითხვით, ისე ყურადღებით მოსმენითაც. ამ შემთხვევაში სმენით გავიზიარებთ ამ უნაკლო კეთილხმოვანების ზოგიერთ ადგილს.

პოემა იხსნება მყინვარის გასაოცარი სანახაობით:

„სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივი ვერ შეჰხებოან,
სად წვიმა-თოვლი, ყინულად ქმნილი,
მზისგან აროდეს არა დნებოან,

სად უღაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ურამული ვერ შესწედენია,
სად მეუფება ქეჭა-ქუხილსა,
ყიხულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია, —
უწინდელს დროში ღვთისა მოსავეთა
გამოუქვაბათ მუნ მონასტერი
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი“.

აქ, ამ კლდოვან ყინულებში მშვიდად ცხოვრობს განდევილი, ვინც

„განშორებია ამ წუთისოფელს,
სად ყოელი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ცშმაკის მახე და ცდუნებაა“.

მაგრამ დაირღვა სიმშვიდე და მყუდროება განდევილისა, როცა ბუნების მაცდურმა მადამ ჭერ ქარიშხალი მოუვლინა მწირის სენაყს და შემდეგ ტურფა ასული.

„თვით მადლს ტრფობისას რომ მოესტროვს
ხორცსხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად,
უკეთეს სახეს ვერ ინატრებდა
თავის სიცხოვლის გამომსახველად“.

სააქაოს უარმყოფელი, ცხოვრებაზე ხელაღებული და მკაცრ ყინულებს შეკედლებული მეუღაბნოე აღმოჩნდა თავისი ნებით უკუგდებული და დაგმობილი ცხოვრების უღამაზესი ყვავილის წინაშე. პირისპირ დადგნენ ცხოვრება და მისი მგმობელი. ბრძოლა გახდა გარდაუვალი. ბრძოლა დაიწყო სიტყვიერი შეკამათებით, — გაგრძელდა ჩუმი და უჩინარი წინააღმდეგობით და — დამთავრდა დამარცხებული განდევილის სიკვდილით.

„— განა ქვეყნადა შენ არაეინ გყავს,
ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?
— მყვანდნენ... და ყველას გამოვეთხოვე,
აქ მოველ და ღმერთს შევწირე თავი“.

— მოშორდი და აქ სულ მარტოკა ხარ?
— ეგეთი არის, სჩანს, ნება ღვთისა...
— როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში უნდა
ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?

განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის
ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?
...მაშ რისთვის მორთო
ესე ლამაზად წუთის-სოფელი?
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვენოს და აილოს ხელი?“

ბრძოლა გადადის ახალ ფაზაში.

მეუფეთებელ ძილს მიეცა მოღლილი ქალი:

„საოცარ იყო მიძინებული
იგი სიტუარფე, იგი შეენება..
თითქო მის შექმნას ერთად ცდილანო
ღვით სიყვარული და ნეტარება.
თითქო თვით მადლსა შეენებისასა
თვისი საუნჯე აქ დაჰბნევია
და ეშხსა, ვითა იაღონს ვარღზედ,
სული მის დაწვზედ დაუღევია“.

იღგა ტყვექმნილი მეუღაბნოე. უჩვევი „სხივი გულს ჩაეფინა ნე-
ლი და თბილი“.

„ქალს კვლავ ეძინა ნეტარის ძილით,
ძილში ჩაყოლილს ფიქრს, თუ ოცნებას
ბაგე გაეპო ლაღის ღიმილით.
იმა ღიმილის გრძნეული ჯადო
ზედ დასაკედომად კოცნას იწვევდა
და იმა წვევის მაცდურებასა
ზე — არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...
და ვერ გაუძლო საწყალმა მწირმაც...
და დაიხარა თავი თუ არა,
ხეებ გაშეშდა...“

ბრძოლა მთავრდება. ჩუმი და უჩინარი შერკინების შედეგი ნათე-
ლია. ცხოვრება ზეიმობს გამარჯვებას. მისი სახით სენაკში შექრილი
ბრწყინვალეობა ძალას ართმევს იქ გამეფებულ უკუნეთს, რომელშიაც
იღუპება სამარადისო სინათლის მძებნელი განდევნილი.

„დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა,
ვაზრა, გაშეშდა ზარდაცემული,
ერთი საშინლად შეჰბღავლა ღმერთსა
და იქავ სხივ-ქვეშ უტრევა სული“.

პოემა მთავრდება უადამიანო ბუნების შემზარავი სურათით:

„და იქ, სად წმინდანთ უდიდებით
ღმერთი მსჯავრის და კემპარიტების,
იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ
ჩსხვერპლი ქებისა და ღაღადების, —
აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა
მარტო ქარიღა დაღის და ქშუის,
და გამომფრთხალი კეჭა-ქუხილით
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის...“

•

მე-19 საუკუნის ქართველ მოღვაწეებს არაერთხელ გამოუთქვამთ აზრი საქართველოს დამსხნელი გმირის მოვლინების შესახებ. ისინი თავიანთ თავს მოკრძალებით ჩრდილში აყენებდნენ და სხვას უთმობდნენ ეროვნული გმირის დაფნის გვირგვინს. ასე იქცეოდა, მაგალითად ა. წერეთელი. ასევე მოიქცა ი. ჭავჭავაძე, რომელმაც სამშობლოს მხსნელის მოვლენას უძღვნა ლექსი „ბაზალეთის ტბა“.

„ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო,
და მის გარშემო წყლის ქვეშე
უცხო წალკოტი ჰყვავისო.

იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე და ღამ კნატრულობს
ჩუმის ნატერიოთა ქართველი?
თუ ესე არის, ნეტა მას
ვაეკაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!
თუ ესე არის, ნეტა მას
დედასა სახელდებულსა,
ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის
თვის ძუძუს მადლით ცხებულსა!“

•

იღია მისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში სიტყვაკაზმულ მწერლობას თითქმის ჩამოშორდა. მწერლის კალამი კვლავ ელვაარებდა

პუბლიცისტიკისა და პოლემიკის სფეროებში. ეროვნული კულტურის დამცველ ფარებად აღიმართნენ ილიას პოლემიკური წერილები: „კატკოვის პასუხად“, „რა გითხრათ, რით გავახაროთ“, „აი, ისტორია“, „ქვათა ღაღადი“ და სხვ.

1906 წელს ილია არჩეული იქნა სახელმწიფო საბჭოს წევრად. 1907 წლის 2 მაისს უკანასკნელად გაიეღებინა მისი გენია სახელმწიფო საბჭოს ტრიბუნადან. ილიამ სიტყვა წარმოსთქვა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ამ სიტყვის დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია, მისი გამოქვეყნება მთავრობას აუკრძალავს.

ნიშნული აღმოჩნდა ეს ყველაფერი. მეფის მთავრობამ ჯერ დაუფარავად დაგვიღუპა ილიას უკანასკნელი ნააზრევი და შემდეგ ფარულად დაიწყო თვით ილიას დაღუპვის სამზადისი.



დიდი თერგდალეულის მთელი სიცოცხლე მამულისათვის თავდადებული მებრძოლის გმირული წვა-დაგვა, შეუწყვეტელი მღელვარება და გოლიათური წინსვლა იყო. ეს დიდი სიცოცხლე შეწყდა წიწამურში, არაგვის ნაპირზე, 1907 წლის 30 აგვისტოს. პოეტის მგზნებარე სიცოცხლე დაიფერფლა ჩვენი ეროვნული კულტურის სამსხვერპლოზე. ის დაიფერფლა, მაგრამ არა ფერფლივით ჩუმად და უმტივენეულოდ: მისი დასასრული იყო ტრაგიკული. ილია მოჰკლეს. ილია მოჰკლეს თვითმპყრობელობის ჯალათებმა. მისი მკვლელობა იყო ვერაგული, შემზარავი და აღმაშფოთებელი. ეს იყო ქართველი ხალხის მძიმე ეროვნული ტრაგედია. საქართველოს ისტორიამ არ იცის უფრო საზარელი მკვლელობა. წიწამურის გასროლით დაღუპდა უდიდესი ქართველის გული, რომელიც 70 წლის მანძილზე უმწიკვლოდ ატარებდა საქართველოს სიყვარულს. ეს სიყვარული ილიამ გვიანდერძა თავისი უკვდავი პოეტური მემკვიდრეობის სახით.

განუსაზღვრელი გულისტკივილით უნდა ითქვას, რომ მოხუცი ილიას სისხლი შეიერთა იმ არაგვმა, რომელსაც ახალგაზრდა ილია ასე მიმართავდა:

„შენ ზვირთებ შორის ჩემის ქვეყნისა
გრძელი მოთხრობა დამარხულია
და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდებზედ გადასხმულია“.

ამ გრძელ მოთხრობას ილიას მოკვლით კიდევ ერთი მძიმე სათქმელი დაემატა, არაგვის კიდეების მოწამებრივ სისხლზე კიდევ ერთი წამებული სისხლი დაიდგარა. მაგრამ დიდი სიხარულით უნდა ითქვას, რომ ქართველთა სისხლის წყაროს უკვალოდ არ ჩაუვლია; ცრემლისა და სისხლის ტალღებს მოჰყვა ი. ჭავჭავაძის ნანატრი გაზაფხული. ამას გვიჩვენებს ჩვენი დღევანდელი სამშობლოს „აყვავებული მდელი“, „აყვავებული მთები“ — განახლებული საქართველო, რომელსაც ელოდა, შესტრფოდა, შენატროდა და გზას უკაფავდა ილია.



ა კ ა კ ი

(ცხოვრება და შემოქმედება)

პირველი პოეტის ვინაობა საქართველოში დავას არ იწვევს: იგი შოთა რუსთაველია. მეორე პოეტის ადგილი, შესაძლებელი დავის მიუხედავად, ეკუთვნის აკაკი წერეთელს. აკაკის ჩანგი უახლოესი და უერთგულესი მემკვიდრეა შოთას ქნარისა. ამიტომ ცნობენ ჩვენს სამშობლოში შოთას და აკაკის მართო სახელის ხსენებით. ეს სახელები ქართულ ენაში უტკბილეს საალერსო სიტყვას მოგვაგონებენ.

მე-19 საუკუნის ქართულ კულტურას ორი მნათობი ამშვენებს, ჩვენი ზეცის ორი მზე: ილია და აკაკი. ილიას გვერდით იდგა აკაკი, ნახევარი საუკუნის განმავლობაში, როგორც მისი თანამებრძოლი.

აკაკი — დიდი ქართველი პოეტი, ღრმა და მაღალი კულტურის ადამიანი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, სამშობლოს უერთგულესი მოყვარული და ხალხის უანგარო ჭირისუფალი. მან დაგვიტოვა უკვდავი ლექსები, პოემები და მოთხრობები; ილიასთან და იაკობთან ერთად შექმნა ახალი ქართული სალიტერატურო ენა, გააჩაღა კულტურის უამრავი კერა, შეკრიბა დიდძალი ხალხური სიტყვიერება და ირგვლივ შექმნა მხურვალე შთაგონების დიადი გარემოცვა.

ილია ჭავჭავაძე იყო მე-19 საუკუნის ქართული კულტურის უდიდესი რეფორმატორი. მისი რეფორმები შეეხებოდა მეტყველების ორივე სახეს — როგორც ზეპირს, ისე წერილობითს, როგორც მართლ-

მეტყველებას, ისე მართლწერას. ამ დიდ საქმეში, როგორც ყოველთვის, ილიასთან ერთად იყო აკაკი. ისინი იყვნენ ხსენებული რეფორმის უმართლესი თეორეტიკოსები და მოწინავე პრაქტიკოსები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით პირველ ხანებში, თეორიის სიმძიმე უფრო ილიას აწვა, ხოლო პრაქტიკის — უფრო აკაკის.

აკაკი წერეთელი დაიბადა 1840 წელს, სოფელ სხვიტორში, მამისეულ სასახლეში. ის შვილია როსტომ წერეთლისა და ეკატერინე აბაშიძის ასულისა. მათ ხუთი შვილი ჰყავდათ. მათ შორის, რიგით მეოთხე, იყო აკაკი. ძველი ბატონკაცური ჩვეულების თანახმად, სოფელ სავანეში გაბარებულ აკაკის ზრდიდა გლეხის ქალი — მანო ყანჩაველისადუნიშვილისა. სოფელ სავანეში გატარებული 6 წელი სამუდამო ტყბილ მოგონებად დარჩა პოეტს. თავისუფალი და უზრუნველი ბავშვობის შემდეგ მამის ოჯახში აკაკიმ განიცადა ძნელად შესაწყობი მანკიერი ცხოვრების პირობები. დედის თაოსნობით 8 წლიდან აკაკი ითვისებს ოჯახურ სწავლა-განათლებას. 1850 წელს, 10 წლის ასაკში, აკაკის აბარებენ ქუთაისის გიმნაზიაში. 1859 წელს სრული კურსის დამთავრებამდე აკაკი გამოდის გიმნაზიიდან და მიემგზავრება რუსეთში.

ოცნებითა და სინამდვილით ხილული გზა და ასპარეზი გადაიშალა ქაბუკის წინაშე. აკაკი პეტერბურგშია, ჯერ ქართველ სამხედრო პირთა შორის, შემდეგ სტუდენტთა წრეში. უკანასკნელთა გავლენით ის უკუაგდებს სამხედრო სამსახურში შესვლის განზრახვას და შედის უნივერსიტეტში, აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე.

აკაკის პეტერბურგში დაუხვდნენ უფროსი სტუდენტები — ილია ჭავჭავაძე, ნიკო ლოღობერიძე, ბესარიონ ლოღობერიძე და სხვები, მასთან ერთად უნივერსიტეტში შევიდა კირილე ლორთქიფანიძე, ცოტა ხნის შემდეგ მათ შეუერთდნენ ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი. ქართველ სტუდენტებს მეთაურობდა ილია ჭავჭავაძე. ყოველი ახალი წამოწყება მას ეკუთვნოდა. ყველაფრიდან იგრძნობოდა მისი დიდი მომავალი. მოწინავე ქართველი სტუდენტები მოექცნენ პროგრესულ-გამათავისუფლებელი იდეების გავლენის ქვეშ. ამ იდეებს ნერგავდნენ რევოლუციონურ-დემოკრატიული მოძრაობის სახელოვანი წარმომადგენლები — ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ნეკრასოვი და სხვები.

ასეთ პირობებში მოხდა გაცნობა, დაახლოება და დამეგობრება

ორი დიდი ქართველის — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის. ეს დიდი მეგობრობა, რომელიც გაგრძელდა თითქმის ნახევარ საუკუნეს, საგანგებო ყურადღების ღირსია:

1859 წელს ურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა აკაკის პირველი თარგმნილი ლექსი მ. ლერმონტოვის „რტო პალესტინისა“. ჭაბუკი პოეტი თავისი ნაფიქრ-ნააზრევით უკვე იდგა ხალხის პირუთვნელი სამსჯავროს წინაშე, როცა მეორე სამშობლოდ მიჩნეულ რუსეთისაკენ მიემგზავრებოდა. საქართველოში დაწყებული შემოქმედებითი მუშაობა პოეტმა განაგრძო რუსეთში, სადაც მეცნიერების ცხოველმყოფელ წყაროსაც დაეწაფა და მომწიფდა, როგორც მოქალაქე, პოეტი და ადამიანი. 1860 წელს „ცისკარის“ იანვრის ნომერში პირველად სახელითა და გვარით გამოქვეყნდა აკაკის ლექსი — „საიღუმლო ბარათი“. ორი ქართველი სწავლული — პლატონ იოსელიანი და დავით ჩუბინაშვილი უმაღლვე შენიშნავენ აკაკის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას. ასე დაიწყო აკაკის დიდი პოეტური ცხოვრება.

1862 წელს აკაკი ამთავრებს პეტერბურგის უნივერსიტეტს და ბრუნდება სამშობლოში. ჩვენში უკვე გაჩაღებული იყო „მამა-შვილთა“ ბრძოლა. თერგდალეულთა მეთაური ილია ჭავჭავაძე სარდლობდა ამ ბრძოლას „შვილების“ მხრივ. საქართველოში ჩამოსვლისთანავე „შვილთა“ შორის, ილიას გვერდით, დგება აკაკი.

1864 წელს აკაკიმ ცოლად შეირთო ნატალია ბაზილევსკის ასული. გამოხდა ხანი და მათ შეეძინათ ვაჟი, რომელსაც დაარქვეს ალექსი. მიუხედავად დაცოლშვილებისა, აკაკიმ ვერ შექმნა ოჯახი. ცოლსა და ქმარს სხვადასხვა სულიერი ინტერესები ასულდგმულეზდა. ცოლს არ ჰქონდა ბედნიერება მისი დიდებული ქმრის შემოქმედებით დამტკბარიყო, ქმარი არ ზრუნავდა თბილი ოჯახური კერა შეექმნა. ყველაფრის მთქმელია ერთი მისი ხუმრობა: „ცოლი მყავს — არა მყავს, შვილი მყავს — არა მყავს“.

აკაკიმ მეტად ჩქარა მოიბოვა პოეტური აღიარება. უკვე სამოციან წლებში მისი პოეზია ხშირად ზდება კრიტიკული პაექრობის საგანი, რუმელიც უმრავლეს შემთხვევაში აღტაცებას იწვევს და ქება-დიდებას იმსახურებს.

სამოცდაათიან წლებში აკაკი აღწევს პოეტური სიმწიფის პერიოდს, დგება შემოქმედებითი აღმავლობის მწვერვალზე და იმოსება სახალხო პოეტის შარავანდელით. ამ ადგილს ის ინარჩუნებს მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ოთხმოციან წლებში აკაკი გახდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი უდიდესი საჭეშაპრობელი. საზოგადო მოღვაწის საპატიო სახელს იმსახურებს ის თავისი მხურვალე მონაწილეობით ყოველ მნიშვნელოვან საქვეყნო წამოწყებაში.

ოთხმოცდაათიან წლებში აკაკი მოიპოვეს უჩვეულო პოეტურ სისრულეს: იდეური სიღრმისა და მხატვრული სიმაღლის გვერდით ადგილს იჭერს ჟანრობრივი განფენილობა — აკაკი პოეტი, აკაკი ბელეტრისტი, აკაკი დრამატურგი — ასეთია მისი უმთავრესი შემოქმედებითი სფეროები.

ცხრაასიან წლებში აკაკის სახით ჩვენ წინაშე დგას დიდი ქართველი ოლიმპიელი. დაფნის შტოები მოკრძალებით თავს ხრიან აკაკის ვალმოხდილი თავის შესამკობად.

1908 წელს ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით გადაიხადა აკაკის იუბილე. ამ ზეიმში იგრძნობოდა ის სიყვარულიც, რომლის სრულად გამოხატვა თავის დროზე ვერ შეიძლო ჩვენმა ერმა მე-19 საუკუნის უდიდესი ქართველის ილია ჭავჭავაძის მიმართ.

ამის შემდეგ დარჩა პოეტისაგან დამოუკიდებელი საქმე — ისევე ღირსეულად მომკვდარიყო, როგორც იცოცხლა. ეს უკანასკნელიც სასურველი სახით შესრულდა. სამოცდათხუთმეტწლიანი სიფხიზლის შემდეგ ამაგმოსილი პოეტი სამუდამოდ მიიძინებს 1915 წლის 25 იანვარს.

აკაკის დაკრძალვის გლოვა შეეჭიბრა მისი იუბილეს ზეიმს. გლოვამ გაიმარჯვა, მაგრამ დროებით. იგი შესცვალა ისევ ზეიმმა, რომელიც სამუდამოდ დამყარდა საქართველოში აკაკის სახელის ირგვლივ. თვით დაკრძალვის გლოვაც ატარებდა ამ ზეიმის ნიშნებს. ეს იყო რაღაც თავისებური გლოვა-ზეიმი. ამას ამტკიცებს თუნდაც ის, რომ აკაკის კუბოს ერთადერთი უბრალო გვირგვინი მიუძღოდა. ამ გვირგვინზე ეწერა მხოლოდ ორი სიტყვა: „აკაკის — საქართველო“. ამიერიდან საქართველო და აკაკი აღმოჩნდნენ განუშორებლად შეთავსებულნი.

აქ უნდა აღვნიშნო ერთი იშვიათი გარემოება: ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, სადაც უხვად ვხვდებით როგორც შემთხვევით, ისე კანონზომიერ მოვლენებს, არ მოიპოვება მეორე ფაქტი ისეთი სვებედნიერი და უზრუნველი ცხოვრებისა, როგორც აკაკი წერეთელმა გაატარა. „სამდურავი სოფლისადმი“ არ ეთქმოდა პოეტს. ხანგრძლივი სიცოცხლე, მხურვალე სიყვარული, ღირსეული დაფასება და დროული სიკვდილი; ყველაფერი — რაც შეიძლე-

ბა ინატროს ჭკუაღამჯდარმა ადამიანმა, იყო ხვედრი აკაკი წერეთლისა. დიდაზროვანი სიცოცხლე, განუცდელი სიკვდილი და ბრწყინვალე შარავანდედი სიკვდილის შემდეგ — წილად ხვდა პოეტს, როგორც ბუნებისა და ადამიანისაგან მომადლებული ჭილდო. საგულისხმოა, რომ იმავე ბუნებასა და ადამიანს დაუდგა სამარადქამო ძეგლი პოეტმა თავისი პოეზიით. აქ ერთმანეთის ვალში არავენ დარჩენილა — არც აკაკი ხალხის მიმართ და არც ხალხი აკაკის მიმართ. ჩემგან — ხალხს, ლალადებდა აკაკის სიტყვა და საქმე, ჩვენგან — აკაკის, იყო ხალხის საპასუხო გამოძახილი.



მე უკვე აღვნიშნე, რომ საგანგებო ყურადღების ღირსია გასული საუკუნის ორი დიდი ქართველის — ილიასა და აკაკის თანამეგობრობა. ჭეშმარიტად წარმტაცი, უანგარო და შთამაგონებელი იყო მათი ურთიერთობა. ამით იმის თქმა არ მინდა, თითქოს საწყენს არასოდეს ჰქონოდეს ადგილი მათ შორის, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ნახევარი საუკუნის მანძილზე მათ შეინარჩუნეს ერთმანეთისადმი მოკრძალება, პატივისცემა და სიყვარული. მათ უხაროდათ ერთმანეთის წარმატება. ასეთი სიხარული შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმას, ვინც საერთო საქმეს აყენებს პირადზე უფრო მაღლა, და სწორედ ეს ღირსება ჰქონდა მომადლებული როგორც ილიას, ისე აკაკის. ვინც იბრძვის საერთო საქმისათვის, მისთვის უცხოა შური, მტრობა და გაუტანლობა; ვინც კერძოზე მაღლა აყენებს საზოგადოს, მისთვის უცნობია კერძო ინტერესი. საერთო, საზოგადო საქმით ამადლებული ილია და აკაკი ყველაფერს და მათ შორის პირად განწყობილებასაც, თავიანთ მაღალ იდეალებს უმორჩილებდნენ.

მე ვილაპარაკებ ფაქტების ენით.

1860 წელს, რუსეთში ყოფნისას, როგორც ირკვევა, ილიამ ხელნაწერში გააცნო აკაკის „აჩრდილის“ პირველი ვარიანტი. პოემაში პოეტი კვნესით მოსთქვამდა საქართველოს მძიმე აწმყოზე, სინანულით იგონებდა წარსულს და იმედის თვალით შეჰყურებდა მომავალს. ილიას პოემით შთაგონებული აკაკი ილიასადმი მიძღვნის სახით ქმნის ერთგვარ საპასუხო ლექსს. რომელშიაც იზიარებს იმედის უუქს და მღელვარებას მიიჩნევს გამარჯვების თავდებად. ეს ლექსია „ამაო ძებნა“:

„მაისის ღამე ბნელთვალისა,
აგერ, განთიადს ესალამება...
...აჰა ჭაბუკი...

კვების და ოხრავს, სტირს უბადრუკი
და წარსულს დროებს ოცნებით ეძებს...
მთა-კლდეთ შეჭბდავის, ჩასძახის ქვესკნელს,
წყალსა მიჰყვირის მსწრაფლ მიმავალსა...“

ეს ჭაბუკი არის ილია. აკაკის მიერ მიღებულია ილიას იდეალი, მაგრამ ამათ ძებნად მიჩნეულია წარსულისაკენ ყურება. ეს ლექსი არის პირველი შემოქმედებითი ხლართი, რომლითაც გაიბა ილიასა და აკაკის შეგობრობის ბადე; ასეთი იყო აკაკის პირველი სიტყვა, მიმართული ილიასადმი. უკანასკნელი სიტყვაც მანვე უთხრა ილიას. ეს მოხდა 1907 წელს, თბილისში, სასახლის ქუჩაზე, როცა სასტუმროდან ჩამოიყვანეს ავადმყოფი აკაკი, რომელმაც შემდეგი სიტყვებით მიმართა ილიას ცხედარს: „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და, თუ სასიკვდილოა..., მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუღწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავ!“

ასეთია თავი და ბოლო ამ დიადი მეგობრობისა. ამ საზღვრებს შორის მოქცეულია განუწყვეტელი შემოქმედებითი ურთიერთობა. ხსენებული ურთიერთობის სიმტკიცისა და სიწრფელის მაჩვენებელია ილიას აზრი აკაკის შესახებ, ბევრჯერ საქვეყნოდ გამოთქმული.

1882 წელს ეჟურნალ „ივერიაში“ ილია აღწერს აკაკის მოგზაურობას ქართლსა და კახეთში და „ჩვენი ქვეყნის რჩეულს“ უწოდებს მას: „ვინც ტბილის და გრძნობიერის სიტყვით ამ ოცდახუთს წელიწადში ატკობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა ქართველის გულს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის..., ამ სიყვარულის აღორძინებისათვის თითონ აკაკი წერეთელს არაერთხელ დაუკვნესებია თავისი ტბილი ქნარი. უმოქმედებია თავისი მიმზიდველი ნიჭიერება, თავისი მარილიანი სიტყვა, თავისი სიტურფით სავესე ქართული“..

მეტად საგულისხმოა ილიას ერთი კერძო ბარათი აკაკისადმი. აქ „ივერიის“ რედაქტორი გაზეთის დამშვენებით დაინტერესებულა: „ძმაო აკაკი, მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გაუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთად-ერთი აკაკი ხარ... გულითადი წადილი მაქვს, რომ შენმა

სახელმა დაამშვენოს ჩვენი გაზეთი... მაინც და მაინც ვთხოვ დარწმუნებული იყო, რომ შემეწევი თუ არ შემეწევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათა შორის, მეც ერთი გულწრფელი მადიდებელი და დამფასებელი შენის 25 წლის ღვაწლისა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები“.

ასე სწერდა ილია აკაკის 1886 წლის 5 იანვარს.

დასასრულ, ილიას და აკაკის ურთიერთობას მთელი სისრულით გვიხატავს ხანდაზმული აკაკის შემდეგი სიტყვები: „ორმოც წელიწადზე მეტია, რაც მე და ილია ერთმანეთს ვიცნობთ და არასოდეს ერთმანეთთან პირადი უსიამოვნება და უკმაყოფილება არა გვქონია; პირიქით, გარდა სიამ-ტკბილი შეყრა-შეხვედრისა და ზრდილობიან-დარბაისლურ სიტყვა-პასუხისა ერთი მეორისაგან არა გვინახავს რა“.

ასეთი იყო ამ ორი დიდი ქართველის სიტყვით და საქმით დამშვენებული მეგობრობა.

აკაკი უდიდესი ქართველი ლირიკოსია. უფრო დიდ ლირიკულ მომღერალს არ იცნობს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორია. მისი ლირიკული პოეზიის გაცნობა კაცს აფიქრებინებს: ეს ჟანრი აკაკიმდე რომ არ არსებულებო, მას უნდა მიეცა მისთვის დასაბამი ის ძლიერია სხვა ჟანრებშიაც, მაგრამ სრული სახით მხოლოდ აქ ბობოქრობს მისი გენიალური პოეტური სტიქია. ამ სტიქიამ არ იცის, რა არის სიმშვიდე და კმაყოფილება. ზოგიერთი ლექსიდან მხოლოდ მოჩვენებით იქმნება სიწყნარის შთაბეჭდილება. ეს სიწყნარე გრიგალის წინამორბედს მოგვაგონებს. გაივლის ხანი და ისევ ამოვარდება აკაკისეული მღელვარებით ნაძერწი სტრიქონების ქარიშხალი. ჩვენ შეგვიძლო გვეთქვა: ნაკვეთი სტრიქონების, მაგრამ არა, სწორედ ნაძერწი და არა ნაკვეთი; ნაძერწი იმიტომ, რომ ყოველი მათგანი უფრო მოქნილია, ვიდრე უდრეკი, უფრო სალუქია, ვიდრე მკვრივი. აკაკის ლექსის მოქნილობაში არის გაუტეხელი სიმკვრივისა და შეუდრეკელი სიმტკიცის ძალა. ეს არის მისთვის ნიშანდობლივი.

ასეული წლების მანძილზე ჩვენში უფრო ნაზად არავის უმღერია და სწორედ ამ ნაზად მომღერალმა, თითქოს სინამდვილის საპირისპიროდ, უწოდა თავისთავს — საყვირი. მაგრამ აქ სისწორე დარღვეული არ არის. აკაკი კარგად გრძნობდა თავისი ნაზი ხმის ყოვლის-

შემძლე ძალმოსილებას. ამ სინაზეში იყო ის ძალა, რომლის წარმოქმნა უფრო საყვირს შეეფერება, ვიდრე სალამურს, და ამიტომ პოეტმაც თავის თავს საყვირი უწოდა და არა სალამური. ამნაირად, „სალამურის ხმით მომღერალი საყვირი“ — ასე შეგვიძლია ვუწოდოთ, მისივე სიტყვებზე დაყრდნობით, აკაკი წერეთელს.

უნახესი სიტყვაკაზმულობით შეამკო პოეტმა შემოქმედებითი ცხოვრების პირველ დღესვე იღუმალი ტრფიალების ნუგეში — საიდუმლო ბარათი:

„საიდუმლო ბარათო
გითხრეს: „ექმენ მარადო
სიხარულის მომნიქედ
და სეველისა ფარადო“.
მისთვის გიღებ უბეში,
გალბობ ცრემლის გუბეში,
ამისრულო, რაც გითხრეს,
თუ ხარ ჩემი ნუგეში“

ეს ნათელი, გამართული და უზადო სიტყვა, ნათქვამი 19 წლის ჭაბუკის მიერ, თავისთავად დიდი ნუგეში და სასოება იყო ახალი ქართული კულტურის მესვეურთათვის. ასე დაიწყო აკაკიმ. ასეთი დასაწყისი შეშურდებოდა თვით შემოქმედებით მწვერვალზე მდგომსაც. უმაღვე გამომქლავნდა აკაკის უდიდესი პოეტური პოტენცია, რომელიც შემდეგ 56 წლის მანძილზე განუწყვეტლად იღვრებოდა უწმინდესი ნაკადის სახით. ამ ნაკადის მაცოცხლებელ წვეთებს ღირსეულად იჩემებდა ყოველი ქართველი. საქართველოსთვის დაიწყო სიმღერა ამ უდიდესმა სახალხო პოეტმა, საქართველოსთვის განაგრძო მღერა და იმავე საქართველოსთვის დაამთავრა თავისი დიდი საგლობელი.

„საიდუმლო ბარათის“ შემდეგ კიდევ რამდენიმე სატრფიალო ლექსი შექმნა აკაკიმ, შეამკო ლტოლვა, სილამაზე და სიყვარული, მიმართა ტურფას:

„ცაზე მზეა, ქვეყანაზე შენა ხარი
შეცდომით ძირს ჩამოსული ზენა ხარი
შაქრის გულო, ბულბულისა ენა ხარი
სიხარულო, ჩემი ცრემლის დენა ხარი“

მუხამბაზით გამოხატა „სიხარულის ცრემლის დენა“:

„მაგრამ იმ დროს გაუხარი,
ვით ზამთარში თვით პეპელი,
უნუგეზოდ ცოცხალ მკვდარი,
ბედს სწყევლიდა წერეთელი —“

ამბობს აკაკი. საქმე ის არის, რომ მან არ გაიზიარა ჩვეულებრივი სიყვარულის სიკეთე და ბედნიერება, უკუაგდო ბედის ხვედრი, უარყო გათელილი გზა და სხვა ტრფიალება — უფრო დიდი და სხვა სატროფო — უფრო დიადი აირჩია მისი არსებობის სანუკვარ საგნად.

ეს საგანი იყო სამშობლო.

ვიდრე აკაკის პოეზიიდან უკუფენილ სამშობლოს შევეხები. მინდვ მოგაგონოთ ის შემოქმედებითი მრწამსი, რომლის ნათელი აფენია პოეტის ყოველ სიტყვას, ყოველ შეხედულებას. ასეთი შემოვლილი გზით, ვფიქრობ, უკეთესად ჩაწვდებით იმას, რაც სთქვა პოეტმა და ნათქვამით რისი თქმაც უნდოდა მას.

უკვდავი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებიდან ჩვენ დღეს კარგად ვიცით, რომ ყოველი დიდი მწერალი, უწინარეს ყოვლისა, თავისი ქვეყნისა და დროის შვილია. ეროვნული ვითარების დუ აწმყოს უკვდავყოფა თვით მხატვრის უკვდავების ერთი უმთავრესი ნიშანია. რაც უფრო მეტად და უკეთესად შეიძლება მწერალი საკუთარი ერის სიამესა და ტკივილების გამოხატვას მათი განცდის მომენტში, მით უფრო მეტად და უკეთესად ემსახურება ის როგორც ამ მომენტს, ისე მომავალსაც.

აკაკი წერეთელი! სწორედ ასეთი პოეტი იყო. ასეთი იყო ის როგორც თავისი თეორიული მსოფლმხედველობით, ისე პრაქტიკული შესრულებითაც. მან პოეტს უწოდა „გარემოების საყვირი“. ამ ორი სიტყვით გამოხატულია მთელი შემოქმედებითი მრწამსი. ამ მრწამსის მიხედვით პოეტი ხალხის მსახურია, მისი ღბენის მონაწილე და გოდების მოზიარე, ქვეყნის შვების და ვარამის გამომხატველი, გარემოცვის ამსახველი და უკვდავყოფელი. ის არის დიდი მლალადებელი, მაცნე, მეურვე და პირუთვნელი მამხილებელი. „სიტყვა — თესლია, ხალხია ნიადაგი. თამამად და პატიოსნურად ხალხში გატყორცნილი მართალი სიტყვა უნაყოფოდ არ რჩება“, — ამბობდა აკაკი.

სრულყოფილებით შთაგონებული მუშაკია მხატვარი — პოეტი წინამძღვარი და წინასწარმეტყველი. ასეთია მისი ზოგადი სახება. ამ სახების მატარებელი ჰგავს მრავალს, მაგრამ არ არის მხოლოდ ერთი მრავალთაგანი. იგი მეტია, ვიდრე ვინმე ცალკეული და მოიცავს სა-

კუთარში სხვას, როგორც სხვაში გრძნობს თავის თავს. რადგან პოეტი სხვაც არის და თავისი თავიც, ამიტომ იგი „ხან უგნურია, ხან ბრძენი, ხან არც ისაა, არც ისა“.

„თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ,
სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისაა
შუაქატი ვარ, უბრალო,
ხან მიწისა ვარ, ხან ცისა. —“

ამბობს მგოსანი. აქ იხატება პოეტის დიდი ყოვლადობა; მისი ტევადი ბუნება, უსაზღვრო განფენილობა და ზოგადი სახეობა. ასეთ არსებას აქვს უფლება მოითხოვოს:

„ნუ მკიცხაე, მნახო უგნურად,
ნურც გაიკვირებ ბრძნობასა;
სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი
ამ ჩემს გონება-გრძნობასა“.

არსებითად ყველასთან დამოკიდებული, ერთი შეხედვით ყველასგან დამოუკიდებლად გვეჩვენება: „მას სხვა ჰყავს ხელისუფალი“, მაგრამ

„ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია,
ან თვალს უნახავს და ჰკუჟას
გაუზომ-აუწონია“

ეს არის დიდი რეალისტის უგულწრფელესი აღსარება, არც მხატვრის მეტი რეალიზმია წარმოსადგენი და არც ადამიანის მეტი გულწრფელობა. ის „სხვა ხელისუფალიც“ ობიექტურ რეალობად გვევლინება და ამრიგად, აქ საქმე გვაქვს სინამდვილის პირუთენელი მხილების პოეტურად გამოხატულ ფილოსოფიასთან.

სინამდვილის პირუთენელი მამხილებელი უნდა ეწოდოს აკაკი წერეთელს. რომ ამ წოდებას შეიფერებს დიდი მგოსანი, ამას ამტკიცებს მისივე აზრი, სხვაგან უფრო მარტივად და ნათლად გამოხატული:

„მე ჩონგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა
და გულს წრფელად ახურებდეს“

პოეტი დიდი, გულწრფელი და პირუთვნელი ამსახველია, მაგრამ არა გულგრილი, განზე მდგარი და საქმეში ჩაუბრუნელი. პირიქით: არავინ ისე უშუალოდ არ განიცდის სახვის ობიექტს, როგორც მხატვარი. იგი მსხვერპლს იღებს ხელოვნებისათვის მთელი მისი არსებით, როგორც სანთელი სინათლისათვის. ხელოვნება და სინათლე — ორივე წვის შედეგია. ეს წვა წმინდაა და უანგარო, მისი შედეგიც ასეთია.

„ზღვაო, აღელდი, აღელდი,
ქართველს დაემორჩილე!
ამთავორე ტალღები,
კიდევებს გადააცილე!

პოეტო! ნურც შენ ეკრძაღვი
პრისხანე გულის ღელვასა!...
ძილის დროს ქუხილს ნუ მოშლი
და სიბნელის დროს — ელვასა!“

მღელვარე ზღვას ადარებს აკაკი პოეტის არსებას, მოითხოვს მისგან გუშაგად დგომას — ქვეყნის სადარაჯოზე, ქუხილს — მძინართა გასაღვიძებლად და სინათლეს — სიბნელის გასაფანტავად. დაბოლოს, გვიმხელს შემოქმედების ერთიან, მაგრამ განუყოფელ ერთიან ძალას — უკვდავ სულსა და სიყვარულს, რომელთაც, პოეტის სიტყვით, არ ჰქონია დასაბამი და არ ექნება არც დასასრული:

„დაუსაბამი და საუკუნო,
განუყოფელი, ერთადი, რთული,
შემოქმედების დიადი ძალი:
სული უკვდავი და სიყვარული“.

მაღალ იდეებს, რომლებზედაც მღერის პოეტი, რომელთა სურათს გვიხატავს და რომლებთანაც მისასვლელ ნარწამოუზრდელ გზებს გვიჩვენებს — აკაკიმ მოუძებნა ასეთივე მაღალი საფუძველი — უკვდავება და მგზნებარე წყარო — სიყვარული. ერთი უკვდავი არის აკაკი, ასეთივე სიყვარული ჰქონდა მას. ბუნებრივად ისმის საკითხი: ვინ უყვარდა ამ უკვდავს — აკაკი წერეთელს?

აკაკის სატრფო, როგორც უკვე ითქვა, იყო სამშობლო. უფრო მხიბლავი და მიმზიდველი მიჯნური არ ჰყოლია პოეტს არასოდეს. მთელი არსებით შეიყვარა მან საკუთარი ქვეყანა. მგონის ბუნება მთლიანად შეიპყრო, მიითვისა და დაიმორჩილა სამშობლოს სიყვარუ-

ლის მგზნებარე ძალამ, რომლის წინაშე ყველაფერი აღმოჩნდა მკრთალი და არა თავისთავადი. სიჭაბუკის წლებში განიმსჭვალა პოეტი განუსაზღვრელი სიყვარულით სამშობლოს მიმართ და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თავს დასტრიალებდა შეუცვლელი ტრფიალების საგანს.

აკაკის დიდი პოეზიის მთავარი იდეური მოტივი არის პატრიოტიზმი. მისი პოეტური წარმოსახვიდან სამშობლოს სახება გამოკრთის მრავალი მხატვრული სახით. მათ შორის უმთავრესია ტურფა ასული, კლემამოსილი და ფაქიზი, მომხიბვლელი და მოკრძალებული ქალწული:

მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი?
ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი!

ასე გვაცნობს მგოსანი სიყვარულის სათავეს. იგი არა მარტო სათავე და საწყისია, არამედ საბოლოო მიზანი და საწადელიცაა. მისგან მოდის და მისკენ მიისწრაფვის პოეტის უკეთესი ნაფიქრ-ნააზრევი. იგი მოსთქვამს:

„ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტბილად არ გიძგერია,
რადგან სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია“.

უმძიმეს ფიქრებს იწვევს პოეტში სატრფო-სამშობლოსთან ცუდი განწყობილება; უბედო, ულაზათო, უგულოა ის სატრფოს გარეშე. ამიტომ ზრუნავს მარად მასთან სიახლოვეზე, მის დასახსნელად და გადასარჩენად. აღმართ-აღმართ მიემართება ჭმუნვის ალის შესანელებლად, მზის სხივებით იფინება, გული უძგერს, სული უშფოთავს და ხმა სიმართლის შეუპოვრად გაისმის. როცა ცის მანლობლად ფეხქვეშ იგრძნობს მიწას:

„და ვიფიქრე: „ჩემი სატრფო სად არი?
ნისლი ჰბურავს, თუ დღე უდგას სადარი?“
გადვიხედე, ვნახე, რომ სხვას ჰმონებდა!
გამიკვირდა, ვთქვი: „მტერს როგორ მონებდა?
მოხიბლულა, შემცდარია, ის არი!..
აღერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი!
მივაძახე: „ჭინჭარში ნუ ვარდები!..
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!
შეიბრალე თავი შენი, იცოდლე!
მაგ შარბათში საწამლაეს ჰსვამ, იცოდლე!“

ასეთი ჰარმონიით გამოხატა პოეტმა სამშობლოსათვის უსაზღვრო ზრუნვა და ურება, დიდი საზრუნავით გამოწვეული. ხან ტკბილნარევი სიმწარე იგრძნობა და ხან გმინვაჩართული სიხარული პოეტის ხმაში, რომელიც ყველგან და ყოველთვის მტკიცეა და შეუტოკებელი. უფრო ხშირად ამ ხმის ძალა აღწევს ქუხილის სიმალღემდე, მაშინ „გმირებს უძახის, უყვიის მისი დაფი და ნალარა“, ეძებს გამომხსნელს, ანთებს ბრძოლის ცეცხლს, იცის — „შემცდარია, ვინც გულს იტებს“; კერძოდ მის „გულს სწამს და ჰკუჟას სჯერა; რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა მომავალი ბედისწერა“, და ლაღადებს:

„არ მომკვდარა.. მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს..
ვინც შენატრის იმის სიკვდილს,
უმალვ მასვე დაამიწებს“.

უკვე ითქვა, რომ აკაკიმ სამშობლოს მხატვრული განსახება უღრესად მრავალფეროვნად აწარმოვა. აქ მან ჰუმანიტად შეუზღუდველი წარმოსახვა და დაუტყობელი წვდომის ვნება გამოიჩინა. აკაკიმ შექმნა სამშობლოს გამომხატველ სახეთა მთელი გაღერება, შექმნა ერთგვარი პანთეონი, რომლის ყოველი შემადგენელი ხან მსგავსების სიახლოვით, ხან განსხვავების სიშორით, მაგრამ ყოველთვის შეფარვით და შემოვლილი გზით გადმოგვცემს სამშობლოს სურათს. მარტო ერთი ლექსი — „სულიკო“ სამი ასეთი სახის შემცველია:

„სამად დაშლილა ის ერთი:
ვარსკვლავად, ბუღბუღ-ვარდადო...“

„ის ერთი“ არის სამშობლო; ეკალში ამოსული ვარდი. სულგანაბული ბუღბუღი და მოქათქათე ვარსკვლავი მისი გამომხატველი პოეტური სახეებია.

„ბუღბუღს ყურს ვუგღებ, ვარდს ვცნობავ,
ვარსკვლავს შევეყურებ ლხენითა
და, რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს,
ვერ გამომიტყვამს ვენითა“

ამბობს პოეტი და ამით გვაცნობს იმ უშუალო ურთიერთობას, რომელიც არსებობს სამშობლოსა და მის ღირსეულ შვილს შორის.

ცხადია, ამით არ მთავრდება აკაკისეულ სახეთა წყება: პოეტს სამშობლო ხან შორით მანათობელი ციციანათელას სახით წარმოუდ-

გება, ხან ქაჯეთის ტყვე ნესტანად, ხან ავადმყოფია, ხან ფეხშიშველი, თავზე ლეჩაქახდილი და უგრძობლად მძინარე მიჯნური. არის აკაკის პოეზიაში კიდევ ერთი უკვდავი სახე — მრავალტანჯული ამირანი, რომელიც მარტო ერთი დასახელებით უაღრესად ბევრის მთქმელია აკაკის იდეური მსოფლმხედველობის გასაგებად. ამირანის მარადიული სახის გამოყენებით პოეტმა მოკლედ თქვა თავისი დიდი სათქმელი და თქვა იშვიათი იდეური სიღრმით და მხატვრული სრულყოფილებით:

„მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაქვს გასწყვეტს გმირთა-გმირის..
სიხარულად შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჰირის..“

პოეტმა ირწმუნა საქართველოს დიდი მომავალი, აღიარა ბრძოლის საჭიროება, შექმნა წინსვლის შთაგონება, დაანთო შემოქმედების მგზნებარე ცეცხლი, რომელიც წინ წაიმძღვარა მძიმე, ძნელ გზაზე და ყველას გასაგონად გამოაცხადა:

„ღე, მან გამკიცხოს და შემარცხინოს
უსამართლოდ და უდროოდ მკედარი,
ვისაც ჩემსავით აქვს სიყვარულით
სული წმინდა და გული მდიდარი!“

ასეთია აკაკის პატრიოტული ლირიკა. ეს პოეზია თავიდანვე მკვეთრად ატარებდა პოლიტიკური შინაარსის ელფერს, ხოლო დასასრული იგი წმინდა პოლიტიკურ სიტყვაჯაზმულობად გადაიქცა, რითაც ბუნებრივად დაგვირგვინდა ეს დიდი შემოქმედებითი გზა. პოლიტიკური იდეურობა მძლავრი ნაკადის სახით ჩქეფს აკაკის პოეზიაში. აკაკისათვის სრულიად წარმოდგენილი იყო ხელოვნების თავისთავადი და თვითმიზნური ღირებულება. ასეთი შეხედულების მქონე ადამიანს, ცხადია, პოეტი ხალხის უახლოეს ჰირისუფლად უნდა მიეჩნია და მის მოვალეობად ხალხის სოციალური და პოლიტიკური ტკივილების შემსუბუქება ჩაეთვალა. ამიტომ შეასრულა აკაკის პოეზიამ თავის დროზე ჩვენი ერის ჭრილობათა მკურნავის მოვალეობა, და ეს იმ დროს, როცა მანამდის დაქსაქსული ქართველობა ერის სახით ყალიბდებოდა და ასეთ მკურნავს ყველაზე მეტად საჭიროებდა.

აკაკი მუდამ მხურვალედ ეხმაურებოდა დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენებს — სოციალურ ძვრებს და პოლიტიკურ ვითა-

რებას. ასე, მაგალითად: ბატონყმობის გადავარდნის მეორე დღესვე შექმნა პოეტმა „იმერული ნანინა“ და „ყბად აღებული“ რეფორმით მონიჭებული „თავისუფლება“ სოფლის ცრუ გამოცანად აღიარა. ალექსანდრე მეორის მკვლელობის დღესვე დაწერა ალეგორიული ლექსი „გაზაფხული“, რომლითაც სანატრელი მომავლის მოახლოება იწინასწარმეტყველა; მეფის რუსეთის გადამწყვეტ შერყევას მიუძღვნა „გურული ნანინა“ და თვითმპყრობელობის სისუსტე უმაღვე გვაგრძნობინა.

ასე ეხმაურებოდა აკაკი დაუყოვნებლივ და შეუცდომლად თავისი დროის სოციალ-პოლიტიკურ გარემოს, მაგრამ სრულიად განსაკუთრებული იყო მისი შემოქმედებით მონაწილეობა 1905 წლის რევოლუციაში, როცა „კვლავ გაისმა მამაცთა ყიჟინა. კვლავ ამღერდა მიყუჩებული ცხოვრება, რევოლუციის გემმა იალქანი აუშვა და თავისუფლებისაკენ გაეშურა“, და ეს მაშინ, როცა აკაკის გავლილი ჰქონდა ორმოცდაათწლიანი შემოქმედებითი გზა, როცა ხანდაზმული პოეტი ვალმოხდილად ეჩვენებოდათ, მან უარი თქვა განცხრომაზე, დაფნის გვირგვინის სურნელებაზე, ნაადრევად გამოაცხადა უკანასკნელი გამოსალმება, ისევ ტრიბუნის როლი იკისრა და კვლავ ახალი ზარზეიმი, ბრძოლის ხმაური და გამარჯვების ჰიმნი გაგვაგონა. მარტო ის რად ღირს, რომ რევოლუციის ქარიშხალში, 1906 წლის 1 იანვარს აკაკიმ შექმნა ქართულ ენაზე ჩაგრულ მებრძოლთა საგალობელი „ინტერნაციონალი“. ამავე პერიოდში გამოაქვეყნა მთელი ციკლი საბრძოლო სულისკვეთებით აღსავსე ლექსებისა: „თქვენი ჰირიმი“, „ნატვრა“, „ძირს“ და სხვა.

„ამ დღეს ველოდი, მოვესწარა
ვიცინი, აღარ ვტირი მე.
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდიოთ, თქვენი ჰირიმი..“

აქ პოეტის სიტყვა მზის ნათელივით გამჭვირვალეა.

ოდნავ შემოვლით, მაგრამ ელვის სისწრაფით მიჰყავს პოეტს მსმენელი უმთავრეს სათქმელამდე: 1905 წელს აქვეყნებს აკაკი 80-იან წლებში დაწერილ ლექსს — „ხანჯალს“;

„შენი ჰირიმი, ხანჯალო,
კინაო ხვარასნისაო,
შენ ერთად-ერთო იმედო
მტრისაგან გამოხსნისაო!

ნესტარიცა ხარ, ბასრიც ხარ,
ორივე გვერდით მკრელიო,
გპატრონობს გული ფოლადი
და გიპყრობს რკინის ხელიო.

გლესავ და გლესავ, მახვილო,
ფოლადო, ჩემო რკინაო,
ღროა, ამოდი ქარქაშით,
ალარ გაქვს აწ მანდ ბინაო“.

ასე შეჯავშნა აკაკიმ მახვილზე უფრო მკრელი სიტყვით 1905 წლის რევოლუციის მებრძოლები, რომლებმაც ფარზე აზიდეს დიდი ქართვენილების დაუცხრომელი ვეტერანი, ვისაც სჯეროდა: „სიტყვა თესლია, საქმე — ნაყოფი“ და ვინც მზად იყო თვით სიკვდილის წინ სიტყვით და საქმით დაექუხა მტრის საზიანოდ. ეს ქუხილი აღმოჩნდა უკანასკნელი, მაგრამ — მძლავრი და დაუვეიწყარი.

ასეთია აკაკის პოეზიის თანდათანობითი განვითარების აღმავალი გზა. ამ გზაზე, გარდა აღნიშნულისა, აღმართულია კიდევ რამდენიმე პოეტური მწვერვალი. ამჟამად ამ პოეტური მწვერვალების წინაშე ვიმყოფებით.



როგორც ღავინანხეთ, აკაკის მთელი პოეზია გაჟღენთილია სოციალ-პოლიტიკური იდეურობით. ის არის მისი ძირითადი შინაარსობრივი ელფერი: იგი განსაზღვრავს აკაკის შემოქმედების საერთო იდეურ შეფერილობას. პოეტის ნააზრევის ეს უმთავრესი დინება ითავსებს სხვადასხვა სახის მომცრო ნაკადებს. ერთი ასეთი ნაკადთაგანი შრომის იდეური მოტივია. შრომის მოტივი აკაკის პოეზიაში სოციალური იდეურობის ერთი მხარეა, ერთი მკვეთრი და რელიეფური მხარე. აკაკი უმღერის შრომას და ჯათას, ცდას და მონღომებას, შეუპოვრობას და უტეხობას.

ბუნებისაგან ნაბოძებ ძალას აკაკის „კაცად-კაცადი“ ადამიანი მიმართავს იმავე ბუნების ძალთა წინააღმდეგ და სიმწრის ოფლით რწყავს მისთვის მარად მწირ ნიადაგს. ეს შრომა მძიმეა მხოლოდ იმიტომ, რომ იგივე ნიადაგი სხვისთვის უშრომელადაც უხვი და ფრიალ

მოსავლიანია. ამ „სხვას“, მჩაგვრელს, სხვისი შრომით უზრუნველს, როგორც სოციალურ ჩრდილს, დეჰუმბრისპირა აკაკიმ პატიოსანი შრომის მოტრფიალე, როგორც სოციალური სინათლე. ამ სინათლისა და ჩრდილის ჰიდული აკაკიმ დაგვისურათა რბილი შტრიხებით: „ბედს არ ემდურის“ მისი მშრომელი, თუმცა კარგად გრძნობს მისი შრომის უამურობას. შრომის მცირე ნაყოფი დიდად ახარებს იმას, ვინც არის არსებითად ქვეყნის სიმდიდრის შემოქმედი. დაბალია მისი ზეცის ჰერი, განსაზღვრულია მისი ხედვის ჰორიზონტი. ასეთია დაქსაქსულ, დეკინებულ და ჩამორჩენილ მშრომელთა ხვედრი და სწორედ ამ ხვედრით ძლეული და დაჯანებული მაშვრალი გამოიყურება აკაკის ლექსებიდან. მისი შრომა ჯერ არ გამხდარა ადამიანური ამალლების, წინსვლისა და კეთილდღეობის საწინდრად, ეს უფრო თავისთავადი აზრის შემცველი და გაუხარელი არსებობის წყაროა.

ასეთია აკაკის მიერ დეხატული მორჩილი მშრომელი და უმადური შრომა; მაგრამ თავისთავად შრომის მადლი, როგორც ადამიანური სტიქია და მისი ნაყოფი, როგორც სასიცოცხლო პირობა აქ წარმოდგენილია უტკბილესი განცდის სახით.

„ყანაო, მუშის სამოთხე,
გლეხის დიდებაჲ, ყანაო
ციცკრის სხივებმა შეგმოსეს
და ნამმა გადაგბანაო;
დილის ნიავმა დაგქროლა,
აღერსით გითხრა „ნანაო“,
ქუქუნა წვიმამ ზედ დაგკრა,
ზურმუხტად აგამწვანაო“.

სილადის იერი გადაჭკრავს პოეტის სიტყვებს. ეს სილაღე ადამიანის საქმესა და არსებაში ბუნების ჩარევის შედეგია. ზვიადი ბუნება ამალლებს ადამიანს. იგი თავს იჩენს ყველგან და ყველაფერში, როგორც ზეამყვანი კეთილი ძალა. მხოლოდ ეს სიკეთის ძალა აძლევს გლეხის ყანას „დიდების“ მშვენებას, იგივე მოსავს, ამწვანებს და ეალერსება მას. აქ უფრო ადამიანისა და ბუნების სიახლოვე და თანადგომაა, ვიდრე ადამიანთა თანამშრომლობა.

ამავე პოეზიაში ბუნება და ადამიანი წარმოუდგენელია სხვა სახით, სწვა მიმართებით. ახლა ამ მიმართებაზე ვილაპარაკებ.

აკაკი წერეთელი დიდი განცდის მომღერალია. ადამიანის განცდათა სამყარო ფართოდ გაშლილა მგონის წინაშე. მხატვარი ჩერდება

დი გარემოცვის შემცველ სამშობლოში და ღალადი მის წინაშე, უკერძოულთა მახლობლად. აქ არის შთაგონება, ნეტარება და აღფრთოვანება. ამ განცდებს პოეტში იწვევენ ბუნებისა და ადამიანის დამამშეენებელი მხარეები: სილამაზე, სიყვარული, პატიოსნება და კეთილშობილება. მათი ძალის წინაშე პოეტი უძლურია. ეს არის დიადი უძლურება, ასეთი უძლურებაც შესაძლებელი აღმოჩნდა. ქვეყნისათვის არაფერია შეუძლებელი მხატვრული გენიის განუზომელ საბრძანებელში.

ბუნებისა და ადამიანის ძლიერებით აღტაცებული პოეტი მზად არის ირწმუნოს სამარადქამო ნეტარების სასუფეველი, მაგრამ არა შორს და წარმოსახვით სამყაროში, არამედ აქ და რეალურ ვითარებაში, ასე მალღდება ადამიანი „ძალთა დიდებით“, ცდით და სურვილით თავისთავად ამაღლებულ და სხივმოსილ ბუნებაში. ამ ადამიანს და მის განცდებს უმღერის პოეტი:

„მე მას ვუგალობ, ვისაც განგებამ,
მშვენიერება უსხივისკარა!“

ამ დიადი საგალობლით გატაცებულ პოეტს აღარ სჭირდება გზნების სხვა ძალა: „სხვებმა სვან ღვინო, ის უღვინოდაც მთვრალია პირად ბედნიერებით“.

პოეტი კითხულობს:

„რამ ამამალა? ვინ მაგრძნობინა
ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა?“

პასუხობს:

„შენ, სიყვარულო, ცისა და ქვეყნის
კავშირო და თან შუამავალო!
შენ და მხოლოდ შენ, ციურო ნიქო,
გამოუთქმელო კაცთა ენითა!..
შენგან მგოსანი ფრთებშესხმული ვარ
და მონავარდე აღმა ფრენითა...“

აკაკის მხატვრულ აზროვნებაში სიყვარული აყვანილია ზოგადი ძალის სიმადღემდე. ამ სიმადლიდან ის წარმოადგენს შთაგონების, ნეტარებისა და აღფრთოვანების დაუშრეტელ წყაროს. ეს წყარო სჩქეფს პოეტის ძარღვებში. ეს არის მისი მარადიული სიახლისა და ახალგაზრდობის ნიადაგი. ამ ნიადაგზე შეურხხველად მდგარი პოეტი გადამღები ხალისით წამოიძახებს: „თითქო ჭაბუკი ვიყო მე ახლა“. და სჯერა.

ყველას, რომ მათ წინაშე დგას მარადიული სიჭაბუკით შემოსილი — ხანდაზმული სიბრძნე — მოლაპარაკე სიყვარულის და სილამაზის ენით. ეს ენა აქებს და აღიდებს ბუნების პირმშოს — ადამიანს, აქებს „უცნაურ ხმაზე შეხმატკბილებით“, მას, ვინც მოსტაცა „ვარდს ელფერი, იას სინაზე და ბულბულს ენა“.

„ის არის ჩემი ტკბილი სიზმარი
და მომხიბლავი მძლავრი ოცნება,
სიყვარული რომ ტახტად უდგია,
ეგვირგვინება პათიოსნება!“

ამბობს პოეტი და ამთავრებს:

„სხვებმა სვან ღვინო მე უღვინოდაც
მთვრალი ვარ მეტის სიხარულითა..
ემატა სოფელს მშვენიერება
ჩემს თვალში მისი სიყვარულითა!..“

ასე გვეთხოვება სიკეთის ენით მოლაპარაკე პოეტი, რომლის არსებას ვგრძნობთ ისევე გვერდით, ისევე მახლობლად, რადგან მისი სიტყვით ჩვენს თვალშიაც „ემატა სოფელს მშვენიერება“.

ამ ლირიკულ მარგალიტს უსაზღვროდ შეეფერება ავტორის მიერ მიცემული სახელი — „ქებათა-ქება“. ეს სათაური, როგორც მახვილს ქარქაშში, ისე გამოხატავს ლექსის შინაარსს.

ასევე დიდად შესაფერის სათაურს ატარებს აკაკის გენიალური ლირიკული ლექსი „განთიადი“. აქ პოეტი მკვეთრად გრძნობს იმ ნათელი ხმის ელფერს, რომლითაც შექმნილია ეს დაუფიწყარი პოეტური შედევრი. განთიადის მკრთალი სინათლე ლექსში თანდათან იქცევა დღის ბრწყინვალეობად. ამ ბრწყინვალეობის სათავე — განთიადი აირჩია პოეტმა ლექსის სათაურად. დიდად საგულისხმოა, რომ აქ არა მარტო ბუნების განთიადიდან მომდინარე სინათლე იგულისხმება, არამედ მგოსნის განწყობილებას აქ შემოქმედი იმ ზომამდე აუმაღლებია, რომ შეურეველი ნათელი გამხდარა მისი ხვედრი და მასვე სურვილი შექმნია საკუთარ სიმაღლემდე აიყვანოს ყველა, ვინც ამ შემოქმედების ტკბილ ნაყოფს გაიზიარებს. ასე ამაღლებს მგოსანი მსმენელს, მკითხველს. და აქ ყველაფერი ამ შემოქმედებითი ამაღლების ხელისშემწყობია: წმინდა ადგილი მთაწმინდა, ზევით — ცა ფირუზი, ქვევით — ხმელეთი-ზურმუხტი, ცაზე მნათობი სხივებმფინარე, გუნდი და გუნდი ვარსკვლავთა, ხოლო მიწაზე ადამიანისეული, დაბრუნებული ამ დღი-

დი გარემოცვის შემცველ სამშობლოში და ღალადი მის წინაშე. უკვ-
დავების ღალადი. ასე შეიძლება ეწოდოს ამ პოეტურ აღსარებას. ამ
უკვდავების მღალადებელი

„მგოსანი გრძნობა მორევით
თვალს ავლებს არე მარესა
და გულის პასუხს ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა:
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!“

ასე გაისმა ბუნებისა და სამშობლოს მიმართ პოეტის დიდი სათხო-
ვარი. ეს სათხოვარი წარმოითქვა ქართველი კაცისათვის სათაყვანე-
ბელ ადგილას, სადაც

„მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა;
მნათობი სხივებს მალლით ჰფენს
თაველაღულის საულავსა.
ღალღუმებულა მთაწმინდა,
ღსმინს დუღუნსა მტკერისასა:
მუნიაჩე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა...“

როგორც იცით, აქ შთაგონების ხატებად მიჩნეულია მამულისათ-
ვის თავდადებული, მტრის ურჩი ქართველის — დიმიტრი ყიფიანის
საფლავი. თითქოს გრძნობდა აკაკი წერეთელი შემდეგ რამდენი თავ-
დადებული და მტრის ურჩი მამულიშვილი, მისივე ჩათვლით, იპოვ-
ნიდა აქ სამუდამო განსვენების ადგილს. თუ ეს წინასწარი გრძნობა
არ ჰქონდა პოეტს, ყოველ შემთხვევაში ბარათაშვილის „მთაწმინდაზე
შემოღამების“ და აკაკის „განთიადის“ ძალით გადააქცია ქართველმა
ერმა ეს ადგილი უკეთეს ქართველთა განსვენების სავანედ.

„გულში იფეთქა სიამემ“, — წარმოთქმულია უკანასკნელად განუ-
ზომელი აღტაცებით, რომლის ძალით არარაობამდე დაყვანილია სიკ-
ვდილის შიში, შექმნილია უკვდავების განცდა და არა გლოვის ზარით,
არამედ ზეიმით აღბეჭდილია დიდი ანდერძის უკანასკნელი მუხლი:

შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო

ასე მთავრდება ეს უკვდავების ღალადი, შემცველი დიდ პოეტური აღსარების, სათხოვარის და ანდერძისა.

ასეთია ეს ლირიკული შედეგები — აკაკის პოეტური მწვერვალები „ქებათა ქება“ და „განთიადი“.

ახლა აკაკის შედარებით მცირე ფორმის ლირიკულ შემოქმედებაზე ვილაპარაკებ. ერთი ამგვართავანი არის სატირა.

აკაკი წერეთლის სატირა ბრწყინვალე ფურცელია ჩვენი მწერლობის ისტორიაში. მე ისტორია აქ შემთხვევით არ მიხსენებია. აკაკის სატირული მემკვიდრეობა ამჟამად უმთავრესად ისტორიის კუთვნილებაა. პატარა სამშობლოს დიდი ჭირ-ვარამის მამხილებელი ხშირად ყოველდღიური სიცხადით და საჭირბოროტო წვრილმანებით ტვირთავდა თავის შემოქმედებას, კარზე მომდგარ მტერს ჰუმორის ბასრი მახვილით ანადგურებდა და აწმყოში გამარჯვებული, მომავალს პირნათლად ეგებებოდა. ამ დანიშნულებას უსახავდა აკაკი სატირას. აქ მომავალს რჩებოდა გამარჯვების ფაქტი, ბრძოლის იარაღს კი წარსული იბარებდა. ეს იარაღი — აკაკის სატირული ლექსია. ამიტომ აღმოჩნდა იგი გუშინ დროული და მქუხარე, დღეს — მოძველებული და უღერას მოკლებული. ასეთი ლექსებია: „აპელაციის მცოდნე“, „ბოლღვა“, „იუდა“, „ბატრიოტი“ და სხვ.

ამგვარ ლექსებს შეეხება უმთავრესად თვით ავტორის მიერ მოჭარბებული მობოდიშებით და მოკრძალებული აღსარებით გამოთქმული აზრი: „საზოგადოდ მე ხელოვნებას ყურადღებას არ ვაქცევდი, და ის მიმაჩნდა მწერლობად, როგორც ერთი უბრალო იარაღთავანი დღიურ აკარგაიანობის საბრძოლველ-სამსახურად, თუ რამე ხელოვნური გამომსვლია ხელიდან, ეს ძალაუნებურად და შემთხვევით მომხდარა, თორემ ისე ჩემს დღეში არა მქონია ფიქრად, რომ მომავლისათვის ვწერო“.

აკაკის ეს აზრი შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ მის სატირულ ხელოვნებაზე. საბედნიეროდ, აკაკი ქმნიდა, ცხადია, როგორც აწმყოსა, ისე მომავლისათვის; შესაძლოა მისდა უნებურად — მაგრამ მით უფრო უკეთესი მისთვის. ნება მოგვცეს აკაკი წერეთელმა, მომავლისათვის მის მნიშვნელობაზე ილაპარაკოს თვითონ მომავალმა; მან უკვე თქვა თავისი სიტყვა: ეს სიტყვა უფრო გულწრფელია ამ შემთხვევაში, ვიდრე თავის თავზე თვით აკაკის ნათქვამი....

შთამომავლობა ვერ დაივიწყებს აკაკის ზრუნვას ვერც პატარა მემკვიდრეებზე. იგი თავისი შესანიშნავი საბავშვო ლექსებით, მოთხრო-

ბებით, ზღაპრებით და გამოცანებით ფასდაუდებელ ამაგს სდებდა ჩვენი ახალი თაობის აღზრდის საქმეს. აკაკი წერეთელი ახალფეხადგმული ქართული საბავშვო მწერლობის დამამშვენებელი იყო. მისი ბევრი ბრწყინვალე სიტყვაკაზმული ქმნილება სამუდამოდ შესულია ჩვენი საბავშვო ლიტერატურის ოქროს ფონდში. ეს ქმნილებანი დღესაც წარმატებით მონაწილეობენ ძლევამოსილი კომუნიზმის მშენებელთა აღზრდაში. ჩვენი დიადი სიმართლისათვის მებრძოლთა გამოწრთობაში. აკაკი წერეთლის საბავშვო მწერლობაზე უჩვეულოდ მაღალი წარმოდგენის იყო ის, ვისაც ამ შემთხვევაში ყველაზე მეტად დაეჭვრება, სახელდობრ — იაკობ გოგებაშვილი. აკაკის ერთი საბავშვო ლექსის — „ყმაწვილი და პეპელას“ შესახებ ის აღნიშნავდა: „აკაკის პატარა ლექსი „ყმაწვილი და პეპელა“ შემკულია ყოველი ღირსებით, რომელიც კი მოეთხოვება საუკეთესო საბავშვო ლექსს... იგი ადვილი, ფრიალად ადვილი შესათვისებელია ბავშვისათვის, როგორც შინაარსით, ისე ფორმით... ეს ლექსი საუკეთესო საბავშვო ლექსია და შეადგენს ნამდვილს მარგალიტს“. ასეთი იყო აზრი დიდი ქართველი პედაგოგისა.

აკაკიმ და იაკობმა კარგად იცოდნენ, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სულიერი საზრდოს შექმნას იმ ბავშვებისათვის, რომელთა ეროვნული გადაგვარება შეადგენდა ქვეყნის მმართველი წრეების უმთავრეს საზრუნავს. იცოდნენ და იბრძოდნენ ამ უკუღმართობის წინააღმდეგ; ქმნიდნენ საბავშვო ნაწარმოებებს და ერთიმეორეს უწონებდნენ ამ მოქმედებას.

აქვე უნდა აღინიშნოს აკაკის ღვაწლი, როგორც მთარგმნელის. აკაკი იყო დიდი მთარგმნელი — შემოქმედი. ორი სახელოვანი, შემოქმედებით შთაგონებული მთარგმნელი ამშვენებს მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურას — აკაკი წერეთელი და ივანე მაჩაბელი. კერძოდ, აკაკიმ ქართულ ენაზე ისეთი უბადლო ოსტატობით გადმოიღო გამოჩენილი რუსი მეიგავის — კრილოვის მთელი მხატვრული მეგვიდრეობა, რონ იგი აუღერდა სრულიად ახლებურად, განსაკუთრებული ძალით და ქართული ვითარების შესაბამისად.

ამით ვამთავრებ აკაკის ლირიკული შემოქმედების მიმოხილვას.

ჩვენ წინაშეა განსახილველად ნათელი და გრანდიოზული სამყარო აკაკის ეპიკური პოეზიისა. ამ პოეზიას შედარებით მოკლედ განვიხილავთ.

აკაკის ეპიკურ შემოქმედებაში ორი პოეტური ფორმაა წარმოდგენილი — ლექსური და პროზაული. ლექსური ეპიკის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია — „თორნიკე ერისთავი“, პროზაული ეპიკის — „ბაში-აჩუკი“. დღეს ამ ორი ნაწარმოების მოკლე გარჩევით უნდა დავემყაროფილდეთ.

„თორნიკე ერისთავი“ ისტორიული პოემაა. იგი წარმოადგენს ჩვენი საისტორიო პირველწყაროს ერთი ქრონიკის მხატვრულ „გარდაქმნას“. პოემა გვიხატავს X საუკუნის საქართველოს სურათს, რომელზედაც აღბეჭდილია არა თავდამცველი, არა თავდამსხმელი; არამედ სხვისი მოსარჩლე და დამხმარე ჩვენი ქვეყანა. სამართლიანი მოსარჩლეობა, როგორც დიდი კეთილშობილება, პოემაში ამალღებულია სახელმწიფოებრივი დანიშნულების ღირსებამდე; ეს ღირსება წამოწეულია წინ და ნაჩვენებია მისი ცხოველყოფილი ძალა ჩვენი სამშობლოს გაერთიანებისა და გაძლიერების საქმეში. აკაკი ხატავს ისტორიულ ეპოქას, როცა ჩვენში დაიძრა ეროვნული თვითშეგნების ტალღა, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ერთიანობისა და დამოუკიდებლობის მომტანი შეუწყვეტელი დინება. უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კედეც, მაგრამ აკაკიმ მიზნად დაისახა ეჩვენებინა არა ეს საზეიმო შედეგი, არამედ მისი მიღწევის პროცესი, არა სიხარული ჰიროგადახდილი, არამედ — ჰიროგადახდილობის სიხარული. ერთი სიტყვით, აქ ჩვენი სამშობლოს ისტორიული შემადღების ერთი საყრდენია გამოსახული და ნაჩვენები, ერთი საყრდენი — ჩვენი ხალხის მოსარჩლე ბუნება, მაგრამ არა განცალკევებით და გამოყოფილად, არამედ სხვა მხარეებთან დაკავშირებით, სხვა ძაღებისაგან გაუთიშავად, ეს მხარეებია: პატრიოტიზმი, გმირობა, სულგრძელობა და სიბრძნისმოსაობა. ამ ჩუქურთმებით მოხატულია „თორნიკე ერისთავის“ იღეური შინაარსი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აკაკი წარსულის თემატურ მოტივებს აწმყოს გამოსახატავად იყენებდა, ისტორიული სურათებით თავის თანადროულობას გაღმოსცემდა და ამ გზით ძველით ახალს ემსახურებოდა. „თორნიკე ერისთავიც“ ამგვარი სამსახურის ერთი დიდი მონაწილეა, მაგრამ ის აკაკის ისტორიულ ნაწარმოებთა შორის ყველაზე უფრო ისტორიულია, ყველაზე მეტად იმსახურებს ამ ქანრობრივ სახელწოდებას. ისტორიული წარსული აქ უფრო მეტად, ვიდრე აკაკის სხვა რომელიმე ნაწარმოებში წარმოუღგენელია თავისთავადი

მნიშვნელობით. პოეტი ნათლისმომფენი მარჯვენით ამკობს ქართველ გმირთა ნამოქმედარს, მათ დამაშვრალ მხარ-მკლავებს, მოგვაგონებს მწვიდობის დროს მეფეთა ჩვეულებას, აღწერს ლხინის და შექცევის წესებს, გვისურათებს დარბაზობას, რაზმთა წყობას, ბრძოლის სცენებს, გადაგვიშლის მშვიდი ლოცვა-კურთხევის, ცხოველი სჯა-ბაასის, თათბირობა-გამორჩევის სურათებს, — ამ იდეალიზირებულ წარსულს უკავშირებს საკუთარ თანადროულობას და ხაზგასმით გადმოგვცემს თავის უმთავრეს სათქმელს.

„ნაშთი ძველის დიდებისა
არ გამქრალა ჟერაც ყველა,
დღესაც მისი შარავანდით
ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა..
შვიდ სამთავროს მოგვაგონებს
მოელეარე ის შვიდფერი
და გვიმღერებს: „არ მომკვდარა,
გაიღვიძებს ისევ ვერი“

მაგრამ ეს მოხდება არა თავისთავად, და ამიტომ პოეტი მოგვიწოდებს:

„შეიბ მახვილი და გარეგნობით,
დროს შესაწონად, იცვალე ფერი“

ნათქვამს შეგვეძლო დავჩერებოდით, რომ ამ პოემის პოეტური საგანძურის გვერდის ავლა შეიძლებოდეს. იმდენად დიდია ეს საგანძური, რომ იგი თვით იწვედის ხელებს საკუთარი ქონების გასაცემად. ამ ქონებით უხვად სარგებლობდა მომდევნო ქართული ლიტერატურა და, შეიძლება ითქვას, დღესაც ჩვენი უკეთესი თანამედროვე პოემები შექმნილია „თორნიკე ერისთავის“ მხატვრულობის ტრადიციული გამონაშუქით.

პოემაში ყველაფერი მომხიბლავია, მაგრამ განსაკუთრებით ბუნების სურათები:

„ვითა ვთერი მზეთუნახავი,
საყვარლის მლოდე, თრთის და კანკალებს,
სახეს ვარდისფრად იღებავს გრძნობით
და იელვარებს სურვილით თვალებს,
ისე განთიადს ცისკრის ვარსკვლავი
ლაქვარდ ცაზედა კაშკაშით თრთოდა
და ფერმიხილი ნათელძლიერი
მზისა ამოსვლას ეშხით შესტრფოდა“.

ასე ტკბილზმოვანია ეს ღრმაიდეური პოეტური ქმნილება.

აკაკის ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი“ ქართული პროზის ერთი უბრწყინვალესი ძეგლთაგანია. როგორც ცნობილია, ქართული ლიტერატურის მდიდარ საგანძურში ლექსი დიდად სჭარბობს პროზას, და სჭარბობს არა მარტო რაოდენობით, არამედ ხარისხითაც. მიუხედავად ამისა, ქართული მხატვრული პროზის ისტორია დამშვენებულია ბევრი ელვარე სამკაულით. ამ სამკაულებს საკაცობრიო მნიშვნელობა გააჩნიათ; ბევრი მათგანი ამშვენებს კიდევ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას. ასეთებია: „ხანძთელის ცხოვრება“, „სიბრძნე ბალავარისა“, „ვისრამიანი“, „სიბრძნე-სიცრუისა“, „ოთარაანთ ქვრივი“ და „ბაში-აჩუკი. აქ უკანასკნელად დასახელებული „ბაში-აჩუკი“ მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია. ის არის მე-18 საუკუნის ქართული სადასიტყვაობის მანიშნებელი მწვერვალი. იგი გვიჩვენებს ნათელი გაგებინების და კაზმული გამოხატვის იმ ძალას, რომელიც მოიპოვა ჩვენმა ახალმა მეტყველებამ ილიას და აკაკის კალმის ქვეშ. ამ კალმის კვალი არის არა მარტო მკვეთრი, ღრმა და წარუშლელი, არამედ სხვა, მისაწვდომი და მომხიბვლელიც. სინათლე, სიღრმე, ლაკონიურობა და მხიბლაობა განსაზღვრავს „ბაში-აჩუკის“ მხატვრულ საღაროს. აქ ყველაფერი ზომიერად გამოკვეთილია — საქმეც და სიტყვაც; საქმე, როგორც შინაარსი, სიტყვა — როგორც ფორმა. შინაარსისა და ფორმის სრული ერთიანობის სამაგალითო გვიჩვენებია „ბაში-აჩუკი“ აკაკის სიტყვაკაზმულ ხელოვნებაში.

ეს ისტორიული მოთხრობა ერთი შენადგენი კვანძის სახით აერთიანებს აკაკის შემოქმედების ყველა იდეურ მოტივს. აქ არის პატრიოტიზმი, ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეა, მამულისათვის თავდადება, ბუნების სიყვარული და მებრძოლი სულისკვეთება. ეს არის ერთი მკვეთრი ნიშანდობლივი მხარე ამ მოთხრობისა.

„ბაში-აჩუკი“ პირველი ქართული ისტორიული ნაწარმოებია, რომელმაც მთელი სისრულით გვიჩვენა ქართველი ხალხი, მისი ძალა და ღონე, მისი სიტყვა და საქმე. ჩვენი საისტორიო წყაროების დიდი ხარვეზი — ხალხის მიჩქმალვა, რაც თავის დროზე გულისტკივილით აღნიშნა ილიამ, აკაკიმ შეავსო მოთხრობაში ხალხისა და მისი ნამდვილი პირმშოს — ბაში-აჩუკის ჩვენებით. ეს არის მეორე ნიშანდობლივი მხარე ამ ნაწარმოებისა.

ეს ისტორიული ქმნილება ყველაზე ნაკლებად ისტორიულია აკა-

კის შემოქმედებაში; იგი ისტორიულია მხოლოდ პირობით, რამდენადაც მისი ტექსტუალური შინაარსი ეხება მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიულ ვითარებას. მაგრამ მისი იდეური შინაარსი გამოხატავს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას მე-19 საუკუნეში და, ამრიგად, აკაკი, როგორც ყველგან და ყოველთვის, აქაც თავის თანადროულ სამშობლოს ასახავს და ემსახურება. ეს არის მესამე ნიშანდობლივი მხარე „ბაში-აჩუკისა“.

ამ მხარეების ერთიანობით გადაშლილია ქართული პროზის ეს ბრწყინვალე ფურცელი ჩვენი მხატვრული სიტყვის ისტორიაში.



აკაკის შემოქმედება ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში ჩართულია როგორც თვითმყოფადი ოქროს ძარღვი, როგორც ხალასი ნიჭიერების ელვარე გადმონაშუქი. გამოცდილების სიბრძნით გაუღენთილია ეს ბუნებით მსუბუქი და მოქნილი პოეზია. მისგან გამოკრთის ღრმა აზროვნების მეტად წარმტაცი და ცხოველმყოფელი ციმციმი. იგი გამოკრთის მოკლედ გამონათქვამი ბრძნული აზრების სახით. აკაკი აგრძელებს შოთა რუსთაველის, სულხან ორბელიანის, დავით გურამიშვილის და ნიკოლოზ ბარათაშვილის აფორისტული აზროვნების ბრწყინვალე ტრადიციას.

ასე გვაფრთხილებს:

„ვინ სვა ბოლომდე ამ სოფლის
სიტკბოებისა ფიალი?
ვის არ უნახავს მის ბედის
წაღმა-უყულმა ტრიალი?“

იგი გვასწავლის:

„პატარა ნაპერწყალი სჯობს
დიდს, მაგრამ ცივსა ნახშირსა“,

ან:

„ცეცხლი სწვავს და კვამლი ჰმურავს
და ნათელს ჰფენს მხოლოდ ალი“.

ანდა:

„წამის მიმყოლი პირადად
საუკუნეებს ინანებს“.

იგი შთაგვაგონებს:

„სჯობს მონობაში გადიდკაცბულს
თავისუფლების ძებნაში მკვდარი“.

მოგვაგონებს:

„ხმალზე უფრო ძლიერად სჯრის
პატარა და რბილი ენა“.

და გარემომცველი სიცხადის მიმართ უგულწრფელესი პირუთენე-
ლობით გამსჭვალული, ცხოვრების სიბრძნით დაძძიმებული მგოსანი
პირდაპირ აღიარებს:

„ვერ ვაქებ მუნჯის მკვერობას,
შორსმკვერეტელობას ბეცისა“.

მას შეეძლო ეამაყა: არასდროს უთქვამს მუნჯის მკვერობა, ბეცის
შორსმკვერეტელობა, უღირსობის ღირსება, მანკიერის უნაკლობა. და
ამიტომ მიაგეს მას სიკვდილამდე როგორც სიყვარული, ისე სიძულ-
ვილი, ხოლო სიკვდილის შემდეგ — მარტო სიყვარული.

კიდევ ერთი ნათელი იდეალი შთაგონებდა დიდ ქართველ პო-
ეტს — იდეალი სახალხო გმირისა. ასეთი გმირი უნდა წარმოეშვა
თვით ხალხს. იგი მისი პირმშო უნდა ყოფილიყო. ეს იდეალად ქცეუ-
ლი აზრი აცოცხლებდა და ასულდგმულებდა აკაკის წინასწარხედვას.
ასეთი ხედვით განათებული პოეტის აღმაფრენა, როცა დაუმღერია:

„გორო, ქართლის შუაგულო,
მეთაურო ქართლისაო,
აღრე ღირსად წამებულო,
დღესაც მოქმელო მართლისაო!“

თვით სიკვდილის წინ ღრმად ხანდაზმულმა პოეტმა კიდევ უფრო
საოცრად იწინასწარმეტყველა: „ის ნიადაგი, ის ხალხი, რომელმაც
წარმოშვა ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორ-
გი ბრწყინვალე, დიდი მოურავი, მთაწმინდელები, პეტრიწი, რუსთა-
ველი და სხვები — „მსოფლიო გმირები“..., კიდევ წარმოშობს იმის-
თანა გმირებს, რომლებიც თქვენ გესაჭიროებათ და მოელით“.



ვაჟა-ფშაველას შემოქმედება

ვაჟა-ფშაველას მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა ძირითადად წარმოდგენილია ლირიკული და ეპიკური პოეზიის სახით. ვაჟას ლირიკა გრანდიოზული შესავალია მისი დიადი ეპოსისა: ხშირად ლირიკაში შეზღუდული სივრცით განსაზღვრული საკითხები ეპოსში პოულობენ შესაფერის გაშლასა და გადაწყვეტას. ამ ჟანრებში გამოვლინდა მთელი სისრულით მარად უკვდავი მთის გენიოსი. ამ ფორმებით თქვა და ამხილა ვაჟამ თავისი ღრმა ფიქრი და დიდი სათქმელი.

ვაჟა-ფშაველას პოეტური მემკვიდრეობა დღეს ჩვენ წინაშე წარმოდგენილია როგორც ხალასი გენიალობა. სიტყვაკაზმული ხელოვნების ასეთ მწვერვალზე ქართულ მწერლობაში ავიდა მხოლოდ რამდენიმე პოეტი. მათ შორის ვაჟა დგას როგორც დამსახურებით ღირსეული ადამიანი და შემოქმედი.

მე-19 საუკ. 90-იან წლებში ი. ჭავჭავაძემ ვაჟა-ფშაველას უწოდა „დიდ საიმედო პოეტი“. ილიას შეფასება იყო პირუთვნელი და სინამდვილიდან გამომდინარე. დიდი პოეტი არ ცდებოდა. ვაჟა იყო იმედი და სასოება ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის უღელტეხილზე, რომელზედაც მან აღმართა ბევრი მხატვრული მწვერვალი.

ვაჟა-ფშაველას პოეტურ საგანძურს სამი ძირითადი შთაგონების წყარო გააჩნია: მთისა და ბარის ხალხური სიტყვიერება, ქართული კლასიკური მწერლობა და ქართველი ხალხის ისტორია. ამ სამი ცხოველყოფელი ნაკადისაგან მომდინარეობს ვაჟას მხატვრული შემოქმედება. ვაჟას შემოქმედებით წრეში მოექცა მთა და ბარი, ძველი და ახალი, სიტყვიერება და ლიტერატურა. ქართველი ხალხი მისი ისტო-

რითა და ლეწლმოსილებით, წარსულითა და აწმყოთი, პერსპექტივითა და მომავლით წარმოადგენდა ვაჟასათვის უაღრესად საიმედო საყრდენს. ამ ნიადაგზე დიდმა ნიჭმა, გულწრფელობამ და პატიოსნებამ ააგო მძლავრი ხელოვნების ბრწყინვალე სასახლე. იგი აშენებული იქნა ვაჟა-ფშაველას მიერ დიდი მზრუნველობით, სიყვარულით და მოკრძალებით. იქნებ აკლია ამ სასახლეს სადმე ჩუქურთმა, შალაშინი ან დახვეწილობა, მაგრამ ეს მისთვის ისეთივე მცირე ნაკლია, როგორც ბუნების დიდი ჰარმონიისათვის ზოგიერთი უსწორმასწორობა.

აღნიშნული შემოქმედებითი საყრდენის პირობებში ვაჟას პოეტურ შთაგონებას აღმოაჩნდა უაღრესად ნაყოფიერი, ხელუხლები თემატური ნაკადები, მათ შორის ორია განსაკუთრებით საყურადღებო. ეს თემატური ნაკადებია: მთის ბუნება და მთიელთა ყოფა-ცხოვრება. დიდი, ნოყიერი და ნაყოფიერი შემოქმედებითი საგზლით გამოვიდა ვაჟა-ფშაველა სამწერლო ასპარეზზე. ექვი არ არის, მას ეს საგზალი ეყოფოდა ხანგრძლივი სიცოცხლის გზად დიდ მანძილზეც. სამწუხაროდ, ვაჟამ იცოცხლა ნახევარ საუკუნეზე ოდნავ მეტ ხანს და, უდავოა, ბევრი რამ უთქმელი თან წაიღო, რადგან, შეიძლება ითქვას, ორი სიცოცხლეც ვერ ამოსწურავდა ამ დიდი ადამიანის პოეტურ მარაგს.

•

ვაჟას მთელი პოეტური სამყარო მზესავით ნათელი და ცნობიერი. აქ ყველაფერი გარკვეული, ხილული და მისაწვდომია; ჯადოსნური ხელით გადაშლილია მგოსნის ქვეყანა და პოეტური სარბიელის ვრცელი ასპარეზი; წინ წამომდგარა წუთისოფლის ავ-კარგის მამხილებელი, მხატვარი მიწის, გარემოცვის დიდი მომღერალი, ღრმა აზრისათვის ლამაზი ფორმის დაუცხრომელი მაძიებელი. მან იცის ყველაფერი: რას აკეთებს, რად აკეთებს და როგორ აკეთებს. ამიტომ პასუხობს ვაჟა-ფშაველა ასე ამომწურავად მის მიერვე დასმულ საკითხებს: ვინ ვარ, რას ჩავდივარ, რა მემართება, რას ვშვრებოდი და რას ვიზამ.

აი, ვაჟა-ფშაველას კითხვები, ყოველი ღროის დიდი მგოსნისათვის დასასმელად საჭირო და საპასუხოდ აუცილებელი. აი, მისივე პასუხები — ღრმა, სრული და ამომწურავი.

ვინ ვარ? რას ვაკეთებ? —

„ხარს ვგეგვარ ნიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ,
„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე“, —
მძინარიც იმას ვლუღუნებ.
საწყალთ საწყლობა რო მესმის,
იმათ მაგიერად ვწუწუნებ,
ხანდახან უინი ამილებს,
სიმღერას დავაგუგუნებ“.

რა მომდის? რა მემართება? —

„მხრები მესხმება, ვიზრდები,
ცად ვიწივე ასაფრენადა.
გაჩნდება სითლაც ნათელი,
გულს ჩამიდგება სვეტადა;
ზღვავედება მწყობრი სიტყვები
ქალაღზე დასაბლერტადა“.

რას ვშვრებოდი? რა გავაკეთე? —

„არ მიბობღნია დაბლა ქვემძრომად,
მაღლა დავფრინავ, როგორც გავაზი;
ჩემს ტურთა მხარეს მკერდს დავაკერე
სიტყვა საგმირო, სიტყვა ლამაზი...
.

უსულო საგნებს სული ჩავებერე,
ავასაუბრე ლოდები კლდისა
და, როგორც მეფე, გავათამამე
მწირი ბალახი, ის ქუჩი მთისა.
მაღლი მფენია მარჯვენაზედა
იმ შემომქმედის, მაღალის ღვთისა!“

რას ვიზამ? რას გავაკეთებ? —

„ხან მინდორ-ქალებს დავთელავ,
ხან შევაბიჯებ სერ-სერა;
დაუეკრავ მკვერტლიანს ჩონგურს
ათასჯერ, განა ერთხელა...
.

მთავ, შენ ის ჩემი ნათქვამი
გულ-მკერდზე დაიწეროდი,
ბარო, წარბნი და წამწამნი
იმ სიტყვით დაიკეროდი!“

ვაჟა-ფშაველას პოეზიის ძირითადი იდეური მოტივებია: სიყვარული, პატრიოტიზმი, ბუნების სიყვარული და გმირობა.

ვაჟას სიყვარული ლალი, თავისუფალი; ამქვეყნიური და შთამავგონებელია. მისი ტრფობის საგანი ლამაზი და ცხოველმყოფელია. ასეთი არსება ახლოა ბუნებასთან, იგი ბუნების უსრულესი გამოხატულებაა. მგოსანს სატრფო ეჩვენება „ფეხშიშველი, მოგოგმანე ეზოშია“, ვინც „კაკაბს ჰგავს, მოსეირნეს ფერდობშია“, ვისაც „ძუძუ უწოვია იისა თუ ვარდისა და გამხდარა შავ-თვალ-წარბა გული მგოსნის დარდისა“.

პოეტი ნატრულობს:

„ეგება, გულის ვარაში
ჩაკვლა მა ჭიხვის რქაშია.
თვალ-წინ დამიდგეს ლამაზი,
ერეოლა მამკიდოს ტანშია,
ღეზი ვკრა ჩემსა ლურჯასა,
გადავერიო ზღვაშია“.

„ლერწმად აპრილთან“, ქალთან „თავდახრით მცინარესთან“ სიახლოვე პოეტს ესახება უმაღლეს ბედნიერებად:

„ოლომც კი შენთან მამყოფე, —
თუნდ ბინას დაესცე თემთანა,
მოკვდე შენს დაუტირებლად,
თუ შეგადარო მზესთანა!“

ამიტომ უნიშნავს მგოსანი სატრფოს მყუდრო შეხვედრის ადგილებს ბუნების წიაღში და იქ განცდილ შეგებას მიიჩნევს უდიდეს ნეტარებად:

„როცა გეტყვიან, ქალთა-მზევე,
ადე, გარეკე ცხვარიო,
საშუბის ყელეებს უმარჯვე,
არ დაანებო თავიო.
მეც იქ დაგხედები ფოცხვერა,
გაკრული გორის პირადა“.

ამ სიახლოვეს ვაჟა მიიჩნევს ბუნების სისრულისა და მისი უმაღ-

ლესი ნიჭის — ნაყოფიერების საფუძველად. მხოლოდ „კაციან-ქალიანი“ ქვეყანა მიაჩნია მას სრულად, მთლიანად და ჰარმონიულად:

„ადგილო კურუმ-კურუმო,
ველიან-ქალიანო,
სამოთხესავით ლამაზო,
მიყვარხარ ძალიანო.
რათა ხარ სულ მუდამ დინჯი,
შე შურთხის თვალიანო? —
იმსქვალვის აზრით ქვეყანა
კაციან-ქალიანო!“

ასევე მოკლედ, ლაკონიურად, მაგრამ უფრო ღრმად არის წარმოდგენილი ვაჟას ლირიკულ პოეზიაში სამშობლოს სიყვარული. დიდია და მძლავრი ვაჟას პატრიოტიზმი. ხალხისადმი ერთგულებისა და თავდადების გრძნობით გამსჭვალულია მისი ლექსები. ქვეყანა, როგორც სავანე ერისა და ერი, როგორც ბინადარი ამ სავანისა, განუყოფელი ერთიანობითაა წარმოდგენილი ვაჟას პოეზიაში. მას უყვარს თავისი ქვეყნის წარსული — როგორც საფუძველი, აწმყო — როგორც შრომისა და ბრძოლის ასპარეზი და მომავალი — როგორც იმედისა და რწმენის სიმბოლო. იგი უხმობს მივიწყებულ ისტორიულ წარსულს და შესცქერის თანადროულ მშობლიურ გარემოცვას:

„სადა ხარ, მამაპაპურო
ანდერძო ჯავშნიანო,
გამოდევ სამარის კარსა,
აჩრდილო მკლავიანო,
ჩამბერე სული მაგარი,
სამშობლოვ მწუანიანო“.

„სული მაგარი“ სჭირდება ვაჟას, რათა არ მისცეს მტერს მამული „საჯიჯნად, დასაზიანად“, „არ აქელინოს სამშობლო მეტოქეს ათასგვარასა“, „ცოცხლებმა არვის დაუთმოს მშობელი მიწის ღალა“ და „რომ გავწყდეთ, როგორც ლომები“, თუკი ამას მოითხოვს „მისი კაცობის გვირგვინი, მისი სამშობლო მხარე“. გადაშლილა მგონის მხარე მისი დიდი „მწუანიანი“, საუკუნეთა სიღრმეში გაუდგამთ ფესვი საქართველოს და ქართველობას, წინ წამომდგარა მათი ერთგული ვაჟა-ფშაველა და გასძახის ყველას, ვინც ღირსია და ვისაც გული ერჩის:

„ვაჰ, დედას მტრისას, რას ელით?
ზმლებს ჰკითხეთ, გაისარჯენით,
თავის ადგილის გულისად
მოკვდით და დაიხარჯენით!
დასცევ-დაფარეთ ქვეყანა
თავის ოფლით და მარჯვენით!“

ასე დაცული და დაფარული, ლამაზი ქვეყნის ღირსეული შვილი
საქვეყნოდ აცხადებს:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკედარსაც კი გაეცინება“.

არც არასოდეს არავისთვის წაგვირთმევია, არც სხვისთვის დაგვი-
თმია, ჩვენსას ვიცავდით, შემცილებელთა ხელი გვიკვეთია, ისინი გამ-
ქრალან — ჩვენ გადავრჩენილვართ. ამას მოგვითხრობს საქართველოს
ისტორია. ამ მოთხრობას გამოხატავს ვაჟა მხატვრულ სახეებში.

უფრო ფართოდ, ვრცლად და განფენილად არის წარმოდგენილი
ვაჟას ლირიკაში მთის ბუნება და მთიელთა გმირობა. ბუნება ვაჟასა-
თვის დიდი და მარად მზიური ტაძარია. აქ ავდარშიაც კარგი დარი
დგას ვაჟას პოეტური წარმოდგენით და სრულყოფილ ჰარმონიას მო-
უტავს ყველაფერი. ბუნების წილში ვაჟა აწარმოებს არსებულის და-
სურათებას, იგი ღებულობს ბუნებას ისე, როგორც არსებობს თავის-
თავად, არ ცვლის მის წყობას, არ ერევა მის მსვლელობაში, მხოლოდ
კვრეტს სამყაროს კანონზომიერებას და სიტყვით უკუაფენს გარემომ-
ცველ გარემოს. ვაჟა ბუნების მგოსანია, მხოლოდ მგოსანი; ის პოე-
ტია, მხოლოდ პოეტი. როგორც ბუნებაში არაფერი არ არის არაბუნ-
ებრივი, ისე ვაჟაში არაფერი არ არის არაპოეტური.

„ხევი მთას კმონებს, მთა — ხევსა,
წყალნი — ტყეს, ტყენი — მდინარეთ,
ყვავილნი — მიწას და მიწა —
თავის აღზრდილთა მცინარეთ“.

აი, ვაჟას მხატვრული აზროვნებით წარმოდგენილი ურთიერთობა
ბუნების მოვლენათა. ამ ურთიერთობიდან გამოთიშვა ნიშნავს დაღუპ-
ვას, მასში მოქცევა — ამაღლებას.

„მთას ვიყავ, მწვერვალზედ ვიდეგ,
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა,
გულზედ მესვენა მზე-მოვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა“.

ასეთი ამალღება ახარებს პოეტს, აძლევს ძალას და შთაგონებას,
მოსავს ხალისით და აღფრთოვანებით ამეტყველებს:

„ვუცქერ ხევს მოქუხარესა,
ლალსა და ლაღად მდინარსა, —
ქვეყანას ტურფად მოკაზმულს,
მზეს, მოვარეს, ნათლის მფინარსა“.

ასე უთავსდებოდა ვაჟა გარემოს ორგანულად და, მისივე სიტყვით
რომ ითქვას, „ჭკრეფდა მინდორში ყვავილებს, ლამაზებს, გამორჩევი-
თა, თან აზრს ჰკითხავდა ბუნებას, მთებს მალღებს, ჭალას ფენილსა,
მინდორსა აბიბინებულს, მზეს დილით ამოჩენილსა და ირემს რქა-
ბუდიანსა, — ტყის პირად გამოჩენილსა“.

ცხოვრობდა ვაჟა მიწის მეკრღზე, ბუნების წიაღში, ზეატყორცნი-
ლი ადამიანური განცდის მშვევებით; ხედავდა, ისმენდა, განიცდიდა
და თავს ძირს ხრიდა ეს ზვიადი მეფე ბუნებისა ბუნების დიდი სი-
ზვიადისშეთანხმებული სხვადასხვაობის წინაშე. სხვადასხვაობა განუ-
საზღვრელი და მათი მტკიცე ერთიანობა — აი, რა ხიბლავდა და იტა-
ცებდა ვაჟა-ფშაველას:

„ხან რომ ცა მაიღრუბლება,
ჩაბნელდებიან ხეები,
გაჩნდება მეხთა ტკრციალი,
ათრთოლდებიან ხეები,
კლდეებზე დაიკეცება
სვავთა და არწივთ ფრთეები.

თმებს უკუიყრის ნაკადი,
ცისაკ დაიწყებს ცქერასა.
შაჰყურებს გაოცებულ
შავის ღრუბლების მღერასა.
რა ყურმა უნდა გაუძლოს
იმ მთების გულის ძგერასა!?“

აი, ბუნების სხვადასხვაობის საოცარი ერთიანობა.

ვაჟა საქართველოს მთის ბუნების შვილია. მთა იყო მისი მშობე-

ლი, აღმზრდელი, მისი სულისდგმა, იმედი და სასოება. ამიტომ შეეძლო ვაჟას ეთქვა თავისი თავისათვის ის, რაც მან უთხრა მდინარე არაგვს:

„გულიც იქ იწევს, თვალიც,
იქ რო მალალი მთებია,
ვინც რომ გიჟმაჟი გაგზარდი:
ვის ძუძუც პირში გდებია“.

ასეთია ბუნება ვაჟას სიტყვაკაზმულ მხატვრობაში. აქვე ვაჟა გადავიშლის ამ ბუნების ბინადართა ხასიათს. მას ვნახულობთ პოემებში, პროზასა და ლირიკაში. ლირიკაში ხაზგასმულია მთიელთა ხასიათის დიდი მშვენება — გმირობა. გმირობა წარმოადგენს ვაჟას დადებით პერსონაჟთა ნიშანდობლივ მხარეს. ვაჟას მიერ დახატული გმირობა ფიზიკური და სულიერი გამძლეობის იშვიათი მაგალითია თვით მსოფლიო ლიტერატურის ფარგლებში. ვაჟა ხატავს არა განყენებულ, თავისთავად გმირობის, არამედ კონკრეტულ, საქმიან, ხალხის კეთილდღეობით გამიზნულ რაინდობას. ვაჟას გმირები სახალხო გმირებია. ხშირად ვაჟა ასახავს კოლექტიურ პერსონაჟს — ხალხს. ხალხი მოქმედებს ვაჟას პოემებში. ნოველებში და თვით ლირიკულ ლექსებშიაც. ხალხი დიდი და მარად უკვდავი მოქმედია ვაჟას პოეტურ ქმნილებებში. აქ ხალხი ღელავს, ხალხი ბობოქრობს, ხალხი ამბობს საკუთარ სიტყვას. ბევრგან და ბევრგზის უნახავს მკითხველს ხალხი, ვით გმირი, ბევრჯერ ყოფილა იგი სახვის საგანი, მაგრამ იშვიათად გამოხატულია ის ლირიკულ ლექსში. ამ მხრივ ვაჟას პოეზია საგულისხმო გამოწაკლის წარმოადგენს. ნათქვამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიგონოთ ლექსი „ბაკური“.

ამ ლირიკულ ნაწარმოებში სამი მოქმედი პირია: ხალხი, ბაკური და ელიზბარა. მათ შორის ხალხი დახატულია, როგორც პირუთვნელი მსჯავრმდებელი, ბაკური — როგორც საქმით მოქმედი და ელიზბარა — როგორც ბაკურის საქმის სიტყვით გამომხატველი. ასეთი კომპოზიციური ლექსი ანიჭებს ეპიკური თხრობის იერს.

„გვიამბე, ელიზბარაო,
რა ამბავ მოხდა ელოსა?
როგორ დაეცენ ლეკები
ბაკურის ციხე-ეზოსა?“

ასე მიმართავს ხალხი მოსათხრობი ამბის დამსწრეს და მონაწილეს.

„— არ მინდა, ძველი დარღები
რომ გულში აიწეწოსა.
მე რა ვთქვა? უნდა კაცობა
ბაკურმა დაიკეხოსა...“

ხალხი უარყოფს ასეთ კდემას და მოკრძალებას: — რად იტყვი მაგას, თავს რად იმცირებ? — სიმართლით მართო ეს ითქმის, — განაგრძობს ელიზბარა, — ვერ შევძელიო ბაკურის მხარის დაქერა, სული მეტკბილა, მტერს დავენებდიო:

„ამისგან ეხლა ფიქრები
შეაძალ ამოდის ყელშია.
თავის აღება არ მჯადის,
ველარ გავშლილვარ წელშია“.

ისევ ხალხია საბოლოო განმჩინებელი: — ხომ არ გაიქეც, „ის რისთვის გესირცხვილება, რაიც არ არი სირცხვილი?“ „გენუკავთ“, გემუდარებით გვითხარი ომის ამბავი. და იწყება უთანასწორო ბრძოლის წარმტაცი გადმოცემა:

„დიდი მოვიდა მტრის ჯარი,
გარს შემოგვერტყა ღობედა.
შვიდ ღღეს ვიგერეთ თოფებით,
მრავალი კიდეც ვხოცეთა.

მერვე ღღეს ტყვია-წამალი
გასწყდა, გათავდა სრულადა
და ჩვენი შრომაც მაშინვე
ჩავთვალეთ დაკარგულადა.

მოდგა და მოდგა მტრის ჯარი,
ციხეს მოერტყა ღობოსა;
რჩებოდა ჩვენი ქავეციხე
გულ-ხადარას და დიდოსა.

გრძელდება მძიმე ამბავი. რჩებოდნენ ტყვეებად დიდ-პატარანი, უნდა ეზიდათ მონობის უღელი, აბჯარი სირცხვილის გვერდით უნდა ეტარებინათ. წარმოიდგინა ეს ყველაფერი და:

„ცეცხლად გადიქვა ბაკური,
მართო ოხერად და კვნესადა...
გული ჰქცევია ტალადა,
თვალეები უჩანს კვნესადა.
„ვაჰ, დედანს მტრისას!“ ესა სთქვა,
ხელი გაივლო ხმალზედა:
„ისევ მე დაგხოცო!“ — და ცოლ-შვილს
თავეები დასქრა წამზედა.

გაუხტა ხმალ მოღერებით,
ფრანგულმა გაიცინაო;
თორმეტი მოკლა ციხის კარს,
ერთ-ერთზე დააწვინაო.
ვეფხესა დააცედა კლანჭები:
ბაკურმაც დაიძინაო“.

ლექსში გამოხატულია უდიდესი თავგანწირვის სულისკვეთება. აქ არის ყველაფერი, რაც ადამიანის ქცევას მოსავეს გმირული შარავანდედით, აქ საქმედ ქცეულია; მტრისადმი მრისხანეა მუქარა ხალხისა, რომლის ღირსეული შვილი — „კაი ყმა“ —

„რო დილა-ბინდზე დგებოდეს,
იცვამდეს გრილსა რკინასა,
„ომს ვიზამ“ — იმუქრებოდეს.
ლურჯაი ხრავდეს ლაგამსა,
წაღმა-უკუღმა დგებოდეს“.

ახლა ინებეთ ვაყვას მიერ დახატული კარგი მოყმის იდეალი. აქ დაინახავთ ყველაფერს, რაც ჩვეულებრივ ადამიანს აქცევს ხალხის წინამძღოლად. აქ არის ნება, თავგანწირვა, უშიშრობა, უანგარობა და მოკრძალება. ეს ყველაფერი პოეტურად მოთხრობილია ლექსში — „კაი ყმა“. ჯერ საკითხია დასმული: — კარგ ყმად ვინ ითქმის? ვინა, ვინ არის კაი ყმა? და შემდეგ პასუხის ნიადაგია შემზადებული:

„მიდით, იქ მიდით, სადაცა
ხალხი ხალხზედა ჰღევავდეს;
მტერი ჩვენ გვემდეს, ჩვენ — მტერსა,
ხმლები, ხანჭლები ელავდეს.

ქიაფრად მუზარადებსა
სისხლის წვიმაი ჰფერავდეს;
დაგელოზდეს სიკვდილი,
სულდარაებსა ჰკერავდეს“.

აი, ის არის „კაი ყმა“, ვინც მიეგებოს მტერს წინა, წინასწარ რისხვას ეტყოდეს, თავზარსა სცემდეს სიკვდილსა; ტკივილს, ჭრილობას, დაღლილობას არ შეიმჩნევდეს. ის არის კარგი ყმა, ვინც

„სიცხეში სიოდ დაჰბეროს,
დაათბოს, როცა ჰყინავდეს.
პირველად ომის დამწყებში,
ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს;
სხვები იყოფდენ ნადავლსა,
ის ისევ მტრის წინ გრავინავდეს.

სხვისი იუბნოს სახელი,
თავის გარჯასა ჰმაღავდეს“.

ასეთია ვაჟას მიერ დახატული კარგი მოყმის იდეალი. ამ იდეალის პროტოტიპს ვაჟასათვის წარმოადგენდა ყოველი რიგიანი ფშაველი, რომლის ნატურიდან ქმნიდა ის ერის ერთგული ჭაბუკის პორტრეტს.



წარმტაცია ვაჟას პროზის სამყარო. აქ ყველაფერი თავისი ადგილიდან დაძრულა და იდეალურად ამალღებულა. ვაჟას პროზა ბუნების დიდი პოეზიაა. მხატვრულად უკუფენილ ბუნებაში მთას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ვაჟა საქართველოს მთის მგოსანია. ის მთის შვილია და მისივე ჭირისუფალი. ვაჟას ახარებს მთის სიხარული, აწუხებს მისი გოდება და უსიმღერობა. ვაჟა წვდება მთის სიღრმეთა და სიმაღლეთა იღუმალებას.

პოეტის მხატვრულ აზროვნებაში მთა იმოსება ცოცხალი ქმნილობის მხარეებით. კიდევ მეტი: ის წარმოადგენს ადამიანის ანალოგიურ მოვლენას — მთას შეუძლია დგომა, ლოდინი, ცეცხლი უდღუდდეს სულსა და გულში, ღვაროს ცრემლი და აღმოსთქვას კენესა, იყოს მკაცრი და წარბშეუხრელი. ასეთია მთა ბუმბერაზი, ასეთია მთანი მაღალნი: „იდგნენ და ელოდნენ. უსაზღვროა მთების მოლოდინი... ელოდენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი: რა დააშრობს იმათ გულში იმ მოლოდინის ზღვას? რად იბურავთ თავს ხშირის ნისლეებით, თუ ჩუმ-ჩუმად რასმე არა ჰფიქრობთ და მაგ ფიქრს არ გვიმალავთ ადამიანის შვილებს?! რად მოგყავთ ბალახი? რად ადენთ ცივთა წყაროთა? რად აქანებთ ზეავებს? რადა ზრდით ლაღთა ხარ-ჯიხვთა?

სდგანან და ელიან... ელიან ვის, ან რას? — რალაცას, დიად, რალაცას: ეს რალაცა უნახავის დანახვავა. ნახეს და გაათავეს, რასაც იმათი თვალი და გული მისწვდებოდა. სხვა ახალი მოსწყურებია იმათ თვალსა და გულს“.

„მთის წყაროში“ ბუნების მთლიანობის საკითხია დასმული. ამ მთლიანობისათვის აუცილებელია დიდი მდინარის გვერდით პატარა წყაროს არსებობაც. წყაროს აწუხებს საკუთარ დამოუკიდებლობის ნადრევად დაკარგვა, მაგრამ სიხარულით ფრთებშესხმულია ხანმოკლე სიცოცხლის სილამაზით და ნაყოფიერებით. ერთ მხარეზეა პატარა წყარო, ბედნიერი და უცოდველი, რომელსაც ჩქარა დალევს, შთანთქავს დიდი მდინარე; დაიკარგება მისი სახელი, მისი ვინაობა“, მეორე მხარეზეა დიდი მდინარე რომელიც „ღრიალებს, ბორგავს, აწყდება აქეთ-იქით, ანგრევს დედამიწას, გლეჯავს ხეებსა და მიათრევს“. აქვეა პატარა, ლამაზი, დაბუა წიფლისჩიტა და დიდი, ხავსიანი ლოდები, პირყვითელი კლდე, წყაროს თავზე მუზარადივით დაყუდებული.

ბუნებაში მცირეც საკუთარი სახის მატარებელია; მცირეს აზრი აქვს ჯერ, როგორც დამოუკიდებელ შემოქმედს და შემდეგ, როგორც დიდი მთლიანობის ელემენტს. ასეა წარმოქმნილი ბუნების ერთიანობა. ამის თქმა უნდოდა ვაჟას „მთის წყაროთი“.

გასულიერებისა და გაპიროვნების მხატვრული გამარჯვებაა ვაჟას მომხიბვლელი ესკიზი „ქუჩი“, აქ მკვდარი სამყაროს უსულო მოვლენები ამეტყველებული და ფეხადგმულია: ყველაფერი მოძრაობს, მოქმედებს და განიცდის. ერთი სულია ზესკნელეთში უზარმაზარი — ეს არის უკვდავი სული ბუნებისა: სული, რომლის ნაწილები უსასრულოდ განფენილან ქვეყანაზე და უთვალავი სახით საგნებში დაბუდებულან. ასეთი სულის შემცველია, მაგალითად, ქუჩი — მთის ბალახი, შვილი დიდი სალი კლდისა. თვით ლოდებიც ამავე სულს ატარებენ. ვაჟა ამბობს: „უსაზღვროა იმათი ფიქრი, გამოუცნობელია იმათი გულის წადილი. ხანდახან კლდე ოხრავს; ალბათ დარდი რამ აწუხებს. სხვაფრივ შეუდრეკელი და გულმაგარი ჩემი დედა“, — ალაპარაკებს ვაჟა მთის ბალახს. იმას როდი აშინებს ზვავი, რომელიც ზამთრობით ქექა-ქუხილით თავზე დაგვაწვება ხოლმე, მოვა და გრიალით ჩავარდება უფსკრულში, დაეცემა და, თითქოს დაისვენაო, მძიმედ ამოიოხრებს. კლდე ხანდახან კიდევ სტირის. მეც ვსტირი მაშინ, დედის ცრემლებსა ვხედავ და იმიტომ. დედაჩემი თავის დახოცილს შვილებსა სტირის, რომლებიც მუდამ თვალ-წინ უწყვია... კლდის შვილე-

ბი ლოდებია, დაბლა რომ ჰყრია, ერთი-ერთმანეთზედ, კლდის ძუძუ-
თავან მონაწყვეტი, იმის მკერდის ანაგლეჯი“...

ასე მოგვეთხრობს ქუჩი, ქუჩი თვითონ სულიერი, მოქცეული უსა-
ზღვროდ მრავალფეროვან სულიერთა შორის, სადაც უზენაესი მოვ-
ლენები ბუნების მოვლენებია. ამიტომ ასე შესთხოვს ბუნებას მთის
ბალახი: „მზეო, დამხედე! წვიმავ, დამნამე! კლდეო მაღალო, შეინახე
ჩემი ფესვები... ნუ ამომთხრი, ნუ ამომაგდებ!“

ირგვლივ კი გაშლილა ლაღი ბუნება, რომლის უსაზღვრო წიაღში
მოკალათებულა — მედიდური არწივი. უძლური როქო, ნაზი პირიმზე,
მზის მოტრფიალე და მრავალი სხვა ცისქვეშეთელი და მზის შემყუ-
რე, ასეთია ვაჟას მიერ დახატული პატარა ქუჩი და მისი შემცველი
დიდი სამყარო.

•

თემისა და პიროვნების ურთიერთობის დიდი საკითხი უაღრესად
მწვავედ დაისვა და მკვეთრად გამოიხატა ვაჟას ეპიკურ პოეზიაში. ამ
საკითხის გადაწყვეტის წრეში სამი ურთიერთდამოკიდებული საწყისი
მოქმედებს: პოეტი, თემი და პიროვნება. პოეტი უმაღლესი განმჩი-
ნებელია, თემი — უძლავრესი სათავე, ხოლო პიროვნება — მარტო-
ხელა მებრძოლი. მარტოა პიროვნება, ამიტომ სუსტია ის, მაგრამ მის
მხარეზეა დიდი მოკავშირე — ჭეშმარიტება. სიმართლით შექუთრვილი
პიროვნების ურჩი ნება გამოსულა უთანასწორო ბრძოლის ველზე
სომრავლით ძლევამოსილი თემის წინააღმდეგ და გაუმართავს სასტი-
კი ბრძოლა თემის დახავსებული ადათ-წესების მიმართ. ასეთი პირე-
ბი არიან: ალუდა ქეთელაური, ჯოყოლა, ალაზა და სხვ. ამ დიდ
ბრძოლაში პოეტი დგას სუსტი, მაგრამ მართალი პიროვნების მხარე-
ზე. ეს პიროვნება დღეს არის სუსტი, ხვალ ის ძლიერი იქნება და უმ-
რავლესობის გამომხატველი ტიპიური სახე გახდება.

თემი ერთმანეთის გვერდით შემცველია როგორც მოსაწონი, ისე
დასაწუნი ადათ-წესებისა. პიროვნება იწონებს და იცავს მოსაწონს, —
იწუნებს და ებრძვის დასაწუნს. პიროვნების გვერდით დგას ვაჟა. ამ
მხრივ ჩვენთვის უფრო საყურადღებოა ორი პოემა — „ალუდა ქეთე-
ლაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“. პირველში მოსაწონ ტრადიციად
მიჩნეულია გმირისადმი პატივისცემა, ხოლო დასაწუნ ჩვეულებად —
მოკლულის მკლავის მოჭრა, მეორეში მოსაწონ ტრადიციად მიჩნეუ-

ლია სტუმართმოყვარეობა, ხოლო დასაწუნ ჩვეულებად — სისხლის აღება.

„აღუდა ქეთელაური“ შემდეგ შინარსობრივ ქარგაზეა გაშლილი: მაცნემ აცნობა შატილელ ხევსურთ ავზნიანი ქისტების მიერ მოყენებული ზიანი და მწყემსების აწიოკება. გმირი ხევსური, დოვლათიანი აღუდა ქეთელაური მტერს გამოუდგა განთიადისას და, ვიდრე ცხვარი გაიშლებოდა, ჯერ მარბიელის კვალი აღმოაჩინა და შემდეგ — თვითონ ქისტი მუცალიც. გაიმართა გმირთა ბრძოლა: ესროლეს ერთიმეორეს. უკანასკნელად „შატილიონის ნასროლი ქისტს უმტკრევს გულის ფიცარსა“. მუცალს არ უნდა სიკვდილი, წყლულში ჩაფენს მთის ბალახს, ერთხელ გასროლას კიდევ „შაიძლებს“ და შემდეგ, ვიდრე „დაბლა გაერთხა მიწასა“, თოფს გადაუგდებს აღუდას — „ხელს არ ჩავარდეს სხვისასა“.

„აღუდას თოფი არ უნდა,
ატირდა, როგორც ქალიო;
არ აპყრის იარაღებსა,
არ ეხარბება თვალიო.

ვაეკაო, ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს მკედარიო,
მკლავზედაც გებას მარჯვენა,
შენზედ ალალი აოიო...

სიგრძივ ვაძხურა ნაბადი,
ზედ გადაადვა ფარიო“.

შატილისაკენ მოიჩქარის გმირი ხევსური, მაგრამ არ მოაქვს ქისტის მოჭრილი მარჯვენა. წესს გადაუდგა, უარი თქვა რწმენად ქვეულ ჩვეულებაზე.

„შემ აიწო ცაზედა,
ნისლებმ დაწირეს ხევები;
მისჯარებიან ცის კილეს
კავკასიონის დევები“.

ქეთელაური შატილშია. უამბობს თანამომძიეებს „ამბავს ღილღვილის მგლისასა“.

„სამ მე ვესროდე, სამ — იმან;
მესამით დავასრულია.
მკერღზე ნაკრავმა ტყვიამა
გაუნაძოდა გულია.

.
ვერ გავიმეტე მუცალი
მარჯვენის მოსაჭრელადა...“

ავად შეხედეს ალუდას. შეეკვდნენ მის სიმართლეში, გმირს სიმ-
ხდალე და გამოქცევა დააბრალებს.

„ზურგი აქციეს ალუდას
პირითა ჭავრიანითა;
.
გაწირეს ქეთელაური
გულითა ნარიანითა“.

დუმდა ალუდა, მოთმინებით ისმენდა სახელს, აუგად ნახსენებს.
ამასობაში

„შატის მინდიაც მოიდა
ზერდავით რვალიანითა,
.
თორმეტის ქისტის მამკლავი
შუბითა ტარიანითა.
.
ალუდას აუგს ეტყოდნენ
სიტყვითა შხამიანითა.
იწყინა, შუბლი დაკეცა
ნაოქით ზარიანითა“.

მიდის მინდია ქეთელაურის ნათქვამის შესამოწმებლად გმირთა
ბრძოლის ადგილისაკენ, საიდანაც მოიტანს მუცალის მოჭრილ მარ-
ჯვენას. ქეთელაური უსაყვედურებს მინდიას:

„თუ ხელის მოკრა მდომიყო,
გან ვერ მოვსჭრიდი თავადა?
ვერ გიქნავ კარგად, მინდია,
საქმე მოგირთავ ავადა“.

აქ თემი იმალლებს თავის ძლევამოსილ ხმას ალუდას წინააღმდეგ:

„წესი არ არის მტრის მოკვლა,
თუ ხელ არ მასჭერ დანითა“.

მეხისმაგვარად გაისმის ალუდას ხმა თემის მრისხანე ქუხილში:

„ეაი, ეგეთას სამართალს,
მონათლულს ცოდვა-ბრალითა!“

და დადგნენ ერთმანეთის პირისპირ თემი და ალუდა. უთანასწო-
რო ბრძოლის ველზე უკან არ იხევს ქეთელაური. პირიქით, იგი გადადის
შეტევაზე: ხატობის დღესასწაულზე, თემის უფალს ალუდა მსხვერპლს
სწირავს მაჰმადიანი მუცალის სულის საცხონებლად, თემის მრისხა-
ნება აქ აღწევს უმაღლეს წერტილს. ბერდიას პირით მრისხანებს თემი:

„დაჯარდით, ხევსურთ შვილებო,
ყველანი — დიდნი, მცირენი, —
სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ
ალუდას სახლის დირენი;
ნუ დაინანებთ, ექმნენით
ცოლ-შვილის ამბიბრენი.
მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის
ცა-ღრუბლის შენამზირები.“

და აი, მოკვეთილი, გაძევებული იქნა ძლიერი თემის ურჩი მო-
წინააღმდეგე, მართალი, მაგრამ სუსტი ალუდა ქეთელაური.

„თოვლი სთოვს, ქარი ბობოქრობს,
ყვლებ შაკრულა მთებისა;
ჩამოდის ხევად ზოვები,
ჩაჰონასხლეტნი კლდებისა.

წინ მიდის მგზავრი, მიჰყვალავს,
ხუთიუ უკანა ჰყვებისა.

„მშვიდობით, საჭიხვევებო,
გამახარულნო თვალისა!
მშვიდობით, ჩემო სახ-კარო,
გულში ამშლელი ბრალისა!“

გადვიდნენ, ქედი გადავლეს,
თბრილი აღარ ჩანს კვალისა.
ერთი მაისმა შორითა
მწარე ქვითინი ქალისა“.

მეტად ღრმავროვანია „ალუდა ქეთელაურის“ იდეური შინაარსი.
აქ დასმულია ჭეშმარიტების გამარჯვების საკითხი. ვაჟას აზრით, სი-

მართლის დამარცხება შეუძლებელია. შეიძლება დამარცხდეს მხოლოდ სიმართლის მატარებელი. ჭეშმარიტება ზეიმობს საბოლოოდ, მისი გამარჯვება გარდუვალია. სიმართლის მატარებლის დამარცხება ჩვეულებრივად ხდება ჭეშმარიტების აღმოჩენის სათავეებთან. ამ დამარცხებას იწვევს სიმართლის მატარებელთა სიმცირე. ვაივლის დრო, ისინი გამარავლდებიან და უსამართლობის მხარეზე აღმოჩნდება უმცირესობა. ასე იმარჯვებს სიმართლე. ამაში გამოიხატება პოემის დედააზრი.

იგივე საკითხი უფრო ფართოდაა გაშლილი „სტუმარ-მასპინძელში“, აქ ძირითად შინაარსში ჩართულია სატრფიალო გატაცების მოტივი, ბრძოლის სურათები და სხვ. ამ პოემაში თემის მოწინააღმდეგედ გამოდის არა ერთი პიროვნება, არამედ რამდენიმე, მაგრამ განსაზღვრული რაოდენობა და ერთმანეთში სუსტი კონტაქტი არ აქცევს მათ კოლექტივად, თემი კი ისევ კომპაქტური, მჭიდრო და შეკავშირებულია, აქაც იმარჯვებს თემი. ეს გამარჯვებაც ფიზიკური ხასიათისაა.

პოემის უფრო სრული გაცნობის მიზნით დედანთან მიახლოებით წარმოვადგენთ შინაარსს: ამასთან გზადაგზა ავტორის იდეური-მსოფლმხედველობის ჩვენებით.

„ღამის წყვილადში ჩაფლული,
გამტკნარებულის სახითა,
მოსჩანს ქისტეთის შიდაში
სალის კლდეების ტახტითა“.

დაფიქრებულა მძინარე ნისლი, „აბნელებს, უხილავად ჰქმნის ქვეყანას ხილულიანსა“. ამ უკუნეთში, სალი კლდეების და ბნელი უფსკრულების მახლობლად, ერთმანეთს გაეცნობიან ქისტი ჯოყოლა და ხეცური ზვიადაური. ხეცური მალავს თავის ვინაობას — მას ბევრი სისხლი მართებს ქისტების, მაგრამ უარს ვერ ამბობს ჯოყოლას მიპატიებებაზე და მოსისხარ მტერთა შორის აღმოჩნდება, როგორც სტუმარი.

სტუმარ-მასპინძელს გამოეგება ქალი ლამაზი, ქისტის ასული აღაზა — ცოლი ჯოყოლასი. იქვე წამოდგა კაცი დროული, ვინც დამღეროდა ჩონგურზე, „ნახა უცნობი, ფერი დაედო მგლისაო“. მან იცნო ქისტთა მოსისხლე ხეცური ზვიადაური“. წავიდა, კარი-კარ დადის, ენასა ჰლესავს შხამითა: „ქისტებო, ჩვენი მოსისხლე შემოგვეპარა ლამითა“.

„აღელდნენ ქისტის შვილები,
ყველამ შაიბა ხმალია,
აღელვდა მთელი სოფელი:
ბაღლი, კაცი და ქალია.
უნდა შასწირონ თავის მკვდარს
ზვიადაურის თავია“.

მასპინძელი ჯოყოლა ესარჩლება ზვიადაურს. თემის ერთი ადამათი — სისხლის ალება — ჯოყოლას მიმართავს ზვიადაურის წინააღმდეგ, ხოლო მეორე წესი — სტუმარ-მასპინძლობა მას ავალებს სტუმარის დაცვას. იგი გადაჭრით ექომავება ზვიადაურს. ქმარს ემხრობა ცოლი — ალაზა. უთანხმოება ჩამოვარდა ძლიერ თემსა და მცირერიცხოვან ურჩთა შორის.

„მზე ჯერ არ ამოსულიყო,
ნამს ჯერ ბალახზე ეძინა,
არ დაებერა ნიავსა,
დაბლა არ ჩამოეფინა,
ურიცხვი კაცი და ქალი
ქალაზე გამოეფინა.
მოჰყავდა ზვიადაური
ხელშეკონილი გროვასა,
ყველას უხარის მის მოკვლა,
ან ვინ დაიწყებს გლოვასა!

სიცოცხლე ჰქრება, სისხლი დის. —
ზვიადაური კვდებოდა,
გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა,
გული გულადვე რჩებოდა.
და ამ სურათის მნახველი
ერთი ღიატი ბნდებოდა,
ცრემლებს ჰჰალავდა ლამაზი
ხალხზე უკანა დგებოდა“.

ეს ქალი იყო ალაზა, დიდი თანაგრძნობითა და იღუმალი ტრფიანებით შეპყრობილი.

მოჰკლეს გმირი ზვიადაური, მაგრამ სიკვდილით არ თავდება ალა-მიანის ამქვეყნიური გავლენა. ასეთია ძალა ნამდვილი სიცოცხლისა. დიდ სიცოცხლეს მოსდევს უკვდავება:

„სიკვდილსა გლოვა უხდება,
მკვდარს ძმას — ტირილი დისაო,
ტყესა — ხარ-ირმის ნაფრენი,
ზოგ დროს — ყმული მგლისაო.

ვაეკაცსა — ომში სიკვდილი,
ხელში — ნატეხი ხმლისაო,
ომს — ლხინი გამარჯვებულთა
და დამარცხება მტრისაო.
ზვიადურსა გლოვობდა
შფოთვა და ბორჯენა წყლისაო,
ნიადად ჩამონადენი
ოხვრა მაღალის მთისაო“.

ამით არ მთავრდება ზვიადურის გლოვა, ხევსურის სისხლმაც მოი-
თხოვა სამაგიერო. „მტერს მტრულად მოექეც, თვითონ უფალმა ბრძა-
ნაო“. მკაცრად დალაშქრეს ხევსურებმა ქისტეთი, შეეკრიბეს ზვიადურ-
ის ძვლები და დაბრუნდნენ გამარჯვებულნი.

ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა ხევსურების წინააღმდეგ მებრ-
ძოლი ჯოყოლა. მან სიკვდილით დაამტკიცა, რომ ის არ არის ქისტების
მოღალატე. ბრძოლა თემის მიუღებელი და უვარგისი ჩვეულების წი-
ნააღმდეგ ჯოყოლას სამშობლოს ერთგულებად უნდა ჩათვალოს და
არა ღალატად.

ბევრი რამის მთქმელია ჯოყოლას სასარგებლოდ მის მიერ ცოლის
გამართლება, როცა იგი შეიტყობს აღაზას იდეალურ ტრფობა-თანაგ-
რძნობას ზვიადურის მიმართ: „მაგისთვის როგორ შეგრისხავ?.. დიაცს
მუდამაც უხდება გლოვა ვაეკაცის კარგისა“.

იდეალური ტრფობის მატარებელ აღაზას უკანასკნელად უხდება
ხორციელი ტრფობის გლოვაც:

-ცოლი სტიროდა ჯოყოლას,
ცრემლს ასხურებდა ხშირად,
არჩვი ყელ-გადაგდებული,
თმა-ხშირი, მთვარე პირად,
ეკერებოდა გულ-მკერდზე
ქმარს მარგალიტის ღილადა“.

ყველაფერი ქრება აღაზასათვის ზვიადურისა და ჯოყოლას სიკვ-
დილით. ის გამოსავალს ნახულობს თვითმკვლელობაში. და აი, სხივ-
მიხნილი ვარსკვლავის მსგავსად დგას კლდის ნაპირას ქისტის ასული:

„კერთის, რომ დასცქერის მდინარეს;
რა საზარლადა ხმაურობს,
როგორ საზარლად მდინარებს!
ლაშ-დაღრენილი, სასტიკი

შავი ხეობა მძვინვარებს,
„თავს ნუ იკლავო!“ — აბა, თუ
ერთმა ურჩიოს მაინცა!
დახუჭა ქალმა თვალები
მსწრაფლად მორევში ჩაიქცა“.



ვაჟა-ფშაველა საქართველოს მთის კუთხეების — ხევის, მთიულეთის, ფშავის, ხევსურეთის და მთათუშეთის მესაიდუმლეა, მათი ერთგვარი მემკვიდრეა. იგი არა მარტო ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულების და ადათ-წესების მხატვარია, არამედ მთიელთა ისტორიის ამსახველიცაა. მან კარგად იცის, რომ ისტორია მთისა და ბარის საქართველოსი ერთიანი და განუყოფელია, როგორც ერთიანი და განუყოფელია ისტორიულად ჩვენი მთა და ბარი. ამ შეგნებით გამსჭვალულია ვაჟას ისტორიული პოემა „ბახტრიონი“. ამავე შეგნების ძალით აქ პოეტის წარმოსახვით შექმნილი პერსონაჟები ისტორიულ გმირებად გვეჩვენებიან.

ამ პოემას ჩვენ გავარჩევთ იდეური მოტივებისა და მათი მატარებელი მხატვრული სახეების თანმიმდევრული ჩვენების გზით.

„ბახტრიონის“ მთავარი იდეური მოტივი პატრიოტიზმია. ამ მოტივს გამოხატავენ კვირია, ლელა, ლუხუმი და ზეზვა. მათ შორის ლელა წარმოდგენს ქართველი პატრიოტი ქალის წარმტაც და დაუვიწყარ სახეს. მასშია ფაქიზი მშობლიური სიყვარული, მაღალი პატრიოტიზმი, უნგარო მეგობრობა და გმირული თავდადება. საომრად შეჭურვილი ლელა დგას სამშობლოს დაცვის საღარაჯოზე. იგი არა მარტო მზად არის შეეწიროს ქვეყნის თავისუფლებას. არამედ მიდის გარდუვალი სიკვდილის შესახვედრად, მიდის შეგნებულად და გაბედულად. ლელამ წინასწარ იცოდა, რომ უეჭველად უნდა დაღუპულიყო. მან შეგნებულად მიიტანა თავისი ლამაზი სიცოცხლე კიდევ უფრო ლამაზი სამშობლოს სამსხვერპლოზე... ამრიგად, ლელამ სამშობლოს შესწირა უფრო მეტი რამ, ვიდრე ჩვეულებრივი სიცოცხლეა.

ლელა არ არის მარტო, მას მხარს უმშვენებს კვირია. კვირიას ღირსება აზრიანი თავგანწირვის უნარში გამოიხატება. კვირია იღუპება მტრის უდიდესი ზიანის ფასად. ეს ზიანი წინასწარ იყო მოსაზრებული და გათვალისწინებული. კვირიასა და ლელას უბადლო ქცევის შედეგად

„გადმოდგა ბორბალაზედა
თავისუფლების მოვარება.
აღაზნისავე წავიდა
ურჯულოს სისხლის ღვარიი.
ნალესის ფრანგულებისა
ცასა სწვდებოდა ალია“.

თავისუფლების პოვნის საქმეში გმირული ბრძოლით ირჩებიან ხალხის წიაღის ნაშეიერები:

„მიჰივის თათრებს ზეზვაი,
შეუპოვარი, მალია.

ლუხუმმა თოფი გამაჰკრა,
არ აუფეთქდა ფალია;
ღროშას მიუძღვის ლომივით,
ამაიწვალა ხმალია“.

აქვე არიან სახელითა და დიდებით შემოსილი სხვა მეომრებიც: ხოშარეული, გივი სუმელჯი; მაგრამ მათ შორის არის ხალხის მკერდიდან მოწყვეტილი და მკაცრი რისხვით მოკვეთილი მხდალი და მოღალატე წიწოლა, რომელიც ბრძოლის ველიდან „გაიქცა სირბილიანი, სიცოცხლით სიკვდილიანი“.

„რად არ მამიხვედ წიწოლავ,
პირნათლი, სახელიანი!?
გასწირე თავის ხსენება,
საწყევარ-სარბეიანი! —
მარტო რად სტირის დიაცი,
გვერდით არა ჰყავ სოფელი?
არ ისმის მოზარეთ ზარი,
გულს ლახვარ-დამასობელი?“

ასეთია მოღალატისადმი მიმართული ხალხის მრისხანე შურისგება. „ბახტრიონის“ მეორე ძირითად იდეურ მოტივს წარმოადგენს ბუნების სიყვარული. ეს გრძნობა თავს იჩენს თითქმის ყოველი მოქმედი პირის არსებაში, მაგრამ მისი უმთავრესი მატარებელი თვით ავტორია. იგი უდიდესი ოსტატის ხელით უქმნის პოემას გრანდიოზულ დეკორატიულ ფონს და საფუძველს. აქ ბუნების მომხიბვლელ და წარმტაც ფონზე ისახება უკაცრიელი თემის, დანგრეული სოფლების, ტანჯული ადამიანების და სისხლიანი ბრძოლების მძიმე სურათები:

პოემა იხსნება დაუვიწყარი ლირიკული უვერტიურით:

„დღემ დაიხურა პირბადე,
მთებმა დახუქეს თვალები.
აღარ შფოთავენ საფლავში
გმირთ ოფლის მღვრელი ძვლები.
ქარი ქვითინებს... ღრუბელთა
ზარი თქვეს შესაზარები.
გული ვერ მოუფხანიათ,
ცრემლი სდისთ ალაზნიანი;
ჩარეცხეს, ჩაალამაზეს
მთების გულ-მკერდი კლდიანი.

მოგესალმებით, ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი,
ჩემსამც სამარეს ამკობენ
თქვენი ღეკა და ღვიანი!
თქვენგანა გულობს ეს გული,
შიგ გრძნობა უღუღს ღვთიანი.
თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ,
ლაღიან-ზარაქიანი.
ნუმც გაჯაერდები პირიმზე,
ნუმც დამწყველიან იანი,
რომ იმათ ღედის ძუძუთი
ვსუქდები ცოდვილიანი“.

პოემაში ერთიმეორეს ენაცვლებიან ღამის სიბნელე, დილის გარეთრეჟი, დღის ბრწყინვალება და საღამოს მწუხრი.

„ცაზედ დამქრალან ვარსკვლავნი,
პირი ემურვის მთვარესა,
მთანი, თავ-ჩაჩქნიანები,
ფიქრს მისცემიან მწარესა“.

მაგრამ გავიდა ხანი და

„ცა გაღიბანა პირიღამ
მური, ნაცხები ღრუბლისა;
გადაფინა სამყაროს
ლოცვა-კურთხევა უფლისა.
შუქი დაეცა ლაშქარსა
მთების ბრწყინვალის შუბლისა“.

ასე, ბევრ ადგილას ბუნების მწვანე ფერით აზავეებს ვაჟა თავისი რდეების მსახველ საღებავს და ხშირად აღწევს პოეტური ხატვის შეუ-

დარბელ სიმალღეს, სადაც სიტყვები არა მარტო სმენის. არამედ ხედვის ნიშნებადაც გვევლინებიან.

მაგალითად:

„ნისლი ფიქრია მთებისა,
იმათ კაცობის გვირგვინი“.

!

ამაზე შორს ვერ წავა სიტყვით მხატვრობა.

•

მხატვრული აზროვნების უმაღლეს ნაყოფს ვაქვას პოეზიაში წარმოადგენს პოემა „გველის მჭამელი“. ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ის მიჩნეულია უდიდეს ფილოსოფიურ ნაწარმოებად. ჩვენი აზრით, ეს შეცდომაა. სინამდვილეში „გველის მჭამელი“ უდიდესი პოეტური ნაწარმოებია და მხოლოდ პოეტური ნაწარმოები. ვაქა მხატვარი აქ განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა. პოემაში მთელი ბუნება წარმოდგენილია, როგორც პოეტური განცხრომის საგანი. ბუნება აქ აღიარებულია ხელუხლებელ ტაძრად და არა სახელოსნოდ.

ეს არის პოეტის ლალი ფანტაზია. „გველის მჭამელში“ იდეალია დახატული და არა სინამდვილე, განუხორციელებელი იდეალი და არა შესაძლებელი ვითარება. ვაქა ხატავს ისეთ იდეალს, რომლის მიღწევა ავტორსაც შეუძლებლად მიაჩნია არსებულ პირობებში. საკმარისია არსებული ვითარების ოდნავი შეხება აქ დახატული იდილიური განწყობილებისადმი, რომ იგი უმაღლეს გაქრეს. მინდიას ფანტასტიკური მსოფლმხედველობა ქრება სინამდვილესთან პირველი შეხვედრისთანავე, მაგრამ არა უმტკივნეულოდ. იმდენად დიდია ეს ტკივილი, რომ მხოლოდ სიკვდილმა შეიძლო მისი დაამება. მინდია დაიღუპა იმიტომ, რომ მისი აზროვნების იდეალური სამყარო შეუთავსებელი აღმოჩნდა რეალურ სამყაროსთან. დიდია განსხვავება არსებულ რეალურსა და არარსებულ იდეალურს შორის. აქ თავს იჩენს უფსკრული. მინდია ამ უფსკრულში გადაიჩეხა.

ისმის საკითხი: სხვა პირობებში თუ მიაჩნია ვაქვას შესაძლებლად მინდიას გამარჯვება? ამ კითხვას უნდა ვუპასუხოთ დადებითად. საერთოდ შეუძლებლად რომ მიეჩნია ვაქვას მინდიას გამარჯვება, მაშინ იგი არც შექმნიდა ამ ზოგადკაცობრიულ გმირთა დამამშვენებელ მხატვრულ სახეს. მაშინ „გველის მჭამელი“ უბრალო ზღაპარი იქნებო-

და და არა უდიდესი პოეტური ნაწარმოები. ვაჟა ფიქრობს: ბუნების სრული დამორჩილებით ადამიანი მიაღწევს ისეთ პირობებს, როცა მისთვის საჭირო აღარ იქნება ბრძოლა ბუნების წინააღმდეგ.

რამდენად სწორია ეს შეხედულება?

ეს შეხედულება, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ადამიანსა და ბუნებას შორის უბრძოლველი დამოკიდებულება წარმოუდგენელია. უსასრულოა შესაძლებლობანი ადამიანის ბრძოლისა ბუნების წინააღმდეგ. უსასრულოა თვით ეს ბრძოლა და წარმოუდგენელია მისი გრანდიოზული შედეგები, რასაც ადამიანი მიაღწევს მომავალში. ამას გვასწავლის მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია.

მაშ რაში გამოიხატება „გველის მკამელის“ მნიშვნელობა და მომხიბვლელობა?

„გველის მკამელის“ მნიშვნელობა და მომხიბვლელობა გამოიხატება არა ავტორის იდეური მსოფლმხედველობის სისწორეში, არამედ პოეტური წარმოსახვის სიდიადეში. მინდიას სახით ვაჟა ქმნის მხატვრული უბადლოების ისეთ მწვერვალს, რომელიც თავისი უჩვეულო სიმაღლიდან გვაფრქვევს შთაგონების სხივებს. მარად დარჩება მინდიას სახე პოეტური სისრულისა და გამომგონებლობის იშვიათ მოვლენად მსოფლიო ლიტერატურაში.

წარმოსახვითაც ძნელია ამაზე შორს წასვლა: ორი თავისთავადი საწყისი აღმართულა — ბუნება და ადამიანი. ბუნება თავისი მოუწყინარი მწვანე სილამაზით, ადამიანი — თავისი ურთულესი გრძნობა-გონიერებით. მათ შორის წაშლილია ყოველგვარი საზღვარი: ადამიანი ბუნებას უშუალოდ უთავსდება. ამ უშუალობაში გამოიხატება ვაჟას ხატვის გენიალობა. მინდია ამ გენიალობის დიდი ნაყოფია; მინდიას ესმის ბუნების ენა:

„მას მუსიკი დაუწყო
ცამ, ლეღამიწამ, ტყეშაო.

ესმის დღეიდან ყოველი,
რასაც ფრინველნი გალობენ,
ან მცენარენი, ცხოველნი,
როდის ილხენენ, წყალობენ“.

ბუნების ამ დიდ საიდუმლოებას მინდია მისწვდა იმით, რომ

„ახალი სული ჩადგა
ახალი ხორცი აისხა;
გულის ხედვა და თვალების,
როგორც ბრმას და ყრუეს, გაეხსნა“.

მინდია იმსჯელება მაღალი პოეტური ცნობიერებით:

„თურმე ზნედა სჭირთ ყვაილთა;
ოლონდ ეწაჟლონ სნეულთა,
სიცოცხლით გაფუფუნებულს
არად აგდებენ სხეულთა:
სალხინოდ ჰსახვენ, კაცთ სარგოდ,
ძვალ-ხორცთა ჩამორღვეულთა.
ყვაილთ ეს ზნე სჭირთ და ხეებს
თურმე მოუვათ ტირილი;
მარტოკა მინდიას ესმის
მათი კენესა და ჩივილი“.

ასეთია მინდიას პოეტური სახე, მისი იდეალური არსება და ფანტასტიკური სამყარო.

*

რა უნდა ითქვას ვაჟა-ფშაველას ენის შესახებ?

ვაჟა-ფშაველას ენის საკითხის გარკვევისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა ვიცოდეთ: რა არის ენა? ენა გაგებინების საშუალებაა. ეს არის უდავო ჭეშმარიტება, გამოხატული ყველასათვის ნათელი ფორმით. ასევე ჭეშმარიტი და ნათელია აქედან გამომდინარე დებულება: „ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება, ყოველთვის იყო და არის საზოგადოებისათვის ერთიანი და მის წევრთათვის საერთო ენა“.

საერთო-სახალხო ეროვნული ენის არსებობა და ამ ენის ძირითადი ფუნქცია — გაგებინება — ყოველ მწერალს ავალებდა და ავალებს თავისი შემოქმედების გამოსახატავად გამოიყენოს სწორედ ეს საშუალება, საერთო-სახალხო ენა.

ისმის კითხვები: — იზიარებდა თუ არა ვაჟა-ფშაველა ამ მოსაზრებას? — დიახ, იზიარებდა! — აღიარებდა თუ არა ვაჟა-ფშაველა საერთო-სახალხო ეროვნული ენის არსებობას და აუცილებლობას? — დიახ, აღიარებდა! — მიაჩნდა თუ არა საჭიროდ ვაჟა-ფშაველას, რომ მწერალი თავის შემოქმედებას საერთო-სახალხო ენით უნდა ქმნიდეს? — დიახ, მიაჩნდა!

რა არის ყოველივე ამის საბუთი?

ყოველივე ამის საბუთი არის ის, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ერთადერთი საშუალება იყო ქართული საერთო-სახალხო ენა: აზას ამტკიცებს ის, რომ ვაჟა-ფშაველა ქმნიდა ქართული ენის გრამატიკული წყობით და ამავე ენის ძირითადი ლექსიკური ფონდით.

მაგრამ რით ავსხნათ ის გარემოება, რომ ვაჟა თავის პოემებში უხვად იყენებდა ფშაურ კილოკავს? — ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ვაჟა ფშაურ კილოკავს იყენებდა არა ჩვეულებრივი გაგებინების, არამედ მხატვრული გაგებინების საშუალებად, მისთვის ფშაური დიალექტი იყო არა ჩვეულებრივი ენა, არამედ პოეტური ენა. გაგებინება შეიძლება იყოს ორგვარი: მხატვრული და არამხატვრული. ეს უკანასკნელი არამხატვრული გაგებინება მიიღწევა ენით, მაგრამ მხატვრული გაგებინებისათვის საჭიროა პოეტური ენა. პოეტური ენის ერთი დამახასიათებელი უზრუნველმყოფი არის დიალექტი. ვაჟა-ფშაველას პოეტური ენის ერთი დამახასიათებელი უზრუნველმყოფი იყო ფშაური დიალექტი. ვაჟა თავისი პოემების პოეტურ ენას, სხვა მხატვრულ ხერხების გვერდით, უზრუნველყოფდა ფშაური კილოკავითაც. რაც მისთვის იყო მხატვრული აზროვნების ერთგვარი საშუალება, გამართლებული ფაბულის ბუნებრივი კოლორიტისა და დამახასიათებელი ეთნიკური ელფერის დაცვით. ამის მაჩვენებელია თუნდაც ის, რომ ვაჟას ფშაური კილოკავის გამოყენება დასჭირდა სწორედ ფაბულიან ქმნილებებში, სადაც ადგილით, დროით და „ფსიქიკური წყობით“ განსაზღვრული პერსონაჟები მოქმედებენ.

ოღონდ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: ვაჟა ამ საქმეში ვერ იცავდა ზომიერებას, ის გარკვევით აჭარბებდა, ხშირად ფშაური კილოკავი აქ მხატვრული საშუალების საზღვრებს შორიდებოდა და თავისთავადი დანიშნულებით, ე. ი. ენობრივი ფორმის მნიშვნელობით გვევლინებოდა.

ამ გარემოებამ ათქმევინა აკაკის ვაჟას მიმართ:

„ენას გიწუნებ, ფშაველო,
მგოსანო მაღალ მთისაო,
თუმც კი გვითესავ მარგალიტს,
მკითხველიც იმას მკისაო!“

მაგრამ აკაკიც აჭარბებდა: ფშაური კილოს გამოყენება პოეტური დანიშნულებით არ იძლევა საფუძველს ვაჟას ენის ხელაღებით დასა-

წუნებლად. საერთოდ, ვაჟა ქმნიდა უმართლესი ქართული გრამატიკული წყობით და უმდიდრესი ქართული ლექსიკური ფონდით. ასეთი ენით არის წარმოდგენილი ვაჟას ეპიკური და ლირიკული პოეზია. მათ შორის ვაჟას პროზაული შემოქმედება შესრულებულია უწმინდესი ქართული საერთო-სახალხო ენით, რაც თავის დროზე წარმოადგენდა მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო მეტყველების უმაღლეს მწვერვალს.

ამიტომ შეეძლო ეთქვა ვაჟა-ფშაველას:

„გულს მისვენია ხატადა
ენა მთისა და ბარისა.
მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ,
თუ ქართველის გვარისა.
მოთაყვანე ვარ ყოვლისა,
იმათ ტკბილის და მწარისა“.

ქართული საერთო-სახალხო ენის დიდი ოსტატების: ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას და სხვათა კალმის ქვეშ მოიპოვა ახალმა ქართულმა სიტყვამ XIX საუკუნეში თავისი ბუნებრივი ძალა, სისრულე და ჟღერადობა. ეს სიამაყით ავსებდა ვაჟას. ის გრძნობდა თავის დამსახურებას „ცრემლით ნაბანი“ ქართული სიტყვის დაცვა-შენახვის, გამოვლენის და გამომწვეურების დიად საქმეში.

ამიტომ ამბობდა:

„სიტყვა გაღვაგღე ერშია,
სიტყვა, რა სიტყვა? — ეული,
ტანჯულის გულის ნაცრემლი,
ჯავრით ნაკვები, სნეული.
.
ასე წვა-დაგვით გაზრდილმა,
რას ვიფიქრებდი, იხარა...
წვერს მარგალიტი მოისხა,
ტანი ზურმუხტით იფარა;
მთელს ქვეყანაზე სხივსა ჰქენს,
როგორც ცამ, გამოიღარა.
.
მიხარის, ჩემმა გაზრდილმა
რომ ბინა ჰპოვა ერთანა,

ერთმა საწყალმა სიტყვაში,
ბოროტ კაცთაგან წყეულმა,
ბეჩავმა, ცრემლით ნაბანმა
თავს მანდილ-ჩამოხეულმა“.

ეს „მანდილჩამოხეული“ ქართული სიტყვა ილიას, აკაკის და ვაჟას პოეზიაში იქცა ბასრ იარაღად უთანასწორო ბრძოლის ველზე სოციალურ-პოლიტიკური უკულმართობის წინააღმდეგ. ვაჟა-ფშაველა ამ დიდ იარაღს ყოველთვის თვლიდა საშუალებად, ღონისძიებად და არა თვით-მიზნური და თავისთავადი ღირებულების მქონე მოვლენად. ამას გვიჩვენებს ვაჟას მთელი მოღვაწეობა; ამასვე ამტკიცებს მისი ორი მიმართვა აკაკისადმი — საიუბილეო და საპასუხო. საიუბილეო მიმართვა:

„მშობელი ქვეყნის მოზარევ,
უნდა გიმღერო მთურადა;
იმავ კირით ვარ სნეული,
რაც შენ გატყვია წულულადა.
თუნდ არ მოგწონდეს, იქნება
ჩემი ფანდურის ჩხაყენი,
მიიღე სარეკელასი
როგორც წისქვილში რაკენი.

მადლობელი ვარ გულითა,
შოთაის სულის ღებნამა, —
სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანგი გიკურთხოს ზენამა“.

საპასუხო მიმართვა:

„სხვა ზამ მაშინებს, ისა ვსთქვათ,
ღამსშობი მზის და მთვარისა,
სამშობლოს დამამხობელი
და გამომკრელი კარისა...
სჯობს, რომ იმაზე ვიტყვი,
მუდამ მთქმელი ვარ ამისა.
ნუ შეგაშინებსთ, არ გავნებსთ
მთიდან ყვირილი ხარისა“.

7

ამბობენ, რომ სიკვდილის წინ ვაჟას ნედლი ბალახი მოუთხოვია. მწვანე ბუნების ტკბილი მომღერალი ხელით შეხებია დედამიწის ლა-

მაზ სამოსელს: ძალა არ ჰქონდა თვალით ეხილა, ფეხით გაეთელა ან სხეულით შეხებოდა. ასე მომკვდარა მთის მომღერალი: ქართული მიწის ბალახით ხელში, მისი სურნელით მოხიბლული და თავისი ხვედრით კმაყოფილი.

სიცოცხლით ბუნებასთან გადახლართული სიკვდილითაც მასთან აღმოჩნდა შეთავსებული.



იაკობ გოგებაშვილი

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული კულტურის კორიფეების — ილიასა და აკაკის გვერდით იდგა გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი. ფართო მიზნებით, იმედებითა და შემოქმედებით მიიკვლევდა ის მძიმე შრომისა და ბრძოლის გზას და საშვილიშვილოდ ტოვებდა სახელს შთამომავლობის სადიდებლად. ნათელი იყო ქართველი ხალხის მშობლად ქცეული ამ დიდი ადამიანის დედის ნანასავით ტკბილი დედაენით გაბრწყინებული მოღვაწეობა. ის გვასწავლიდა, ის გვართობდა, ის გვარიგებდა, ბნელსა და მწუხრში ინარჩუნებდა ერის სიწმინდეს, განათლების სხივებით სპობდა ბნელეთის მოციქულებს და დაცემული ქვეყნის დედაბოძად დედა ენას ხეწდა, წმენდდა და აჩუქურთმებდა; ის ინახავდა რუსთაველის ტკბილ მეტყველებას, ერის გენიას გვასიტყვებდა, გვიახლოებდა, ხალხის დაჩაგრულ გულს იმედის სხივით აცოცხლებდა, მწუხრით მოსილ დროს აზრიანს ჰხდინდა და ნაღვლიან ბავშვობას ახალისებდა. თვითონ უშვილო და უოჯახო, მაგრამ უამრავი ბავშვის პატრონი, მისი მრავალრიცხოვანი ოჯახის სულიერ საზრდოდ ხალხის გონების ჰირნახულს იყენებდა და დედა ენით ნანას გვეუბნებოდა. მაგრამ არა დასაძინებლად, არამედ, როგორც ილია იტყოდა, გასაზრდელად, გასალევიძებლად. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ატარა მან მშრომელი ხალხის გულისწადილით ნასაზრდოები მაღალი დროშა განათლების, განვითარების, კულტურისა და შემოქმედების. უამრავ ბავშვთა რიგებს აუღდამს ენა მისი პირველი სიტყვით და გონებრივი განვითარების გზას დასდგო მისი მშობლიური შემწეობით. გადაგვილახავს დროის მძიმე დაბრკოლებანი, გვივლია ფართო ცოდნის

საძებრად, გაცხარებულვართ ყმაწვილთა კარგი სწავლითა, ყაყაჩოების სიწითლითა და ტკბილი ლექსების მოსმენითა.

ამიტომ უწოდა ი. გოგებაშვილს ა. წერეთელმა წარსულის შვილი, აწმყოს აღმზრდელი და მომავლის გადი.

ი. გოგებაშვილი დაიბადა 1840 წელს სოფ. ვარინში, გორის მახლობლად. პირველდაწყებითი ცოდნა შეიძინა ადგილობრივ, სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში და უმაღლესი განათლება მიიღო კიევის სასულიერო აკადემიაში. სკოლებში გოგებაშვილს ღვთისმეტყველად წვრთნიდნენ, თვითგანვითარების გზით ის ბუნებისმეტყველებას ეწაფებოდა; მას ღვთის მსახურად ზრდიდნენ. ის ხალხის მსახურად იზრდებოდა. მომავალი დიდი პედაგოგი მტკიცედ დაადგა მატერიალისტური ბუნებისმეტყველების გზას. ის ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებით ეწაფებოდა ბელინსკისა და დარვინის ნაწერებს. მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში უაღრესად დიდი როლი შეასრულეს გამოჩენილმა რუსმა პედაგოგებმა: უშინსკიმ, კორფმა და დიდმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა — გერცენმა, ჩერნიშევსკიმ, ლობროლიუბოვმა.

სამოციანი წლების დასაწყისში, როცა საქართველოში ი. ჭავჭავაძის მეთაურობით გაჩაღდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მუშაობა, ი. გოგებაშვილს ვხედავთ ჭერ მასწავლებლად და შემდეგ ინსპექტორად. მოწინავე და წარჩინებული ქართველი პედაგოგი უშუალოდ და მჭიდროდ ჩაება ახალი ქართული კულტურის მშენებლობის ფერხულში. მან მკაცრი და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა სწავლების სქოლასტიკურ შინაარსსა და ფორმებს. პროგრამებსა და მეთოდოკას. ეს ბრძოლა, ცხადია, არ დარჩებოდა უპასუხო და აი, დიდი პედაგოგი ცარიზმის დიდმპყრობელური ბიუროკრატიის მოხელეთა მხრიდან გახდა დასმენის, დაბეზლების და დევნის ობიექტი. ყოველივე ამის შედეგად ი. გოგებაშვილმა მტკიცედ გადაწყვიტა სამუდამოდ უარი ეთქვა სახელმწიფო სამსახურზე და მთელი თავისი ენერჯია, ცოდნა და გამოცდილება ხალხის სამსახურისათვის მოეხმარებინა. ეს გადაწყვეტილება გოგებაშვილმა მტკიცედ დაიცვა და ბრწყინვალედ შეასრულა. როგორც ცნობილია, მან ცეცხლს მისცა თავისი სამსახურებრივი დოკუმენტები იმ მოსაზრებით, რომ სახელმწიფო სამსახურში შესვლის ყოველგვარი გზა აღეკვეთა.

1865 წელს გოგებაშვილმა გამოსცა თავისი პირველი სახელმძღვანელო „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“. ამ წიგნის მეორე გამოცემა გამოვიდა 1867 წელს, მისი გამოცემა გრძელდებოდა 1876 წლამდე. 1868 წელს გოგებაშვილმა გამოსცა თავისი ცნობილი სახელმძღვანელო „ბუნების კარი“, რომელიც 1918 წლამდე გამოდიოდა. 1876 წელს ი. გოგებაშვილმა პირველად გამოაქვეყნა თავისი სახელგანთქმული „დედა ენა“. ქართველი ხალხის ეს ერთი უსაყვარლესი წიგნთაგანი შეუწყვეტლად გამოდიოდა 50 წლის განმავლობაში და გამოიცა ერთ მილიონზე მეტი რაოდენობით. გოგებაშვილის „დედა ენა“ თავისი მეთოდოლოგიური პრინციპებით აღმოჩნდა უკვდავი: დღევანდელი ჩვენი საანბანო წიგნი „დედა ენა“, რომლის ავტორები არიან ნ. ბოცვაძე და კ. ბურჯანაძე, შედგენილია გოგებაშვილის „დედა-ენის“ მეთოდოლოგიური სისტემის მიხედვით. გარდა ამ სახელმძღვანელოებისა, გოგებაშვილის კალამს ეკუთვნის „Русское слово“, „კოკორი“, „კონა“ და უამრავი პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური შინაარსის წერილი. გოგებაშვილი ავტორია აგრეთვე მრავალი პუბლიცისტური წერილისა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გოგებაშვილის სამწერლო მოღვაწეობა. დიდმა პედაგოგმა შექმნა მრავალი შესანიშნავი საბავშვო მოთხრობა, მათ შორის საყოველთაოდ ცნობილი „იავნანამ რა ჰქმნა?“

ი. გოგებაშვილი იყო ერთი დამაარსებელთაგანი და განუშორებელი მოღვაწე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“, რომელმაც თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის აღზრდის საქმეში.

მუდამ მშვიდი და მოკრძალებული. დინჯად მოლაპარაკე, ნელამოსიარულე და ქცევადაწყენარებული. უფრო ხშირად დუმდა, ვიდრე ლაპარაკობდა. სხვას ყოველთვის უსმენდა და თვითონ ყველასაგან სმენას არ მოითხოვდა. ზეპირი სიტყვა არ უჭირდა, მახვილი ენით არ ბრწყინავდა და საერთოდ ყურადღებას ნაკლებად იქცევდა. არც ჩაცმულობით, არც გარეგნობით ადამიანს განსაკუთრებით მისკენ არ იზიდავდა, მაგრამ სახეზე უკრთოდა შთაგონებისა და შემოქმედების ისეთი იერი. რომ მასთან ერთხელ ახლო მისული ადამიანი ძნელად შორდებოდა და მარად მისგან მოხიბლული რჩებოდა.

ასე გამოიყურება ი. გოგებაშვილი ორიოდ სიტყვით დახატული პორტრეტიდან.

პატიოსნება, უანგარობა, კეთილშობილება და ქველმოქმედება — აი მისი პიროვნული მხარეები. გოგებაშვილი საკუთარი სახსრებით ხსნიდა და ეხმარებოდა სკოლებს; მას ჰყავდა პირადი სტიპენდიანტები; ფულად დახმარებას უწევდა მწერლებს, არტისტებს, პედაგოგებს, რომელთა ბედზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე საკუთარ თავზე. საკმარისია გადავიკითხოთ მისი ანდერძი, რომ დავრწმუნდეთ ადამიანობის რა თვალუწვდენელ სიმაღლემდე ამაღლებულა ეს დიდებული ადამიანი. საინტერესოა აღინიშნოს: როცა მოწინავე ქართველთა ერთმა წრემ გადაწყვიტა საიუბილეო სადილის გამართვა გოგებაშვილის მოღვაწეობის აღსანიშნავად, იუბილარმა ითხოვა ამ განზრახვაზე ხელის აღება იმ საბუთით, რომ ჯერ პატივი ვცეთ ჩვენი კულტურის იალბუზსა და მყინვარს და შემდეგ გორაკები და სერები მოვიგონოთო.

თავისი ერის მიმართ ვალმოხდილი დიდი პედაგოგი გარდაიცვალა 1912 წელს, 72 წლის ასაკში. ის დასაფლავებული იქნა თბილისში, დიდუბის პანთეონში. დაბადებიდან 100 წლისთავზე, 1940 წელს, დიდ სახალხო საზეიმო პირობებში გოგებაშვილის ნეშტი დიდუბის პანთეონიდან გადასვენებული იქნა მთაწმინდის პანთეონში.

•

დიდი ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა გაჩაღდა ჩვენში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. ამ ბრძოლის მეთაური და სულისჩამდგმელი იყო ი. ჭავჭავაძე. იგივე იყო ახალი ქართული კულტურის მებაირახტრე. ახალი ეროვნული კულტურის დაუშრეტელ მდინარებას აღმოუჩნდა ბევრი ცხოველმყოფელი ნაკადი, რომელთა ერთიანობით იქმნებოდა ჩვენი წინსვლის საფუძველი.

საუკუნეთა მანძილზე მაჰმადიანური სამყარო ებრძოდა ჩვენში ქრისტიანობას. ქართველმა ხალხმა ქრისტიანობა ეროვნების ბურჯად მიიჩნია და იცავდა მას, როგორც არსებობის ნიშანს. თვითმპყრობელური რუსეთი ქრისტიანობას დამცველად აღმოუჩნდა, სამაგიეროდ მან ბრძოლა გამოუცხადა ქართულ ენას. ქართველმა ხალხმა ახალ პირობებში მშობლიური ენა ჩათვალა ეროვნების ბურჯად და დადგა მისი დაცვის სადარაჯოზე. ამ სადარაჯოზე ნახევარი საუკუნის მანძილზე იდგნენ ილია, აკაკი, იაკობი და სხვ. მათ კარგად იცოდნენ: „რა ენა

წარხდეს, ერიც დაეცეს, მოეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“. და ამ შეგნების შედეგად ენის გადარჩენით გადაარჩინეს ჩვენი კულტურა.

XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეებს კარგად ესმოდათ, რომ საქართველომ რუსეთთან შეერთებით გადაირჩინა ფიზიკური არსებობა, საჭირო იყო მისი სულიერი არსებობის გადარჩენაც. ამიტომ იბრძოდნენ დიდი ქართველები ჩვენში ცოდნის, სწავლისა და მეცნიერების განვითარებისათვის.

ილიამ მოგვცა ცოდნის შესანიშნავი განსაზღვრა: „ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თითონ, თავის თავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა`წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ გადაუდგება... ღონიერი და ჭირთამძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია... ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრეა-მეტეჟი, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთ სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუყიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოველე, პირიქით, იმატებს კიდევ, რადგან ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა. სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, თუნდაც ცოტად ბეუტავდეს შორს სადმე ბნელაში, მტერს აფრთხობს, იქ სინათლეა, — სჩანს ჰღვიძავთო, და დაგვიანებულს მოყვარეს კი ახარებს კიდევ იმით, რომ იქ ღვიძილია, მღვიძრები დამხვდებიანო“.

ცოდნის ამ განსაზღვრას, ცხადია, სავსებით იზიარებდა ი. გოგებაშვილი. თავის მხრივ დიდი პედაგოგი ასე ამბობდა:

„სწავლა, ცოდნა და მეცნიერება! — აი, წამწყემდეელი ყოველის უთანხმოებისა, დამდგენელი ყოველის ერთობისა, ამამაღლებელი ადამიანისა! აი ჭირთა ამხდელი სახსარი, კეთილ-დღეობის მომფენი ღონისძიება. სწავლა, ცოდნა და მეცნიერება ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ველარაფერი ვერ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალი მოგერიებისათვის“.

დიდ პედაგოგს პრესა, თეატრი, ლიტერატურა, სკოლა და სხვა მიაჩნდა ცოდნის ჩაუქრობელ კერებად. მათ შორის, გოგებაშვილის აზრით, სკოლას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის არის მარად

მოგიზგიზე კერა, ანთებული ჩირაღდანი, სადაც ადამიანი ღებულობს უდიდეს, მაგრამ უძნელეს მოსაპოვარს ცოდნას.

უწინარეს ყოვლისა გოგებაშვილი არის აღმზრდელი, პედაგოგი. მისი აღზრდის ობიექტი სამყაროს უმაღლესი ქმნილება — ადამიანია. ადამიანის კაცად-კაცადი ჩამოყალიბება წარმოადგენს დიდი პედაგოგის უმთავრეს საზრუნავს. დიადი კაცობა არის მისთვის უმაღლესი იდეალი, მიზანი და საწადელი. საკუთარი ღირსების დაცვა, მოვალეობის პირნათლად შესრულება, სამართლიანობა და პირუთვნელობა საზღვრავენ კაცურკაცობას და ადამიანობას. ამრიგად, ადამიანი აღზრდის საგანია, ადამიანობა — აღზრდის ამოცანა. გოგებაშვილის აზრით, ცოდნა არის უმთავრესი ფაქტორი, რაც ამაღლებს ადამიანს მისი ცხოვრების კიბეზე. ხოლო ცოდნის სავანედ სახელოვან პედაგოგს სკოლა მიაჩნია; მაგრამ არა ყოველგვარი სკოლა — სკოლა დაფუძნებული დედა ენის საყრდენზე.

გოგებაშვილმა კარგად იცოდა ფასი დედა ენისა. მშობლიურ მეტყველებას ის სულის ენას უწოდებდა, სხვა ენების ცოდნას სთვლიდა მეხსიერების მონაპოვრად. გოგებაშვილი მოგვიწოდებდა სხვა ენების შესწავლისაკენ, მაგრამ მშობლიური ენის შესწავლის შემდეგ და მხოლოდ მის ბაზაზე. ქართული ენის შესწავლის გვერდით გოგებაშვილს ჩვენი წინსვლის აუცილებელ პირობად მიაჩნდა რუსული ენის შესწავლა. ის წერდა: „რაც შეეხება კერძოდ რუსულ ენას, ჩვენთვის, ქართველებისათვის, მას მრავალი მნიშვნელობა აქვს. იგი არის, პირველად, სახელმწიფო ენა, სავალდებულო ყველა ქვეშევრდომი ხალხისათვის; მეორედ, იგი კულტურული ენაა და მისი დახმარებით ვითვისებთ ევროპულ განათლებას და რომელსაც მიუცილებლად მოელის მნიშვნელობა ერთის მსოფლიო ენისა; მესამედ, იგი არის ენა ხალხისა, რომლის ბედთან ისტორიამ და ხალხის სურვილმა შეაერთა ბედი საქართველოსი. ამიტომ რუსული ენა უნდა მიუცილებლად მისდევდეს ქართულ ენასა, როგორც სკოლაში, ისე სახლობაში, და ქართველნი უნდა ვცდილობდეთ შევითვისოთ ეს ენა და მისი ლიტერატურა“.

ამიტომ მოგვიწოდებს დიდი პედაგოგი: „საჭიროა საქართველოს ეროვნულ ეტლში შევაბათ ძირში ქართული ენა და ყვერად მივუბათ რუსული ენა და სხვა ენები“.

ჯერ კიდევ 1880 წელს, როცა ნასახიე არ იყო ჩვენში დედა ენაზე დაფუძნებული სწავლისა, წერილში „ხე ნაყოფით იცნობება“ — გოგებაშვილი წერდა: „დედა-ენა სულია სკოლისა. თვით ლატაკი სკოლა

მძლავრია, როცა მას ხალხში ფესვები აქვს გადგმული დედა-ენის შუამავლობით... დედა-ენის გამოძევება შეადგენს სასიკვდილო სენს სკოლისას... ამისთანა სკოლა საპყრობილეა ყმაწვილის ნორჩი ბუნებისათვის. სამშობლო სიმღერას ის ალტაცებაში არ მოჰყავს, სამშობლო ლექსი მას გულს არ უხალისებს... ღვიძლი ანდაზები, გამოცანები, ზღაპრები, მოთხრობები... გონებას არ ხვდება, არ ავარჯიშებს და არ უსხამს ფრთებსა“.

ამიტომ მოითხოვდა დიდი ქართველი პედაგოგი მშობლიურ ენაზე აგებულ სწავლებას.



„ქიძე წლებში ი. გოგებაშვილის დედა ენა და ბუნების კარი ქართული ენის ბურჯი იყო და სახალხო განათლების ფარ-ხმალს წარმოადგენდა“ (არნ. ჩიქობავა). როგორც ვხედავთ, ბურჯი ყოფილა — რომელსაც ვეყრდნობოდით, ფარ-ხმალი ყოფილა — რომლითაც მტერს ვიგერიებდით. ი. გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოებმა შეასრულეს უდიდესი როლი ქართველი ხალხის განათლების, გათვითცობიერების და კულტურული წინსვლის საქმეში. ყოველი მათგანი წარმოადგენდა ანთებულ ჩირაღდანს, რომელსაც ცოდნა-განვითარების შუქი შეჰქონდა ყოველ კუთხეში. ყოველ ოჯახში. მათ შეცვალეს მოძველებული, ჩვენი ენისათვის შეუფერებელი, ბავშვის ბუნებისათვის შეუსაბამო და მეთოდოლოგიურად სუსტი სახელმძღვანელოები ჩვენს სკოლებში და სახალხო განათლების მგზნებარე მატარებლების მოვალეობა იკისრეს. დიდად საყურადღებოა, რომ იმ დროს, როცა გვიკრძალავდნენ წარსულისაკენ მიხედვას, აწმყოს შესწავლას და მომავლის გათვალისწინებას, ი. გოგებაშვილმა სასკოლო სახელმძღვანელოების ფარგლებში მოაქცია ჩვენი ისტორია, ლიტერატურა, ბუნება, გეოგრაფია; ეთნოგრაფია და მისაწვდომი ფორმით მიაწოდა ხალხს ცოდნა, რომლის მიღებას გვიშლიდნენ და გვიკრძალავდნენ. ეს იყო დრო, როცა გოგებაშვილის სიტყვით პუშკინები, ლერმონტოვები, ბელინსკები, გოგოლები, დობროლიუბოვები, უშინსკები, ქორევი სიყმაწვილეშივე იხოცებოდნენ და კატკოვები, ლეონტიევი, პობედონოსევი... და სხვა ბნელეთის მოციქულნი მათუსალის ჟამს სტოცხლობდნენ და ყველას თავს აბეზრებდნენ.

ი. გოგებაშვილის სასკოლო სახელმძღვანელოებს სამი ძირითადი

წყარო გააჩნდა: პირველი, თვით შემდგენელის მხატვრული შემოქმედება, მეორე — ავტორის შექვეითთ ან თავიანთი ნებით ქართველი მწერლების მიერ შექმნილი საბავშვო ნაწარმოები და მესამე — ქართველი ხალხის ფოლკლორული საგანძობრი, საიდანაც კრძალვით სესხულობდა დიდი პედაგოგი შესაფერის ქმნილებებს, რომელთაც სადამზრდელო იდეებით ავსებდა და შესაფერისი ფორმით აწვდიდა მოსწავლეებს.

ასე, მაგალითად: ორი უკვდავი საბავშვო ლირიკული ნაწარმოები შეიქმნა ჩვენში მე-19 საუკუნეში და ორივემ ადგილი ჰპოვა გოგებაშვილის „დედა ენაში“. მე მხედველობაში მაქვს მხცოვანი მგოსნის ა. წერეთლის ლექსი „ყმაწვილი და პეპელა“ და ყრმა პოეტის სოსო ჯულაშვილის (სოსელოს) ლექსი „დილა“. უკეთეს ლირიკულ ქმნილებებს არ იცნობს ქართული საბავშვო ლიტერატურა.

აკაკის ლექსი „ყმაწვილი და პეპელა“ შთაგონებულია ბუნებისა და სიცოცხლის სილამაზით და სიყვარულით. ლექსიდან გამოკრთის ხალისი, ალერსი და მიმზიდველობა. ბუნება მიჩნეულია ტკბილი განცხრომის ადგილად, სიცოცხლე — თვითონ განცხრომად:

„ჰრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა,
მას მიეპარა ყმაწვილი, დაიჭირა და იამა“.

სიამის გრძნობით შეპყრობილია ლამაზი ბუნების ყოველი სულდგმული. სულდგმულთა შორის ნეტარების ხალისი სუფევს. ამ სუფევას არ არღვევს არც ყმაწვილი, ეს ჯერ პატარა ადამიანი, რომელიც ალერსიანად არის განწყობილი პეპელას მიმართ:

„როგორ არა გღლის მთელი დღე მოუსვენარი ფრენაო?“

ბუნების ცოცხალი ყვავილი — პეპელა ყვავილებს ასახელებს თავისი ტკბილი და უზრუნველი ცხოვრების საზრდოდ და ლტოლვის საგნად, თავის ნებაზე ფრენით ამყოფს და თავისუფლებას შესთხოვს ყმაწვილს. ლექსის დასასრულს ყმაწვილი აძლევს ნაზ პეპელას თავისუფლებას, ნაზი პეპელა მადლობას უძღვნის თავის მხრივ ყმაწვილს.

აკაკის ლექსის ლამაზი შინაარსი გამოხატულია ასეთივე ფორმით. მისი სისადავე და კეთილზმოვანება უნაკლოდ გადმოსცემს პოეტის გააზრებას — ბავშვისათვის საყურადღებოს და ბავშვობისათვის დაუვიწყარს.

სოსო ჯულაშვილის ლექსი „დილა“ შთაგონებულია ბუნების სილამაზით, სამშობლოს სიყვარულით და სწავლებისადმი მისწრაფებით. ამ სამი სანუკვარი იდეური მოტივის მოქცევა შესძლო ბავშვმა მგოსანმა სამი სტროფის ფარგლებში. უკიდურესი ლაკონიურობა, ნათელი სილრმე და მხიბლავი სისადავე საზღვრავენ ამ ლექსის იდეურ-მხატვრულ ერთიანობას. ჩვენ წინაშეა საქართველოს ბუნების წარმტაცი პეიზაჟი, მისთვის ნაცნობი, მახლობელი და ნიშანდობლივი ყვავილებით და ფრინველებით. აქ არის ვარდი, ზამბახი, ტოროლა და ბულბული. აქვეა მათი განუყოფელი მთლიანობა: ვარდი იას გადახვეული, გაღვიძებული ზამბახი თავდახრილი ნიაგის მიმართ, მოწკრიალე ტოროლა და გახარებული ბულბული. გაცოცხლებული ბუნების ფონზე მკვეთრად გაისმის პატარა ავტორის მძლავრი ძახილი:

„აყვავდი, ტურფა ქვეყანაჲ,
ილხინე, ივერთ მხარეო!“

აქ არის ლექსის იდეური კვანძი.

ამით არ მთავრდება ამ პატარა ნაწარმოების დიდაზროვანი არსი და საუნჯე. ყრმა შემოქმედმა კარგად იცის, რომ ჩვენი ქვეყნის წარმტაცი ბუნება თვითშექმნილია, სამშობლოს ლხენა და აყვავება კი სურვილია, რომლის შესრულება თვით სამშობლოს შვილთა საქმეა. ამიტომ იგი გზას გვიჩვენებს, ფართო შარაგზას, რომელსაც შეუძლია აყვავებამდე და სიხარულამდე მიგვიყვანოს: ეს გზა სწავლაა, და კვლავ გაისმის ლექსის დასასრულს პატარა ავტორის დიდი მოწოდება:

„და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

როგორც ვხედავთ, ი. გოგებაშვილმა შეიცნო სიტყვო და სიმდიდრე ჩვენი მეტყველებისა, შეისისხლხორცა აზრი და მნიშვნელობა ჩვენი წარსულისა, შეითვისა სილამაზე ჩვენი ბუნებისა, ყველაფერი ეს შეჰკრა ერთ უჰკნობ, ფერუტყველ, სურნელოვან თაიგულად და „დედა-ენა“ უწოდა მას; ი. გოგებაშვილმა მარტივი სიტყვით გახსნა კარები საიდუმლოებით მოცული ბუნებისა, მისი ძალები წიგნის ფურცლებზე აამეტყველა და იმას, რისთვისაც ბუნების გრანდიოზული სასახლე უნდა ეწოდებინა, მისთვის ჩვეული თავმდაბლობით მხოლოდ „ბუნების კარი“ უწოდა. ი. გოგებაშვილმა ამოიკითხა საქართველოს მკერდზე დარჩენილი დიდქართველთა ნატერფალები, გაშალა მოკლე,

მაგრამ დიდაზროვანი მხატვრული ტილოები, ალაპარაკა სისხლიანი ქართული მიწა და გვასვა ქართული ხალხური პოეზიის მაცოცხლებელი ნექტარი. ეს ყველაფერი მან შეიძლო მაშინ, როცა მახლობელი, ღვიძლი და მშობლიური აღკვეთილი იყო ხალხისათვის. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის გოგებაშვილის უანგარო დამსახურებას.

*

ი. გოგებაშვილი მეტად ნაყოფიერი, მახვილგონიერი პუბლიცისტიკა. მის კალამს ეკუთვნის ბევრი შესანიშნავი წერილი ყოველდღიურობის საპირბოროტო საკითხებზე. ილიას მოუცლევლობის, ავადმყოფობის ან სამშობლოში არყოფნის დროს გოგებაშვილი წერდა „ივერიისათვის“ მოწინავე სტატიებს, სარედაქციო წერილებს და „შინაურ მიმოხილვებს“. ის თვითონ აღნიშნავს ამას ერთ-ერთ წერილში, რომ შრომის განაწილება ილიასა და მას შორის არაერთხელ მომხდარა. ეს გარემოება დიდ პატივს სდებს და ამალღებს ი. გოგებაშვილს.

დიდი პედაგოგის პუბლიცისტიკა სვამს ბევრ საკითხს და იძლევა ყოველი მათგანის საყურადღებო პასუხს. აქ ვტყობილობთ ჩვენ, თუ რა იყო ის ძალა, რაც ასე თავდადებით ამოქმედებდა გოგებაშვილს და მის თანამებრძოლებს; აქვე ვხედავთ იმ ძალას, რამაც გადაარჩინა ისტორიულად ჩვენი სამშობლო. ეს ძალა არის პატრიოტიზმი.

საუკუნეთა განმავლობაში მტერთა დაუსრულებელი ურდოები ამსხვრევდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივ სხეულს და იტაცებდნენ ქართველი ხალხის კულტურის საგანძურებს. ქართველი ხალხი საკუთარი მკერდით იცავდა მშობლიურ მიწა-წყალს და კავკასიონის ქედთან შერკინული გადაულახავ სიმაგრედ იდგა ევროპის ყელის საგუშაგოსთან. ისტორიული ხვედრის წყალობით დიდი რუსი და ქართველი ხალხები დიდი ხნით ადრე საქართველოს რუსეთთან შეერთებამდეც საერთო საქმეს აკეთებდნენ და ერთმანეთის პოზიციებს ამაგრებდნენ. ეს იყო ერთი უდიდესი ფაქტორთაგანი საქართველოს ისტორიული გადარჩენისა. მაგრამ ამ ფაქტორს ძალა ჰქონდა რუსეთის სახელმწიფოებრივი მომძლავრების შემდეგ: მანამდის კი ქართველ ხალხს კავკასიის მცირე ხალხებთან ერთად უხდებოდათ მრავალრიცხოვანი ვააფთრებული მტრის შეჩერება და მოგერიება. ამ დიდ ბრძოლაში ჩვენი იდეური მაცოცხლებელი და ძალის მომცემი იყო სამშობლოს სიყვარული.

ი. გოგებაშვილის კალამს ეკუთვნის სხვებს შორის ერთი შესანიშნავი „შინაური მიმოხილვა“ 1882 წლისა. ბევრ საინტერესო საკითხთან ერთად ავტორი ამ „მიმოხილვაში“ ეხება სამშობლოს სიყვარულის საკითხსაც.

„ვისა ჰქვიან პატრიოტი?“ — კითხულობს დიდი პედაგოგი და თვითონვე უპასუხებს: „მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიურის ქვეყნის ბედნიერება. ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადალობებია; ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის; ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ღხენითა; ვინც ბედნიერია მის ბედნიერებით, უბედურია მის უბედურებით და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე“.

აი, ვინ არის პატრიოტი. ასე ესმის სამშობლოს სიყვარული დიდ აღმზრდელსა და მასწავლებელს. ამ გაგებით პატრიოტიზმი არის უძლიერესი გრძნობა, სიყვარულის უანგარო, ფაქიზი და მაღალი სახე. გოგებაშვილმა მოგვცა ამ გრძნობის დაუვიწყარი განსაზღვრა. მისი სიტყვით, „იგი არის ნაზი როგორც კაკლის ხე; ღრმა, როგორც მისი ფესვები; მაღალი, როგორც მისი წვერი, მის ტოტებსავით განიერი და მის კოკრებსავით ნაყოფიერი“.

დიდად საყურადღებოა, რომ გოგებაშვილი ასაბუთებს პატრიოტული გრძნობის აღზრდის პრინციპულ აუცილებლობას. მისი აზრით, სამშობლოს სიყვარული არ არის თანდაყოლილი გრძნობა. იგი შენაძენი, შეთვისებული, აღზრდით მოპოვებული სიკეთეა. იგი მოვლას მოითხოვს, ზრუნვას საჭიროებს. პედაგოგი გვასწავლის: „ეროვნულს, პატრიოტულს გრძნობას დიდი ხნის ზრუნვა, მოვლა, ყურის გდება და ერთგულება ესაჭიროება, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება სიმახინჯედ გადაიქცეს ადამიანის ეს უსაზღვროდ კეთილშობილური მხარე. პატრიოტიზმის სახელით ხშირად ურცხვი მტაცებლობა და სიმხეცე მოქმედებს. ამის მაჩვენებლად გოგებაშვილი „პრუსიულ პატრიოტიზმს“ ასახელებს. დიდი პედაგოგი პოლიტიკურ ფაქტთა და მოვლენათა შესანიშნავ ანალიზს იძლევა. ის წერს: „პრუსიის „პატრიოტს“... რომ ჰკითხო, რასა სთვლი საჭიროდ გერმანიის ბედნიერებისათვისო, გიპასუხებს: დასაყვებით საფრანგეთის მიწასთან გასწორებას, სამხრეთით ავსტრიის წელში მოკაკვას და აღმოსავლეთით რუსეთის მიმ-

სხვრევასო“. ასე გვიჩვენებს გოგებაშვილი პატრიოტიზმის სახელით მოვლენილ, ცუდი აღზრდით დამახინჯებულ გრძნობას.

ასეთი არ არის ჩვენი პატრიოტიზმი. თუმცა „სუსტია ჩვენში ეროვნული გრძნობა, მამულის სიყვარული, — შენიშნავს გოგებაშვილი თავისი დროის ეროვნული გრძნობის შესახებ, — მაგრამ, სანუგეშოდ ზოგიერთი ისეთი სიკეთე ახლავს და ისეთი წმინდა თვისებით არის შემკობილი, რომ სწორედ ღირსია უფრო ბედნიერის, სახარბიელო მომავლისა“. ეს სიკეთე და წმინდა თვისება, გოგებაშვილის სწორი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ქართველ პატრიოტს სხვებთან ერთად სურს ზეიმობდეს საქართველო საერთო წინსვლას, თავისუფლებას და სამართლიანობას. ასეთი შეხედულებების დანერგვით ი. გოგებაშვილი არსებითად ხელს უწყობდა ხალხთა შორის მეგობრობისა და კეთილი ურთიერთობის განმტკიცებას. და ეს იმ დროს, როცა მეფის თვითმპყრობელური რეჟიმი ყოველმხრივ აღვივებდა ხალხთა შორის სიძულვილს, შუღლსა და მტრობას. ი. გოგებაშვილს კარგად ესმოდა, რომ ხალხთა შორის მტრულ დამოკიდებულებას მხოლოდ ზიანი მოჰქონდა ყოველი ერისათვის და განსაკუთრებით მცირე ერებისათვის. მან კარგად იცოდა, რომ მხოლოდ მეგობრულ და მშვიდობიან განწყობილებას შეეძლო შეექმნა რუსეთის სამეფოში შემავალ ერთა წინსვლისა და განვითარების პირობები.

განსაკუთრებით დიდად აფასებდა ი. გოგებაშვილი ქართველი ხალხის მეგობრობას დიდ რუს ხალხთან, რომელიც მიაჩნდა დიდებულ პედაგოგს დიდი კულტურული აწმყოს და ბრწყინვალე მომავლის მქონე ერად.

უაღრესად საყურადღებო, დიდად საგულისხმო და მეტად საჭირო დაკვირვებანი და მოსაზრებანი აქვს გამოთქმული სახელოვან პედაგოგს ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილში „ბურჯი ეროვნებისა“. წერილი მოიცავს საქართველოს ისტორიის, ზოგადი პედაგოგიკის, პედაგოგიური ფსიქოლოგიის და სხვა საკითხებს. მასში აღძრული და გადაწყვეტილია ყოველდღიურობის და მომავლის ბევრი სადავო და საჭირობო საკითხი. ამ წერილის სისრულეს, მნიშვნელობას და დროულობას ყველაზე უკეთ გვიჩვენებს ის თეზისები, რომელთაც ურთავს ავტორი ნაშრომს ქვესათაურების სახით. სანიმუშოდ, წარმოვადგინოთ რამდენიმე ასეთ თეზისურ ქვესათაურს: ეროვნების ბურჯი არის დედა-ენა, დედა-ენის უარყოფას სწავლა-აღზრდაში მოსდევს დიდი დაქვეითება ადამიანისა ყოველ მხრივ; განსაკუთრებული ადგილი, რო-

მელიც უჭირავს ქართულს ენას ევროპულ ენათა შორის, ორკეცი მავნებლობა მისი გაცვლისა, რომელსამე ევროპულს ენაზე; სამეტყველო შემოქმედებითი ნიჭი და სრული გაუქმება მისი ადამიანში დედა-ენის უარყოფით, რომელიმე ერის გაქრობა ასახიჩრებს თვით კაცობრიობას და სხვა.

ყველასათვის ნათელია საკითხების ის ფართო წრე, რომელსაც შეხება პედაგოგი ამ წერილში.

ბევრი დიდი ქართველი, ი. გოგებაშვილის ჩათვლით, იცავდა, ნერგავდა და ავითარებდა მე-19 საუკუნეში ეროვნების ბურჯად მიჩნეულ ქართულ ენას: ამას გვიჩვენებს მათი სიტყვა და საქმე; ამას გვიჩვენებს თვით ეს წერილი „ბურჯი ეროვნებისა“.

ამ წერილს მეტად ფართო და მხურვალე გამომხაურება მოჰყვა ჩვენს სამშობლოში. ამ გამომხაურების ერთი მაჩვენებელი არის ისიც, რომ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ი. გოგებაშვილმა მიიღო უცნობი ქართველი ქალის წერილი, რომელშიაც ნათქვამი იყო: „ათი ათასჯერ მეტად და უფრო მეტადაც პატივს გცემთ. დიახ, თქვენ ჩაგინებდნიათ ჩვენი ქვეყნის გულის სიღრმეში, ჩვენ წარსულში და აწმყოში. აი ეს არის ეზლა დავათავე თქვენი წერილი. ამ წერილმა გამალომა, გამავეფხვა, მინდოდა ყველა მიმენგრ-მომენგრია და წამოვდექ. მიველ, მოვიხედე, ისე უღონოდ ვიგრძენი თავი, რომ ისევ სკამზე დავეშვი. მაგრამ სხვა ენერგია მომცა ამ წერილის წაკითხვამ“ (სახელმწიფეში, გოგებაშვილის არქივი).

ჩვენ კარგად ვიცით, რა ძალა, რა ენერგია მისცა ამ წერილის წაკითხვამ ამ უცნობ ქალს, — ძალა სულიერი, მორალური, რაც ისევე აუცილებელია ბრძოლაში გამარჯვებისათვის, როგორც ძალა ფიზიკური, ხასიათის სიმტკიცე და ნებისყოფის გამძლეობა. ჩვენ ისიც ვიცით, თუ ვინ არის ეს ქალი — ის არის ქართველი დედა, არაერთგზის უკვდავოფილი ქართულ მწერლობასა და ქართველი ხალხის ზეპირსიტყვიერებაში, ის არის ქართველი დედა, რომელიც მამულს უზრდიდა და უზრდის სახელოვან შვილებს.

გამოჩენილი ქართველი პედაგოგი ი. გოგებაშვილი სახელოვანი საბავშვო მწერალი იყო. მას კარგად ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სულიერი საზრდოს შექმნას იმ თაობისათვის, რომლის ეროვნული გადაგვარება წარმოადგენდა ქვეყნის მმართველთა უმ-

თავრეს მიზანს. გოგებაშვილის კალამს ეკუთვნის 150-ზე მეტი საბავშვო ნაწარმოები. ამ ქმნილებათა უმრავლესობა გამსჭვალულია მაღალი ზნეობრივი იდეურობით და ძლიერი სააღმზრდელო დიდაქტიზმით. ყოველი მათგანი წარმოდგენილია მისაწვდომი, ნათელი და სადა ფორმით. გოგებაშვილის მოთხრობები ათეული წლების მანძილზე ზრდიდნენ არა მარტო ჩვენს მოსწავლეებს, არამედ ცოდნასმოწყურებულ მშრომელთა ფართო მასებსაც.

სახელოვანი საბავშვო მწერლის მოღვაწეობის მტკიცე საყრდენს და შთაგონების წყაროს წარმოადგენდა ქართველი ხალხის სულიერი ძალა. გონებრივი ჭირნახული და სიბრძნის სალარო. ჩვენი ერის კულტურის საგანძური აძლევდა მას მასალას, მიზანს და მიმართულებას. ხალხი იყო მისთვის უზენაესი სოციალური კატეგორია, რომლის ინტერესებით იყო შეპირობებული დიდი პედაგოგის ყოველი სიტყვა, ყოველგვარი საქმე. მისი მონაპოვართ საზრდოობდა და მასვე ემსახურებოდა ღირსეული ხალხის ეს ღირსეული შვილი, გამომხატველი მშობლის მაღალი და უკვდავი იდეალების, მისწრაფებების და ნაფიქრ-ნააზრებისა.

უპირველესი, რაც ხალხისაგან უხვად ისესხა ი. გოგებაშვილმა, იყო ზეპირი სიტყვიერების ქმნილებები. მან გადაამუშავა ბევრი შესანიშნავი ფოლკლორული ნაწარმოები, მაღალი ზნეობით, ფაქიზი გრძნობებით გამსჭვალა ყოველი მათგანი, შემოსა ლამაზი, მიმზიდველი და გასაგები ფორმით და მიაწოდა მკითხველს, მსმენელს, მოზარდსა და მოზრდილს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რამდენიმე ბრწყინვალე საბავშვო მოთხრობა შეიქმნა, რომელთა შორის თავიანთი იდეური გამიზნულებით და მხატვრული ღირსებით გამოირჩევიან ვაჟა-ფშაველას „შელის ნუკრის ნაამბობი“ და ი. გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა“? ეს მოთხრობები ქართული საბავშვო ლიტერატურის უკვდავი ქმნილებებია, რომელთა მნიშვნელობა მსოფლიო მასშტაბით განიზოებება.

მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა?“ უქცნობი საბავშვო ნაწარმოებია, რომელშიაც უეიდურესი სიცხადით ასარკულია ბავშვის რთული სულიერი სამყარო. მოთხრობიდან ჩანს, რომ ბავშვი დიდი ფსიქოლოგიური პიროვნებაა, ის არის ადამიანი საწყისში, სათავეში, მას მეტად რთული და უაღრესად ღრმა საკუთარი ბუნება გააჩნია. ეს ბუნება მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. ამიტომ არის ბავშვი ღირსი საგანგებო შესწავლისა, ზრუნვისა და გულისხმიერებისა.

ამ მოთხრობაში ბავშვის პიროვნული ასპექტით ჩანს დიდი ძალა ისეთი ხელოვნებისა, რომელიც ძლიერია არა მარტო თავისი ბუნებრივი და საღი შინაარსით, არამედ მშობლიური და მახლობელია თავისი ფორმითაც. ამასთან დაკავშირებით ნაწარმოებში ნაჩვენებია ბევრი ამ მეტად საინტერესო, უაღრესად მნიშვნელოვანი და იმავდროს მეცნიერულად ქეშმარიტი. ასე, მაგალითად: მოთხრობა მხატვრული სახეებით გვიჩვენებს, რომ ღვიძლი და მშობლიური მოვლენა უსაზღვროდ ფაქიზი, შეუდარებლად მაღალი, მარად შეუცვლელი და მტკიცუნულად მგრძობიარეა, კვალი ცოდნისა, ცნობისა და გონებრივი შენაძენისა სავსებით არასოდეს არ ქრება ადამიანის ცნობიერებაში, სადაც ერთხელ აღბეჭდილი დიდი შთაბეჭდილება დავიწყებას შემდეგაც განაგრძობს არსებობას მიმალული ნაკვალევს სახით; ერთი წარმოდგენა იწვევს მეორე წარმოდგენას და მოგონების გზით ხერხდება აღდგენა შორეულისა და მივიწყებულისა; ფიზიკური სიმრთელე და სულიერი სისალე ერთმანეთზე დამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებული მოვლენებია; გარემოს შეცვლით იცვლება ადამიანი. „ბუნება შეუდარებელი მკურნალია კაცის ვარამისა და დარღვისა“.

ასე გვასწავლის ბევრს საჭიროს და საგულისხმოს ეს მოთხრობა, რომლის ფურცლებზე დახატულია სიდუხჭირე გადასულ დროთა, ხალხთა შუღლი და გაუტანლობა, ადამიანთა უუფლებობა, მონობა, ჩაგვრა, უკაცურობა. აქვე წარმოდგენილია ადამიანური სიბოლო და სიყვარული, სიკეთე და კეთილშობილება, სინაზე და გულისხმიერება.

ავტორი გადმოგვცემს საქართველოს ერთი ნასოფლარის ამბავს: თითქოს შორეული წარსული იპყრობდეს მის ყურადღებას; სინამდვილეში მისთვის აწმყოა ამოსავალი წერტილი, ხატვის მასალა და იდეური სწრაფვის მიზანი. ერთ დროს ამ სოფელს ერქვა ვაშლოვანი. ლეკები თარეშობდნენ მაშინ კახეთში — არბევდნენ სოფლებს, წვაებდნენ ყანებს და იტაცებდნენ ადამიანებს.

და აი, პატარა ქეთოც მოიტაცეს. ის მოიტაცეს საში წლის ასაკში, გაჭირვების გზებზე ატარეს და დაღესტანში გადაიყვანეს. ავაზაკები ქეთოს ჰყიდნიან — ნივთად აქციეს ადამიანი. მყიდველი კისრულობს მშობლის მოვალეობას — ლეკის ქალად იზრდებოდა პატარა ქეთო ქართველად.

გავიდა ათი წელიწადი. ქეთოს მშობლები, ზურაბი და მაგდანი, რომელთა თვალებს ცრემლი არ შეშრობია შეილის დაკარგვის შემ-

დევ, უკანასკნელად, დიდი ცდის მეოხებით ახერხებენ ქეთოს გამოხსნას, გამოტაცებას. მშობლები ზეიმობენ, მაგრამ ახლა ქეთო აღმოჩნდა განუსაზღვრელად მწუხარე და მგლოვიარე. მან ცრუმშობლები მიიჩნია ნამდვილ მშობლებად და ნამდვილი მშობლები ჩასთვალა მიმტაცებლებად; დაღესტანი წარმოიდგინა თავის სამშობლოდ და საქართველო აღიარა მიმტაცებელ ქვეყნად. სინამდვილის ცნობას და ბავშვობის ხსოვნას მოკლებული ქეთო უმძიმესმა სევდამ შეიპყრო. ასეთივე სევდა იპყრობს ქეთოს მშობლებსაც. სამარის კარს უახლოვდება სამი ადამიანი — ორი მშობელი და ერთი შობილი.

და აი, ერთხელ ქეთოს დედამ „სრულიად უნებურად, თავისთვის დაიწყო ღიღინი იავნანისა. რაც ქეთო დაჰკარგა, მას შემდეგ მაგდანას სიმღერის ხმა აღარავის გაუგონია. ეს პირველი სიმღერა იყო ათის წლის ღუმლის შემდეგ... იავნანას მაგდანი ჯერ დაბალი წმით, ღიღინით ამბობდა, მერე კი თავის ხმის სიმშვენიერემ გაიტაცა და თავისებურად დაამღერა, მალლა აუწია. პატარა ხანს უკან, ისე, უნებლიედ, გაიხედა ქეთოსკენ და გაოცდა. ქეთოს აშკარად ეტყობოდა სახეზე აღელვება. ცხადი იყო, რომ რალაცას იგონებდა და ვერ კი მოეგონებინა გარკვევით. მის ბუნების სიღრმეში დიდი ხნის დასახული ხსოვნა იღვიძებდა, მაგრამ ვერ კი გამოეღვიძა. გონების ძირიდან რალაც სანატრელი მოგონება აპირებდა ამოხეთქას, მაგრამ ზევიდან კეცკეცად აწვენენ სხვა წარმოდგენანი და უშლიდნენ მალლა ამოსვლას. მაგდანამ ეს კარგად შეამჩნია და თავის ხმას მისცა საოცარი მეტყველება და მიმზიდველობა. უწინ ამგვარი სიმღერით და ამავე ხმით ყოველდღე უტკბობდა მაგდანა თავის ქეთოს სიპატარავის დღეებს. მაგდანას ხმამ უწია ქეთოს ბუნების სიღრმემდის, შესძრა ის ძირიანად და გააცოცხლა იქ დამარხული ბავშვობის სანატრელი ნაშენი, საგონებელნი... განუსაზღვრელი სხივის ნათელი მოეფინა სახეზე და სიხარულის სხივმა დაუწყო მასზე ელვარება. უცებ წამოვარდა ქეთო ტანტიდან, დაიძახა სანატრელის ხმით: „დედავ!“ სწრაფლ მიჰარდა მაგდანთან, მოეხვია ორივე ხელით და მხურვალედ დაუწყო კოცნა“.

აი რა ქმნა იავნანამ! — მშობლიურმა, და ტკბილმა იავნანამ.“

საქართველოში ორი წიგნი იყო თვით არამწიგნობართათვის ნაცნობი და მახლობელი. ამ წიგნებით იზრდებოდნენ და ვაჟკაცდებოდნენ ჩვენს ქვეყანაში. ეს წიგნებია რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და გოგებაშვილის „დედა-ენა“. დიდხანს „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენდა როგორც საანბანო, ისე საკითხავ წიგნს. შემდეგ „დედა-ენამ“

იკისრა მისი საანბანო მოვალეობა. ამიერიდან „დედა-ენას“ იმიტომ სწავლობდნენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ წაეკითხათ, „ვეფხისტყაოსანს“ იმიტომ კითხულობდნენ, რომ დედა ენა ედიდებინათ. ცოდნით აღებდნენ კარებს დიდი საგანძურებისას, ეუფლებოდნენ აზრის დოვლათს და სილამაზეს, სისხლიანი კალმით წერდნენ „დედა-ენას“ და უცრემლო თვალებით კითხულობდნენ „ვეფხისტყაოსანს“.



იოსებ გრიშაშვილის პოეზია

ჩვენთვის ამჟამად არ არსებობს უფრო მაღალი და საპატიო მოვალეობა, ვიდრე სიტყვით ვსცეთ პატივი იმას, ვინც ლამაზი და მძლავრი სიტყვით, ხანგრძლივი დროის მანძილზე, ემსახურა ერს და ქვეყანას. ეს არის თითქოს უფრო შესაფერი, მეტად შესატყვისი და სრულად გამომხატველი იმ დიადი დამსახურების, რაც სიტყვის უქანგველი და დაუჩრდილავი მასალით ისაზღვრება. სამართლიანად ფიქრობენ, რომ სიტყვა მიუზღავს, თუნდაც უძლური და მკრთალი, სიტყვას თვით ძღვევამოსილად ღალს და ბრწყინვალეს, ყველაზე უფრო შესაფერის სამაგიეროს.

ამ მოსაზრებით ჩვენ დღეს საგანგებოდ შევიარადღით ჩვენში არსებული გრძნობის და მისი გამომხატველი სიტყვის საქურველით. სიყვარულის და პატივისცემის ჩაუქრობელი ცეცხლი ანთია ახლა ყოველი ჩვენთაგანის გულში, ცეცხლი, რომელსაც ყოველდღიურად აღვივებდა პოეტი გრიშაშვილი ახალ-ახალი და ელვარე ნაპერწკლებით ორმოცი წლის მანძილზე. მარად მხურვალე მადლობით და მოწიწებით მოიწადინა ქართველმა ხალხმა ერთხელ კიდევ გამოამეღავნოს მისი უსაზღვრო მოკრძალება მაღალი პოეზიის და პოეტური სიმადლის წინაშე.

დიდი წარსულის, ბრწყინვალე აწმყოს და დიადი მომავლის შქონე ქართველ ერს უყვარდა, უყვარს და ეყვარება, ვინც პოეზიას სთელის სიბრძნის დარგად, ვინც ჩუქურთმებს და კამარნარებს ჰკრავს სიტყვის ძალით, ვინც ბოროტების სიძულვილს და სიკეთის სიყვარულს შთაგვაგონებს, ვინც იბრძვის, მოძრაობს, მოქმედებს, წინ მიიმართება და სხვისი ხალისის და შემოქმედების დაუშრეტელ წყაროდ გადაქცეულა.

ასეთია პოეტი იოსებ გრიშაშვილი.

გრიშაშვილი დიდი თანამედროვე ქართველი პოეტია. ეს მოსაზრება ამჟამად არ საჭიროებს მტკიცებას. პოეტის ინდივიდუალურ პოეტურ სამყაროსა და ხალხის კოლექტიურ სულიერ სწრაფვას შორის წაშლილი საზღვარი, რაც უწინარეს ყოვლისა პოეტისადმი განუხაზღვრელ სიყვარულში გამოიხატება, მისი სიდიადის უცილო მომასწავებელია. ჩვენთვის ამჟამად უფრო მნიშვნელოვანია ამ პოეტური სიდიადის მიზეზი, წყარო და მსაზღვრელი ნიშნები.

გრიშაშვილი დაბალი სოციალური ფენიდან მომდინარე მგოსანია, მისი პირმშო, მემკვიდრე და უერთგულესი შთამომავალი.

ყოველი პოეტის მოქმედების ასპარეზს მიწა წარმოადგენს და უკვდავყოფის ადგილს წარმოსახვითი ოლიმპი. მაგრამ რადგან ყოველი დიდი და ნამდვილი პოეტის გზა ზეადმაველია, ამიტომ იგი მიწიდან მიემართება უკვდავყოფის ოლიმპისაკენ. იგი ქართულ მიწასთან, მის ფესვებთან და ძირებთან ორგანულად და განუშორებლად დაკავშირებული მგოსანია. ამასთანავე გრიშაშვილის მხატვრულ აზროვნებას და პოეტურ ფანტაზიას გააჩნია ორი შემოქმედებითი შთაგონების წყარო. ესენია: აღმოსავლეთის და ძველი თბილისის ეგზოტიკა.

გრიშაშვილს უყვარს აღმოსავლეთი, განსაკუთრებით ირანი. საქართველოსა და ირანს შორის იგი ეძებს სულიერი ნათესაობის ნიუანსებს. ეძებს და ნახულობს. ხანგრძლივი ფიზიკური მტრობისა და დაუსრულებელი სისხლის ღვრის პირობებში საქართველოსა და ირანს შორის დამყარდა სულიერი ნათესაობის და ურთიერთგავლენის გარკვეული სფერო, რომლის ხილვას არ ერიდება მგოსანი, პირიქით, მას ამქლავნებს და ააშკარავებს. „არ ვიცი, რად არ მიყვარს დასავლეთი, — ამბობს პოეტი, — ვეტრფი აღმოსავლეთს, ვეტრფი „საზომის უაღრესად“. დასავლეთის ეგოისტურ „მე“-ს მე მირჩევნია აღმოსავლეთის „ჩვენ“. აქ რაღაც მშობლიურია, ტკბილი, სადა“. და უყვარს გრიშაშვილს დიადი აღმოსავლეთი, ცხელი შუადღე, მყუდრო შუადამე, ნელი ნირვანა, გონიერება ინდოეთის, ზღაპრულობა არაბეთის, პოეტურობა ირანის, უყვარს ქვეყნები ლეილასი და შეხერხზადასი.

გრიშაშვილის პოეზიის მეორე ცხოველმყოფელ წყაროს წარმოადგენს ძველი თბილისი. მოვუსმინოთ თვითონ მგოსანს. აქ იგი განსაკუთრებით ლაკონიური, ლამაზი და შინაარსიანია.

„აქ, ძველი თბილისის წიაღში გამოჩნდა ბუნებრივი ვეძა — ანკარა წყარო, ეს დასაწყისი ჯადოსნური ლამაზი პოეზიისა. მე შევსვი ეს

წყარო ორივე ხელით და ვამაყობ, რომ ჩემს ძარღვებში მისი მადლიანი ნაკადი მჩქეფარებს“.

ან კიდევ:

„თბილისის ყოველი ფლორცი, თბილისის ყოველი შუკა საგსეა ლეგენდარული სახეებით ...ვისი ფესვებიც ღრმად არის გადგმული ძველი ქართული მწერლობის ყამირში.

ძველი თბილისის ყოველი კენჭი, ძველი თბილისის ყოველი ხის ფურცელი მეტყველია და მნიშვნელოვანი.

მე თბილისი მიყვარს.

მიყვარს ეს პოეზიის ძველი აკვანი, ეს დარდიმანდული ბოჰემა, ეს საქართველოს მთრთოლვარე გული, ეს დასაწყისი და დასასრული ჩემი ობოლი არსებობისა“.

აი, ამ ორი შემოქმედებითი წყაროს შერთვისაგან წარმოიქმნებოდა გრიშაშვილის პოეზიის ლაღი და თავისუფალი მდინარე. მათი შერთვის ცენტრს წარმოადგენს ძველი თბილისი. გრიშაშვილი საერთოდ კონკრეტულიდან ზოგადისაკენ, მცირედან დიდისაკენ მიმავალი მგოსანია: იგი ხარფუხიდან უკავშირდება ძველ თბილისს, ძველი თბილისიდან — ახალ თბილისს, ახალი თბილისიდან — საქართველოს, საქართველოდან — საბჭოთა სამშობლოს და საბჭოთა სამშობლოდან — მსოფლიოს. ასეთი კანონზომიერი სვლის შესაბამისად გრიშაშვილი გამომდინარეობს წარსულიდან, წარსულის მეშვეობით უერთდება აწმყოს და აწმყოს საშუალებით უკავშირდება მომავალს. გრიშაშვილი საერთოდ აწმყოსა და მომავლის მგოსანია, მაგრამ წარსულიდან გამომდინარე და ამიტომ მისი პოეზია ისევე მყარია და მტკიცე, როგორც ყველაფერი მყარ და მტკიცე საფუძველზე აღმოცენებული.

უკვე ნახსენები შემოქმედებითი წყაროების პარალელურად გრიშაშვილის პოეზიაში შეინიშნება აგრეთვე ორი სრულიად ნათელი და გარკვეული, მაგრამ უფრო კონკრეტული ხასიათის მქონე შემოქმედებითი ნაკადი: ერთი წმინდა ლიტერატურული, ხოლო მეორე წმინდა ფოლკლორული. ლიტერატურული სათავეს იჩენს საიათნოვას პოეზიაში, ღრმავდება და ფართოვდება ბესიკის პოეზიით და დასრულებულ სახეს ღებულობს ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებით; ხოლო ფოლკლორულს წარმოადგენს ძველი თბილისის აშუღური პოეზია, რომლის არა მარტო პირველ, განუმეორებელ და უბადლო მკვლევარს წარმოადგენს გრიშაშვილი, არამედ მის უერთგულეს მემკვიდრესაც.

ინდივიდუალურ, ორგანულ წანამძღვართაგან გრიშაშვილი ძირი-

თადად ემყარება გულს. მისი პოეზია გულიდან გამომდინარეობს. ამიტომ არის იგი ყოველთვის გულწრფელი, გულახდილი, გულითადი, გულმოდგინე. ინტელექტის ალაყაფის კარები, რომელშიაც გამოივლის გრიშაშვილის ყოველი ლექსი, უფრო კონტროლის გამწვანია, ვიდრე შემოქმედებითი მონაწილე. გულის პრიმატი გრძნობისაკენ ხრის გრიშაშვილის ლექსალურ აზროვნებას და მთელს მის შემოქმედებას იმ გზით მიმართავს, რომელიც უმოკლესი მანძილით უახლოვდება მკითხველის ათვისებით სამყაროს. ამიტომ წაიშალა საზღვარი გრიშაშვილსა. როგორც შემოქმედსა, და მკითხველთა, როგორც ამთვისებელთა, შორის. ამ საზღვრის წაშლას, უსაზღვრო სიყვარულში გამოძვლავნებულს დღეს ამტკიცებს ყველაფერი: თუ გნებავთ, ეს სახალხო ზეიმებად გადაქცეული საიუბილეო საღამოები, ბიბლიოგრაფიულ უნიკუმებად ქცეული გრიშაშვილის წიგნები და მისი ლექსების ზეპირი სიცოცხლე ხალხის მენსიერებაში.

ასე წაშალა გრიშაშვილმა გრძნობათა სხვაობის ნიშნები. ჩვენს ქვეყანა წარმოადგინა კვლავინდებურად ორი კულტურის გზაშესაყარზე და ახალი ჩქერალი შეიტანა ქართული ლიტერატურის და კულტურის საუკუნებრივ მდინარებაში.

გრიშაშვილმა შეიგრძნო სიზმარეულ ნირვანაში გაკვალთული ინდური სიბრძნე, შეითვისა არაბეთის ზღაპრული ფანტასტიკა, შეისუნთქა ირანის პოეტური ნელსურნელება, აღმოსავლეთის მწველ მზის სხივებში გახვეული ეს საუნჯენი მან ასტუმრა საქართველოს პოეზიის საგანძურებს, შეუერთა მათ ქართველ პოეტთა და თბილისელ აშუღთა. ჩანგის ჰანგები, ქართული გემოვნების მოქნილი ქლიბით აჩუქურთმა, ზეწა, ასწორა და მარად ტკბილი და მუდამ დაუვიწყარი ლექსების სახით გადმოისროლა ერისა და ქვეყნის წიაღში. შემდეგ აყვავდნენ ეს ლექსები ჩვენი სამშობლოს მინდორ-ველებზე, ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე, საიდანაც სურნელოვან ყვავილთა მსგავსად ჩამოვირიგეთ ეს ბრწყინვალე სამკაულები და გავხადეთ ჩვენი გრძნობისა და გონების განუმორებელ დამამშვენებლად.

ამიტომ ენამზეობს მგოსანი:

„და მეც ვმღერი თამამად, წინ ქამანით ვისწრაფი,
მე თბილისის ფოლკლორის ანახლები მიზრაფი“.

რა არის გრიშაშვილის პოეზიის ძირითადი თემა? ამბობენ, ქალი. ეს შეხედულება, ჩვენი აზრით, საჭიროებს ოდნავ შესწორებას: ქალი

გრიშაშვილის პოეზიის ერთი თემატური ელემენტია და არა ძირითადი თემა. ქალის, როგორც თემატური ელემენტის, გვერდით გრიშაშვილის პოეზიაში ვხვდებით ადამიანის, სამშობლოს და ბუნების თემატურ ელემენტებს. ისინი გაერთიანებული არიან გრიშაშვილის მიერ განყენებულად წარმოდგენილი სილამაზის ღერძის ირგვლივ. ქალი, ადამიანი, სამშობლო და ბუნება გრიშაშვილისათვის სილამაზის ცალკეული, კონკრეტული სახეებია. ამ ოთხი თემატური ელემენტის შესაბამისად გრიშაშვილის პოეზიაში გვხვდება ოთხი იდეური მოტივი: ქალის სიყვარული, ადამიანის სიყვარული, სამშობლოს სიყვარული და ბუნების სიყვარული. მათ გამაერთიანებელს წარმოადგენს — სიყვარული.

ამრიგად, გრიშაშვილის პოეზიის ძირითადი თემა არის სილამაზე, ხოლო ძირითადი იდეური მოტივი სიყვარული.

შემოქმედს ხელოვნებაში შეუძლია სიმახინჯე აირჩიოს ძირითად თემად: ფიზიკური, სულიერი, მორალური ან სოციალური სიმახინჯე. მაშინ მისი შემოქმედების ძირითადი იდეური მოტივი იქნება სიძულვილი, თუმცა ხელოვანის სწრაფვის საგნად რჩება იგივე ხელოვნების შარადი წვდომის ობიექტი — სილამაზე. ყოველი ხელოვანი სილამაზისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ ორი გზით: ან სიმახინჯით გვაყვარებს სილამაზეს, ან სილამაზით გვაძულვებს სიმახინჯეს.

როგორც ცნობილია, ჰკვეთდა როდენი ცხვირგატეხილ მამაკაცს, სხვები ქმნიდნენ ლაოკოონის დატანჯულ სახეს, ხატავდნენ: მოპასანი — მეძავებს, ფლობერი — ხეიბრებს. ისინი სიმახინჯით ეძებდნენ სილამაზეს, სიძულვილით იწვევდნენ სიყვარულს.

მეორე მხრივ, ჰკვეთდნენ ვენერა მილოსელის მომხიბვლელ სხეულს, ქმნიდნენ აქილევისა და ტარიელის დაუვიწყარ სახეებს. ისინი სილამაზით ებრძოდნენ სიმახინჯეს, სიყვარულით სპობდნენ სიძულვილს.

გრიშაშვილი სილამაზის და სიყვარულის მომღერალია. „მე ხომ ახირებული ადამიანი ვარ, სილამაზის ახირებული თაყვანისმცემელი“, აცხადებს პროზაიკოსი გრიშაშვილი, „მე თანამედროვე ადამიანი ვარ, ძველი თბილისის საღვთაგანობებზე აღზრდილი, ქედმაღალი და სილამაზის მაძიებელი“, — წერს მკვლევარი გრიშაშვილი.

„მე ვებრფი ყველა კარგს, შეუმწიკვლელს,
მე სილამაზეს ვეძებ ყველგან“,

ამბობს პოეტი გრიშაშვილი.

და აი, სილამაზის მაძიებელ პოეტს, პოეზიის ახალმა ღმერთმა გა-
დასცა ჩანგი, უთხრა:

„მგოსანო, ჩაიბარე ჩანგი მწყობრიო,
იმღერე, რაც გასურს, რაზედაც გასურს, რაც მოგენატროს,
ოღონდ შიგ იყოს სილამაზე საკაცობრიო“.

და ახლა პოეტს არ ეშინია, თუნდაც

.....ჰანგი ბრაზისა
მის დასაფლად მომართული აღწევდეს ცამდე,
მაინც დარჩება ის მგოსანი სილამაზისა,
ამიერიდან უკუნითი უკუნისამდე“.

და უმღერის პოეტი სილამაზის ცალკეულ, კონკრეტულ სახეებს:)
უმღერის ქალს —

„მაგრამ რა ვქნა, ვერ წაუეღო შენს შვეენებას ანგელოსურს“.

უმღერის ადამიანს —

, ...მიყვარხარ, რომ შენ, ასე წლის კაცი,
სოსო ჭულაშვილს ეძახი მამას“.

უმღერის სამშობლოს —

„საქართველო ბეჭეღია ბაჭაღლო
და თბილისი — შიგ ჩასმული ბაღახში,
კავსცქერ არეს უხინჯოს და უნაღვლოს,
წერეთელის დინჯ შუბლივით გადაშლილს“.

და მღერის ბუნებაზე —

„ვით ავწერო ეს ბუნება, ეს ფოთოლთა ქნარი,
ან ეს ნისლი მზის ცელქ ტანზე კობტად შემომდნარი,
ან ეს ზეცის დაფიონი, თვით ცა. ცის კიდური,
ხან ვით სევდა კდემით სავსე, ხან კი მელიდური“.

დიდი, მდიდარი და დიადია გრიშაშვილის შთაგონების სამყარო: აქ
არის ქართველი ქალის სილამაზის, სინაზის და კდემამოსილებების მზი-
ური სხივოსნობა, ვაზისჯვრიანი ნინოს დაღადისი, ქეთევანის წამების
გვირგვინი, თამარის დროშა ზეატყორცნილი, გელათისა და იყალთოს
ხმები, აქ არის უკვდავი შოთა... და წიგნი, წიგნი უძვირფასესი, რო-

მელსაც საქართველოს სიკვდილის მსურველთა საპასუხოდ ქართველმა-
ერმა უწოდა „ქართლის ცხოვრება“. საქართველოს ეს სიწმინდენი
შეიყვარა ჩვენმა პოეტმა, ყველაზე უფრო ჩვენმა ჩვენს პოეტთა შო-
რის, ყველაზე უფრო ქართველმა ქართველ პოეტთა შორის, ავტორმა-
დიდი პოეზიის, წარსულისაგან ნასაზრდოები ნაყოფის შემოქმედმა,
აწმყოსა და მომავლისათვის სანუკვარი პოეზიის დიდმა მგოსანმა.

დიდი პოეზია იყო ყოველთვის თანამედროვეობის ამსახველი. სა-
კუთარ დროს და ვითარებას ასახავდნენ ჰომეროსი, რუსთაველი, დან-
ტე, შექსპირი. მაგრამ დიად და გრანდიოზულ ისტორიულ მოვლენათა
დასანახავად ამ უკვდავ პოეტებსაც დასჭირდებათ მცირე დროით ჩა-
მორჩენა, სწორედ ისევე, როგორც საჭიროა დიდი საგნების დასანა-
ხავად შესაფერი მანძილი, ერთგვარი დისტანცია. ამიტომ სდუმან ხში-
რად დიდი მგოსნები სოციალური ძვრების გრანდიოზულ ქარტეხი-
ლებში, დგანან, ვით გოლიათური მწვერვალები და მზის ამოსვლას
ელოდებიან, და შემდეგ, შესაძლოა დიდი ხნის შემდეგ, როცა გაჩნ-
დება საკმაო დროთი აღნიშნული მანძილი, ხელში იღებენ მგოსნები
კალამს და ხატავენ სამყაროს დიდ სოციალურ ნაქუხილარზე. პოეტე-
ბი ცივი, უგრძობელი და მექანიკური სეისმოგრაფები არ არიან, რომ
მიწის ძვრები აღნიშნონ მიწისძვრისთანავე. სოციალური მიწისძვრა
უნდა დაყუჩდეს, უნდა დამშვიდნენ და დაწყნარდნენ მოვლენები პოე-
ტური სახვის აპარატის ობიექტივის წინაშე. მხოლოდ ამის შემდეგ იქ-
ცევიან ისინი მხატვრული სახვის ობიექტებად.

ამით აიხსნება გრიშაშვილის ხანმოკლე დუმილი დიდი ოქტომბრის
რევოლუციის შემდეგ.

გრიშაშვილი, როგორც დიდი პოეტი, არ შეიძლებოდა დამთხვე-
ოდა მოვლენის პროცესს სახვის პროცესით. სახვის პროცესით იგი
ყოველთვის ჩამორჩება მოვლენის პროცესს და ამიტომ არის მისი ყო-
ველი პოეტური პროდუქცია უზადო და წუნდაუდებელი. გრიშაშვი-
ლის მდუმარების ღამე დღის ბრწყინვალეობას მოასწავებს თითქმის ყო-
ველთვის.

და ჩვენ გვაქვს უფლება, ვთქვათ: დასრულდა იგი, უდიდესი დღემ-
დე ნახულ და განცდილ სოციალურ ხანძართა შორის — დიდი პრო-
დუქტარული რევოლუცია. ახალი ქვეყნის კონტურები წამოიზარდა,
დამშვიდდნენ, ჩადგნენ სოციალური ქარტეხილები, ჯერ არნახული
ცხოვრება გაჩნდა და აი, გრიშაშვილი ხელში იღებს მგოსნის კალამს
და ხატავს გამარჯვებული ხალხის ცხოვრებას.

„ ამით აიხსნება, ჩვენი აზრით, გრიშაშვილის ხანგამოშვებითი დუ-
მილი. იგი პოეტის სულიერ სამყაროში არსებული შემოქმედებითი
წვის შედეგია. აქაც ისევე, როგორც ყველგან, გრიშაშვილი, უწინა-
რეს ყოვლისა, გვევლინება, როგორც პოეტი და ეს ყოვლისშემძველი
მხარე ხსნის და ნათელს ჰფენს მის ყოველ სიტყვას და თვით მღუმე-
რე უსიტყვობასაც. გრიშაშვილი პოეტი — ეს არის როგორც წანამ-
ძღვარი, ისე შედეგი. ეს არის მისი ტკივილის და ლხენის მიზეზი. შე-
მოქმედებითი ტკივილის და ასეთივე ლხენის მიზეზი. ეს არის მისი
არსებობის თავი და ბოლო, დასაწყისი და დასასრული. გრიშაშვილი
დაიბადა — როგორც პოეტი, ცოცხლობს — როგორც პოეტი, მოკვდე-
ბა — როგორც პოეტი და სიკვდილის შემდეგ იცოცხლებს — როგორც
პოეტი.

რალაც პოეტური არის ყოველ ადამიანში. ყოველ ჩვენთაგანში
შეინიშნება პოეტური ნაწილი, საწყისი, სათავე. ჩვენში არსებულ ამ
სათავეს უკავშირდება ყოველი დიდი და ნამდვილი პოეტი, მთელი არ-
სებით პოეტური ნატურის მქონე, რომელშიაც, თავის მხრივ, შესაძ-
ლებელია იყოს რაიმე არაპოეტური. გრიშაშვილი ისეთი პოეტია, რო-
მელშიაც არაფერი არ არის არაპოეტური: იგი პოეტია და მეტი არა-
ფერი. გრიშაშვილი პოეტია ლექსში, პროზაში, კრიტიკულ წერილებ-
ში, ქიქვაში, სიტყვა-პასუხში და თვით მეცნიერულ ნამუშევრებშიც.
არაპოეტური მასში არ არის არც ერთი სიტყვა, არც ერთი აზრი, არც
ერთი ნერვი. ამიტომ მიიკვლევს იგი ასე ძალუმაღ გზას ჩვენში არსე-
ბული ნაწილისაკენ, სწვდება ჩვენი გრძნობის სიღრმეებს, განცდის
მწვერვალებს, კაზმულ და წყობილ სიტყვაობას ქმნის ირგვლივ გან-
ფენილ მეტყველების უსასრულო ქაოსში და გვევლინება სამყაროს
ზუიადი საგანძურების პოეტური ცეცხლის ძლევათაშორის მიმტაცებე-
ლი და მისი მცხუნვარე ალის ადამიანთა გულში აღმგზნები.

ამ ცეცხლის ალით ეხმაურება დღეს გრიშაშვილი უღიადეს ყო-
ველდღიურობას. და ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს რაოდენ ძალუმაღ
გაისმა პოეტის მტკიცე, გმირული და სამშობლოს მოყვარული ხმა,
როცა ჩვენი ქვეყნის ზეცა და პორიზონტი შავი ღრუბლებით დაიფარა
ფაშისტური უკუნეთიდან წამოსული შავი ღრუბლებით. და ჩვენ ყვე-
ლამ კარგად ვიცით, როგორ შეეპარა ამ ხმას უსაზღვროდ ნაზი
მგრძნობელობის და გმირული თავგანწირვის სულისკვეთების ტონი,
როცა მტერი მოადგა კავკასიონის გოლიათებს. ან როგორ ხარობდა

გრიშაშვილი, როცა გერმანული ფოლადის ჯავშანი და საჭურველი და-
იმსხვრა და დაიღეწა.

კიდევ ორი თავისებური შტრიხი გრიშაშვილის პოეზიისა — ერთი
შინაარსს და მეორე ფორმას განკუთვნილი.

გრიშაშვილი წმინდა ლირიკოსია. უაღრესად დახვეწილ ლირიკულ
ლექსს მან შეუთავსა ფაბულა და შექმნა სრულიად ახალი ჟანრი —
ფაბულიანი ლირიკა. გრიშაშვილის ყოველი ლექსი შეიცავს რაღაც
ფაბულას, არაკს, მოთხრობას, რაც უჩვეულო შინაგან შინაარსობლივ-
სისრულეს აძლევს მის ყოველ ნაწარმოებს და მთელ ქმნილებას წარ-
მოგვიდგენს ფორმულ-შინაარსობლივი მონოლითის სახით.

ამგვარი ლექსების განსაკუთრებით მკვეთრი ნიმუშებია: „ხელ-
თათმანი“, „ცარიელი სავარძელი“, „მესამე მოქმედება“, „უსახელო-
თითი“ და სხვები.

ამ ლექსებში სიცოცხლეა, მოძრაობა, მოქმედება, არის სურვილი,
მისწრაფება, დაბრკოლებანი, აქ არის ცრემლი, ღიმილი და აღტაცება;
პოეტის ნებით, ცრემლი იქცევა მარგალიტის ღილად, სხივი გრძნობით:
იზოსება, დგას ცარიელი სავარძელი, ვით გლოვის ძაძა, მიდის საბე-
დისწერო მესამე მოქმედება და ეს ყველაფერი ისე მკვეთრად შეჭრი-
ლა წმინდა ლირიკულ გარემოში და შემდეგ ისე ჰარმონიულად გადა-
ხლართულა, პოეტის შედარება რომ გამოვიყენოთ, როგორც თეთრი
ანაბეჭდი, უსახელო თითზე ბეჭდით შემოგარსული.

გრიშაშვილი ფორმის ვირტუოზია, კლასიკური ქართული ლექსის
ფორმის რესტავრატორი. მოვიდა იგი, მოიტანა ზღვა სიხარული და
ჩქერებად ჩააქცია პატარა, მაგრამ ოქროპირულ სიმფონიებში.

ახლა მოკრძალებული მადლობის ნიშნად მისივე საყვარელი სიტყ-
ვებით ვეგებებით: რომ დახია მწუხარების ჩარსავი, აზიზად მოგვევ-
ლინა, გვითხრა ლექსები სანიაზო, დაუვიწყარი და დღემდე ფარეზად
ენამზეობს ქართული ლექსის უსასრულო მარაქაში.

ამით ვამთავრებთ, მაგრამ დასასრულ ვიგონებთ საქართველოს.
ზვიად ბუნებას, ქართული სიტყვის ამ უშრეტ წყაროს. ქართული ზი-
ტყვის, რომელმაც უნდა გამოხატოს ცააწვედენილი მწვერვალების
მიუწვდომლობა, სისპეტაკე და შორი ლტოლვის უსაზღვრულობა, მი-
წის გულიდან ამოტყორცნილი ასთავიანი ჭიუხების სალკლოვანება-
და მათი მკერდის ღრანტეებზე გადმოკიდული წყალვარდნილების ხმო-
ვანება. ქართული სიტყვის, რომელმაც უნდა გამოხატოს მთიდან თეთ-
რად მომსკდარი, ზეგნებს გადმოვლებული მდინარეების ხმაურობა.

ჩქერა, სიღინჯე და სიკამკამე, მაღალი ზეცის გამჭვირვალება, ტბათა სილურჯე, ზღვის მღელვარება და ზღვისპირეთის ხავერდოვანი სიმწვანეთის ჰაეროვნება.


აი, რა უნდა გამოხატოს ქართულმა სიტყვამ.

და ყველაფერს ამას გამოხატავს გრიშაშვილის ქართული ენა.

ჩვენს ძველებს სწამდათ ძღვევამოსილება ქართული ენისა. ისინი ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში ამბობდნენ: „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებელად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა... ვითარმედ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს... ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა მოელის დღესა მას მეორედ მოსლვისა უფლისასა“.

და ეს უფალი პოეზიის, ძირს ჩამოიყვანა პოეტმა გრიშაშვილმა და ქართული ენით აამეტყველა. ამიტომ გვიძნელდება ჩვენ გრიშაშვილს მისი საკადრისი სიტყვით მივაგოთ შესაფერი სამაგიერო, ამიტომ ვარჩევთ დუმილს, დუმილს მრავალმეტყველს, მაგრამ დასასრულ დავიბმარებთ ისევ გრიშაშვილს:

„სიტყვებს, სიტყვებს ვერ ვპოულობ მისსა შესაფერსა,
დავდუმდები და დუმილით ვიტყვი ყველაფერსა“..



სიტყვა, თქმული
1937 წლის 11 თებერვალს
აჭარის მასწავლებელთა სახლში
ა. ს. პუშკინის საიუბილეო საღამოზე

მწუხარების და სევდის ბურუსი ფარავდა თვალუწვდენელი ქვეყნის ველებს, ტაიგებს, ტუნდრებს, ტრამალებს და უბოროტეს მეფეთა უმკაცრესი რეჟიმი მრუმე ღრუბელივით თავს დასწოლოდა ფეხქვეშ გათელილ სახელმწიფოს ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდის; გადასახლებით, დამცირებით, შეურაცხყოფით უმასპინძლებოდნენ ადამიანთა უკეთილშობილეს გრძნობებს, ულამაზეს განცდებს... სისხლიანი ხელებით მიიკვლევდა გზას ტახტისაკენ ნიკოლოზ პირველი და ბნელ საქმეთა საფარველად უკანონო კანონებს, უსაზღვრო ცბიერებას და უმსგავსო პირმოთნეობას მიმართავდა.

კვენსოდნენ ქვეყნის უკეთესი შვილები: „შენი წარსული საშინელია, აწმყო საძაგელი და მომავალი სრულებით არ გაქვს“.

კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის ფრონტზე იყო სიწყნარე, მდუმარება აუტანელი... მაგრამ, „ვით უეცრად ხმაამედგარი ჰეჰაქუხილი გააპობს ხოლმე დედამიწას“... ასე შემოდგა ფეხი რუსეთის ლიტერატურაში დიდმა პუშკინმა.

მოვიდა იგი და მოითანა ახალი სიტყვა, სალი განცდა და რევოლუციური აღტკინების ჭერარნახული კორიანტელი, ლექსს მისცა ძალა, უჩვეულო, რკინისებური, შექმნა ახალი მეტყველება, მხატვრული ენა გამოსქედა ულამაზესი და კეთილშობილ, კაცობრიულ იდეალებს გაუხანდა იგი ოსტატურ სამოსელად; ამიტომ გახდა ალექსანდრე პუშკინი ახალი რუსული ენის და ლიტერატურის ფუძემდებელი.

ერთი კრიტიკოსის სიტყვით — მანამდისაც იყვნენ რუსეთში პოეტები, მაგრამ არ ყოფილა პოეზია, იყვნენ მწერლები, მაგრამ არ ყოფილა სიტყვაკაზმული ლიტერატურა, იყვნენ ოსტატები, მაგრამ არ ყოფილა ხელოვნება... პუშკინმა შექმნა პოეზია, ხელოვნება, ლიტერატურა, მან პირველმა ამოავსო ნაპრალი ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის მისი უკვდავი, გენიალური ქმნილებებით და შემოქმედებითი ოსტატობის მაღალ ნიმუშებს მისცა გასაქანი საკაცობრიო ხელოვნების პანთეონისკენ.

არ იყო დიდი ეპიკური ტილოები და გაშალა იგი პუშკინმა მისი „ევეგენი ონეგინის“, „პოლტავის“, „ბოშების“ სახით, არ იყო ვრცელი სოციალური პროზა და შექმნა იგი პუშკინმა „კაპიტნის ქალიშვილის“, „დუბროვსკის“, „ბელკინის მოთხრობების“ სახით, არ იყო ისტორიული ნარკვევი და შექმნა იგი პუშკინმა „პუგაჩოვის ისტორიის“ სახით; არ იყო მრავალფეროვანი, ადამიანთა სულის ამსახველი ლირიკა და შექმნა იგი პუშკინმა მისი უკვდავი ლირიკის სახით.

ასე გაამდიდრა ალექსანდრე პუშკინმა რუსული ლიტერატურის სალარო და ასე მოჰფინა მან მსოფლიოს მისი მუდამ გაუხუნარი, დაუქცნობი, უჩრდილო და უნაპარლო მხატვრული შედეგები.

ჯერ კიდევ ყმაწვილმა ჭაბუკური გატაცებით ამხილა დაუმსახურებელი ბედნიერების მესაყუთრენი, საქვეყნოდ დაგმო ტახტი, მეფე და თვითმპყრობელობა...

...«Питомцы ветреной судьбы,
Тираны мира! трепещите!
А вы, мужайтесь и внимлите,
Восстаньте, падшие рабы».

შურისძიების ღმერთს მოუხმობს იმდროინდელი პუშკინის მუზა. ამიტომ ლემნოსელი ღმერთის მიერ გაჰყვდილი ხანჯალი, რომელიც გაბასრულ წვერს ინახავს ხან ოქსინოთა ნაოჭებში და ხან მტარვალის გულში, სანატრელია და სანუკვარი ახალგაზრდა პუშკინისათვის...

«Лемносской бог тебя сковал
Для рук бессмертной Немезиды,
Свободы тайный страж, карающий княжал.
Последний судия позора и обиды»...

პუშკინს სჯერა: შურისძიების ღმერთის ნემზიდას ხელში აპრილებული ხანჯალი, რევოლუციურ მისწრაფებათა უსაზღვრო მდინარება, სწრაფვა თავისუფლებისაკენ — დაანგრევენ რუსეთის თვით-

მპყრობელობას და ძირსდანარცხებულ სახელმწიფოს ნამსხვრევებზე დააწერენ ახალი ცხოვრების წინამორბედთა სახელებს...

...«Товарищ. верь: войдет она,
Звезда пленительного счастья, —
Россия вспрянет ото сна
И на обломках самовластья
Напишут наши имена!»

და ასრულდა: დაიმსხვრა იგი, განადგურდა და მიწასთან გასწორდა... მის ნამსხვრევებზე აშენებულ ახალ ქვეყანას და ისტორიის გაღვლილ მკერდს ოქროს ასოებით დააწერეს პუშკინისა და მის მსგავსთა სახელები და არ არსებობს ქვეყანაზე რაიმე ძალა, — არც უამთა სიავე, არც ისტორიის ჩარხის უკულმა ტრიალი, არც ცხოვრების ქარბუქები, ქარაშოტები, — რომელსაც შეეძლოს ამ სახელთა წაშლა, გახუნება, გაფერმკრთალება, ხელთუქმნელ ძეგლთა დანგრევა და განადგურება.

შეუზღუდველი, უსასრულო და მრავალფეროვანია თემატიკა პუშკინის პოეზიისა, იგი თავს დასტრიალებს ოცნების წიაღის ზღაპრულ ნაშეირებს, ბრძნული გონების თვალთა აწესრიგებს, გენიალური სიტყვის დაზგაზე რანდავს, შეუწყნარებლად აქანდაკებს უპკნობი შემოქმედების უძვირფასეს ძეგლებს...

«Брожу ли я вдоль улиц шумных,
Вхожу ль во многолюдный храм,
Служу ль меж юношей безумных, —
Я предаюсь моим мечтам»...

და ეს ოცნება უსაზღვროა, შეუჩერებელი, ხან მწუხარ ფარვანასავით თავს დაფარფატებს სევდიან თემებს და კვნესის:

«Не пой, красавица, при мне
Ты песен Грузии печальной,
Напоминают мне оне
Другую жизнь и берег дальний»

ხან კი სიხარულითაა შეპყრობილი და უზადო ბედნიერების სინათლის გასძახის:

«Что смолкнул веселня глас.
Раздайтесь, вакхальны припевы!

Подыmem стаканы, содвинем их разом!
Да здравствуют музы, да здравствует разум!..»

დაუვიწყარია პუშკინის პოეზია! დაუვიწყარია იგი, ვით გაზაფხულის სურნელება, შემოდგომის დოვლათი, მზის ბრწყინვალება, მთვარის სინაზე და ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცის კაშკაში; დაუვიწყარია პუშკინის პოეზია, როგორც ზღვის ღელვა, ქარბუქები, ქარტენი-

ლები და უმაღლეს მწვერვალებიდან ვერცხლისფერად გადმოკიდული ჩანჩქერები, წყალფარდნილები; დაუვიწყარია პუშკინის პოეზია — დაუოკებელი ფანტაზიის ეს უცნაური დღესასწაული.

ასეთია პუშკინის პოეზია... და თუ მის უკეთ შეფასებას მოვინდომებთ, მაშინ სიტყვა მსოფლიო გენიოსებს უნდა მივცეთ.

ამ სრულყოფილი პოეტური მწვერვალების და ჭავარიან საუნჯეთა შესაფასებლად კომიროსი იტყოდა:

„...მე ჯერ მშვენება უფრო დიდი და სრულყოფილი არსად მინახავს ზესკენლეთოს კიდით კიდემდის“.

რუსთაველი იტყოდა:

„...მოვა და ხეთა მოგრაგნის, ისმის ზათქი და ზარია“... .

დანტე იტყოდა:

„დაუშრეტელი დასაბამი ენაშუობის,
სხვა პოეტების სიამაყე და ნათლის სვეტი“.

გოეტე იტყოდა:

„და შენს უკვდავ სხივთ ცეცხლის შუქში ვხედავ ბუნებას,
ჩემს თვალწინ გაშლილს, დამშვიდებულს და მონარნარეს,
ვხედავ მწვერვალებს აღზნებულებს, მღუმარე ველებს.
ოქროს ნაკადულს ვერცხლის მილით გაღმომდინარეს“...

თავად პუშკინი ასეთი პოეტის შესახებ იტყოდა:

«Его стихов пленительная сладость
Пройдет веков завистливую даль»...

ალექსანდრე პუშკინი ჩვენი თანამედროვეა... იგია ჩვენთან, ჩვენს მახლობლად, გვიდგას მხარდამხარ— მიწის გულიდან ამოაქვს სიმდიდრე, იმორჩილებს შორეულ სტრატოსფეროს და მიაქვს დროშა გამარჯვებიდან გამარჯვებამდის; პუშკინი ჩვენი უდიდესი თანამედროვეა — მას ნახავთ ყოველი წითელარმიელის ჩანთაში, ყოველი მოწაფის მაგიდაზე, ის ჩვენთან ერთად აშენებს ზურმუხტოვან ბაღნარებს სამხრეთში და ჩრდილოეთში, იპყრობს მკაცრ არქტიკას. პუშკინი ჩვენი უდიდესი თანამედროვეა... მისი შემოქმედება უკვდავია და გაუხუნარი, ძვირფასი და დაუვიწყარი... მან ეპოქათა პერსპექტივას გააგლო კვალი წაუშლელი, ვრცელი, ზღაპრული, ვით მიწაზე დევის ნამუხლარი, როგორც ცაზე ირმის ნატერფალი.



სიტყვა, თქმული
1937 წლის 13 ივნისს
აჭარის მასწავლებელთა სახლში
ი. ჭავჭავაძის საიუბილეო საღამოზე

დრო იყო მეტად მძიმე, აუტანელი. მღუმარებდნენ საქართველოს კულტურის ვრცელი ფოლიანტები, დავიწყების ფერფლი გადაჰფენოდა ძველ მონუსკრიპტებს, ხავსი მოსდებოდა ქართულ ჩუქურთმებს... „ხვალე არა მწამს, ვით დამეში მაცდური სხივი“, ისმოდა გზადაგზა ნარ-ეკლით მოფენილ ისტორიის ბილიკებზე და კოჭლი გენიოსი გრძნობამორევით მიმართავდა სულგამოფიტულ საზოგადოებას:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის, ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის; შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდღელოთა შორის ტიალის მინდვრის და ქარიშხალი ძვალთა შეენილთა ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის; სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა, ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი და ჩემთ ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვაენი მყივარნი“...

საქართველოს ცას „ბნელად გაშლილი მწუხრის ზეწარი გადაჰფენოდა“...

„შავსა დროს, შავი ნაყოფი,
გადმოეყარა თავზედა,
ცრემლი, ცეცხლი და გოდება
ღარაჟად გვიდგა კარზედა“.

საქართველოს საუკეთესო შვილები იდგნენ ცალ-ცალკე, განმარტობით. „არსაიდან ხმა, არსით ძახილი, მშობელი შობილს არას

ეტყოდა, ზოგჯერ კი მწუხრის ამოძახილი ქართველის ძილშია კვნესა ისმობდა... ეძინა ყველას, სიჩუმე მეფობდა... რჩეულნი კითხულობდნენ: „სულ ძილი, ძილი, როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?“

ამ საზარელ მყუდროებაში გაისმა მძლავრი, ომახიანი ხმა... ეს ხმა ეკუთვნოდა ილია ჭავჭავაძეს.

მე ბევრს არ ვიტყვი ილია ჭავჭავაძის ფართო, მრავალმხრივი და დიდმნიშვნელოვანი მხატვრული შემოქმედების და საზოგადო მოღვაწეობის შესახებ; მე არას ვიტყვი უკვე ცნობილ, ბევრჯელ ნათქვამ და მრავალგზის გაგონილ ფაქტებისა და მოვლენების გარშემო. თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ დღიდან სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისა უკანასკნელ ამოსუნთქვამდის, ილია შეუდრეკლად გუშაგობდა ქართული კულტურის სადარაჯოზე და ამით საკაცობრიო კულტურის საგანძურების საპატიო გუშაგის მოვალეობასაც ასრულებდა; თქვენ ყველამ კარგად იცით, რამდენად ბასრი ლახვარი იყო ყოველი მისი სიტყვა და საქმე მტრების გულეში და რაოდენ დიდი საღმუნე იყო იგი მოყვარეთა და მეგობართა სახმილის ჩასაქრობად; თქვენ ყველამ კარგად იცით, რა სრულყოფილი სიმახვილით არის შექმნილი მისი „კაცია-ადამიანი?!", „გლახის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქერივი“, რა იდეათა უზოგველი კოლორიტია მის „აჩრდილში“, „მგზავრის წერილებში“, რა მოტივთა საკაცობრიო ჰერეტიკთაა გამოკვეთილი მისი „განდევილი“ და რა უზადო სინათლეა მის ლირიკაში.

ილია საქართველოს ეროვნული კულტურის აყვავების საქმეს ემსახურებოდა ნახევარი საუკუნის განმავლობაში, აქეთკენ იყო მიმართული ილიას მხატვრული შემოქმედება, კრიტიკული, ისტორიული, პედაგოგიური წერილები, პუბლიცისტიკა და პოლემიკა, ამას ემსახურებოდა ილია — მწერალი, მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე, ილია პოეტი, ილია ბანკირი, ილია გამომცემელი. ის ფარი იყო ჩვენი ცხოვრების და ფარი ხომ, მისივე თქმით, დროზე ხმარებული, იგივე ხმალია. ის ხმალი იყო ზეამოწვდილი, რომლის ორღესულ პირზე სასიკვდილოდ იბასრებოდნენ ქართველი ხალხის მტრები.

მე შეგვიჩერდები მხოლოდ ორ ფაქტზე, ერთი მიზნისკენ მიმართულ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ორ შემთხვევაზე. ეს მოხდა 1883 წელს, წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნის დღეს, როცა ილიას ახალდაკრეფილი ხილით დახუნძლული კალათები მიართვეს გლეხებმა. იგი კი მიდგა იქვე ღობესთან და საოცარი უბრალოებით აღსავსე, შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა: „...ღმერთმა რომ

ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, უღვეელი სიმდიდრე ჩაუდგა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჩეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო.

თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაიბლერტაო. ამას იმიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა. არც ჩვენ თითონ ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული. მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ეს ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი, პატარძალივით მორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჩელი და ოფლის მღვრელი, — მაშ რაღადა ვართ ღარიბნიო? მკითხავთ თქვენ.

იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე სძევს, სად რა განძია. არ ვიცით — საიღამ რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფვეიც ბლომად. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელღობრ — ისა, რაც თქვენისავე სიტყვით, თითონ ღონესაცა სჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი, აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან შენთვის მობარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.

მაგისტანა ღვთისნიერს წინამძღოლს ცოდნა ჰქვიაან...

...ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრეა-მეთქი, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ, რაც უნდა ბევრს დაურიგო. ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს ამით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოველე. პირიქით, იმატებს კიდევ. რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა.

სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ, თუნდაც ცოტად ბეუტავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს, იქ სინათლეა, — სჩანს ჰღვიძავთო, და დაგვიანებულს მოყვარეს კი ახარებს კიდევ იმით, რომ იქ ღვიძილია, მღვიძარები დამხვდებიანო“...

ეს მოხდა ცოტა უფრო ადრე, 1880 წელს, როცა შავრაზმელმა

კატკოვმა მისი გაზეთის ფურცლებზე უხეშად მოიხსენია საქართველოს დროშა. ილია წერდა: „...გაცვეთილის კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია. მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენება მისი. რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკვლელად დაცვისათვის არამც თუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან დედამიწის ზურგზედ სიცოცხლეს არ ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია, — იმის ეგრეთ უკადრისად ხსენებას, არ ვიციოთ. რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრეთ მომხსენებელი რა სულიერებში შევრიცხოთ.

ქართული დროშა ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია. თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწიკვლელად და უჩირქოდ გარდაუცია; გაჭირვების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არა-ერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინამძღოლობით და სახელით ქართველობას არაერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად.

ეგ დროშა, რომელიც ეგეთის სასოებით და პატივით უტარებია იმოდენა ხანს უწინდელს ქართველს... საცირკოდ გაგვიხანდა ერთმა ვიღაც კორესპონდენტმა... თვით ბარბაროსიც კი არ იკადრებდა ეგრეთ გაუპატიურებას მთელის ერისას! მაშ, ბარაქალა კატკოვს და მის მომხრეებსა, რომ იკადრეს ის, რასაც თვით ბარბაროსიც კი ითაკილებდა.

„ესეღა დავერჩა ნუგეშად მის იმედისა დიდისა?!“

აი, როგორ უღვა ილია, ვით დედაბოძი, ჩვენი კულტურის დიდ კარიბჭეებს, ვით ძღვევის დროშა ფრთებგაშლილი, როგორ უძლოდა წინ ქართველობას, როგორ იცავდა ჩვენი ენის ზნეთა სიწმინდეს, როგორ უვლიდა და ინახავდა ჩვენი წარსულის ყოველ ჩუქურთმას, ყოველ ფრესკას, ყოველ ანდაზას... მაგრამ კმარა, ვაჟასი არ იყოს — „არწივსა მაღალ მთისასა აბა რათ უნდა ქებანი!“

რას ან ვის შევადარო მე ილია? ადამიანის ხელთქმნილი ძეგლები ზშირად უძღურია დიდბუნებოვან ადამიანთა თვისებების გამოსახატავად. ისევ ბუნებას მივმართოთ. იქნება არ დაგვჭირდეს ილიას შემოქმედების წრიდან გამოსვლა, რადგანაც იგი თვითონ იყო შედარებების უბაღლო ოსტატი, ანალოგიების დაუჯაბნელი ხელოვანი...

მუდამ მოძრავი, დაუდგრომელი, შეუპოვარი და წინმსრბოლი იგი თერგს გვაგონებს, რომლის

„წყალნი მთით დაქანებულნი
აღმასებრ უფსკრულს ცვივიან,
თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან“.

და გაჩირალდნებულ კლდეების გულში მჩქეფარ ცისკრის მორიყ-რაყეს... ოღონდ ერთი შენიშვნით: არა, წყალნი მთით დაქანებულნი, არამედ, ხმანი მძლედ დაქანებულნი, არა, აღმასებრ უფსკრულს ცვივიან, არამედ, აღმასებრ ხალხში ცვივიან. არა, თერგი რბის, თერგი ღრიალებს, არამედ, ილია ჰქუხს, ილია მოღვაწეობს და არა კლდენი, არამედ ქართული ლიტერატურის ვარსკვლავეთის მნათობნი — ვაჟა, აკაკი, ყაზბეგი ბანს ეუბნებიან და მოდის და მოდის უძლეველი აზრ-თა ნაკადი, მოდის და მოდის სიღიადე საქმედ ქცეული...

კიდევ რას შევადაროთ ილია? — შესაძლოა მყინვარს... ისევ და ისევ ბუნების სიღიადეს, „დიდებულს მთასა მყინვარსა“, რომელიც ჩვენს სახელოვან მწერალს არაერთხელ შეუმკია და გაუსპეტაკებია, ისედაც სუფთა, მიმზიდველი, სხივშემოსილი... მაგრამ იმავე შენიშვნით, არა მყინვარს, რომელიც ჩვენ ვერ ჩამოგვწვდება და რომელსაც ჩვენ ვერ ავწვდებით, არა მყინვარს, რომლის შუბლზე ჩვენი სიხარულისა, სიამისა, ვაებისა და გაჭირვებისაგან არც ერთი ძარღვი არ ირხევა, არამედ მყინვარს, ჩვენი ძლევაშემოსილი ეპოქის ზვიად მხილველს, საიდანაც ხვალინდელი მზიანი ამინდი ისევე განიჭვრიტება, როგორც ილია დღევანდელ ბრწყინვალეებას წინასწარმეტყველებდა.

ილია — თერგისა და მყინვარის გაერთიანებული სახეა ჩვენს ლიტერატურაში: ერთს მან მოსტაცა — წინსვლა, სრბოლეა, შეუპოვრობა; ხოლო მეორეს — სიზვიადე, სიღარბაისლე.

ხალხის დიდების, უკვდავების განგმირვა ტყვიით მოინდომეს, ისინი შეცდნენ: ხალხის წინამძღოლს ვერ ჰკლავს მახვილი. არის შემთხვევები, როცა ცხოვრების ნაძირალები ხელს აღმართავენ თვით უკვდავების წინააღმდეგ, ბოროტი ზრახვით ილაშქრებენ კაცობრიობის სიწმინდეთა საგანძურზე. მაგრამ ამაოდ — უკვდავებას თვით ღროთა მსვლელობაც ვერ აფერმკრთალებს... და ეს გასროლაც, ბოროტი და მუხანათური, ეს თავდასხმა საგურამოს მახლობლად, ილიას საყვარელ ბუნების კალთებზე, სადაც არაგვს ტალღები მოაქვს მღვრიე მტკვრი-

საკენ, სად ჩირგვებად იქცევიან ზედაზნის ტყეები, სად სათავეს პოულობს საგურამოს მინდვრები, — მე მაგონებს მოწინავე კაცობრიობის სიძვირფასეთა ხელყოფას: ალექსანდრიის წიგნთსაცავის განადგურებას, დიანა ეფესელის ტაძრის დაწვას, „ვეფხისტყაოსნის“ აუტოდაფეს და პომპეუსის თეთრი, ნატიფი ქანდაკების სისხლით შესვრას...

ისინი შეცდნენ: მსგავსი ხელყოფა დაფნის გვირგვინს უმატებს ფოთლებს, ხალხის მტრებს კი უმძაფრესი კრულვის საგნად ხდის საუკუნეთა განმავლობაში. ვერ მოჰკლეს იმათ ვერც ილია, რადგან საკუთარი წყლული ვერ მოჰკლავს იმას, ვისაც ერის წყლული უჩნდა წყლულად, ეწოდა მის ტანჯვით სული, მის ბედით და უბედობით ედაგოდა მტკიცე გული.

ილია ვერ მოესწრო „აყვავებულ მამულს“, „შრომის სუფევას“. მაშვრალთ ბედნიერებას, ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფლის გათანასწორებას... იგი ვერ მოესწრო ბაზალეთის ტბის წალკოტოვან ძირიდან ოქროს აკვანის ამოღებას და იმ უცხო, სანატრელი ყმის გაზრდას...



სიტყვა, თქმული
1938 წლის 1 იანვარს აჭარის
მასწავლებელთა სახლში
ზოთა რუსთაველის საიუბილეო საღამოზე*

ქართულ კულტურას მისი არსებობის ხანგრძლივ მანძილზე არ უნახავს მსგავსი ზეიმი, ჩვენი წინსვლის და გამარჯვების უჩრდილო სიტყვას ასე ზვიადად არასოდეს არ უუღერია, ასე ამაყი არ ყოფილა არასოდეს მიწა, რომელმაც ზეცის თაღებში შეისროლა მყინვარი, იალბუზი, თეთნულდი და მსოფლიოს მისცა ამ გოლიათებზე უდიდესი ქართველები.

დიდი ეპოქის და ლაღი ქვეყნის ბრწყინვალეების შუქი დაადგა შორეული დღეების წყვედიადს: შეტორტმანდნენ გარდასულ დროთა მიძინებული ცადაქნილები და მივიწყების ფერფლი მოშორდა ნათელი გონების საგანძურებს. იშმუშნებიან უკვდავ აზრთა ასნაკეცი ფოლიანტები და ლაღადებენ ეღვარებით დასერილი ხელნაწერები.

ბნელ დროებათა უსასრულო სივრცე გართხმულა გამარჯვებული ქვეყნის ბჭებთან, შავი ქაოსი ჩაძირულა საუკუნეთა ხანდაზმულ ნაოკებში და ქარმაგი ისტორია აზვირთებულა მარადისობის ცეცხლით აგელვებული ახალი ყოფის დროშის ნატერფალებთან.

წინსვლის სხივებთ შემოგარსულნი ვაშენებთ ხალხიან აწმყოს, ვაგებთ უკეთეს მომავალს და გულდასმით ვიგონებთ წარსულს, რომლის უსაზღვრო წიაღში ბევრი დიდება ჩაფერფლილა და საღი აზრის ბევრი ლამპარი ანთებულა.

* იგეე სიტყვა ნ. კანდელაკმა წარმოთქვა 1938 წლის 2 იანვარს აჭარის სახელმწიფო თეატრში და 17 იანვარს თბილისის მასწავლებელთა სახლში.

ასე ვიგონებთ ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვან წარსულსაც — ვეთყუანებით მის სინათლეს და ვგმობთ სიბნელეს, რომელიც ამოდლამობდა მზის გამოკრთომის ჩრდილში გახვევას, თუმცა მის შემწედ იდგა საშუალო საუკუნეების ხანგრძლივი ეპოქა... მსოფლიოს ეხურა ტყვიისფერი ზეცა, ქვეყანა ქანაობდა ბნელი ჭურღმულების სანაპიროებზე, ადამიანი ძრწოდა ღმერთისა და ბედის წინაშე. ქრისტიანობა ზეიმობდა უსაზღვრო გამარჯვებას, იდგა შენობა დოგმატიკური სქოლასტიკისა — ცივი, უსარკმლო, მიუსაფარი და ფრიალებდნენ დედამიწაზე «სამპიროვანი ღმერთის» მძიმე ბიარალები...

სხეული გამოაცხადეს სულის საპყრობილედ, სული — უკვდავად, ქვეყანა გაჰყვეს ორ ნაწილად — ხორცს მისცეს სააქაო, სულს — საიქიო...

საკმეველის ცეცხლით მკრთალად განათებული კათედრალებიდან ისმოდა ლალადი, ამბიონები ვერ იტევედა „წმინდანებს“. მწუხრად იღიმებოდნენ ფერადი ფრესკები და საკურთხევლის ტრაპეზებიდან მორცხვად იყურებოდნენ ჯვარცმის, გარდამოხსნის, ფერისცვალების სურათები — ოქროს ჩარჩოებში ჩასმული, პატიოსანი თვლებით მოოქვილი...

ქადაგებდნენ ადამიანურ გრძნობათა ჩახშობას, უარყოფდნენ სილამაზეს და მშვენიერებას.

ბორკავდნენ ლტოლვას, საზღვრავდნენ ბედნიერებას და ვიწრო, სულის შემხუთველ ატმოსფეროში აქცევდნენ ადამიანთა უკეთილშობილეს მისწრაფებას, ულამაზეს აღტაცებას...

ცეცხლის კოცონზე სწვავდნენ ქეშმარიტებას, ეშაფოტებზე აჰყავდათ სინათლის მოციქულები, რკინის ქუსლებით სრესდნენ მართლმსაჯულებას, აუტოდაფეს უმართავდნენ სიბრძნეს, სიყვარულს.

აი, როგორ გამოიყურება საშუალო საუკუნეების ქრისტიანობა და მისი მსოფლმხედველობა — სქოლასტიკა.

ამ ბნელ ეპოქაში, ორი კონტინენტის გზაჯვარედინზე მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა შოთა რუსთაველს.

იგი არ გაჰყვა სქოლასტიკის ვიწრო ბილიკებს, მან აიჩრია სინათლითა და ყარამფილებით მოფარდაგული სიცოცხლის ფართო შარავგებში; უარპყო ბნელი რელიგია — მიიღო ნათელი ცხოვრება, დაჰგმო დოგმატიკა, შეითვისა სიბრძნე, ზურგი შეაქცია ბიბლიურ სამყაროს, აღიარა მზით გაჩირალდნებული ხილული სააქაო, უმღერა სიბრძნეს,

კეთა-გონებას, სინათლეს, სიყვარულს, რაინდობას, უშურველობას და მეგობრობას.

ეკლესიების ცივ კედლებში მოდუნებული სხეულის მაგივრად მან წამოაყენა მზიურ სამყაროს ბალნარებში შექმნილი ფიზიკური და სულიერი სილამაზის სახე:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყმე და მოცალოება,
ენა, გონება, დათმობა, მძლეოთა მებრძოლოთა მძლეობა,
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა“;

კარგამოკეტილ საკურქლეთა გზაგასახსნელად მან იქადაგა შექმნილი დოვლათის საყოველთაო და გულუხვი გამზეურება:

„ვარდთა და ნეხეთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წერილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების;
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების,
უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების“;

განცალკევებულ და კიდევანურ ცხოვრების ნაცვლად მან აღიარა მეგობრობის მაღალი კულტი:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჳირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად,
კვლა მიჯნურსა მოჯნურისა ჳირთ უჩნდეს ჳირად დიდად,
აჰა, მაქვსცა უმისოსა ლხინი არმად, თავი ფლიდად“;

ხოლო შევხეილი უნდობლობის, მიუსაფრობის და ჳირფერობის ადგილზე დასვა ულამაზესი, უნაზესი და უმაღლესი სიყვარულის თაყვანისცემა:

„შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,
გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად,
მომიგონებდე, გახსოვდე მე შენთვის დაკარგული სად,
ვზი მზრდელად სიყვარულისა მის ჩემგან დანერგულისად“.

ბევრსინსლიანი ომების, ხალხთა გრანდიოზული გადაჯგუფების და უსაზღვრო თავგასულობის თარეშის ეპოქაში ხავსმოდებული ქვეყნის ნაშეიერებმა შეიძულეს „ვეფხისტყაოსანი“, გამოაცხადეს იგი ბილწობის ქადაგებად და ანათემით დაგმეს მისი გენიალური ავტორი.

წყვედიადის შევხეილ მოციქულთათვის შოთა იყო „მთქმელი ლექს-

თა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ ბოროტი ბილწება, და განრჩყვა ქრისტიანობა“.

და აი, აღმართეს სისხლით შესვრილი ხელები კაცობრიობის უკვდავი სიამაყის წინააღმდეგ და „დღესა ერთსა 80 დაბეჭდილი წიგნი ვახტანგ მეფესავე დროსა შთააყრევენეს მტკვარსა, ვითარცა წიგნი მავნებელი მკითხველთათვის და მომწამვლელი ქრისტიანთა გონებისა და გრძნობისა, მაგრამ ვერ დასცეს ძირს განახლების და წინსვლის დროშა, ვერ ჩამოფლითეს მას კალთები უცხო მძივებით შემოსირმული, ცას ვერ მოსწყვიტეს სიღიადის მჭევრი ვარსკვლავი და უკუნეთით ვერ შესცვალეს დღის ბრწყინვალება.

ხალხმა მიიღო, შეითვისა და შეიყვარა უსიერ საუკუნეთა კარიბჭეებში შერჩენილი რუსთაველი; ხალხმა მიიჩნია იგი უკვდავებად და მისი სახელი ჭადოქრული ოსტატობით მოსაგადებული გადმოსცა გამარჯვებულ შთამომავლობას, ვით ქვეყნის ჯილდო, როგორც ხალხთა დიდი ჭავარი. აქო ლექსებში, ლეგენდებში, გადმოცემებში, ხობტა მიუძღვნა არნახული, ზღაპრადქცეული და აწ მზედაკრულ, შეყვითლებულ ეტრატებში ასე მოიხსენია: ჩვენი სიცოცხლის საიმედო ქალწულისათვის, ვარდ-ყვავილებით შემოსილი ქორწილის ნიშნად, სხვათა მრავალთა საუნჯეთა გარდა მიგვიცია ფირუზის ქვებით შეჭედილი მზითვი უებრო, სულმნათი შოთას „ტყაოსანი“, ფასი რომლისა უთქმელია და ვერა მოვიხსენიეთ.

რამდენჯერ ტლანქი მრისხანების შავი ღრუბლები შემოჰბურვია საქართველოს მიწა-წყალს ირგვლივ, რამდენჯერ წმინდა, უცოდველი ცრემლი და სისხლი უნთხევიათ მდინარეებად თამარის ქვეყნის ერთგულ დამცველებს. ბევრჯერ უნახავს საქართველოს მწარე დღეები, გოდება, ხარკი, უტიფარ მტრების თავგასული აღიაქოთი და მკერდ-შემსხვრეული საუკუნის კორიანტელი, მაგრამ არასდროს, არც შავი ფლასით და ძაძვით შესუდრულ ჭირში და არც ლალისფერი უსურვაზით შემოსილ ლხინში, არ დავიწყებია მას რუსთაველის ფერუცვლელი შემოქმედება.

საქართველოს საფირონის ცის კამარის გუმბათებზე, აქატისფერ მთაგრეხილთა თვალუწვდენელ მწვერვალებზე, იაგუნდის მინდორველთა კორდებსა და ყამირებზე — ყველგან, ყველგან კიაფობდა შოთას უკვდავ სტრიქონების ელვარება, რაც ქართველთათვის ბრძოლაში იყო ორღესული, შრომის დროს — საკვეთელი, ჭირში — გოდება,

ლხინში — ბარბითი, სიცხეში ჩრდილი და სიცივეში — ცეცხლი მგზნებარე, დაუშრეტელი.

დიდია და განუსაზღვრელი რუსთაველის მნიშვნელობა მსოფლიოსათვის. მისი დამსახურება საკაცობრიო კულტურის წინაშე დიდად აჭარბებს თვით იმ ჰორიზონტს, რომლის ვეებერთელა წრეში ლაღად სრბოლავდა უბადლო გენიოსი ინდოეთიდან გიბრალტარამდის და მაშრიყულ უდაბნოებიდან მალრიბულ ტრამალეზამდის.

უკვდავი აზრების შემოქმედთა საკაცობრიო ვარსკვლავებს შორის შოთა ჩანს, როგორც მოკიანთე უუქურვარსკვლავი, რომელმაც ქვეყნის მეუფეთა მკვეთრი დიდებუ და ბრძნული ცხოვრების ფსალმუნები გამოსქედა რვალზე უმტიციესი და უკვდავებაზე უხანგრძლივესი.

მსოფლიო გენიოსთა უძვირფასესი საგანძურისთვის შოთამ მზის განძი მოიტანა ჯერარნახული, აზრით და ფორმით უმდიდრესი და უსრულესი — ჰომიროსს მოსტაცა მშვიდი და წყნარი თხრობის მანერა, ვირგილიუსს წაართვა კოსმიური ჰერეტის უნარი, ფირდოუსიდან გამომოსესხა დიდ მოვლენების ფართოდ მოხაზვის ხელოვნება და საკაცობრიო პოეზიის ეს უბადლო მძივები შეჰკრა ერთ ვეებერთელა კრიალოსნად, ამ კრიალოსანს მსოფლიო პოეზიის სიამაყე — „ვეფხისტყაოსანი“ ეწოდება!.. თვით რუსთაველმა სხვებში უფრო ჰარბად გამომქდავებულ ოსტატობას მიუმატა საკუთარი საუნჯე — მიუწვდომელი პოეტური სიტყვაკაზმულობა, რომელსაც ვერ ნახავთ ვერც ჰომიროსის სიმშვიდეში, ვერც ვირგილიუსის კოსმიურობაში და ვერც ფირდოუსის — ხელოვნებაში.

ბრძენი შექსპირის მიერ დასმულ კითხვაზე:

..ყოფნა?.. არ ყოფნა?.. საკითხავი აი ეს არის,
სულდიდ ქმნილებას რა შეჰფერის? ის, რომ იტანჯოს
და აიტანოს მჩაგრავ ბედის ნეშტრითა გმირვა,
თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას!“

და დიდ გოეტეს კითხვას:

„სად არის ძალა ბუნებისა განუსაზღვრელი!
მისი გულ-მკერდი — ქვეყნის წყარო დაუშრეტელი,
რითაც საზარდობს დედა-მიწა და ცის გუმბათი
და რასაც ეტრფის მქენარი გული დიდის სურვილით?“

პასუხი გასცა რუსთაველმა დროის და სივრცის უშორესი ნაპირებიდან;

„თუ ბრძენი ხარ, ყოვლინი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა:
ხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა წელა ტირსა,
პირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა, ვით ქვეტირსა,
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი პირსა“.

„საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხვდების:
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების.
აქამდის პირი ჩემზედა, აწ ესე ლხინად უხვდების,
რადგან შევბა აქვს სოფელსა, თვით რად ვინ შეუწუხდების?“

მოზეიმენი გავსცქერით სივრცეს, იღება კარი უხილავი პანთეონების, დგანან სიტყვის და აზრის უმაღლესი მთაგრეხილები და ოსტატობის მწვერვალები არღვევენ ზეცას.

მე მეჩვენება: აქამდის მღუმარე სახელისა და დიდების მწვერვალებზე დღეს საზეიმო ხმაურობა გამეფებულა — გენიოსები ულოცავენ შოთას ბრწყინვალე დღესასწაულს, იმეორებენ მის სტრიქონებს, პატივისცემით იხსენებენ თამარის ეპოქას და ხელს უწვდიან საქართველოს მზედაკრულ მინდვრებს, დავერცხლილ მთებს.

დღეს ჩვენთან ერთად იუბილეს უმართავენ შოთა რუსთაველს მსოფლიო გენიოსთა ოჯახში — ცა ძირს იხრება, დედამიწა მიიწევს ცისკენ, მზის პარნასები ზეიმობენ. კაცობრიობის საამაყო შვილები „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ეგებებიან, საპატიო ადგილს უთმობენ და დღემდის სიბნელით მოკულ ამბებს ეკითხებიან, ენამზეობს რუსთაველი გენიოსთა გასაგონად:

„რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეკელსა
შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მებველსა
კაცი ჭაბანი რითა სჯობს დიაცა ქსლისა მბეველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჯა ყოველსა მოსახვეველსა!“

საქვეყნოდ ისმის რუსთაველის ეს მქუხარე მკვერმეტყველება. არ გააჩნია იმას სამშობლო — მისი სამშობლოა მთელი მსოფლიო, არ ჰყავს იმას მშობელი — მისი მშობელია კაცობრიობა, არ აქვს იმას ეპოქა — იგი ეკუთვნის ყველა დროებას... არ ჰქონდა იმას არც საზღვარი, არც სათავენი — თვითონ კი გახდა ეპოქათა უძლეველი ფუძემდებელი.

მაინც რა არის რუსთაველში ასე დიადი, რაც ეგზომ უსაზღვრო სიძლიერით ღაღადებს 700 წლის განმავლობაში?! — სამი დიდი ღირსებითაა „ვეფხისტყაოსანი“ წარმოდგენილი საკაცობრიო კულტურის

პირუთენელი სამსჯავროს წინაშე: მისი პირველი ღირსება მდგომარეობს კლასიკური პერიოდის გრანდიოზულ მხატვრულ უკუფენაში.

რუსთაველი იძლევა XII საუკუნის საქართველოს გენიალურად მოზარნიშებულ სურათს, რომლის უმდიდრესი კოლორიტი ზედა ფენების ცხოვრებაში ჭარბად შეჭრილი ბრწყინვალეების რეალური ანარეკლია.

იმდროინდელ საქართველოს სინამდვილის საფუძველზე აგებული, მაღალი ნაციონალური სულით გაყენითილი დიდი ეპოპეა, რუსთაველმა მოაქცია მსოფლიოს შეუზღუდველ ფარგლებში და საკაცობრიო მოტივების სახვასთან ერთად ღრმა ეროვნული შეხედულება შეინარჩუნა.

უკვდავი პოეტი მიუბაძველ მხატვრულ ფორმებში გვაწვდის უმდიდრესი ეპოქის ისტორიულ კოლიზიებს, როცა მზის მეტოქე და ცის მოჩხუბარი თამარის დროშა ქართველი ხალხის შეუდრეკელ ძალას შექჷონდა მცირე აზიის მკვერდგაღედილ უდაბნოებში, როცა ქართველთა რუსთაველური მქუხარე სისტყვა მძღავრ გრიგალივით მოისმოდა სინაის მთიდან, როცა გრძნობის და აზროვნების უღელტეხილზე ქართველმა ხალხმა მიიჩინა ვრცელი ადგილი!..

ეს არის რუსთაველის ერთი დამსახურება.

ვეხებით „ვეფხისტყაოსნის“ მეორე ღირსებას: უსაზღვროა და დიადი რუსთაველის სიბრძნე, უჭკნობია და ჩაუქრობი მისი მსოფლმხედველობის საბაღნარო; „ვეფხისტყაოსნის“ გაუხუნარ ფურცლებზე ზეციურ შუქთა სიუხვით მოფრქვეულია ოქროხმოვანი სიბრძნის უძვირფასესი მარგალიტები.

ნათელია და კაშკაშა რუსთაველის ფილოსოფია: მისთვის არსებობს ერთი საწუთრო, ხილული ქვეყნის ერთი კუთხე, დიდი კოსმოსის უღამაზესი და უმშვენიერესი ერთეული. ურთულეს კოსმიურ სივრცეში ადამიანთა სხვა სამყოფელი არ ეგულება რუსთაველს არსად, ვრცელი პლანეტარული სისტემის არცერთ წერტილში. ჩვენი დედამიწა ჰარმონიულად აჰყოლია დროის და სივრცის დაუოკებელ ცვალებადობას, მისი ადგილი მოუნახავს მზის სისტემაში და ფიზიკური არსებობის პირობები შეუქმნია.

მრავალფეროვანი ბუნების მეპატრონე — ზვიადი ადამიანი შეჰკედლებია ამ დაუნდობელ სოფელს, მუხთალ საწუთროს, სადაც წამია კაცთა ცხოვრება და წამწამისა მსწრობელი, სადაც უჩრდილო ბედნიერება ზღაპარია და ჩმახია, რომლის წიაღში ვარდი უეკლოი რეკ-

რიფება და მარგალიტი არვის ხვდება უსასყიდლოდ... მაგრამ ცხოვრება მზეებზე ბრწყინვალე ამქვეყნიურ ვრცელ შამბნარებსა და ტურფასა საბალნაროში უსაზღვროდ ტკბილი, მიმზიდველი და ძვირფასია, ის შედეგია მრავალი ტანჯვის, ცრემლის, გოდების, მაგრამ წყაროა სიხარულის, შვების, ღიმილის.

ასე მდინარებს ჩვენი სიცოცხლის წყარო უშრეტი, რომელსაც გზაში ბევრი ხვდება დაბრკოლებები, რაც ფასს უმატებს, მიზანს ამღევს და შინაარსს უმდიდრებს ადამიანთა ამქვეყნიურ არსებობას: ბრძოლით და შრომით მიღებული ბედნიერება არის მარტოოდენ ნათელი აზრის და მდიდარი შინაარსის შემცველი ქვეყნად, — „მაშინ ღზინი ამო არის, რა გარდინდის კაცი ჭირსა“, „სიხარულსა ვერვინ მომკის პირველ ჭირთა უმუშაკო“, „კაცსა მიხედეს საწადელი, რას ეძებდეს უნდა პოვნა, — მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასულთა ჭირთა ხსოვნა“, დასასრულ „წაღმავე წაგრეხს სოფელი კვლა მისგან უკუნაცარსა“, რადგან ბოროტსა დასძლევს კეთილი, არსება მისი გრძელია.

ასეთია რუსთაველის მსოფლგაგება.

ეს არის „ვეფხისტყაოსნის“ მეორე ღირსება.

„ვეფხისტყაოსნის“ მესამე ღირსება მდგომარეობს პოემის გარეგნული ფორმის კოლოსალურ სიღიადეში, კომპოზიციურ შენებაში და ამბების განვითარების მიუწვდომელ სიმარტივეში.

ამ უკანასკნელი ღირსებით რუსთაველი არამცთუ დგება მსოფლიო გენიოსთა პირველ ხუთეულში, არამედ გვევლინება, როგორც ქრისტიანულ, ისე არაქრისტიანულ ეპოქების საკაცობრიო ლიტერატურის შემოქმედთა მოწინავედ, მედროშედ, მასწავლებლად.

პატარა ქვეყნის ელემენტური მკერდიდან ამოტყორცნილი ღიდი გენიოსი. მშობლიური ხალხის საღიდებლად მღეროდა უნაზეს და უტურფეს ლექსებს, ქვეყნის საღზენად ჰიმნებს ჰმნიდა „ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული სიკეთისა ხელის მხდელი“, „ღერწმისა სარსა დასდრევედა, გიშერსა დააკარებდა“, „ქარი ველთა მონაქროლი ლალის ფერსა ვარდსა“ შლიდა... გამოჭრილიყო საასპარეზოდ, ვითა „ირემი ძებნად წყალისად“ და ვარსკვლავეთის მოციმციმე კაბადონიდან ღიდი რუსთაველი ქვეყნის გულზე აწერდა ლექსებს...

ქართული სიტყვის მოქანდაკე, ჯადოსნური სტილის ოქრომქედელი. ოქროპირი და უღიადესი ჩუქურთმების ღიდი ავტორი — ის იდგა, როგორც ღირიეორი უტკბილესი სიმფონიისა და მომდევნო საღ-

კუნენი ყურს უგდებდნენ უკვდავი სიბრძნის და დაუზრობი სილამაზის ამ კოსმიურ მუსიკას:

„დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი, სოსანი,
ძოწეულითა მოსილი, პირად ბროლ-ბალახშოსანი,
პირ-ოქრო რიდე ეხვია, შეენოდა ქარქაშოსანი,
მეფესა გასლვად აწვევდა, მოდგა თეთრ-ტაიგოსანი“.

...„მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
„აჰა, მზეო, გეაჩები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალთა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ, სვესა,
მე ნუ გამყარი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა“!...

...„ვარდსა ჰკითხეს: «გეზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად,
მიკვირს, რად ხარ ეკლიანი? პოვნა შენი რად არს ქირად?»
მან თქვა: «ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად;
ოდეს ტურფა გაიფედეს, აღარა ღირს არცა ჩირად»...“

„მუნ ვარდსა ფერი აშვენებს ბროლისა გამქვირვალისა“...
„ნარკისთთ წვიმა ბროლისა წვიმს, ვარდი ნაწვიმარია“...
„გიშრისა ტვერი ავუბებს, ვარდისა ველსა ფონია“...
„ბროლ-სადაფნი მარგალიტსა ლალის-ფერსა სცვენ და ჰბურვენ“...

ასეთია ეს სიბრძნე და ეს მუსიკა — უჩვეულო, ჯადოსნური, ასეთია ჩვენი ხალხის სიამაყე, დიდება და უკვდავება — დიდი შოთა რუსთაველი, რომელიც ასეულ წლების განმავლობაში წინ უძღოდა ქართველობას, ვით ჩაუქრობი ძღვევის ლამპარი და როგორც მზიან გარიჟრაჟის ცისკრის სინათლეს გავლილი ჟამი, ბრწყინვალეობას უნათკეცებდა, რომ მოკაშკაშე ელვარების სხივით შეეკრა ხელცარიელ საუკუნეთა ვაებით სავსე მძიმე დღეები და შორეული მომავლის იმედის შუქად ჩასდგომოდა სისხლიდან დაცილილ ეპოქათა გაცრეცილ გულებს.

ის იყო ჩვენი წინაპრების წმინდა ალამი, რომელიც ჟამსა სიმშვიდისა და სიწყნარისა ბრძნული და ტკბილი შესიტყვების ოქროს ვარაყში ამოვლებული სრა-სასახლეთა და ქონმახთა კარიბჭეებთან ფრიალებდა, ხოლო ჟამს დიდთა ბრძოლებისა ბევრსისხლიანთა იგი თან ახლდა ჩვენს მეთორებს შორეულ ყაზვისს, შირვანსა და შამქორის ველზე.

დიდ ქართველ ხალხთან თანშეზრდილი ქირსა და ლხინში, მისი გენიის უმძლავრესი გამოვლინება, მისი სინდისი, სიკეთე და პატიოსნება — იგი თან ახლდა ყოველ ქართველს ყოველ ნაბიჯზე და უკვდავი

სიტყვის აფეროვნებით გზას უნათებდა, ძალას მატებდა, გამძლეობას უწერავდა.

დიდ ლეგიონებს წინ უძღოდა მისი სიტყვები: „სჯობს, სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, გალაღებულს მოუწოდებდა: „მიეც გლახაკთა საქურჭლე, ათავისუფლე მონები“, უნუგეშოს მიუმტკივნებდა: „არას გარგებს სიმძიმელი, უსარგებლო ცრემლთა დენა“, სასოწარკვეთილს ამხნეებდა: „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“, სამართლისა დამდგენს აგონებდა: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელად“.

გლოვაში იყო ზარის მთქმელი, ქორწილში ახლდა კოხტა პატარძლებს, ყანებში შრომას ამსუბუქებდა და ბრძოლის ველზე იგებდა ომებს...

ძირდაუხრელად ფრიალებდა საუკუნეთა ხერხემლებზე დასობილი რუსთაველის სიბრძნის დროშა და ქართველი ხალხი ერთხმად მღეროდა ამ დიდების უკვდავსაყოფად:

„რუსთაველო, თაყვანს გცემენ, ლომთა-ლომსა, მზეთა-მზესა,
შენ ბროლით და ვარდ-ვიშერით გაეტურფე სინაზესა,
პირი შენი უნათლუა სინათლესა ზესთა-ზესა,
ქართველებმა შენი სიბრძნით ზეცა გაიდარბაზესა!“

დგას ხანგრძლივი წარსულის ქალარა მარადისობა, დგას საუკუნეთ ბნელი წყება და იმშუშნება დროთა საზღვარი, ინგრევა ზღუდე გარდაუვალ ჟამთა სივრცისა და ვართ პირისპირ რუსთაველის აზრთა წინაშე.

მან ისტორიის ნაპრალებზე გადმოალაჯა... მოვიდა იგი, მოიტანა მზის სურნელება, გვითხრა ლექსები, გვესაუბრა გრიგალთა ენით, აზრი გაგვიყო მუსიკალურ ქარტეხილებით და დარჩა ჩვენთან, ვით ზღაპრული ახმაურება.

მზის სიცილია ამ ლექსებში გამოკვალთული, ზეცის მშვენება, მიწის სიმწვანე და გაუვალ ტყეთა სიმშვიდე. უმანკოების ღიმილია აქ დაფრქვეული, მოგარიჟრაჟე, მოკამკამე და ბრწყინვალეობით დასეტყვილი ვარსკვლავთ ციმციმი მომზირალობს ამ ლექსებიდან. ასე მღეროდა ყველა დროის მომღერალთა დიდი მეუფე, ენამზეობის უჯაბნელი მებაიარახტრე, ოქროპირების სხივმოსილი მესაიდუმლე, საქართველოს დიდება და დიდ ქართველთა გვირგვინი...

„მზე უკადრი ტახტსა ზედა ზის მორკმული. არ ნადევრი,
მე ვინ ვაქებ? ათენს ბრძენთა, ხამს, აქებდეს ენა ბევრი!“

სიტყვა შეეხო დიდ ქართველთა დაუმარცხებელ სახელოვნებას: დგებიან ჩვენი ისტორიის დიად აჩრდილთა ლეგიონები განახლებული ქვეყნის კარებთან, რომლის მიღწევათა ზეატყორცნილ მარმარა სვეტებს ცა მზისთალოვან საფარველად გადმოხურვია.

აქ არის დავით, აშენებით სახელდებული, იგი „სატრფიალო ზრახვითა და სასურველ ღუმითა, იგივე შუენიერ ხატითა... შეწყობილ ანაგებიტა, საწადელ ღიმილითა“, აქ არის თამარ შარავანდედშემოსალტული, ქვეყნის დიდება, სხივთა სხივი და მრავალ გულთა უტურფესი ბინადარი, აქ არის დიდი სააკაძე, ხალხის წიაღის ნაშიერი, ტაშისკარელი გმირთა გმირი, მარაბდის ლომი და სიმართლისთვის წამებული, აქ არის დიდი საზრუნავით შეპყრობილი პატარა კახი, რომლის დროშის „მომცურავი კალთები ქვეყანას აჩრდილებდა და სამეისისხლოდ განჭიმულის ზორტებით ცის კალთებს ეჩხუბებოდა“, აქვე დგანან ჩვენი დიდი სიტყვიერი კულტურის უანგარო მოამაგენი: სულხან ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ბესარიონ გაბაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა...

ამ ქართველთა შორის ზღაპრულ გოლიათივით დგას შოთა რუსთაველი...



სიტყვა, თქმული

1938 წლის 7 ივნისს აჭარის სახელმწიფო თეატრში
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო
სალამოზე

დიდი ხანია გულდასმით ვსწავლობთ საკაცობრიო კულტურის ფონზე გამოკვეთილ ქართული აზროვნების, ხელოვნების და მატერიალური შემოქმედების მრავალსაუკუნოვან ისტორიას და გზადაგზა უსაზღვრო პატივისცემის, სიხარულის და მოწიწების გრძნობით ვღღესასწაულობთ შორეულ დროთა წიაღიდან მოელვარე დღეებს.

მუდამგზნებარე უკვდავებით შემოსილ თარიღებს ჩვენ სიამაყით ვაჩირადნებთ დიდი სამშობლოს ძლევაშობილ ცის კაბადონზე, სადაც უამრავ გაბრწყინებულ მნათობთა შორის ქართული კულტურის ვარსკვლავებიც ნათელკრთომით ელვამძლავრობენ.

და აი, ჩვენი ცხოვრება დაუსრულებელ ზეიმების წყებად გადაქცეულა: ვერ ვასწრებთ ერთი შედაფნული იუბილეს გადახდას, რომ მეორე, გარდასულ დროთა უკულმართობით მივიწყებული, ხოლო ჩვენი ეპოქის შარავანდელით აღმოჩენილი დღე გვიტენდება... ჩამოხვე ფურცელს ჩვენი ცხოვრების დიად კალენდარს და ხვალინდელი დღის ბრწყინვალეობა შემოგანათებს.

ასე ავუგეთ ჩვენ დიდების უკვდავი ძეგლი სახელოვან პუშკინს, დიდ მესიტყვეთა საგანძურში მივეცით ბინა ჭავჭავაძეს, იგორის მოლაშქრეებს ვუთხარით სიტყვა, საუკუნეთა წიაღიდან გამოვიძახეთ აზრის, სიტყვის და სილამაზის უბადლო ჯადოქარი — დიდი რუსთაველი და დღეს ქართული კულტურის მრავალსახონად მოგიზგიზე კე-

რის — თბილისის უნივერსიტეტის სხივებშემოსილ იუბილეს ვდღესასწაულობთ.

საუკუნეთა ხანგადასულ ნაოქებიდან გვეხმაურება სახელოვანი იუბილარის შორეულ წინაპართა ზვიადი წყება — ისმის სიტყვები დარხეული იყალთოს მაღალ, გრანიტოვან კათედრალებთან და კართიან გელათის სვეტნარების მსუბუქი კამარები.

ნათლად გვესახება ჩვენი დიდი კულტურის უსწორმასწორო გზის ზედაპირი, სადაც მწვერვალებს უფსკრულები ენაცვლებიან, მზეს ახლავს ჩრდილი, სხივებს — ნაპრალი, მაგრამ საერთო წინსვლა-აღმავლობით ხასიათდება. რაც ცხოველმყოფელ ზოლივით გასდევს ქართული აზროვნების დაუშრეტელ მომდინარებას.

ასე იზრდებოდა თანდათანობით ქართულ ყამირში დარგული ნერგი — აზრის, კულტურის, მეცნიერების, ხოლო გზადაგზა, უბოროტეს გრიგალების მიუხედავად, ჩვენს ეპოქაში იგი შეფოთლილ, რტოებგამლილ და ნაყოფიერ მცენარედ იქცევა.

ჩვენ უსაზღვროდ შეგვეყვარება მაღალი თაღები იმ თეთრი შენობისა, რომლის სხივშეჭრილ დარბაზებში ცოდნას დავწაფებულვართ და ჩვენი ძვირფასი მასწავლებლების პეშეებით გვისვამს ქართული კულტურის სხეულიდან გადმოჟონილი სიტკბოების ნექტარი.

ასე გვასაზრდობდა ოცი წლის განმავლობაში თანამედროვე ქართული კულტურის ეს ძვირფასი დედა — წარსულის ცოდნას გვინერგავდა, აწმყოს გვაყვარებდა და მომავალი ბრძოლების საჭურველს გვიმზადებდა. ამ საჭურველით მჭევრმეტყველების, პოეზიის და სიხარულის მზით შევმოსილვართ, ვრცელ ფოლიანტებს დავიწყების ფერფლი ჩამოვაცალეთ, საუკუნეთა მღუმარებას გავესაუბრეთ, მიწის წიაღში ჩავიხედეთ და ზეცის თაღები მოვინახულეთ... და ამ ბრძოლებს სასახელო ლეგიონები დღევანდელი იუბილარის კათედრებთან გამოიქედა.

ჩვენი დიდი სამშობლოს ძლევაშემოსილი წინსვლის თავდადებული მოლაშქრეები სიტყვის და აზრის ხანძრებით სწვავენ მზედაბნელებულ გარემოცვის უნიათ კერპებს, მეწინავე კაცობრიობის განთიადებს აჩირალდნებენ და დედამიწის მკერდზე დახლართულ მშრომელთა მილიონების სასიარულო გზებს აშუქებენ.



სიტყვა, თქმული

1940 წლის 28 ოქტომბერს

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში
იაკობ გოგებაშვილის საჯიფო-საიუზილეო საღამოზე

ამხანაგებო!

ნება მომეცით დიდ ქართველ პედაგოგს, საბავშვო მწერალს და საზოგადო მოღვაწეს — იაკობ გოგებაშვილს მივესალმო საქართველოს საბჭოთა, სოციალისტური რესპუბლიკის მასწავლებელთა სახელით.

მე ჩემი სიტყვით, ჩემი მიზრთვით შინდა გამოვხატო იმ ბედნიერ მასწავლებელთა და ხალისიან მოსწავლეთა მაღალი სულისკვეთება, რომელთა საკეთილდღეოდ უნაგაროდ და წარმატებით იბრძოდა იაკობ გოგებაშვილი ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

მე ბედნიერად მიმაჩნია ჩემი თავი, რომ ქართველ ათასეულ მასწავლებელთა და ასიათასეულ მოსწავლეთა უსაზღვრო სიხარულის, სიყვარულის და სიამაყის გრძნობის გამოთქმან მიხდება და ისიც იმ დროს, როცა თავისუფალი, ბედნიერი და ლაღი საბჭოთა ახალგაზრდობა მეცნიერების დაუშრეტელ წყაროს დასწაფებია, ცხოვრებით აღფრთოვანებულ და საქმით გატაცებულ შემომქმედ საბჭოთა მასწავლებლობის ხელმძღვანელობით.

ჩვენ უსაზღვროდ მოხარულნი ვართ, რომ სხვაგან და სხვა დროს მიუწევდომელი სიმალლიდან, რომელზედაც საპატიო ადგილი მიგვიჩინა ლენინის პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ, შრომის არნახული დაფასების, გმირობის, სახელის და დიდების შინაარსით შთანერგვის ეპოქაში, გვიხდება აღზრდა კომუნისტური თაობისა, რომელსაც ისტორიამ ხვედრად არგუნა ასე ძალუმად ზეატყორცნილი სოციალიზმის დროშის საზეიმო ტარება და დაუხრელად ფრიალი.

ამჟამად ეს თაობა და მისი მასწავლებლობა განუსაზღვრელი მოწიწების, მოკრძალების და პატივისცემის გრძნობით თავდახრილია, მე-19 საუკუნის სახელოვანი პედაგოგის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილის და დიდი ქართველი პოეტის ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლის იაკობ გოგებაშვილის დაუვიწყარი აჩრდილის წინაშე.

საუკუნეთა განმავლობაში, მტერთა დაუსრულებელი ურდოები ამსხვრევდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივ სხეულს და იტაცებდნენ ქართველი ხალხის კულტურის საგანძურებს. ქართველი ერი საკუთარი მკერდით იცავდა მშობლიურ მიწა-წყალს და კავკასიონის ქედთან ბედით შერკინული გადაულახავ სიმაგრედ იდგა ევროპის ყელის საგუშაგოსთან.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მებრძოლთა ურთიერთობა და ბრძოლის ტაქტიკა შეიცვალა: წინათ ებრძოდნენ და არბევდნენ ქრისტიანობას, როგორც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მთლიანობის ნიშანს, ახლა სარწმუნოებას რუსეთის სახით დამცველი აღმოუჩნდა, სამაგიეროდ, ბრძოლა გამოეცხადა მშობლიურ ენას, ქართულ კულტურას, როგორც საქართველოს ეროვნული მთლიანობის საფუძველს. დასრულდა ქრისტიანობის დაცვის ხანგრძლივი და სისხლიანი პერიოდი, დაიწყო ქართული ენის დაცვის უსისხლო, მაგრამ უმკაცრესი ბრძოლა. ბრძოლის ცენტრებმა გადაინაცვლა. შამქორი, მარაბდა და კრწანისი შესცვალა „ცისკარმა“, „საქართველოს მოამბემ“, „კვალმა“ და „ივერიამ“. ამ უსისხლო, მაგრამ მკაცრი ბრძოლის დიდი მეგზური და მეწინავე სარდალი იყო ილია ჭავჭავაძე, ამ სარდლის მარჯვენა ხელი და გვერდის დამამშვენებელი იყო იაკობ გოგებაშვილი.

მათ ყველაზე უკეთ იცოდნენ, რომ საქართველოს ფიზიკური არსებობის შენარჩუნება მარტოოდენ სულიერი კულტურის განვითარებით იყო შესაძლებელი. ამიტომ ეძახდნენ ისინი ცოდნას მაღლიან წინამძღოლს და სკოლას ამ მაღლიანი წინამძღოლის გაჩირაღდნებულ კერას. ილია ჭავჭავაძის ბრძნული სიტყვები ეწერა ცოდნის ამ მოგიზგიზე კერას: ცოდნა მაღლიანი წინამძღოლია, — ამბობდა იგი, — ცოდნა ისეთი საუნჯეა, რომელიც საცა წახვალ თან წაგყვება უხარჯოდ და უბარგოდ; ცოდნა ისეთი დოვლათია, რომელიც, რა გინდ ბევრი გაუნაწილო სხვას, შენ არა დაგაკლდება რა, თუ არ მოგემატება. ცოდნა ანთებულ სანთელსა ჰგავს, ერთ სანთელზე ათას სხვა სანთელს, რომ მოუციდო, ამით პირველს ძალა არ დაეკარგება, პირიქით, მოემატება

კიდევ. ცოდნა კიდევ იმითი ჰგავს სანთელს, რომ, რა გინდ ცუდათაც ბუჭტავდეს, მოყვარეს აიშენებს და ახალისებს, ხოლო მტერს აშინებს და აფრთხობს. ცოდნა მარტო იმით არ ჰგავს სანთელს, რომ ეს უკანასკნელი, როცა იქნება ჩაიწვება და ჩაიფერფლება, ხოლო ცოდნა არასოდეს: იგი მამიდან შეიღზე გადადის, შეილიდან შეილიშვილზე და ასე დაუსრულებლად...

ცოდნის ეს დიდი ძალა და ფართო მნიშვნელობა შესანიშნავად იცოდა იაკობ გოგებაშვილმა, ამიტომ იბრძოდა ის სახალხო სკოლის ასაყვავებლად, რომლის საფუძვლად მშობლიურ ენას, ამ ბურჯს ეროვნებისას, აცხადებდა. მან ყველაზე უკეთ იცოდა, „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, მოეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას“. იაკობ გოგებაშვილი ემყარებოდა ფესვებს, საფუძვლებს, ნიადაგს, მიწას. მას ესმოდა ქართველი ხალხის ძალა და ღონე, მას სჯეროდა იმ ხალხის, რომელმაც მძიმე ბრძოლისა და შრომის პირობებში, სისხლის, ოფლის და ცრემლის ღერის პირობებში გამოჰკვეთა მზიური მიწის კლდოვანი ქარაფები, დაუნგრეველი ყორების წყება შემართა და საუკუნეთა საკვირველებად დასდგა შენების, შემოქმედების და უკვდავების ძეგლები: ვარძია, სვეტიცხოველი, გელათი, თმოგვი და მათ დაუნგრეველ კედლებზე დააწერა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“. მას სჯეროდა იმ ქართველი ხალხის, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში წმინდად ატარა მაღალი დროშა ეროვნულობის, ხალხურობის, კეთილშობილების და კაცობრიობის უქცნობი იდეალების.

იაკობ გოგებაშვილმა შეიცნო სიტკბო და სიმდიდრე ჩვენი მეტყველების, შეისისხლხორცა აზრი და სიღრმე ჩვენი წარსულის, შეითვისა სილამაზე ჩვენი ბუნების, ყოველივე ეს შექრა ერთ უქცნობ, ფერ-უცვლელ სურნელოვან თაიგულად და „ღედა ენა“ უწოდა მას; იაკობ გოგებაშვილმა გახსნა კარები საიდუმლოებით მოცული ბუნებისა და იმას, რისთვისაც ბუნების გრანდიოზული ტაძარი უნდა ეწოდებინა, მისთვის ჩვეული თავმდაბლობით, მხოლოდ „ბუნების კარი“ უწოდა. იაკობ გოგებაშვილმა ამოიკითხა საქართველოს მკერდზე დაჩენილი დიდქართველთა წარუშლელი ნატერფალები, გაშალა ვრცელი და ფერ-მკრთალი ფოლიანტები, აამეტყველა სისხლიანი კორდების წყება და ქართული ენის სადღეგრძელო შესვა მშობლიური ლექსების ნექტარაჟ სავსე აზარფეშებით.

იაკობ გოგებაშვილი ხალხის დაუღალავი მსახური იყო. მან ხალხს შესწირა მისი მრავალმხრივი, ნაყოფიერი და შინაარსიანი ცხოვრება...

და მე, საბჭოთა პედაგოგი, გოგებაშვილის შორეული და ბედნიერი მემკვიდრე, ვდგავარ დღეს თქვენს წინაშე, საბჭოთა საქართველოს წინაშე, ჩვენი დიდი და უძლეველი სამშობლოს წინაშე და საფლავში მოუსვენრად და უკმაყოფილოდ ჩასულ იაკობ გოგებაშვილს რამდენიმე სიტყვით მისთვის სასიხარულო ცნობებს ვაწვდი: დაუბრუნებლად და სამუდამოდ გაქრა ის დრო, როცა გვართმევდენ მშობლიურ ენას და ჩრდილი ადგა რუსთაველის მეტყველებას. დაუბრუნებლად და სამუდამოდ გაქრა ის დრო, როცა გვთელავდნენ, შეურაცხყოფას გვაყენებდნენ, გვაკინებდნენ და გვანადგურებდნენ, დაუბრუნებლად და სამუდამოდ გაქრა ის დრო, როცა უდროოდ და მოულოდნელად იღუპებოდნენ პუშკინები, ლერმონტოვები და ბელინსკები, ხოლო ასწლობით ცოცხლობდნენ ბნელეთის შავი მოციქულები კატკოვები, იანოვსკები და სხვები.

ახლა პირიქით ცოცხლებიან პუშკინები, შეეჩენკოები და რუსთაველები... მაშინ მარხავდნენ და ანადგურებდნენ ჩვენს საუნჯეებს, ახლა საქართველოს მკერდი გადავთხარეთ და მიწის გულიდან ვიღებთ ჩვენი კულტურის დაკარგულ საგანძურებს, მაშინ ცოცხლად მარხავდნენ იაკობ გოგებაშვილს, ახლა დამარხულს მიწიდან ვიღებთ და ვაცოცხლებთ.

ნარ-ეკლით იყო მოფენილი იაკობ გოგებაშვილის შინაარსიანი და ლამაზი ცხოვრების გზა. მაგრამ ამ გზაზე შეუღრეკლად მოსიარულეს გააჩნდა იმდენად დიდი და სანუკვარი მიზანი, რომ იგი მზად იყო თვით ეს ლამაზი სიცოცხლე შეეწირა უფრო ლამაზი ამოცანისათვის. დიდ ქართველ პედაგოგს — იაკობ გოგებაშვილს კარგად ესმოდა, რომ ძალით მოხვეულ ბნელ სუდარაში იძულებით მოქცეული ხალხის გასანათლებლად, ერთი ადამიანის, თუნდაც ასეთი შინაარსიანი, სიცოცხლე არ კმაროდა. როგორც ერთი სანთელი არ იკმარებდა საქართველოს ბნელი ხეების გასანათლებლად, მაგრამ მას მისი დიდი და უკვდავი თანამედროვეების ილიას და აკაკის ძალა აღფრთოვანებდა და მათი მსგავსი მოღვაწეების გამრავლების იმედი ასულდგმულეებდა. ფართო მიზნებით, იმედებით, შემოქმედებით მიიკვლევდა იგი გზას ბრძოლის ვრცელ ასპარეზზე და საშვილიშვილოდ სტოვებდა სახელს შთამომავლობის სადიდებლად, სიკეთის ძეგლად, მშობლიური ხალხის საზეიმოდ. ქართული ენის სასიქადულოდ.

ასეთი იყო საქართველოსთვის მშობლად ქცეული ამ ქართველის დედის ნანასავით ტკბილი დედა ენით გაბრწყინებული და უჩრდილო

მოდვაწობა. ის გვასწავლიდა, ის გვარიგებდა, ბნელსა და მწუხარში ინარჩუნებდა ერის სიწმინდეს, განათლების სხივებით სპობდა უფსკრულის მაცნეს და დაცემული ქვეყნის აღსადგენ დედაბოძად დედანას ხვეწდა, ჰკვეთდა და ანვითარებდა, ის ინახავდა რუსთაველის ტკბილ მეტყველებას. ხალხის დაჩაგრულ გულს მახლობელით, ნაცნობით და გასაგებით აცოცხლებდა, ბნელით მოსილ დროს აზრიანს ხდიდა და ნაღვლიან ბავშვობას ახალისებდა. ქართველი ხალხის დიდი მშობელი, თვითონ უშვილო და უოჯახო, მაგრამ მილიონი ბავშვის პატრონი, მისი მრავალრიცხოვანი ოჯახის სულიერ საზრდოდ ხალხის გონების ჰირნახულს იყენებდა და დედაენით ნანას გვეუბნებოდა, მაგრამ არა დასაძინებლად, არამედ როგორც იღია იტყოდა, გასალვიძებლად და გასამხნეველად.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში უტარებია მას მშრომელი ხალხის გულისწადილით ნასაზრდოები ძლიერი დროშა განათლების, განვითარების, კულტურის და შემოქმედების. უამრავ ბავშვს აუდგამს ენა მისი პირველი სიტყვით და გონებრივი განვითარების საცალფეხო გზას დასდგომია მისი მშობლიური შემწეობით და სულიერი საგზლით... გადაულახავს დროის მძიმე დაბრკოლებანი, უვლია ფართო ცოდნის საძებრად, გახარებულა ყმაწვილთა კარგი სწავლითა, გახალისებულა ყაყაჩოების სიწითლითა და ტკბილი ლექსების მოსმენით...*

* ამის შემდეგ დედანში იკითხება ის მკვერმეტყველური დასასრული, რომლითაც ბოლოვდება ლექცია „იაკობ გოგებაშვილი“ („საქართველოში ორი წიგნი იყო... უცრემლო თვლებით კითხულობდნენ „ვეფხისტყაოსანს“).



სიტყვა, თქმული

1946 წლის 1 ივლისს

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში
ანასტასია ერისთავ-ხოშბარიას საიუბილეო საღამოზე

ამხანაგებო!

ნება მომეცით, უწინარეს ყოვლისა, სიამოვნებით აღვნიშნო ჩემი საპატიო და მაღალი ხვედრი, რომ ამ ზეიმზე წილად მხვდა, მცირე სიტყვით ვიყო ათასეულ მკითხველთა აზრის გამომხატველი და მადლიერებით აღმნიშვნელი სახელოვანი მწერალი ქალის ანასტასია ერისთავ-ხოშბარიას დიდი ღვაწლის და ხანგრძლივი დამსახურებისა.

დღევანდელ საზეიმო გარემოში, როცა ქართველი მკითხველი აღტაცებით გამოხატავს თავის სიხარულს, სიყვარულს და მადლიერებას, რაც ჩვენ გვარგუნა დღევანდელმა იუბილარმა თავისი მორცხვი და უხმაურო შემოქმედებით.

გულწრფელი, უანგარო და ნათელი ხელოვნების სამყაროთი ის წარმატებით ზრდიდა და თავს ევლებოდა კულტურის გზაზე ფეხადგმულთ, რომელთაც ასე სჭირდებოდათ სულიერი შველა და მორალური დახმარება.

ყველამ იცის, ფიზიკური მშობლების გვერდით ჩვენს ახალთაობას მე-19 საუკუნეში ჯერ სულიერი მშობელი დაუვიწყარი იაკობ გოგებაშვილი ევლინებოდა მეკვლედ და მეგზურად და შემდეგ დიდი მწერლების — ილიას, აკაკის და ვაჟას შთაგონების წყაროდან მომდინარე ბევრი ქართველი მწერალი, რომელთა შორის ერთი მნიშვნელოვანთაგანი არის ანასტასია ერისთავ-ხოშბარია.

ულამაზესი ქართული პედაგოგიური ლირიკის გოგებაშვილის „ღე-

და ენის“ დაძლევის შემდეგ ჩვენში ხშირად „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობდნენ, მაგრამ აღმოჩნდებოდა თუ არა, რომ საჭიროა მათ შორის გარდამავალი საფეხური ჩვენი ახალგაზრდობა ხარბად ეწაფებოდა ახალ ქართულ მწერლობას, რომლის ღირსეული მონაწილეა ანასტასია ერისთავ-ხოშტარია.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი იუბილარის სიტყვაკაზმული ქმნილებანი დაახლოებით თანაბარი ინტერესით და გულისყურით იკითხებოდა და იკითხება, როგორც სიჭაბუკის, ისე ქარმაგობის ქაშს. მოზარდთათვის იგი არ არის სიმძიმით დაუძლეველი და გაზრდილთათვის სიმსუბუქით მოსაწყინარი. ეს არის მხოლოდ, რომ აღრეული მოჭარბებული ქრუანტელი შემდეგ გზას უთმობს ჰკუაღამჯდარ ზომიერ განცდებს.

ჩვენ ყველას გვახსოვს „მოლიბული გზის“ განცდების სამყარო, „ბედის ტრიალის“ უკუღმართობანი, „ეკლესიის გარშემო“ გამართული ბრძოლა...

აქ საქართველოს მახლობელი წარსულის სოციალური უკუღმართობა და მრავალი სახის ჩრდილებია წარმოდგენილი; აქ არის ჩვენი ჩამორჩენა, სიღარიბე, უსწავლელობა; უსამართლობის ზეიმი და ძალმომრეობა; უღირსთა დაბალი სიხარული და ღირსეულთა მაღალი მოთქმა; მაგრამ აქვეა ხვალინდელი იმედის სხივი და მისთვის დიადი ბრძოლის ჩანასახი; არის ნიშნები — ძირს დასცემენ უკანონობის ძალმოსილებას, მაგრამ ყრუდ ისმის გოდების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ძახილი.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია მხატვარია და უაღრესად საჭირო მხატვარი.

ის სხვებთან ერთად მეზარე იყო დიდი მომავლის და ბევრზე იმით ბედნიერია, რომ მათთვის საოცნებო მომავალი მისთვის საქმედ ქცეულ აწმყოდ გადაიქცა. ეს დიდებული აწმყო აფასებს და შესაფერის ჯილდოს მიუზღავს დღეს უხუცეს ქართველ მწერალს — შრომით ვალმობილს და ამავმოსილს, რომელსაც ახლა, ალბათ, მხოლოდ ის აწუხებს, რომ უბედურების ქაშს მის მახლობლად მეზობლი მწერლები — ნინოშვილი, ევდოშვილი, ლალიონი, ლომთათიძე და სხვები ბედნიერების ქაშს მის სიხარულს ვერ იზიარებენ.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას შემოქმედების თემა ცხოვრებაა, ცხოვრება თავისი ლამაზი და მახინჯი მხარეებით, მაგრამ არა ღრმა, უხილავი და ძნელად მისაწვდომი მოვლენებით, არამედ მისი ხილული

გარემოთი, მზით განათებული ზედაპირით. ანასტასია ხოშტარია ცხოვრების ზედაპირის მხატვარია; იგი არ ეძებს მის ფარულ ხვეულებს, ბნელ კოლიზიებს, რთულ მომენტებს; ის კმაყოფილდება ბუნებრივად წარმოდგენილი ცხოვრების ბუნებით; მისთვის ყოფიერებას არ აქვს ორმაგი განზომილება; აქ ცხოვრება სიბრტყეშია დაჭერილი და ასახული და არა სიღრმეში; მაგრამ ეს სიბრტყე და ზედაპირული ბილვადობა ისეთი სისრულით და სისადავით არის დახატული, რომ მკითხველის წინაშე ამ „პატარა ამბებში“ მოცემულია დიდი ცხოვრების ყველა ნიშანი, როგორც ერთ წვეთ ზღვის წყალში შეიძლება წარმოდგენილი იქნეს უზარმაზარი ზღვის ნიშანდობლივი მხარეები.

აქ ამოდ მოსძებნით ხელოვნურ ორნამენტებს, ხვეულ ჩუქურთმებს, შეზავებულ სურნელებას. წინ წამომდგარა წარმტაცი სისადავე, უბრალოება და ბუნებრივობა.

ანასტასია ხოშტარიას ლიტერატურული ქმნილებანი რიყის ქვებიდან აგებული საქართველოს მკერდის ბორცვებზე ამართული მკვირივი ციხეებია და არა რომელიმე სვეტიცხოველი — ეს თლილი ქვების მუსიკალური სიმფონია. მისი მოთხრობები უპრეტენზიო და შეუფერავი კოშკებია, ხშირად საკუთარი საყრდენი კლდისაგან რომ ძნელად განირჩევიან, მათ მსგავსად რუხია, მრუშე, მღუმარე, მაგრამ ბევრის მთქმელი.

საქმეში ღრმად ჩახედულებმა იციან ფასი ამ სიმარტივის და ენა ამ მღუმარების. მას იშვიათად ნახულობენ, მაგრამ მთელი არსებით მარად მისკენ მიისწრაფიან. ასეთია ანასტასია ხოშტარიას მოთხრობები — ისინიც მათი საყრდენი ცხოვრებისაგან ბევრით არ განირჩევიან, მაგრამ ნამდვილი ცხოვრების ყოველი მოტრფიალე სიამოვნებით შეჩერდება და მოკრძალება-მოწიწებით დაისადგურებს მათ გასაცნობად და შესათვისებლად.

აქ ადამიანური სამყაროა წარმოდგენილი — ეს პატარა, მაგრამ დიდის დამახასიათებელი ნაწილი. ამ სამყაროში ყოველი მაღალი ადამიანი ცხოვრობს წარსულის მოგონებით, აწმყოს განცდით და მომავლის იმედით. და ნამდვილი ადამიანი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმას, ვისაც წარსულში გააჩნია რამ ღირსი მოგონებისა, აწმყოში — განცდის მასალა და მომავალში შორიდან შენიშნული იმედის სინათლე. ჩვენი არსებობის სამივე მხარეს პასუხობს ანასტასია ხოშტარია თავისი კდემამოსილი შემოქმედებით. ყოველი დაკვირვებული და გულისხმიერი მკითხველი აქ ნახულობდა და ნახულობს გუშინდელი

დღის მოგონების მდიდარ წყაროს, დღევანდელი განცდის სამყაროს და ხვალისდელი იმედის საფუძველს. ერთიანდებოდა ეს მხარეები სხვადასხვა თაობის წიგნის და სიტყვის მოყვარულებში და ყოველი მათგანი ხანგრძლივად იკვებებოდა კეთილშობილი სულიერი საზრდოთი, რაც შეზავებული იყო ტკბილი წარსულით, გმირული აწმყოთი და ბედნიერი მომავლით. მაგრამ იგრძნობოდა, რომ წარსულის სიტყბო იყო მოჩვენებითი და პირობითი, ხოლო მომავლის ბედნიერება გარდაუვალი და აუცილებელი.

ამ საზრდოთი აღზრდილა ყველა, ვისთვისაც მუდამ ძვირფასი იყო ჩვენი კულტურის მდიდარი ტრადიციები და ფართო პერსპექტივები; ვინც ხარბად ვეწაფებოდით ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლამაზ სიტყვებად ქცეულ ღრმა ფიქრებს და მათი სკოლის მიმდევართა აზრთა წყობით და სიტყვაკაზმულობით ვსტკებოდით, ვიზრდებოდით და ვიარაღდებოდით.

და აი, დიდი ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული სკოლის ერთი უკანასკნელი მოპოკანელი — ჩვენი დღევანდელი იუბილარი ზრდიდა ჩვენს სიკბაბუკეს და აჩქარებდა დაეაყვაცებას. აქ არის ჩვენი ბავშვობის რომანები, თავგანწირული მეგობრობა, სამშობლოს სიყვარული, მოყვასის დაცვა, გულუბრყვილო ტრაგედიები და გატაცება, განუსაზღვრელი გატაცება მაღალით, დიადით და კეთილშობილურით. აქ არის პატარა ადამიანების ქეთინოს და ოქროს დიდი სიყვარული, ჩვეულებრივი კაცის მამა იოსების ღრმა განცდები, უმწეო ციციოს უთანასწორო ბრძოლა... ყოველი მათგანის ისტორია საზრდელი რძის, განმაახლებელი ცრემლის და განმამტკიცებელი სისხლის მაგივრად მდინარებდა ადამიანთა არსებაში.

სახელოვანი ქართველი მანდილოსანი დედობას სწევდა მის სამშობლოში. ის აღმზრდელია — ტკბილ იავნანათა და მზრუნველ რჩევადარიგებათა ავტორი, ქართველი დედა, ფაქიზი და მოამაგე მანდილოსანი.

შორიდან იღებს ფესვებით საზრდოს ეს ქალურობა ჩვენს ქვეყანაში — ნინოს, თამარის, ქეთევანის და სხვათა სამშობლოში, იმ ქვეყანაში, სადაც დედები საკუთარ თმებში ხვევდნენ უსახლკაროდ დარჩენილ ბავშვებს, თვითონ უსამართლობის მსხვერპლად ეცემოდნენ, მაგრამ შვილებს იმავე უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის ანდერძს უტოვებდნენ, ან ცრემლებით ცოცხლობდნენ და ბრძოლის ველზე დაცემულ პირმშოებს იმის მიხედვით სტიროდნენ, თუ სად ჰქონდათ

მომაკვდინებელი ჭრილობა: მკერდში — გმირული, თუ ზურგში — სამარცხვინო.

ამ დედების შორეული მემკვიდრე, დღეს ბედნიერ დედათა ერთი მრავალთაგანის სახეა ანასტასია ერისთავ-ხოშტარია. მათ გაგზავნეს ქართველი ვაჟკაცები ახლახან დაყუჩებულ სამამულო ომის მრისხანე ბრძოლის ველებზე; ეს მათ მოიგეს ძღვევამოსილად სისხლის მოტრფიალეთა სამარადუამოდ დამამხობელი შერკინება; ეს მათ აღმართეს დროშები რაიხსტაგზე; მათ გაიარეს სისხლიანი გზა ბერლინამდე, რომ უკან ვარდ-ყვავილებით დაფენილი გზით დაბრუნებულიყვნენ.

ქართველ ისტორიკოსს უკვირდა ერთ დროს, ჩვენი აღზევების დიად წარსულში, ქართველი დედის შვილებმა დროშა აღმართეს შორი მარალისა და ყაზვინის ცის ქვეშ. ესოდენ ძლევიტ შეწრფებოდა იგი, რომ ეხილა ასეული ქვეყნის შუაგულში აღმართული საბჭოთა დროშა, რომლის ჩრდილს კი არ აფარებს თავს თანამედროვე საქართველო, არამედ ასეულ გამარჯვებათა მონაწილეა.



თბილისს — დაარსებიდან 1500 წლისთავის გამო

ჩვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ათასხუთასი წლის მანძილზე თბილისი წარმოადგენს ქართველი ხალხის ეროვნული ერთიანობის ურყევ საფუძველს. საქართველოს დაშლილობის უამს ის თავისკენ იზიდავდა ქვეყნის გამაერთიანებელ ძალებს, ხოლო მთლიანობის დროს თავისი წიაღიდან განფენილი ძალით ამაგრებდა ხალხის ერთიანობას. თბილისი — ერის მთლიანობის ეს ისტორიული კერა — იყო და არის საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ცენტრი, საიდანაც დაუშრეტელი შემოქმედების შთამაგონებელ ნათელს იღებს მთელი ჩვენი ქვეყანა.

საქართველოს სახელოვან დედაქალაქს თავისი არსებობის ხანგრძლივ მანძილზე უნახავს და გამოუცდია ყველაფერი, რაც თავს გადახდენია მსოფლიო მნიშვნელობის რომელიმე ადგილს მორწყულს დამცველთა სისხლით და მოკირწყლულს მოყვარულთა ძვლებით; თბილისს უნახავს ნგრევა და შენება, ომი და მშვიდობა, ცეცხლი და მიწისძვრა, გარემოცვა და ტყვეობა, გამარჯვება და ზეიმი. იგი, როგორც ქალაქი, შრომასა და ბრძოლაში წარმოიქმნა, ოფლსა და სისხლში განიბანა, საუკუნეთა ხანძრებში გამოიწროთ, და დღეს გამარჯვებული, თავისუფალი და ძლევაშობილი ზეიმობს თავისი არსებობის ათას ხუთას წლისთავს.

მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზებზე მდებარე ქრისტიანული აღმოსავლეთის მეთაური და ევროპისა და აზიის ხმელეთით შემაერთებელი ქალაქი დიდხანს წარმოადგენდა წინა აზიის უმნიშვნელოვანეს კულტურულ ცენტრს, საიდანაც სწავლა-განათლებისა და აღორძინების სხივები ეფინებოდა კაცობრიობის დიდ ნაწილს. ეს ნა-

წილი მოიცავდა მოსაზღვრე ბიზანტიას, მახლობელ აღმოსავლეთს, იმპერკავკასიას, შუა აზიის ქვეყნებსა და ევროპის სამთავროებს.

აღმოსავლეთის რენესანსის მებაიარატრე — ჩვენი თბილისი — ქმნიდა კულტურის ისეთ შედეგებს, როგორცაა სიონის ტაძარი, აბო ტფილელის წამება, მოდრეკილის საგალობლები და ჰიმნოგრაფთა სიმფონიები. გამოხდა ხანი, და საქართველოს დედაქალაქმა შუა საუკუნეების წყვილიად გააშუქა პეტრიწონელის აზროვნების, ოპიზარების ოქრომკვედლობის, ყინწვისის ფრესკებისა და „ვეფხისტყაოსნის“ ტკბილ-ქართულის ბრწყინვალეობით. მათი ნაწილი იქმნებოდა თბილისის გარეთ, მაგრამ ყოველი მათგანის შემოქმედებითი შთამაგონებელი იყო თბილისი — საქართველოს დედაქალაქი.

იგი ხშირად სულგანაბული და მოჩვენებით უმოძრაო იწვა მტრის ფეხქვეშ, ხანძრების ალში იფერფლებოდა და მსახვრალი ხელით ინგრეოდა, მაგრამ მაშინაც, არსებითად, ძალას იკრებდა და ხელახალი აღდგენისთვის ემზადებოდა.

ვის შეუძლია ჩამოთვალოს თბილისისათვის წარმოებული ბრძოლები, მისი დაცემა-დამარცხებანი და მისივე აღდგენა-გამარჯვებანი! დედამიწაზე არ არის მეორე ქალაქი, რომელიც ამდენჯერ დაფერფლილიყოს და ამდენჯერმე ნაცრიდან მკვდრებით წამომდგარიყოს! ერთი შემთხვევა იქმარებს სამაგალითოდ:

დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლებამდე საქართველოს სატახტო ქალაქი 400 წლის განმავლობაში მტრის ხელში იმყოფებოდა. 32 წლის მანძილზე იბრძოდა მეფე თბილისისათვის. ბოლოს ძირს დასცა თურქ-სელჯუკთა ძალმოსილება და სანატრელი მშვიდობის ნიშნად ბრძოლებში ხანდაზმული ხმლის ჩაგება მოინდომა ქარქაშში, მაგრამ — მემატინის სიტყვით — „ფრიადისა ცემისაგან ხრმაღმანცა დაღვლარქნილმან უარჰყო ქარქაში თვისი“, ე. ი. ზედმეტი ცემისაგან დაგრეხილი ხმალი აღარ ჩავიდა თავის ბუდეში.

ასეთმა თავდადებამ და სიყვარულმა გადაარჩინა საქართველო და მისი გული — თბილის-ქალაქი. მას იცავდა პატარა ქვეყნის დიდი სიყვარული — ქართული პატრიოტიზმი, რომელიც — იაკობ გოგებაშვილის თქმით — „ნაზია, როგორც კაკლის ხე, ღრმა, როგორც მისი ფესვები, მძალი, როგორც მისი წვერი, მის ტოტებსავით განიერი და მის კოკრებსავით ნაყოფიერი“.

ამიერიდან ქვეყანაზე არ არის ძალა თბილისის შემზღვეველი. თუ მას წარსულში იცავდა საქართველოს მგზნებარე სიყვარული, აწმყო-

სა და მომავალში მფარველობს და დაიცავს საბჭოთა ხალხის უძლეველი ძალმოსილება და მხურვალე პატრიოტიზმი.

ასეთი აღმოჩნდა ამ ხანმოთეული, მარადიული ქალაქის ხვედრი.

ყოველივე ამისათვის ქართველმა ხალხმა თბილისს საკუთარ სახელად შეარქვა ქალაქი და ამით გამოარჩია იგი საქართველოს სხვა ქალაქებისაგან. ჩვენში დღესაც გაიგონებთ სიტყვა ქალაქს თბილისის მნიშვნელობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ადგილმა შეიძინა ყველა ქალაქის ნიშანდობლივი ღირსება და ერის ცნობიერებაში დამკვიდრდა იგი, როგორც უძვირფასესი წმინდა საეანე.

თ ბ ი ლ ი ს ი ქართველი ხალხის წმიდათაწმიდა ქებათაქება და სახელთა სახელია!



არნოლდ ჩიქობავას — დაბადებიდან 60 წლისთავის გამო

ჩვენი ეროვნული კულტურის ნათელ დღესასწაულებს ამიერიდან დაამშვენებს კიდევ ერთი დაუვიწყარი თარიღი, რომლის წარუშლელი კვალი სამუდამოდ აღიბეჭდება საქართველოს მარად ცოცხალ მეხსიერებაში.

დღეს მადლიერი სამშობლო ჭაღარამოსილ თავს ხრის სახელოვანი შვილის წინაშე, რომელმაც მეტად შორს გაუთქვა სახელი მშობლიურ მეტყველებას, რომლის მწყობრი დინება, კეთილზმოვანი ჟღერა და მდიდარი ბუნება ყველა მსურველისათვის გახადა გონებით მისაწვდომი, გულით საგრძნობი, თვალთ საჩინო და ყურით მოსასმენი.

მეცნიერ მამულიშვილთა, მათ შორის არნოლდ ჩიქობავას, კვლევისა და აზროვნების წყალობით ჩვენთვის ცნობილია, რომ ორი ათასი წლის მანძილზე ქართული ენა წარმოადგენს ქართველთა ეროვნული ერთიანობისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის უმნიშვნელოვანეს კულტურულ ფაქტორს. წარსულში, ყველა სოციალური ფორმაციის დროს, და დღეს, გამარჯვებული სოციალიზმის პირობებში ქართველი ხალხის დაუშრეტელი სულიერი ენერჯის პირამუო და უდიდესი მონაპოვარი — დედაენა, ეს ბურჯი ეროვნებისა — იყო და არის ჩვენი ნაციონალური ცივილიზაციის მამოძრავებელი ძალა და გამომხატველი ფორმა.

ამ ძალისა და ფორმის აზრი, მათი დიდი მნიშვნელობა და მაღალი დანიშნულება კარგად ესმოდათ ყოველი დროის მოწინავე ქართველებს.

მათ შორის X საუკუნის გამოჩენილი მწერალი გიორგი მერჩულე, რომლის მართებული თქმით „ქართლად ფრიადი ქუეყანამ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და

ლოცვად ყოველი აღესრულების“; აქვეა იოანე სინაელი, რომელმაც ქართულს უწოდა „შემკული და კურთხეული“; აქ არის მეთერთმეტე საუკუნის ცნობილი ისტორიკოსი ლეონტი მროველი, ვინც შორეულ წარსულში ხედავდა იმ დროს, როცა ჩვენში „არაღარა იზრახებოდა სხუა ენა... თვინიერ ქართულისა“; აქვეა დიდი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, რომელიც ქართულს მიიჩნევდა მორთულ და მოკაზმულ მეტყველებად; აქ არის უკვდავთა შორის ყველაზე დიდი — შოთა რუსთაველი, რომელიც „ტკბილ-ქართულს“ გულისხმობდა, ოდეს ბრძანებდა: „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“.

ამ ენაზე არის შექმნილი მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, რომლის სიტყვიერი ფორმა დღეს საგანია ჩვენი აყვავებული ენათმეცნიერებისა. ამ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერების დაუღალავი მესვეური არის არნოლდ ჩიქობავა.

ის აღიზარდა, დავაჟკაცდა და შეივერცხლა ამ შენობაში. აქ, ამ სასახლის ნათელ დარბაზებში აღმოჩნდნენ კარგი მთქმელები და კარგი გამგონენი. გამგონეთა შორის უკეთესნი ჩქარა ჩადგნენ მთქმელთა რიგებში და გაჩაღდა დიდი მუშაობა, რომლის სულისჩამდგმელები იყვნენ, არიან და იქნებიან: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე. აკაკი შანიძე, დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, ანდრია რაზმაძე, სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია და სხვები.

სახელოვანთა ამ პლეადაში ბრწყინავს ჩვენი დღევანდელი იუბილარი.

დიდო მეცნიერო და ადამიანო!

თქვენ მიაკვლიეთ და მზის სინათლეზე გამოიტანეთ დროთა სიღრმეში ჩაძირული ფესვები ქართველური ენებისა; თქვენ აღმოაჩინეთ იბერიულ-კავკასიური ენების ურთულესი კონსტრუქციები და მისაწვდომად გააშუქეთ მათი ბუნება; თქვენ გაუხსენით გულები ენებს და შედარებით ლექსიკონებში მოათავსეთ მათი შეუდარებელი სამკაულები; თქვენ დაადგინეთ თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები და თანმიმდევრული სახე მიეცით მეტყველებას.

ვფიქრობ, საკმარისია!

ჩვენ ჩამოთვლაც გვიძნელდება, რაც თქვენ გიკეთებიათ.

საქმე ღალადებს აქ უმეტეს უმძლავრესი სიტყვისა. უკეთ, სიტყვისა და საქმის განუყოფელი ერთიანობის ზეიმი ამაგმოსილი მეც-

ნიერის მთელი ცხოვრება — ამაგმოსილის, მაგრამ არა ვალმოხდილი-
სა. ცხოვრების გზა და შემოქმედების სარბიელი ისევ წინ არის.

დაე, ხანგრძლივი იყოს ამ გზაზე წინსვლა დიდი ადამიანისა!

დაე, ნაყოფიერი იყოს ამ სარბიელზე შრომა დიდი მეცნიერისა!

სახელი და დიდება ჩვენი ტკბილი დედაენის მესაიდუმლესა და
ჩვენი უკვდავი ერის გულთამხილავს — არნოლდ ჩიქობავას!



აკაკი შანიძეს — დაბადებიდან 70 წლისთავის გამო

მაქვს პატივი და ბედნიერება პატარა სიტყვით გამოვხატავდე იმ დიდ სიყვარულსა და მადლიერებას, რაც ჩაუქრობელი სინათლის სახით ანთებულია დღეს ყოველი ჩვენთაგანის სულსა და გულში. ამ უნგარო სიყვარულის წმინდა კერის გამჩაღებელი, ჩვენი დღევანდელი ზეიმის მიზეზი და შთაგონების წყარო, დიდი ქართველი და ქართველოლოგი აკაკი შანიძეა.

ჩვენთვის თანაბრად საამაყოა ამ დეაწლმოსილი მოამაგის, როგორც ადამიანის, ქართველობა, და როგორც მეცნიერის, ქართველოლოგია. აქ არ არსებობს არავითარი გამარჩეველი ზღვარი, და ეს ანიჭებს ამ სახელოვან მეცნიერს შეუცილებელ ადგილს ჩვენი თანამედროვე კულტურის სარბიელზე.

უთვალავ მოსწავლეთა მასწავლებელი, ათასეულ მოღვაწეთა მეურვე, ასეულ ნაშრომთა ავტორი და ათეულ მეცნიერთა აღმზრდელი — აი, ვინ არის აკაკი შანიძე ერთი თვალის შევლებით; მაგრამ ერთი შეხედვით ოდნავადაც არ განიცდება ის სიდიადე, რაც ამ დიდ ადამიანს 50 წლის მანძილზე უქმნია თავისი ნათელი გონებით, დიდი გულით, ღრმა აზროვნებით, მხურვალე გრძნობით, დაუშრეტელი ენერჯითა და დაუცხრომელი ნებისყოფით.

ჩვენ სიტყვითაც გვიძნელდება იმის გამოთქმა, რაც დაუღალავ მუშაკს საქმით უკეთებია. უკეთეს შემთხვევაში შესრულებული საქმეების ჩამოთვლით ვკმაყოფილდებით და ჩვეულებრივად განზე ვტოვებთ იმ სიყვარულსა და შთაგონებას, რომელთა ძალა ამოქმედებდა გამოჩენილ მეცნიერს, რათა კვლევა-ძიების ძნელი ბილიკებიდან ჭეშმარიტების ფართო გზაზე გამოსულიყო. გარკვევით უნდა აღინიშნოს: ამ

წინსვლისა და წარმატების გზაზე აკაკი შანიძეს ქართველი ხალხის მართალი სიტყვა შთააგონებდა და სიმაართლის დიდი სიყვარული ამოძრავებდა.

ამ გზით შეიძლო დიდ ქართველთა შორის ამ მეორე დიდმა აკაკიმ, შეუტდომლად ამოეცნო შორეულ წინაპართა აზრისა და გრძობის ნაკვალევი, ამოეხსნა ხავსმოდებული ქვების ქარაგმები, ამოეკითხა დროით დაშლილი სტრიქონები, გაეგონა მთაწმინდელთა წმინდა ქართული, გაეხსნა რუსთაველის ენის საგანძური, გადაეშალა ეტრატები, ფოლიანტები, დაენახა წარწერის ქვეშ დაფარული წარწერა, მოესმინა ნათქვამის ქვეშ დამალული სათქმელი და დაედგინა ჩვენი ერის ყველაზე დიდი მემკვიდრეობის — ქართული ენის — მწყობრი კანონმდებლობა.

ქართული ენის სჯულმდებელი, საქართველოს მარადმყდერი საუნჯის, ჩვენი მდიდარი, გამართული და კეთილხმოვანი მეტყველების მესაიდუმლე, რომელმაც ყოველ ჩვენთაგანს გაუმხილა ეს სანუკვარი იდუმალობა, დღეს, 70 წლის ასაკში, მეცნიერული შემოქმედების უმაღლეს მწვერვალზე იმყოფება.

ვუსურვოთ მას, ჩვენი ეროვნული კულტურის საკეთილდღეოდ, ამ შეუდარებელ და შეუცილებელ მწვერვალზე დგომა და ნაყოფიერი სიცოცხლე დიდხანს, ხანგრძლივად!

ხანმეტი იყოს ქვეყანაზე ხანმეტური პალიმსესტების ამომკითხველის არსებობა!

დაე, ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს ჩვენი საამაყო წარსულის ჭირისუფალი, ბრწყინვალე აწმყოს მოამაგე და წარმტაცი მომავლის მესვეური, დიდი ადამიანი და დიდი მეცნიერი; ძვირფასი და საყვარელი, უფროსი და ამხანაგი — აკაკი შანიძე!

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა — ი. ლოლაშვილი	3
ქართული მკვლევარების (ცდა ისტორიული სურათის აღდგენისა) შოთა რუსთაველი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი“	13
ალექსანდრე ჭავჭავაძე	75
ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია	89
ილია ჭავჭავაძის პოეტური შემოქმედება	114
აკაკი (ცხოვრება და შემოქმედება)	141
ვაჟა-ფშაველას შემოქმედება	168
იაკობ გოგებაშვილი	197
იოსებ გრიშაშვილის პოეზია	214
სიტყვა, თქმული 1937 წლის 11 თებერვალს აჭარის მასწავლებელთა სახლში ა. ს. პუშკინის საიუბილეო საღამოზე	224
სიტყვა, თქმული 1937 წლის 13 ივნისს აჭარის მასწავლებელთა სახლში ი. ჭავჭავაძის საიუბილეო საღამოზე	228
სიტყვა, თქმული 1938 წლის 1 იანვარს აჭარის მასწავლებელთა სახლში შოთა რუსთაველის საიუბილეო საღამოზე	234
სიტყვა, თქმული 1938 წლის 7 ივნისს აჭარის სახელმწიფო თეატრში თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო საღამოზე	245
სიტყვა, თქმული 1940 წლის 28 ოქტომბერს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში იაკობ გოგებაშვილის საზეიმო საიუბილეო საღამოზე	247
სიტყვა, თქმული 1946 წლის 1 ივლისს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას საიუბილეო საღამოზე	252
თბილისს — დაარსებიდან 1500 წლისთავის გამო	257
არნოლდ ჩიქობავას — დაბადებიდან 60 წლისთავის გამო	260
აკაკი შანიძეს — დაბადებიდან 70 წლისთავის გამო	263

რედაქტორი ქ. კვინტრაძე
მხატვარი დ. ღუნღუა
მხატვრული რედაქტორი თ. შარიფაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზ. გვირაძე
კორექტორი დ. ცინცაძე
გამომშვები ნ. თათარაშვილი

გადაეცა წარმოებას 23.03.88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად
28.07.88 წ. საბეჭდი ქალაქი № 1. 60×84¹/₁₆. გარნიტურა ვენა.
ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 15,58. პირ. სალ.-გატა-
რება 15,58. საალრ.-საგამომც. თაბახი 13,29.
ტირაჟი 10 000 შეკვ. № 39.

ფასი 1 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის, 5

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქ-
მეთა სახელმწიფო კომიტეტის № 1 სტამბა, თბილისი, ორჯონიძის ქ. № 50

Типография № 1 Государственного комитета Грузинской ССР
по делам издательств, полиграфии и книжной торговли,
Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50

Канделаки Николоз Ильич

СТАТЬИ

(На грузинском языке)

**Издательство «Сაბჭოთა საქართველო»
Тбилиси, Марджანიшвили, 5.
1988**

